
ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენი ფასეული ფინანსური ბრენდი შევქმენით და გაზარზე უნივერსალურ ჯგუფად ჩამოვყალიბდით, რომელიც კლიენტებს მთელს ქვეყანაში კომპლექსურ მომსახურებას უწევს. ბაზარზე ინტეგრირებულ ფინანსურ ინსტიტუტად გამოვჩნდით, რომელსაც პროდუქტთა ოპტიმალური ასორტიმენტი აქვს და საბანკო, სალიზინგო და სადაზღვევო პროდუქტებს აერთიანებს. ჩვენი დახვეწილი გადაწყვეტები კლიენტების საჭიროებებს ასახავს და მათთვის შესაძლებლობებს ქმნის, თან კლიენტებისა და აქციონერებისთვის ღირებულების ზრდაზე მუშაობს.

ჩვენი კლიენტები ბანკის და ჯგუფისგან უნაკლო მომსახურებას და პროდუქტებს მოელიან, ამიტომ ჩვენ ვმუშაობთ ყველა არხის საუკეთესო გზით ინტეგრაციაზე, რომელიც ჩვენი ფილიალების მეშვეობით, მრავალფეროვანი ციფრული პლატფორმების და მრავალარხიანი გადაწყვეტებით მათ მრავალფეროვან მოთხოვნებს დააკმაყოფილებს და მათზე მორგებულ მიდგომებს შესთავაზებს, მათ მუდმივად განახლებად მისწრაფებებს მოერგება, შედეგად კი ბიზნესის მდგრად ზრდას მივიღებთ, ცვალებად და გაურკვეველ საბაზრო პირობებშიც კი.

ჯგუფის ფუნდამენტური ამოცანაა, პასუხისმგებლიანი მომსახურებით ფინანსური მომსახურების საუკეთესო პლატფორმა გახდეს და თანამშრომელთა, კლიენტთა, პარტნიორთა და აქციონერთა ხანგრძლივი ნდობა მოიპოვოს. BB ჯგუფის მიზანი ინკლუზიური განვითარება და ზრდის დაჩქარებული ტემპია, რომელიც აქციონერების და სხვა დაინტერესებული პირების საუკეთესო ინტერესებს და მოლოდინებს დააკმაყოფილებს. ჯგუფი კონცენტრირებულია განვითარების ძირითად მიმართულებებზე, რომლიც ფოკუსშიც არის სტრატეგიული ბიზნესმიმართულებების ტრანსფორმაცია და განვითარება, ფინანსური მომსახურების გაერთიანებული პლატფორმის შექმნა, კომუნიკაცია კლიენტებთან და ბიზნესებთან, ბაზრის ლიდერი მომსახურების დანერგვა ციფრულ ტექნოლოგიებში, თანამშრომლებში და ინფრასტრუქტურაში ინვესტირებით, რომლებიც კლიენტთა გამოცდილების გაუმჯობესებას ემსახურება.

ჯგუფის სამივე ფრთა კოორდინირებული ფუნქციონირებით უზრუნველყოფს სინერგიას, რესურსების და დროის დაზოგვას და პროდუქტებსა და სერვისებზე უკეთეს წვდომას კლიენტების საკეთილდღეოდ. შედეგად BB ჯგუფი უნივერსალური ფინანსური პლატფორმაა, ფინანსური გადაწყვეტების ერთიანი მიმწოდებელი, რომელსაც ღირებულებათა შეთავაზების დიდი კალათი აქვს, მისი პროდუქტები და მომსახურება კი მთელი ქვეყნის ბიზნეს-სეგმენტებზეა გათვლილი.

ბაზისბანკის ჯგუფის ქოლგის ქვეშ სამი შვილობილი კომპანია მოქმედებს: ჰუალინგ დაზღვევა, BHL ლიზინგი და BAMH (Basis Asset Management Holding Company).

ჩვენი შვილობილი კომპანიები კვლავ მძლავრ ოპერაციულ შედეგებს აჩვენებენ, რთულ პანდემიურ პირობებშიც კი. ჩვენი ფოკუსი ისევ ბაზრის წილის გაფართოება და შესაბამის ბიზნესმიმართულებებში მასშტაბურობის მიღწევაა.

BB დაზღვევა

ჰუალინგ დაზღვევა 2017 წელს დაარსდა. ის ჯგუფის სწრაფად მზარდი შვილობილი კომპანია და ბანკის მთავარი სადაზღვევო banc assurance პარტნიორია. ჰუალინგ დაზღვევა როგორც კერძო, ისე იურიდიულ პირებს ემსახურება და მათ სადაზღვევო პროდუქტების ფართო ასორტიმენტს სთავაზობს, მათ შორის ავტო, ქონების, სიცოცხლის, სამოგზაურო დაზღვევას და კორპორაციულ პაკეტებს. კომპანიის ფოკუსია ციფრული გაყიდვები, ზარალების სწრაფი და იოლი ანაზღაურების პროცესები, მაღალი რეპუტაციის მქონე გადამზღვევები, მოქნილი და მარტივი პროდუქტები, ძლიერი ფინანსური პოზიცია და სოლიდური პროფესიონალ თანამშრომელთა გუნდი. ეს უპირატესობები კომპანიას საშუალებას აძლევს შეინარჩუნებს და გაზარდოს მოქნილობა და მთელი ქვეყნის კლიენტებისთვის იყოს ხელმისაწვდომი, მმართველობის მარტივი სტრუქტურით და გადაწყვეტილების მიღების ეფექტური პროცესებით. BB დაზღვევა კლიენტებს მომსახურებას ბაზისბანკის ჯგუფის ფილიალების საშუალებით აწვდის ქვეყნის ყველა ქალაქსა და რეგიონში.


2020 წელს BB დაზღვევაზე ისევე, როგორც საქართველოს სადაზღვევო სექტორზე, პანდემიამ დიდი გავლენა მოახდინა, რაც მოგზაურებსა და ტურიზმის ბიზნესზე გაყიდვების კონცენტრაციაში გამოიხატა.

კომპანია წლის განმავლობაში მუდმივად მუშაობდა პროდუქტების გაუმჯობესებზე, ამავე დროს BB დაზღვევამ სიცოცხლის დაზღვევის პაკეტებს რესტრუქტურიზება გაუკეთა და პანდემიური რისკებიც გადააზღვია, რასაც კლიენტებისთვის კრიტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. ბაზრის საჭიროებებზე სწრაფი ადაპტირების შედეგად კომპანია კრედიტორებისთვის სასურველ მზღვეველად იქცა, რაც გაყიდვების ზრდაზეც აისახა.

ეფექტური გაყიდვების და ახალი კლიენტების ციფრულად მიღების პროცესი 2020 წელს უდიდესი მნიშვნელობის იყო, შესაბამისად, BB დაზღვევამ საკუთარი ვებგვერდი გაყიდვების არხად აქცია და საცალო კლიენტებს დისტანციურად შესთავაზა ძირითადი პროდუქტები (ავტო და ქონების დაზღვევა). ჰოლდინგის წევრ კომპანიებთან ერთად დაიწყო ციფრული გაყიდვების ადგილის შექმნა, სადაც BB ჰოლდინგის კლიენტებს საშუალება აქვთ მოსახერხებლად მიიღონ ჯგუფის ფინანსური მომსახურება და პროდუქტები. გაყიდვების მიდგომის ტრანსფორმაცია 2021 წელს დადებით შედეგს მოიტანს. კომპანიის პრიორიტეტი დისტანციურ მომსახურებაზე კონცენტრაციაა, რაც კლიენტებს საშუალებას აძლევს ანაზღაურება მოქნილად მოითხოვონ და დაზოგონ დრო.


2020 წელს პანდემიის შედეგების მიუხედავად, BB დაზღვევამ მოახერხა სტაბილური მომგებიანობის შენარჩუნება და წელი 17 მილიონი ლარის მთლიანი აქტივებით და 1.4 მილიონი ლარის წმინდა მოგებით დაასრულა.
პორტფელის დივერსიფიკაცია, რომელიც სხვადასხვა ბიზნეს-სექტორში მოღვაწე კლიენტებით მიიღწევა, მძლავრი ფინანსური მდგომარეობა და სოლიდურ პროფესიონალთა გუნდი ჩვენი საერთო გამომუშავებული პრემიის მიმართულებების დივერსიფიცირების საწინდარი გახდა. (იხ. სურათი)

სადაზღვევო პროდუქტების შემადგენლობა



2020 წლის განმავლობაში კომენდანტის საათის და ლოქდაუნის ხანგრძლივი პერიოდის მიუხედავად, BB დაზღვევამ მაინც მოახერხა მოკლე დროში ზარალების ანაზღაურების მაღალი ხარისხის შენარჩუნება. შედეგად, ჩვენი ანაზღაურების საშუალო პერიოდი 4.7 სამუშაო დღე იყო. საერთო ჯამში 2020 წელს 2.4 მილიონი ლარის ზარალები ანაზღაურდა (იხ. დეტალები ქვემოთ):

სადაზღვევო პროდუქტები ანაზღაურებული ზარალების მიხედვით




BB ლიზინგი

BB ლიზინგმა ოპერაციები 2019 წლის თებერვალში დაიწყო. BB ლიზინგი, როგორც ბაზისბანკის ჯგუფის შვილობილი კომპანია, მოწოდებულია, ჯგუფის ოპერაციები და სერვისები სალიზინგო პროდუქტებით შეავსოს. კომპანია სწრაფ განვითარებაზეა ორიენტირებული და აპირებს ბიზნესის და კერძო მეწარმეების სტაბილური პარტნიორი და ფინანსური ბაზრის ამ შედარებით ახალი სფეროს (რომელმაც საქართველოში ახლა დაიწყო განვითარება) ლიდერი და ნოვატორი გახდეს. BB ლიზინგი შემდეგი პრინციპებით ხელმძღვანელობს: კლიენტთა საჭიროებები პასუხისმგებლიანად განსაზღვროს და მათთვის დამატებითი შესაძლებლობები შექმნას.

BB ლიზინგი როგორც კერძო, ისე იურიდიულ პირებს ემსახურება და მათ ლიზინგის ამომწურავ შესაძლებლობებს და საკონსულტაციო მომსახურებას სთავაზობს. ლიზინგის პროდუქტების მომხმარებლები არიან როგორც კერძო პირები ისე კორპორაციები. ეს უკანასკნელი ბაზრის დომინანტია ისეთ სექტორებში, როგორიცაა: სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, წარმოება, მინერალური რესურსები, ვაჭრობა, სამედიცინო აღჭურვილობა, ტრანსპორტი და კომუნიკაცია.

სალიზინგო პროდუქტების შემადგენლობა



BB ლიზინგის განსაკუთრებული მისია და კონკურენტული უპირატესობა ჩინურ კომპანიებსა და ქართველ კლიენტებს შორის მედიატორობის ფუნქციაა. ის ქართველ კლიენტებს საშუალებას აძლევს, ჩინური ფინანსური ლიზინგის პროდუქტების ფართო სპექტრით ისარგებლონ. კომპანია, თავისი საქმიანობით, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩინური და ქართული ბაზრების დაახლოების საქმეში და ქართულ კომპანიებს გაფართოების და ბიზნესის განვითარების ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს. კომპანია ცდილობს გაზარდოს სალიზინგო პროდუქტების შესახებ ცნობიერება სტარტაპ კომპანიებს შორის, ვისთვისაც ლიზინგი ხელმისაწვდომი და განსაკუთრებულად მოსახერხებელი არჩევანია საჭირო აღჭურვილობის მისაღებად.

არახელსაყრელი ეკონომიკური პირობების მიუხედავად BB ლიზინგმა მოახერხა 5 მილიონი ლარის დაბალრისკიანი პორტფელის შექმნა, საიდანაც 47% იურიდიულ პირებში გაკეთებული ინვესტიციებია, დარჩენილი 53% კი საცალო სეგმენტის ინვესტიციები. იმ კლიენტთა ლიზინგი, რომელთაც 2020 წლის პანდემიის პრობლემების გამო გადახდისუნარიანობა მკვეთრად გაუუარესდათ, საერთო პორტფელის მხოლოდ 1.7%-ს შეადგენს. 2020 წელს გამომუშავებული მოგება 0.8 მილიონ ლარს შეადგენს.

BB ლიზინგის შემდგომი ნაბიჯები კლიენტებისთვის დამატებითი სერვისების განვითარება, მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების და კლიენტებთან ურთიერთობის მართვის სისტემების გაუმჯობესება და სადაზღვევო პროდუქტების ჯვარედინი გაყიდვებია.

BAM ჰოლდინგი

BAM ჰოლდინგი 2012 წელს დაარსდა და ბანკის ქონების მართვის შვილობილი კომპანიაა. მისი მთავარი საქმიანობაა: ქონების განვითარება, რეალიზაცია, იჯარა და გაქირავება.

ჯგუფი განაგრძობს მისი აქტივების ეფექტურ გამოყენებას მისი ბრენდის იდენტობის - ერთი ფანჯრის პრინციპით მომსახურე ფინანსური ცენტრის - კიდევ უფრო გასაძლიერებლად და კიდევ უფრო ინოვაციური გახდება სერვისების მიწოდებაში.

2020 წლის განმავლობაში BB ჰოლდინგის სამივე ფრთა განაგრძობდა ახლო კოორდინაციით სერვისების მიწოდებას, რომელიც ერთ სივრცეში ფინანსური მომსახურების სრული სპექტრის უზრუნველყოფას გულისხმობს ორივე პლატფორმის (ტრადიციული და ციფრული) საშუალებით. მარტივი, გამჭვირვალე და კლიენტზე ორიენტირებული მიდგომა კვლავ ჩვენი ჯგუფის წარმატების საწინდარია.

ჰუალინგ ჯგუფი

ბაზისბანკი ჩინური კონგლომერატის - ჰუალინგ ჯგუფის წევრია. ჰუალინგი კერძო საწარმოების ჯგუფია, რომელიც ფართოდ დივერსიფიცირებულ საქმიანობას ეწევა ჩინეთში და მის საზღვარებს გარეთ. Xinjiang Hualing Industry & Trade (Group) Co Ltd (ჰუალინგ ჯგუფი) ბაზისბანკის მთავარი აქციონერია 2012 წლიდან. ის აქციების 90%-ზე მეტის საკონტროლო პაკეტს ფლობს და დაინტერესებულია ბაზისბანკის ქოლგის ქვეშ მძლავრი ფინანსური ინსტიტუტის შექმნას შეუწყოს ხელი, სადაც აქცენტს გააკეთებს ბიზნეს ფრანჩიზის ინტეგრირებულ განვითარებაზე და ბაზრის მეტი წილის ათვისებაზე.

ჰუალინგ ჯგუფი ქართულ ბაზარზე 2006 წლიდან მოქმედებს. ჯგუფის ინტერესების სფეროები ფართოა და მოიცავს ტყისა და სატყეო მრეწველობის დამუშავებასა და მოპოვებას, ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობას, მასშტაბურ თანამედროვე ბაზარს, სასტუმროსა და ტურიზმის სფეროებს. ჯგუფის ხედვაა აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში მოქმედების უპირატესობის დაბალანსება, „აბრეშუმის გზის“ პროექტის ინიციატივის კვალდაკვალ განვითარება და საქართველოს ისტორიული როლის, როგორც ევროპა-აზიის დამაკავშირებელი სავაჭრო ჰაბის აღორძინება, საბოლოოდ კი ჰუალინგის ბაზრების რეგიონებს შორის ხიდის ფუნქციის მინიჭება.

ჯგუფის დამფუძნებელი და მფლობელია მი ენხვა, გამოჩენილი ჩინელი ბიზნესმენი, რომელსაც ბიზნესის სექტორში დიდი გამოცდილება აქვს და მრავალჯერაა დაჯილდოებული ჩინეთის ეკონომიკის განვითარებაში შეტანილი წვლილის და საქველმოქმედო საქმიანობისთვის.

სტრატეგიის განხორციელება

ბიზნესის საბანკო მომსახურება - ბაზისბანკის მიდგომა ბიზნესკლიენტების მომსახურებისადმი ურთიერთობებზე აგებული საბანკო საქმიანობის განსახიერებაა, რომელიც დამატებით

სარგებლად ბაზისბანკის ჯგუფის უპირატესობებს შეიცავს. ჩვენი კომერციული მიმართულება კომერციული დირექტორის ხელმძღვანელობით, მძლავრი ფრანჩიზით და საქართველოს ეკონომიკურად აქტიურ რეგიონებში მდებარე ფილიალთა ქსელით მცირე, საშუალო და მსხვილი კომპანიების სოლიდურ რაოდენობას ემსახურება.

იმისათვის, რომ ეფექტურად გავაუმჯობესოთ ჩვენი შეთავაზება პროდუქციის, მომსახურების და მიწოდების არხების თვალსაზრისით, ბაზისბანკმა ჩამოაყალიბა ხუთი ძირითადი ბიზნესმიმართულება. კომერციული მიმართულება ორგანიზებულია ხუთი ბიზნეს ხაზით: კორპორატიული, მცირე და საშუალო ბიზნესის, ვაჭრობის დაფინანსების და ფაქტორინგის, ჩინეთთან დაკავშირებული კლიენტების და პროექტების და UNIQUE განყოფილებები. ჩვენს გუნდს დიდი გამოცდილება და მომხმარებელთან ეფექტური ურთიერთობის უნარი აქვს კორპორაციულ და მცირე და საშუალო ბიზნესის სესხების, საერთაშორისო ვაჭრობის, პროექტების დაფინანსების, სინდიკატების, ასევე ჩინელი მომხმარებლების მომსახურების საქმეში. მათ პროდუქტებისა და მომსახურებების ფართო სპექტრს ვთავაზობთ, კლიენტისა და დარგის სიღრმისეული ცოდნის საფუძველზე, რომელიც ინოვაციასა და ციფრულ ტექნოლოგიებთან არის დაკავშირებული. ჩვენი კომერციული მიმართულება სრულად შეესაბამება ჯგუფის მასშტაბის სტრატეგიას.

კორპორატიული დეპარტამენტის შემადგენლობაში შედის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონალური ჯგუფები, რომლებიც სპეციალურად კორპორატიულ კლიენტებთან თავიანთი ბიზნესის ადგილმდებარეობის მახლობლად მუშაობენ. ანალოგიურად, მცირე და საშუალო ბიზნესის განყოფილება შედგება მცირე და საშუალო ბიზნესის ბანკირების დასავლეთის და აღმოსავლეთის რეგიონალური ჯგუფებისგან, რომლებიც ასევე მჭიდროდ თანამშრომლობენ თავიანთ კლიენტებთან, და ყოველდღიურად ემსახურებიან თავიანთ ბიზნეს საჭიროებებს.

მცირე და საშუალო ბიზნესის განყოფილებას ჰყავს სპეციალური აგრობიზნესის ჯგუფი, რომელიც აგრობიზნესის ბანკირებითაა დაკომპლექტებული. ისინი ჩვენს რეგიონალურ ოფისებში არიან წარმოდგენილნი სპეციალურად აგრობიზნესის სესხების გასაზრდელად, ახალი აგრო კლიენტების მოსაზიდად და არსებული მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

UNIQUE ბანკირების ჯგუფის მეშვეობით, მიმართულება უზრუნველყოფს პრემიუმ კლასის სერვისებს ბანკის მაღალშემოსავლიანი კლიენტების სეგმენტისთვის, რაც თითოეული VIP მომხმარებლის ინდივიდუალურად მომსახურებას გულისხმობს. ჩვენი VIP კლიენტები უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, პირადი ყურადღებით და პერსონალიზებული პროდუქტების გადაწყვეტებით სარგებლობენ.

ვაჭრობის დაფინანსების და ფაქტორინგის ჯგუფი კლიენტებს, რომლებიც ფაქტორინგსა და საერთაშორისო სავაჭრო ბიზნესში არიან ჩართული, მოქნილ, მოსახერხებელ და ურისკო მომსახურებებთან ერთად, ალტერნატიული დაფინანსების გადაწყვეტილებებსაც სთავაზობს, რაც ინდუსტრიის სპეციფიკასაც ითვალისწინებს.

ჩინეთთან დაკავშირებული კლიენტებისა და პროექტების განყოფილება ბიზნეს-კლიენტებს ეხმარება ახალი ბიზნეს-შესაძლებლობების შექმნაში და ჩინელ კოლეგებთან კავშირების დამყარებაში. განყოფილებაში მომუშავე ჩვენი პროფესიონალები ცდილობენ შექმნან ის ხიდი, რომელიც ჩვენს კორპორაციებსა და მცირე და საშუალო ბიზნესის კომპანიებს ჩინურ ბიზნესთან

დააკავშირებს, ასევე ჩინელ ინვესტორებთან ერთად საქართველოში მცხოვრებ და მოღვაწე ჩინელ კლიენტებსაც უჭერს მხარს. განყოფილება დაკომპლექტებულია ჩინური ენის მაღალკვალიფიციური ექსპერტებით, რომლებმაც ტრენინგი ჩინეთში გაიარეს.

2020 წელს კომერციული მიმართულების ძირითადი ყურადღება გამახვილდა შემდეგ საქმიანობაზე:

- სახელმწიფო სტრუქტურებთან მუშაობა - ბანკო კლიენტებს დაეხმარება პანდემიის შედეგად შემოღებული შეზღუდვებით დაზარალებული ბიზნესის დასახმარებლად გამიზნულ პროგრამებზე წვდომაში;
- კლიენტთა პრობლემების გათვალისწინებით მათ კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტების შეთავაზება;
- ჩვენი გუნდის გაძლიერება, განსაკუთრებულად გაძლიერედება ფოკუსი დასმული ამოცანების მიღწევასა და ეფექტიანობის ამაღლებაზე;
- კორპორაციული და მცირე და საშუალო ბიზნესის სასესხო პორტფელების რისკების შემცირება და პორტფელის უფრო მეტი დივერსიფიკაცია
- საოპერაციო მომსახურების ნაწილში პროაქტიულად ზომების მიღება, უახლოესი გამოწვევების დასაძლევად საოპერაციო გეგმების შემუშავება

2020 წელს კომერციული დეპარტამენტი ორიენტირებული იყო თითოეული თანამშრომლის შენარჩუნებაზე. მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, კორპორატიული და მცირე და საშუალო ბიზნესის განყოფილებების პერსონალი არ შემცირებულა. პანდემიისა და გაუარესებული ეკონომიკური პირობების შედეგად გამოწვეული პრობლემების საპასუხოდ, ჯგუფმა მიიღო აქტიური ზომები COVID-19 აფეთქების დასაწყისიდან, რათა თანამშრომლებს ახალ გამოწვევებზე მორგებაში დახმარებოდა და თანამშრომლების მნიშვნელოვანი ნაწილი გადაეყვანა დისტანციურ მომსახურებებსა და სამუშაო გრაფიკებზე, რისთვისაც მას ადეკვატური IT და ტექნიკური მხარდაჭერა აქვს.

2020 წლის დასაწყისში გარკვეული ცვლილებებით, კომერციულმა დეპარტამენტმა შეადგინა წახალისების სისტემა, რომელიც მას სპეციალურად აკავშირებს საკრედიტო პორტფელის შემოსავლების სტრუქტურასთან, ბანკის მიზნებთან და სასურველ შედეგებთან. ადამიანური რესურსი ყოველთვის იყო ჩვენთვის მნიშვნელოვანი, ამიტომ ჩვენი სახელფასო პოლიტიკა და მასშტაბი კონკურენტუნარიანია და მუდმივად ვიღწვით ჩვენი ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის, კეთილდღეობისა და მხარდაჭერისთვის.

2020 წელს COVID-19-ის უარყოფითი გავლენა ეკონომიკასა და ბიზნესზე უფრო აშკარა გახდა, მან მნიშვნელოვნად შეანელა და შეაფერხა როგორც ბიზნესის განვითარება, ისე მოთხოვნა სესხის პროდუქტებზე. ქვეყნის ფინანსურ სექტორზე COVID-19-ის ნეგატიური ზემოქმედების შესამცირებლად და ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკისა და ეკონომიკის სამინისტროს მხარდაჭერით გატარდა მნიშვნელოვანი ზომები (პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში): განხორციელდა დაუცველ სექტორებში მოქმედი ბიზნესის მხარდაჭერა პროგრამების საშუალებით, რომელიც მიზნად ისახავს პანდემიით დაზარალებული კომპანიების სუბსიდირებას; პროგრამები მოიცავდა დახმარების სხვადასხვა კომპონენტებს, როგორიცაა 6 და 12 თვის სუბსიდირება დარიცხულ პროცენტზე და საკრედიტო გარანტიების სქემები - ეკონომიკის სამინისტროს მიერ ინიცირებული სისტემურად მნიშვნელოვანი პროექტი, დამატებითი გირაოს საჭიროების მქონე პირთა დასახმარებლად და ბანკების წახალისება დამატებითი ლიკვიდობით. მეტიც, საპროცენტო სუბსიდირების პერიოდი

„აწარმოე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში გაცემული სესხებისთვის 24 და 36 თვემდე გახანგრძლივდა, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბიზნესის გადარჩენისთვის ჩაკეტილობის პერიოდში. ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სხვადასხვა სფეროში: მათ შორის აღსანიშნავია ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში ლიკვიდური ფულადი რესურსების უწყვეტი მიწოდება და შუალედური ზედამხედველობის გეგმის შემუშავება. ჩვენი კორპორატიული და მცირე და საშუალო ბიზნესის დეპარტამენტები აქტიურად არიან ჩართული დახმარების პროგრამებში საწყის ეტაპზე და აგრძელებენ ეფექტურ თანამშრომლობას საჯარო და კერძო სექტორებთან.

გარდა ამისა, ვირუსის გავრცელების საწყის ეტაპზე, კომერციულმა დეპარტამენტმა ბიზნეს ანალიტიკოსებთან და რისკების დეპარტამენტთან ერთად შეიმუშავა და განახორციელა შესაბამისი სტრესული სცენარები სხვადასხვა კვლევებისა და ბაზრის მოლოდინების საფუძველზე. მოცემული სცენარების გათვალისწინებით, ბიზნესის მხარდაჭერისა და საპასუხისმგებლო დაკრედიტების ფარგლებში, ჩვენმა კლიენტებმა შეძლეს თავიანთი ვალდებულებები გრაფიკის შესაბამისად შესრულება, რამაც ხელი შეუწყო საკრედიტო პორტფელის ხარისხის შენარჩუნებას და ბიზნეს გარემოს შესაძლო გაუმჯობესებას. პანდემიამ განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა მოახდინა ტურიზმის, რესტორნების და უძრავი ქონების მართვის სექტორებზე. ამ სექტორებმა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მიიღეს როგორც ფინანსური ინსტიტუტების, ისე საჯარო სექტორისგან.

კორპორაციული საბანკო მომსახურება - ჩვენი კორპორაციული საბანკო ჯგუფი (კორპორაციული დეპარტამენტი) ემსახურება წამყვან ბიზნესს, კერძო სექტორის მსხვილ კომპანიებს, ფინანსურ ინსტიტუტებს და საჯარო სექტორის ერთეულებს.

კლიენტთა მოლოდინების გაცნობიერება და შესაბამისი პროდუქტებისა და მომსახურების საშუალებით რეაგირება ბაზისბანკის ჯგუფის სტრატეგიის მთავარი პრიორიტეტია. მოსახერხებლობის, სისწრაფისა და მოქნილობის მოთხოვნა მორგებული გადაწყვეტილებებითა და ინოვაციური მიდგომებით ჩვენი კორპორაციული ბიზნეს სტრატეგიის საფუძველია. ჩვენ წლების განმავლობაში ძლიერი კავშირები დავამყარეთ ჩვენს კორპორაციულ კლიენტებთან, ახლაც გამოვირჩევით მათთან ურთიერთობების გაღრმავებით და ჩვენი ერთგულების გაძლიერებით და თითოეული კლიენტისადმი ადაპტირებული მიდგომით.

2020 წელი მართლაც რთული წელი იყო ახალი გამოწვევის COVID-19-ის გავრცელების გამო. ვინაიდან არ არსებობს რაიმე სამედიცინო მიდგომა ვირუსის გავრცელების შესამცირებლად, საქართველოს მთავრობამ ვირუსის პროგრესირების შესამცირებლად რიგი ღონისძიებები განახორციელა, მათ შორის ბიზნესის დახურვა, მოგზაურობის შეზღუდვები, კარანტინი და შეზღუდვები საჯარო და კერძო შეკრებებზე. ამ ზომებმა ეკონომიკური აქტივობის მკვეთრი შემცირება გამოიწვია, რის გამოც კორპორატიული და მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტი გაურკვეველ პირობებში დარჩა.

წლის მთავარი საზრუნავი ყველაზე დაუცველი ეკონომიკური სექტორების, ძირითადად HORECA-ს - სასტუმროების და რესტორნების სფეროში მოღვაწე კლიენტების საჭიროებების დაუყოვნებლად მოგვარება იყო. ამ პერიოდის განმავლობაში კორპორაციული დეპარტამენტის მთავარი მიზანი გარდამავალ პერიოდში კლიენტების მხარდაჭერა იყო. ჩვენ პროაქტიული ზომები მივიღეთ საოპერაციო ფრონტზე და შევიმუშავეთ სტრატეგიები უახლოეს მომავალში მოსალოდნელი გამოწვევების დასაძლევად. მათი მიზანი გადახდის გრაფიკის მომავალი

ფულადი სახსრების შემოდინების ყველაზე სავარაუდო სცენარზე მორგება და პორტფელის რისკის მიტიგაცია იყო. ამ მიზნით ფინანსური მონიტორინგი და სტრეს-ტესტები ჩატარდა მთელი საკრედიტო პორტფელისთვის, რათა მსესხებლების ის სეგმენტები და სექტორები განგვესაზღვრა, რომლებსაც შესაძლოა მიმდინარე სცენარში დამატებითი სტრესი შეექმნას. ინფორმაცია გადაეცა საკრედიტო რისკის დეპარტამენტს შემდგომი შეფასებისთვის.

ჩვენ ასევე ვმუშაობთ იმისათვის, რომ გავაძლიეროთ ჩვენი პოზიცია, როგორც ტრანზაქციების წამყვანმა ბანკმა, რომელიც კლიენტებს ეხმარება თავიანთი საქმიანი ცხოვრების ციკლის გავლაში, სადაც ჩვენ როგორც ჯგუფმა შეგვიძლია შევთავაზოთ სრული მომსახურების შესაძლებლობები. ხაზინის დეპარტამენტთან თანამშრომლობით დაინერგა სახაზინო პროდუქტის მენეჯერის ახალი პოზიცია, რომელიც მაქსიმალურ ეფექტურობას უზრუნველყოფს სახაზინო პროდუქტების მოსახერხებელი შეთავაზებების და სავალუტო გარიგებების ჩათვლით, ჩვენი კლიენტებისთვის ყველაზე მომგებიანი პირობებით.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში ზომიერი აქტივობით გამოვირჩეოდით დასუსტებული ეკონომიკის ფონზე და წინა წლებთან შედარებით გაცილებით ვამცირებდით მასშტაბს. ამასთან, ვაგრძელებდით ფოკუსირებას ჩვენი სტრატეგიის დისციპლინირებულ და ფრთხილ შესრულებაზე, გამოვყოფდით სექტორის სპეციფიკურ შესაძლებლობებს და ვაკეთებდით პორტფელის დივერსიფიკაციას ყველაზე დაუცველი სექტორების გარეთ. ჩვენი მიღწევები მთელი წლის განმავლობაში გადანაწილებული იყო პირდაპირ დაფინანსებასა და სინდიცირებულ გარიგებებს შორის - თითქმის თანაბარი წილებით. სინდიცირებული გარიგებები ბანკისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა რისკების გაზიარების, ცნობიერების ამაღლების, რეპუტაციის და საბოლოოდ ბაზრის წილის თვალსაზრისით. მთელი წლის განმავლობაში წარმოქმნილი სირთულეების გათვალისწინებით, კორპორაციულმა გუნდმა მაინც მოახერხა ბანკის საკრედიტო პორტფელის გაზრდა. 2020 წლის ბოლოს მდგომარეობით კორპორაციული დეპარტამენტის პორტფელმა 698 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2019 წელთან შედარებით 10%-იანი ზრდაა.

მცირე და საშუალო ბიზნესის საბანკო მომსახურება

მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტება ბანკის სტრატეგიის მთავარი მიმართულებაა. ბანკი კლიენტებს საბანკო მომსახურებისა და პროდუქციის სრულ სპექტრს სთავაზობს. კვალიფიციური გუნდის დახმარებით ბაზისბანკი ახერხებს სტაბილურად გაზარდოს თავისი საკრედიტო პორტფელი და განავითაროს სხვადასხვა ბიზნეს სექტორი, მათ შორის აგრო სექტორში.

2020 წლის მაჩვენებლების მიხედვით, ბანკის მცირე და საშუალო ბიზნესის სესხების პორტფელმა გადააჭარბა 188 მილიონ ლარს, რაც 2020 წელს 22%-იან ზრდას ნიშნავს, ხოლო აგრო მიმართულება 27%-ით გაიზარდა.

მცირე და საშუალო ბიზნესის საკრედიტო პორტფელი კარგად არის დივერსიფიცირებული და ხარისხი უცვლელი რჩება, რადგან მისი 85% მყარი გირაოთი და საბრუნავი კაპიტალის სესხების მაღალი წილითაა უზრუნველყოფილი. სესხები სხვადასხვა სექტორში ნაწილდება, როგორიცაა: სასტუმროები და რესტორნები; უძრავი ქონების მართვა; მშენებლობა და სამშენებლო მასალების წარმოება; სოფლის მეურნეობა; ვაჭრობა; მომსახურება; წარმოება და

სხვა. სესხის მთლიან პორტფელში თითოეული სექტორის წილის კონცენტრაცია მარეგულირებლის და ზოგადი სტანდარტების შესაბამისია.

ბიზნეს-ქეისები

სასტუმრო კომპლექსი Sunset Mestia -მესტიის რეგიონში მდებარე პრემიუმ სასტუმრო მწვანე დაკრედიტების განვითარებაში ჩვენს მიერ შეტანილი წვლილის შესანიშნავი მაგალითია. კომპანიის ძირითადი საქმიანობა სტუმართმოყვარეობის ბიზნესია. სასტუმროს 16 სტანდარტული და 2 ლუქს-ოთახი აქვს. EBRD-თან (CEEP) ჩვენი ერთობლივი ენერგოეფექტურობის პროგრამის ფარგლებში, ბაზისბანკ ჯგუფმა სასტუმროს 868 ათასი ლარი გამოუყო სამშენებლო საქმიანობის დასასრულებლად. კომპანიამ ინვესტიცია ჩადო ენერგოეფექტურ, თანამედროვე სამშენებლო მასალებში, მოწყობილობებში და აღჭურვილობაში ენერგიის მოხმარების დაზოგვის მიზნით.






ბიზნეს-ქეისი: აგრობიზნესი

აგრობიზნესი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა, სადაც ბაზისბანკის ჯგუფი ზრდის შემდგომ შესაძლებლობებს ხედავს და ცდილობს გააძლიეროს თავისი

პოზიციები. აგრობიზნესის სერვისების განვითარება ჯგუფის მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგიად რჩება. აგრობიზნესის განვითარების ცალკე გუნდის შექმნა ჩვენი სტრატეგიული გადაწყვეტილება იყო. დღეს ჩვენი სპეციალიზებული აგრობიზნესის ჯგუფი სრული დატვირთვით მუშაობს აგრობიზნეს-ბანკირების პროფესიონალ გუნდთან ერთად, რომლებიც ჩვენს თითოეულ რეგიონალურ ოფისში სპეციალურად აგრობიზნესის დაკრედიტების გასაძლიერებლად არიან წარმოდგენილი. მათი მისია ახალი აგრო კლიენტების მოზიდვა და არსებულისთვის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაა.

აგრობიზნესის განვითარებაში ჩვენი წვლილის შესანიშნავი მაგალითია შპს ADGI. ის ჩვენი აგროკლიენტია, რომელმაც ბაზისბანკის ჯგუფის აგრობიზნესის დაკრედიტების გამოცდილებით ისარგებლა. ჩვენ 2 მილიონი ლარის კრედიტი გამოვყავით კომპანიისთვის ვაშლის ბაღისა და მაცივრის ინტენსიური მეურნეობის მშენებლობისათვის. კომპანიამ ააშენა მაღალტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა გორში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.






ჯეოლენდი

აგრობიზნესის განვითარებისადმი ჩვენი ერთგულების კიდევ ერთი შესანიშნავი მაგალითია შპს "ჯეოლენდის" საინვესტიციო ქეისი: კომპანია შიდა ქართლის რეგიონში 70 ჰექტარ მიწას ფლობს. ნუშის ინტენსიური ბაღი 25 ჰექტარ მიწაზეა გაშენებული. სოფლის მეურნეობის სააგენტოს პროგრამის შეღავათიანი აგროსესხის კომპონენტის ფარგლებში ბაზისბანკის ჯგუფმა 500 000 ლარი გასცა. 2020 წლის ბოლოსთვის პროექტის ჯამური ინვესტიცია იყო 1,500,000 ლარი. გარდა ამისა, კომპანიას შესაძლებლობა ჰქონდა მონაწილეობა მიეღო Green for Growth Fund (GGF) და ბაზისბანკის ჯგუფის ერთობლივი ინიციატივით მიმდინარე მწვანე კონსულტაციის სასპონსორო პროგრამაში. აღნიშნული პროექტის ფარგლებში კომპანიამ 8000 ევრო მიიღო, რამაც შესაძლებელი გახადა არსებულ ფართობზე საშრობი და სასაწყობე ინფრასტრუქტურის პროექტის მომზადება შემდგომი განხორციელებისათვის.





2021 წლის მიზნები

2021 წლის დასაწყისში, სავარაუდოდ, პანდემიისა და შეზღუდვების უარყოფითი გავლენა გიზნეს გარემოზე შენარჩუნდება. 2021 წლისთვის გიზნესის განვითარების რამდენიმე პროექტია დაგეგმილი:
- დამატებითი პერსონალის აყვანა აქტიურ სფეროებში;
- ახალი სექტორების იდენტიფიცირება/ანალიზი და პორტფელზე მცირე ლიმიტების გამოყოფა;
- გიზნეს სესხების ციფრულ არხებში ინტეგრირება და ინფორმაციის გავრცელება/ცნობიერების ამაღლება;
- პროცესის ოპტიმიზაციის განხორციელება;

საცალო საბანკო მომსახურება გამოწვევების შესაძლებლობებად ქცევა

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გიზნესმოდელი უფრო მეტად გიზნეს კლიენტებზეა ორიენტირებული, ქსელი კი რეგიონულ გიზნეს კლიენტებზე წვდომის გაფართოებაზეა აწყობილი, ჩვენ მაინც გვსურს უფრო ძლიერი საცალო გიზნესის შექმნის გზით გავზარდოთ ჩვენი საცალო გიზნესი და გაზრის წილი, რომელიც სამ ძირითად საყრდენ პრინციპზე - სისწრაფეზე, ხარისხსა და მოქნილობაზე იქნება აგებული.

2020 წელი ათასწლეულების ყველაზე დიდი ჯანდაცვის გამოწვევებით იყო გამორჩეული, რომელიც ყველას სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებას შეეხო და გვაიძულა ხელახლა გადაგვეფასებინა ჩვენი საქმიანობის არსი და სამივე ჩვენი ძირითადი საყრდენი პრინციპი გამოგვეცადა. გამოწვევის უპრეცედენტო მასშტაბისა და ხასიათის მიუხედავად, ჩვენმა საცალო გიზნესმა შეძლო ჩვენი დეკლარირებული ფასეულობების პრაქტიკაში გამოყენება და გაიმარჯვა უფრო სწრაფი, მოქნილი, მოსახერხებელი, სწრაფი და ჭკვიანი გიზნესგარემოს შექმნით, როგორც ჩვენი თანამშრომლების, ისე ჩვენი ძვირფასი კლიენტებისთვის.

როდესაც გლობალური პანდემია სწრაფად ვითარდება და გაურკვევლობას იწვევს, ფინანსურმა სექტორმა, რომელიც ჩვენი ეკონომიკის გულია, პასუხისმგებლობა აიღო ქვეყნის მთავრობას გვერდით დადგომოდა და მასთან ერთად ებრძოლა მოსახლეობაში სტაბილურობის განცდის განმტკიცებისთვის.

ეს ძალისხმევა ორი ძირითადი ამოცანის დასრულებას საჭიროებდა: ა) გიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფას კრიზისის განმავლობაში და გ) ფინანსური დახმარების გაწევას გაურკვევლობის დროს;

პირველი მიზნის თვალსაზრისით, გაზისგანკის ჯგუფმა სამაგალითო მოქნილობა და სისწრაფე გამოავლინა, რადგან ჩვენი საცალო გიზნესი, რომელიც ჩვენი საზოგადოებასთან ერთად წინა ხაზზე იყო, ერთი დღითაც არ გაჩერებულა და უზრუნველყო, რომ ჩვენი მუშაობის ყოველი საათი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ რეკომენდირებული შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის გლობალური სტანდარტების შესაბამისად წარმართულიყო. ჯერ კიდევ მარტში, ყველა მოქმედი სერვის ცენტრი აღჭურვილი იყო მარაგებით პერსონალისა და მომხმარებლების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ჩვენ განვაახლეთ ჩვენი ზომები და დავამატეთ ახალი

ღონისძიებები, როგორიცაა კლიენტებისა და თანამშრომლების თერმოსკრინინგი, თანამშრომლების ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება და ჩანაწერების წარმოება ელექტრონულ ჟურნალში.

უფრო მეტიც, მარტის დასაწყისში ჩვენ ასევე უზრუნველვყავით ჩვენი თანამშრომლების დისტანციურ რეჟიმში მუშაობა. საცალო ბიზნესის 38 თანამშრომელმა წარმატებით გადაინაცვლა სახლის სამუშაო გარემოზე.

ლოქდაუნის გარდაუვალი საფრთხის გამო, რომელიც ჩვენს საცალო მომხმარებელს კონკრეტულ საბანკო პროდუქტებსა და მომსახურებაზე წვდომას გარკვეულწილად უზღუდავდა, ჩვენმა ჯგუფმა ძალისხმევის კონცენტრაცია მოახდინა ყველა შესაბამისი პროცესისა და პროცედურის დიჯიტალიზაციის დასაჩქარებლად, რათა უზრუნველეყო ჩვენი კლიენტების დისტანციურ არხებზე სწრაფი, ყოვლისმომცველი და კომფორტული გადასვლა. ჩვენი საცალო ბიზნესის პროფესიონალების გადაწყვეტილებამ და ერთგულებამ შემდეგი შედეგები მოგვცა:

- ჯერ კიდევ მარტში დავნერგეთ კლიენტთა მომსახურების ახალი პროდუქტი - ვიდეო ბანკი: სატელეფონო მომსახურების ცენტრმა დაიწყო კლიენტთა მომსახურების გაწევა ვიდეო ბანკინგის საშუალებით, რაც ძალიან აქტუალური გახდა ტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვის შემდეგ. ჩვენს ბანკის მომხმარებლებს დისტანციურ არხებსა და სერვისებზე წვდომა მარტივი და მოსახერხებელი პროცედურებით მივეცით. ვიდეო ბანკინგის სერვისი მოიცავს ინტერნეტ ბანკინგის გააქტიურებას (სრული პაკეტი) ან არსებული პაკეტის გაუმჯობესებას, ასევე ინტერნეტ ბანკინგის პაროლის აღდგენას. 2020 წლის განმავლობაში ჩვენი ახალი არხის საშუალებით 4328 განაცხადი დამუშავდა.
- აგვისტოში დავნერგეთ განახლებული, მრავალფუნქციური ონლაინ ჩატი - ZOHO, რამაც კიდევ უფრო მეტი მოხერხებულობა და მოქნილობა შექმნა როგორც ჩვენი მომხმარებლის მომსახურების პროფესიონალებისთვის, ისე კლიენტებისთვის. ახალი არხი წლის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში 2962 ჩეთს და ზარს მოემსახურა.
- არქივირებისა და დოკუმენტბრუნვის პროცესი ციფრულ რეჟიმში გადავიყვანეთ, ამიტომ კლიენტებისგან დოკუმენტების ორიგინალებს აღარ მოვითხოვთ. ჩვენი დოკუმენტბრუნვის პროცესის ციფრულმა ტრანსფორმაციამ გამოიწვია დოკუმენტების არქივირების მინიმუმამდე დაყვანა, ავტომატურად ინახება ყველა დამუშავებული პროგრამა საერთო საქაღალდეში, რაც საბოლოოდ ამცირებს დოკუმენტების დაბეჭდვისა და არქივში გაგზავნის საჭიროებას. გარდა ამისა, დოკუმენტბრუნვის გამარტივებული პროცედურები ხელს შეუწყობს ჩვენს სწრაფვას, რომ ჩვენი ბიზნესი მაქსიმალურად ეკოლოგიურად სუფთა იყოს.

მოსახლეობის ჩაკეტვამ და საერთო თვითიზოლაციამ გამოიწვია საცალო გაყიდვების 28% -ით შემცირება ჩვენს გაყიდვების პუნქტებში, დაჩქარებული დიჯიტალიზაციის მიდგომამ და დისტანციური მომსახურების არხების საერთო გაუმჯობესებამ 67%-ით გაზარდა ციფრულ ტრანზაქციებში ჩართულობა, ჩვენს ძალისხმევას კი საერთო ჯამში შედეგად 23% წლიური ზრდა მოჰყვა.
COVID-19-ის პანდემიის შეკავების მცდელობებმა დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიოს ეკონომიკაზე. საქართველოს მთავრობამ შემოიღო და განახორციელა სხვადასხვა ღონისძიება მომხმარებელზე და ბიზნესზე ზეწოლის შემსუბუქების მიზნით. ბაზისბანკის ჯგუფი აქტიურად იყო ჩართული მთავრობის ინიციატივებში, ხელს უწყობდა კლიენტებისა და კოლეგების კეთილდღეობას და ჯგუფის ზოგადი ოპერატიული და ფინანსური გამძლეობის შენარჩუნებას.

წლის პირველი კვარტლის დასაწყისიდან ჩვენ მჭიდროდ ვითანამშრომლეთ მთავრობასთან და საბანკო სექტორთან დახმარებისა და მხარდაჭერის პროგრამებზე წვდომის ხელშეწყობის მიზნით და ჩვენს საცალო კლიენტებს, რომლებიც COVID-19-ის გამო ფინანსურ სირთულეებს განიცდნენ შევთავაზეთ პირდაპირი ფინანსური დახმარება, სესხის დაფარვის 3 თვიანი გადავადების სახით ყველა სახის სესხზე.

დახმარების წახალისების პირველი ტალღის შემდეგ, ჩვენ შევუერთდით მთავრობის მეორე ინიციატივას - სუბსიდირებულ იპოთეკურ პროგრამას. პროექტი შემუშავებული იყო როგორც ჩვენი ქვეყნის სამშენებლო და დეველოპერულ სექტორის დასახმარებლად, რომელიც წლების განმავლობაში მშპ-ის ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი იყო, ასევე შინამეურნეობებისათვის. მიუხედავად მზარდი გამოწვევებისა, შინამეურნეობებს საშუალება მიეცათ ხელმისაწვდომ საცხოვრებელზე და ადგილობრივ ვალუტაში დაფინანსებაზე ჰქონოდათ წვდომა. მთელი წლის განმავლობაში, ამ დახმარების დიდმა ნაწილმა თავისი კურსი შეასრულა, სუბსიდირებული იპოთეკური სესხები 11 მლნ ლარის ოდენობით გაიცა 136 საცალო მომხმარებელზე.

საბოლოო ჯამში, მიუხედავად ყველა წინააღმდეგობისა, ჩვენი საცალო პორტფელი გაიზარდა 6%-ით (12 მლნ ლარის ახალი სესხები) და წელიწადი დასრულდა ჯამში მართვის ქვეშ მყოფი 216 მლნ ლარით.

ჩაკეტვებმა და სახლის სამუშაო გარემოზე გადასვლამ, ასევე დაჩქარებულმა დიჯიტალიზაციის პროცესმა ჯგუფს სწავლის ახალი შესაძლებლობები გაუჩინა, რომელსაც ჯგუფი სიხარულით ითვისებდა.

ადამიანები ჩვენი ორგანიზაციის მთავარი ღირებულებაა. ჩვენი საცალო მომსახურების პროფესიონალებისთვის ჩატარებული პირველი ტრენინგი ეხებოდა საკუთარ თავზე ზრუნვას და სტრესთან გამკლავებას რთულ პერიოდში. ჩვენი გაყიდვების პუნქტების მენეჯერებმა და ფრონტოფისის თანამშრომლებმა ისწავლეს როგორ შეინარჩუნონ ემოციური სტაბილურობა თვითიზოლაციის დროს და დარჩნენ პროდუქტიული როგორც სახლში, ისე წინა პოზიციებზე.

ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამების მაქსიმალური ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, ტრენინგებმა ახალი და არსებული პერსონალისთვის სისტემატური სახე მიიღო, რაც საბოლოოდ მნიშვნელოვნად ამცირებს ახალი პერსონალის მომზადების დროს, არსებული თანამშრომლებისთვის კი ხელს უწყობს კვალიფიკაციის დონის ამაღლებას. ეს პრაქტიკა ასევე გვეხმარება რეგულარულად გადავამზადოთ არსებული და ახალი პერსონალი და რეგულარულად ვიზრუნოთ არსებული პერსონალის კვალიფიკაციაზე.

გარდა რეგულარული პროდუქტებისა და გაყიდვებთან დაკავშირებული ტრენინგებისა, რომლებიც ჩვენი კლიენტების გამოცდილების და კმაყოფილების უმაღლესი სტანდარტების შენარჩუნებისთვისაა გამიზნული, ჩვენი საცალო ბიზნესის მენეჯერები გატრენინგებული არიან თავიანთ დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების სათანადო და ადექვატური უკუკავშირის ტექნიკაში, რაც ჩვენი აზრით ორგანიზაციული კულტურის სათანადო განვითარების და გაუმჯობესებული შედეგების საწინდარია როგორც ინდივიდუალურ, ისე გუნდის დონეებზე.

2021 წლის პერსპექტივა

ჩვენ ვამაყობთ წლის უმძიმესი გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეული ჩვენი საერთო წარმატებით. ჩვენ მზად ვართ და დიდი სურვილი გვაქვს, რომ მომავალი წლისთვის თამამი და ამბიციური მიზნები და ამოცანები დავისახოთ. ჩვენ ვაპირებთ შევინარჩუნოთ დაჩქარებული დიჯიტალიზაციის კურსი და დავგეგმოთ ჩვენი საბოლოო მიზნის მიღწევა -ყოვლისმომცველი მრავალარხიანი პლატფორმის გაშვება კიდევ უფრო სწრაფი და მოქნილი დისტანციური საბანკო მომსახურებისთვის. ჩვენ ვაპირებთ ჩვენს არსებულ და პოტენციურ კლიენტებს შემდეგი ციფრული კომფორტი შევთავაზოთ:

- GPAY - ელექტრონული საფულე ANDROID მომხმარებლებისთვის ჩვენს ქვეყანაში;
- SMS ხელმოწერა;
- ციფრული გარათები;
- ბანკომატის გარათის გააქტიურების სერვისი და PIN კოდი SMS-ის საშუალებით;
- უკონტაქტო წამკითხველის დაყენება ბანკომატებზე.

ჩვენ ვაპირებთ ბაზარზე აქტიურად განვავითაროთ ჩვენი პლასტიკური ბარათების ბიზნესი. მომავალი წლის ბოლოსთვის ჩვენ ვგეგმავთ ჩვენი სადებეტო ბარათების პორტფელის 40%-ით ზრდას, ასეცე ახალი საინტერესო წახალისების შექმნას საკრედიტო ბარათების ბაზრის წილის გასაზრდელად.

მომხმარებელთა გამოცდილებისა და გაზრდილი კმაყოფილების უზრუნველსაყოფად, ჩვენ ვგეგმავთ ჩვენი საკრედიტო პროცესებისა და პროცედურების განახლებას და ახალ დიზაინს, საბოლოოდ მომხმარებელზე ორიენტირებულ ბიზნეს გარემოს შექმნას, სადაც ჩვენი კლიენტები უმაღლესი ხარისხის პროდუქტებსა და სერვისებზე მიიღებენ წვდომას, რაც მათ უფრო სწრაფი და მოქნილი პროცედურებით მიეწოდება.

ჩვენი ციფრული სტრატეგია

პროექტების განვითარების და ბიზნესის ანალიზის დეპარტამენტი

ჩვენი ფილოსოფია, რომელიც კლიენტებისთვის ციფრული ტექნოლოგიის გამოყენებით უმაღლესი გამოცდილების შეთავაზებაში მდგომარეობს, 2020 წელს უცვლელი დარჩა. COVID-19-ის ვირუსის გავრცელებით გამოწვეულ ამ რთულ ვითარებაშიც კი, ჩვენ განვაგრძეთ ინვესტირება ჩვენს ტექნოლოგიაში, მონაცემთა მეცნიერებებში და ოპერაციულ შესაძლებლობებში, კლიენტებისთვის შეთავაზებების გაუმჯობესების და ახალი ციფრული სერვისების დანერგვის მიზნით. მოსახერხებელი და ყოვლისმომცველი გადაწყვეტების შემუშავება შესაძლებელი გახდა კლიენტთა გიზნესის ცენტრში მოაზრებით და ციფრული შესაძლებლობების გამოყენებით. ჯგუფის უნარმა, ტექნოლოგია ანალიტიკურ კომპონენტთან და პარტნიორობასთან ერთად აემუშავებინა, კლიენტთა ციფრული მომსახურების ახალი გზები გამოაჩინა.

ჩვენი კოლექტიური ინიციატივით გასული წლის განმავლობაში მკაცრი ლოქდაუნის და მობილობის შეზღუდვის ქვეშ არაერთი ახალი საინტერესო ციფრული პროდუქტი და სერვისი გავუშვით კლიენტებისთვის.

BLOOMBERG BMATCH პლატფორმა

ეს ახალი ფუნქცია დისტანციური საბანკო არხების მომხმარებლებისთვის დაინერგა, როგორც ეროვნული ბანკის ახალი ინიციატივის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს სავალუტო ბაზარზე კონკურენციის გაუმჯობესებას. ის არასაბანკო მონაწილეებს ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე წვდომას გაუადვილებს, ასევე გაუზრდის ლიკვიდობას და გამჭვირვალობას. ახალი პროდუქტი საშუალებას აძლევს საბოლოო მომხმარებლებს უცხოური ვალუტით ვაჭრობის განაცხადები BLOOMBERG BMATCH პლატფორმაზე წარადგინონ. ამავე მიზნით ბაზისბანკის ჯგუფში შეიქმნა შიდა ინფრასტრუქტურა საბროკერო სტრუქტურული ერთეულისთვის, რომელიც საშუალებას აძლევს ბროკერებს BMATCH-ზე წარდგენილი განაცხადები მართონ და ვაჭრობებზე მრავალ პარტნიორთან აწარმოონ მოლაპარაკება. ბროკერებს შეუძლიათ ვაჭრობის შედეგები შეიტანონ სისტემაში, რაც განაპირობებს ინტერნეტ ბანკინგის პლატფორმის ლაივ რეჟიმში განახლებებს კლიენტის მხარეს. კლიენტებს არჩევანი ექნებათ ან თავად გამოიწერონ ბლუმბერგის ტერმინალი, ან ვალუტის გაცვლა უშუალოდ მისი საშუალებით მოახდინონ, ან შეკვეთები ბანკის დახმარებით განახორციელონ. შედეგად, ისინი აღარ იქნებიან მიბმული ერთ ბანკზე, და მთელ საბანკო საზოგადოებასთან და/ან კომპანიებთან ივაჭრებენ, რომლებიც მათ საუკეთესო ფასს შესთავაზებენ. ეს უზრუნველყოფს ბაზრის უფრო მეტ კონცენტრაციას, მეტ ლიკვიდობას და ხელსაყრელ ფასს. 2020 წელს ბაზისბანკი პირველი და ერთადერთი ბანკი იყო, რომელმაც კლიენტებს ეს მომსახურება გაუწია.

ZOHO ონლაინ ჩატი

ჩვენ შევარჩიეთ მაღალი დონის ZOHO ონლაინ ჩატი, რომელსაც მოძველებული ონლაინ საკონსულტაციო სისტემა უნდა შეეცვალა, რომელიც ბანკში ადრე მუშაობდა. ამჟამად ნებისმიერ მომხმარებელს აქვს ონლაინ კონსულტაციებზე წვდომა ნებისმიერი არხიდან: www.basisbank.ge, https://bank.ge და https://www.bankonline.ge/. კლიენტს შეუძლია შევიდეს ჩვენს ვებსაიტზე ან მობილური აპლიკაციის ვიჯეტზე, რათა მიიღოს ლაივ დახმარება რეალურ დროში. წინამორბედისგან განსხვავებით, ახალი სისტემა მეტად მოქნილია და შემდგომი

განვითარების უზარმაზარ შესაძლებლობებს იძლევა. ახალი გადაწყვეტის დანერგვამ მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება განაპირობა.

იპოთეკური სესხის სახელმწიფო სუბსიდია

ჯგუფი აგრძელებს ფინანსური დახმარების პროგრამების მხარდაჭერას ოჯახების და ბიზნესისთვის, რომელიც მთავრობამ COVID-19-ის გავრცელების გამო შემოიღო. არსებული სესხის მართვის სისტემაში (LMS) ახალი ტექნიკური ფუნქცია დავამატეთ, რომელიც ჩვენს კლიენტებს საშუალებას მისცემს, იპოთეკურ სესხზე განაცხადისას სახელმწიფო სუბსიდია მაქსიმალურად მოქნილად და სწრაფად მიიღონ, ჩვენი მაღალი სტანდარტების დამკვეთის კმაყოფილების შესაბამისად. იპოთეკური სესხების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მთავრობა სუბსიდირებას უწევს იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთის 4% -ს 5 წლის განმავლობაში. სუბსიდია გაიცემა სესხებზე არაუმეტეს 200,000 ლარისა იმ ოჯახებისთვის, რომლებიც იპოთეკურ სესხს ახლადაშენებული ან მშენებარე საცხოვრებელი ბინების შესაძენად, 2020 წლის 1 ივნისიდან 2021 წლის 1 იანვრამდე იღებენ. ხელსაყრელი პირობები გაზრდის სახლის მფლობელობის ხელმისაწვდომობას მრავალი ოჯახისთვის, რომლებსაც სხვაგვარად შეიძლება პირობები ვერ დაეკმაყოფილებინათ. სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამის ფარგლებში, მთავრობა ხელს უწყობს მოთხოვნას და უზრუნველყოფს მიმდინარე მშენებლობისა და განვითარების სექტორის დასრულებას და შესაბამისად მხარდაჭერას.

<u>სეესხის ამოღება-დაადგენის</u> პროგრამების მართვის ახალი მოდული
ჩვენ გავაციფრულეთ ბანკში ყოველდღიურად წარდგენილი განაცხადების მართვის მოდული. ახალი მოდულის დანერგვით გაუმჯობესდა: 1. ადამიანური რესურსის დაზოგვა ყოველდღიური საოპერაციო სამუშაოებისთვის და 2. სისტემაში მოვიყვანეთ მოძველებული, ქაღალდზე დაფუძნებული პროცესი, რომელსაც თან ახლდა მრახალი ხარვეზი.

ვიდეო ბანკი

პანდემიამ საბანკო კლიენტების დისტანციურ არხებზე წვდომის აქტუალურობა დაგვანახა. უახლოეს წარსულში კლიენტს უწევდა პირადად მისულიყო ჯგუფის სერვის ცენტრებში დისტანციური არხების გასააქტიურებლად. წარსულის პრაქტიკასთან დაკავშირებული მოუხერხებლობისა და ჯანმრთელობის რისკების აღმოსაფხვრელად, ჩვენს კლიენტთა სერვისში დაინერგა ახალი ფუნქცია - ვიდეო ბანკი. უახლესი ფუნქცია საშუალებას აძლევდა ჩვენს პროფესიონალებს დისტანციურად მოეხდინათ კლიენტის იდენტიფიცირება და გადამოწმება და მათთვის საბანკო მომსახურების ფართო სპექტრი, მათ შორის დისტანციური საბანკო არხების გააქტიურება შეეთავაზებინათ. იმისათვის, რომ ვიდეო ბანკი მაქსიმალურად უპრობლემოდ იმართოს, ჩვენს ციფრულ სისტემაში შევქმენით ახალი ბიზნესპროცესი და მასში ინტეგრირებული Zoom პროგრამული უზრუნველყოფა. საბოლოოდ, ჩვენ მივაღწიეთ მომხმარებელთა კმაყოფილების გაუმჯობესებას და მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდას ჩვენი დისტანციური არხებისთვის.

მობილური ბანკის საშუალებით საბლანკო სესხების ავტომატური დამტკიცება

ჩვენს მომხმარებელს შეუძლია, საბლანკო სესხის განაცხადი ჩვენი მობილური აპლიკაციის საშუალებით წარადგინოს და წამებში მიიღოს წვდომა წინასწარ დამტკიცებულ საკრედიტო ლიმიტზე. მყისიერი დაკრედიტების პროდუქტები, მომხმარებელთა შეუფერხებელი

მომსახურება და პროცესების გამარტივება ტრანზაქციების უპრობლემოდ წარმართვისთვის ჩვენი მომხმარებლების საუკეთესო გამოცდილების საწინდარია.

Apple Pay გაზისბანკის ჯგუფის ბარათების მფლობელებისთვის (Visa & MasterCard) გადახდის უნიკალური მეთოდია, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს მომენტალურად გადაიხადოს POS ტერმინალების, აპების, ონლაინ მაღაზიების iPhone, iPad, Mac ან Apple საათის საშუალებით.

სწრაფი გადახდის ბარათები

ჩვენი ახალი პროდუქტი - სწრაფი გადახდის ბარათი - არაპერსონალიზებული ბარათი ნებისმიერი მსურველი კლიენტისთვის, რომელიც შეიძლება მიიღოთ დაუყოვნებლივ, ჩვენი ნებისმიერი სერვისის პუნქტში განაცხადის შეტანის შემდეგ. ჩვენ შევიმუშავეთ პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ჩვენი ფრონტოფისის პროფესიონალების მიერ სერვისი საჭირო სიჩქარით და ხარისხით მოგაწოდოთ.

3D უსაფრთხოება

ჩვენ ელექტრონული კომერცია გაზისბანკის ჯგუფის VISA & MASTERCARD ბარათების მფლობელებისთვის კიდევ უფრო უსაფრთხო გავხადეთ. ესაა ონლაინ სავაჭრო ობიექტებში ჩვენი ბარათებით გადახდა, რომელთა გადახდის პლატფორმებიც მხარს უჭერს მაღალი დონის 3Dv2 სტანდარტს. 3D უსაფრთხოების მისაღებად საჭიროა პაროლის ერთჯერადი წარდგენა, რომელიც გადაეცემა ჯგუფში რეგისტრირებული მომხმარებლის მობილური ტელეფონის ნომერს.

პირადი დილერი

ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის მიერ ინიცირებული პროექტის ფარგლებში, ბანკმა მიიღო პირადი დილერის სტატუსი, რომლის მიხედვითაც ბანკი უფლებამოსილია შეიძინოს ფასიანი ქაღალდები კლიენტებისთვის პირველ აუქციონზე და ასევე განახორციელოს კვოტირება მეორად ბაზარზე. ჩვენს კლიენტებს უკვე შეუძლიათ ისარგებლონ ახალი პირადი დილერის სერვისით, რომელიც საშუალებას აძლევს განაცხადების წარდგენას ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონში მონაწილეობის მისაღებად. პირადი დილერის პროექტის ფარგლებში, გაზისბანკის ჯგუფმა დაიწყო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა როგორც კომერციული ბანკებისთვის, ისე ნებისმიერი სხვა დაინტერესებული მხარისათვის. ახალი ბიზნეს-პროცესი შემუშავდა სპეციალურად კლიენტთა განაცხადების ხარისხიანი დამუშავების უზრუნველსაყოფად, შესაბამისი გამოხმაურებით. იმისათვის, რომ პირადი დილერის სერვისი მოსახერხებელი ყოფილიყო, ჯგუფმა გაციფრა შემდეგი პროცესები: 1. სახაზინო ფასიანი ქაღალდები აღირიცხება ციფრულად; 2. წარმოდგენილი განაცხადების მართვა ხდება შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით.

სადეპოზიტო სერთიფიკატი (CD)

ჩვენი ახალი პროდუქტი - სადეპოზიტო სერტიფიკატი, თავის სისტემურ ფუნქციათან ერთად, აღნიშნული პროდუქტის მოქნილი და ხარისხიანი განაწილების და მართვის საშუალებას იძლევა.
PIN-კოდი SMS-ით

PIN კოდის აღდგენას ახლა მხოლოდ რამდენიმე წამი სჭირდება გაზისბანკის ჯგუფის გარათების მფლობელებისთვის. ერთადერთი მოთხოვნა არის იდენტიფიკაციის/ შემოწმების მარტივი პროცესის შესრულება ჩვენს სერვის პუნქტში ან კლიენტთა მომსახურების პროცედურის საშუალებით. წარმატებული გადამოწმების შემდეგ, კლიენტი იღებს ახალ PIN კოდს ჯგუფში რეგისტრირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე. ამ ინოვაციამ აღმოფხვრა გარათის შეცვლის უსიამოვნო საჭიროება დაკარგული PIN კოდის შემთხვევაში, რაც საბოლოოდ მომხმარებლის კმაყოფილების გაუმჯობესების საწინდარია.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი

გაზისბანკის VISA & MC გარათის მფლობელს შეუძლია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების საფასური საბანკო გარათების გამოყენებით გადაიხადოს.

სერვისპაკეტი

ჩვენი ახალი პროდუქტი - სერვისპაკეტი - კლიენტებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ რამდენიმე სერვისი ერთდროულად და გადაიხადონ ერთიანი საფასური. ამჟამად ჩვენ გთავაზობთ ერთ პაკეტს, რომელიც მოიცავს SMS ბანკინგს, ინტერნეტ ბანკინგს, ერთ გარათს და მუდმივ დავალებებს.

Bank.ge- ID&V

Https://bank.ge პლატფორმის მომხმარებლებს (რომელთა უმრავლესობაც არ არიან ბანკის ამჟამინდელი კლიენტები) იდენტიფიკაციის/გადამოწმების მარტივი პროცედურის დასრულების შემდეგ შეუძლიათ მიიღონ დამტკიცებული ინდივიდუალური საკრედიტო ლიმიტი. თანხები დამტკიცებული ლიმიტის ფარგლებში მსურველი მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომი იქნება ჩვენს სერვის ცენტრებში. ამ ინოვაციის განსახორციელებლად ჩვენ გამოვიყენეთ AI-ზე აგებული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც საშუალებას გვაძლევს გადავამოწმოთ ჩვენი პერსპექტიული კლიენტების ვინაობა.

2020 წელს დაწყებული სტრატეგიული პროექტები

2020 წელს დავიწყეთ ახალი პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა გაზისბანკის ჯგუფის ოფიციალური ვებგვერდის განახლებას. ჩვენი მიზანია, გვქონდეს:
1. ვებგვერდი მოქნილი და მოსახერხებელი UX/UI-ით;
2. ადვილად მართვადი ვებგვერდი მუდმივად განახლების/შინაარსის განვითარების უნარით.

პროექტი უკვე საპილოტე რეჟიმშია და ვაპირებთ ვებგვერდის გაშვებას 2021 წლის თებერვალში.

2020 წელს ჩვენ დავნერგეთ BAW, IBM (Business Automation Workflow) პროგრამული უზრუნველყოფა ბიზნეს პროცესების სამართავად, შემდეგი მახასიათებლებით: 1. პროცესის მოდელირება; 2. ძირითადი პარამეტრების დადგენა; 3. პროცესის მონიტორინგი; 4. შეფერხებების გამოვლენა და პროცესების ოპტიმიზაცია.

იგეგმება საპილოტე პროცესის ექსპორტი იპოთეკური სესხების სისტემაზე. განახლებული პროცესი დაიწყება 2021 წლის თებერვალში.

2020 წელს, ჩვენი უცხოელი პარტნიორებისა და შიდა პროფესიონალების გუნდის ერთობლივი ძალისხმევით, დაინერგა BackBase პლატფორმა, რომელიც ჩვენი ბანკის ციფრული განვითარების ძირითად საფუძვლად აღიქმება.
გრაფიკის თანახმად, MVP (მინიმალური სიცოცხლისუნარიანი პროდუქტი), რომლის მოცულობა მოიცავს ციფრულ გაერთიანებას, წლის პირველ ნახევარში ამოქმედდება საცალო ბანკინგისათვის. წლის ბოლოსთვის ვგეგმავთ დავამატოთ ჩვენი ჯგუფის მიერ შემოთავაზებული პროდუქციის უფრო ფართო ასორტიმენტი (დაზღვევისა და ლიზინგის პროდუქტების ჩათვლით).

IT დეპარტამენტი

Covid-19-ის გავრცელების შემდეგ, ბაზისბანკის ჯგუფმა გასული წლის განმავლობაში უზარმაზარი გამძლეობა გამოავლინა და აჩვენა, რომ გარემოებების მიუხედავად, ჩვენ ძალისხმევას არ დავიშურებთ, კვლავ კლიენტების თანამშრომლების გვერდით ვიდგებით, და თან ჩვენი აქციონერებისთვის შედეგის ჩვენება იქნება პრიორიტეტი. ჩვენ სწრაფად გადავეწყვეთ თანამშრომლებისთვის მორგებული დახმარების გაწევის რეჟიმში, რათა დავხმარებოდით პანდემიის დაძლევაში.

ჩვენი საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის გუნდი განსაკუთრებულ მადლობას იმსახურებს, რადგან ისინი დაუღალავად მუშაობდნენ ჩვენი სისტემების სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ბიზნესის უწყვეტობის შეუფერხებლად. შედეგად, ბექოფისის მთელ თანამშრომლებს შეეძლოთ სახლიდან მუშაობა, ხოლო ფრონტოფისის თანამშრომლებისთვის ოფისებში უსაფრთხო ინფრასტრუქტურა იყო ორგანიზებული. 2020 წელს, Covid-19- ის პირველად გავრცელებისთანავე, ჩვენმა ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტმა მყისიერი ღონისძიებები გაატარა, რათა „სახლიდან მუშაობის“ (WFH) ტექნოლოგიური გადაწყვეტა აემუშავებინა. ამ გადაწყვეტების ამუშავებისას განხორციელდა შესაბამისი ინფორმაციული უსაფრთხოების კონტროლი. გარდა ამისა, დეტალური კონსულტაციები ჩაუტარდათ სახლიდან მომუშავე თანამშრომლებს უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით (do’s and don’ts). ასევე რეგულარული კომუნიკაცია გვქონდა ინფორმაციის უსაფრთხოების საუკეთესო პრაქტიკის შესახებ.

ბაზისბანკის ჯგუფს მიაჩნია, რომ სწრაფი დიჯიტალიზაციის, დისტანციურ გარიგებათა ინტენსივობის გაზრდისა და სხვადასხვა ციფრულ ქსელებთან კავშირის გათვალისწინებით, კიბერუსაფრთხოება მნიშვნელოვანი რისკის ფოკუსია. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჯგუფის თანამშრომლებისა და მომხმარებლების აქტივების დაცვა და ყველა დაინტერესებული მხარის ნდობის უზრუნველყოფა. ვაგრძელებდით კიბერუსაფრთხოების გადაწყვეტების საშუალებით ჩვენი მრავალფენიანი კიბერუსაფრთხოების დაცვას. გავაუმჯობესეთ სისტემების კიბერუსაფრთხოება და კონტროლის ძირითადი სისტემები, რომლებიც მხარს უჭერს ძირითად საბანკო მომსახურებას ძლიერი ავტორიზაციისა და მონაცემთა ბაზის მონიტორინგის საშუალებით. პროექტის ფარგლებში ყველა ძირითადი ტექნიკა მსოფლიოს წამყვანი მწარმოებლების გადაწყვეტებით ჩავანაცვლეთ.

ბანკის ციფრული ტრანსფორმაციის განხორციელება პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების გარეშე შეუძლებელია. ჩვენი სერტიფიცირებული პროფესიონალების გუნდის უზარმაზარმა ძალისხმევამ შედეგად მნიშვნელოვანი და ინოვაციური სერვისების დანერგვა მოიტანა, რაც მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ასევე განახლდა მობილური და ინტერნეტ საბანკო პლატფორმები. გარდა ამისა, საფუძველი მოვუმზადეთ ეგრეთ წოდებული Omni-channel არქიტექტურის დანერგვას, რომელიც ითვალისწინებს კლიენტების ერთ გარემოში მომსახურებას, მიუხედავად მათ მიერ გამოყენებული არხისა.

2021 წელს ციფრული ტრანსფორმაციის მეშვეობით გავაგრძელებთ ინვესტიციებს ინოვაციურ უსაფრთხოებაში. ჩვენ გავაგრძელებთ მომხმარებელთა გამოცდილებისა და შეთავაზებების გაღრმავებას ციფრული მხარის ახალი ინოვაციებით და API-ში, ხელოვნურ ინტელექტსა და დიდი მონაცემებში ინვესტირებით. ჩვენ გავაგრძელებთ მნიშვნელოვან ინვესტიციებს ტექნოლოგიასა და ინფრასტრუქტურაში, რათა გავაძლიეროთ ჩვენი ციფრული სერვისების ბირთვი.

კლიენტთა მომსახურება

კლიენტთა მოლოდინების გაცნობიერება და შესაბამისი პროდუქტებისა და მომსახურების საშუალებით რეაგირება ბაზისბანკის ჯგუფის სტრატეგიის მთავარი ამოსავალი იყო. მოხერხებულობის, სისწრაფისა და ხარისხის გადაწყვეტების მოთხოვნა სწრაფი ცვლილებით და ინოვაციური, მოქნილი სერვისებით ჯგუფში დინამიურ მიდგომას მოითხოვს.

კლიენტზე ორიენტირება ჩვენს რეალობაში უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. ამ საქმეში თითოეული თანამშრომლის როლი განუზომელია, რადგან ჩვენი საქმიანობა პირდაპირ თუ არაპირდაპირ მომხმარებელთა კმაყოფილებას უკავშირდება და საბოლოოდ მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას და ერთგულების მოპოვებას ემსახურება, რაც თავის მხრივ ჯგუფის წარმატების გასაღებია.

მომხმარებელთა გაცნობის/ინფორმაციის მოძიების არხები უფრო მრავალფეროვანი და მომსახურების დიჯიტალიზაციის ეპოქაში ადვილად ხელმისაწვდომი ხდება. შესაბამისად, მომხმარებელს უკეთესი ინფორმირებულობა და მგრძნობელობა აქვს ბაზარზე არსებული მომსახურების ხარისხის მიმართ. მათ შეუძლიათ მარტივად და სწრაფად გაუზიარონ სერვისის/პროდუქტის გამოყენების გამოცდილება ათასობით ადამიანს სხვადასხვა საშუალებით. მომხმარებელს შეუძლია სწრაფად მოიძიოს სასურველი ინფორმაცია, შეადაროს პირობები და მომსახურება ციფრული არხებით და მიიღოს გადაწყვეტილება საუკეთესო არჩევანის შესახებ. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია ყოველდღიური პულსის მონიტორინგი იმის გასაგებად, თუ რა სურს მომხმარებელს, როგორია მათი მოთხოვნები და რა გამოცდილებას მიიღებენ ისინი რეალურად ჩვენი მომსახურებისა და პროდუქტის შედეგად.
საყვარელი ბრენდები კლიენტზე ორიენტირებისა და ზრუნვის შედეგად იქმნება. როდესაც კომპანია მუშაობს, ის ყოველთვის ფიქრობს პირველ რიგში მომხმარებლის მოთხოვნებზე. როდესაც კომპანია უსმენს მომხმარებლის შეკითხვებს, რათა მისი მოთხოვნები და სურვილები დააკმაყოფილოს, შედეგად ის რეალობად იქცევა და მომხმარებლისთვის რეალური შედეგის მომტანია. ამის მისაღწევად ბაზისბანკი ყოველდღიურად ზრუნავს თავის კლიენტებზე. ბანკის ხედვა და ნაბიჯები მიზნად ისახავს უზრუნველყოს, რომ კლიენტებთან ურთიერთობა დამყარდეს ურთიერთპატივისცემასა და საერთო მოგებაზე/სარგებელზე.

შესაბამისად, ბაზისბანკის ჯგუფში მომხმარებელთა გამოცდილების მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილების საქმიანობა მთლიანად კლიენტზეა ორიენტირებული. განყოფილების თითოეული უბანი პირდაპირ თუ არაპირდაპირ კლიენტზე მორგებული გამოცდილების შესაქმნელად, ხარისხიანი მომსახურებისა და პროდუქციის შეთავაზებისა და მათი ინტერესების დაცვისთვის მუშაობს. განყოფილების ყოველდღიური საქმიანობა კიდევ უფრო აძლიერებს ჯგუფში მომხმარებელზე ორიენტაციის კულტურას - "მომხმარებელი, როგორც კომპანიის ძირითადი ღირებულება".

2020 წლის განმავლობაში განხორციელდა მომხმარებელთა რუკების შედგენა პროდუქტების, პროცესებისა და არხების მიხედვით, რის საფუძველზეც განხორციელდა მომხმარებელთა მომსახურების ძირითადი ინიციატივები. შევაჯამოთ ის ძირითადი ამოცანები, რომლებიც მომხმარებელთა გამოცდილების მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამმართველოს მიერ 2020 წლის განმავლობაში შესრულდა:

მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რეგულარულად ტარდებოდა კომპეტენციებზე დაფუძნებული ტრენინგები, ასევე ტარდებოდა საჭიროების მიხედვით, მათ შორის გაყიდვების არხებზე მომუშავე თანამშრომლების, აგრეთვე მათი დამხმარე სფეროებში დაკავებული თანამშრომლებისთვის. ახალი თანამშრომლებისათვის ჩატარდა ბაზისბანკის ჯგუფის პროდუქტების ძირითადი პროცედურების და სამუშაო პროგრამების, თეორიული და პრაქტიკული ტრენინგები. პანდემიის ფონზე, კომპეტენციებზე დაფუძნებული ტრენინგი სწრაფად ადაპტირდა და გადავიდა პირისპირ ტრენინგიდან ონლაინ რეჟიმში, თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით. შედეგად, 733 თანამშრომელმა გაიარა ტრენინგები, სულ 763 სასწავლო საათი, რაც კლიენტთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ამოცანას ემსახურებოდა.

სატელეფონო ცენტრის/ონლაინ კონსულტაციის სერვისის ხარისხი განისაზღვრება დაგეგმილი ინტერვალებით ზარების/ონლაინ კონსულტაციის ანალიზის მეშვეობით, რასაც მოჰყვება გამოხმაურება/უკუკავშირი და ტრენინგი მომხმარებელთა კმაყოფილების განვითარების და გაზრდის მიზნით.

კომპანიის პროდუქტების/მომსახურების აღწერილობები და პროცედურები ყოველდღიურ განახლებას გადიოდა. კლიენტთა მომსახურების არხებზე მომუშავე თანამშრომლებისთვის დაწვრილებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია **ცოდნის ბაზის** საშუალებით, რომელიც საძიებო სისტემის საშუალებით ამარტივებს საჭირო განახლებული ინფორმაციის მოძიებას.
თითოეული ახალი პროდუქტის ან პროექტის შექმნის პროცესში, სტანდარტების შემუშავებაზე პასუხისმგებელი ქვეგანყოფილება მონაწილეობას იღებდა და ქმნიდა დეტალურ ინსტრუქციას/გზამკვლევს შესაბამისი ტრენინგის ჩასატარებლად და თანამშრომლების ინფორმირებისათვის. ცოდნის ბაზა 2251 ჯერ განახლდა.

თანამშრომელთა ცოდნის შესამოწმებლად შემუშავდა პროდუქტებისა და სერვისების ტესტები კომპეტენციების მიხედვით, რათა მათი შედეგების საფუძველზე შეგვძლებოდა მათი კომპეტენციის გაღრმავებაზე ზრუნვა; განვითარების პროცესი უწყვეტი ციკლია.

წლის განმავლობაში დაიგეგმა და ჩატარდა კვლევების სერია სხვადასხვა სფეროში:
- NPS კვლევა უნიკალური მომხმარებლებისათვის მათი რეკომენდაციისა და პრეფერენციების დასადგენად. მიუხედავად მომხმარებელთა კმაყოფილებისა და კვლევის მაღალი ქულისა,

შემუშავდა რეკომენდაციები შემდგომი განვითარებისათვის, რომელიც ითვალისწინებდა მომხმარებელთა საჭიროებებს და სურვილებს.

ჩატარდა გამოკითხვები ეგრეთ წოდებული "კლიენტის პერსონას" იდენტიფიცირების მიზნით, როგორც გარე, ასევე შიდა კლიენტების მონაწილეობით (თანამშრომელი როგორც მომხმარებელი და როგორც მომსახურების მიმწოდებელი). შედეგების მიხედვით, დადგინდა მომხმარებლის პერსონა და კომპანია აგრძელებს მათ პრეფერენციების/საჭიროებების მუდმივად გათვალისწინებას.

ყოველდღიური TRX NPS (Transactional Net Promoter Score) კვლევა ჩატარდა მომხმარებელთა მომსახურების სხვადასხვა არხებს შორის, როგორიცაა სერვისცენტრი, ქოლცენტრი, ინტერნეტბანკი და bank.ge. საბაზისო მონაცემების თანახმად, მომხმარებლები ძირითადად კმაყოფილები არიან და რეკომენდაციას უწევენ ბაზისბანკის ჯგუფს, მაგრამ ციფრული არხების შემდგომი განვითარება უნდა გაგრძელდეს მომხმარებელთა ლოიალობის მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად - სწორედ ამ სფეროში აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა განვითარებას ჯგუფის პრიორიტეტებში.

გასულ წელს თითოეული პროექტის განმავლობაში განყოფილება ჩართული იყო მომხმარებელთა საჭიროებების და გამოცდილების თვალსაზრისით რეკომენდაციების გაცემის პროცესში. პროდუქტის/პროექტის შექმნის შემდეგ, განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო ***მომხმარებლის მიღების*** სატესტო პროცესში და დასვა საკითხი მათ საბოლოო გასწორებამდე, რათა მომხმარებლისთვის ხარისხიანი, მარტივი და საჭირო პროდუქტი მიეწოდებინა.

შემდეგი პროექტები 2020 წელს უშუალოდ მომხმარებელთა გამოცდილების მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილების მიერ დაინერგა:

- თანამედროვე ონლაინ საკონსულტაციო გადაწყვეტა, რომელიც ინტეგრირდა ბაზისბანკის ჯგუფის ციფრულ მომსახურების არხებში, რათა უზრუნველყოს მომხმარებელთა კონსულტაცია და საჭიროებისამებრ დაუყოვნებელი დახმარება.

- კვლევითი პროგრამული უზრუნველყოფა კლიენტებთან ყოველდღიური კვლევის ჩასატარებლად, მათი უკეთ გაცნობისთვის და მათი ემოციებისა და მოსაზრებების მოსასმენად და გასათვალისწინებლად.

- მომხმარებელთა საკითხების ჩაწერის ცენტრალური სისტემა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ჩავწეროთ მომხმარებელთა კომუნიკაცია (საჩივრები, პრობლემები) სხვადასხვა არხის თანამშრომლებთან დაკავშირებით და პროცესი ცენტრალიზებულად ვმართოთ. თანამშრომლებს შეუძლიათ სტატუსის ნახვა, რაც სწრაფი რეაგირების საშუალებას იძლევა. სისტემა ნაკადის კონტროლის საშუალებას გვაძლევს. 2020 წელს განყოფილებამ სისტემა საკუთარი რესურსებით გაუშვა სატესტო რეჟიმში. საცდელი პერიოდის განმავლობაში (4 თვე) განყოფილებამ განიხილა 700 განცხადება.

- კვლევითი პროგრამული უზრუნველყოფა კლიენტებთან ყოველდღიური გამოკითხვის ჩასატარებლად. ის საშუალებას გვაძლევს უკეთ გავიცნოთ კლიენტი და მოვისმინოთ მისი ემოციები, მოსაზრებები და დავაკმაყოფილოთ ისინი, ბაზისბანკის ღირებულებები - მოქნილობა, სისწრაფე და ხარისხი, დღითიდღე უფრო მკაფიო გავხადოთ ჩვენი მომხმარებლებისთვის.

2021 წლის მიზნები

დაემატება მომხმარებელთა გამოცდილების მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის ახალი ქვეგანყოფილება, რომელიც მართავს მომხმარებელთა საკითხებს, მომხმარებელთა მომსახურების სხვადასხვა არხიდან გამოვლენილი პრობლემების სრულ პროცესს. გამოვლენილი ხარვეზების/საკითხების ანალიზი მარტო ერთ მომხმარებელთან დაკავშირებულ პრობლემებს კი არ ეხება, არამედ სეგმენტის თემებს განასახიერებს, შემდეგ ამ თემებს აანალიზებს და ავითარებს შესაბამისი ფუნქციური/ბიზნეს ერთეულების ჩართვით, საბოლოოდ მომხმარებლის უკეთესი გამოცდილების მისაღწევად.

მომხმარებელთა გაყიდვების არხებზე მომუშავე თანამშრომლების მუშაობა სისტემატიზირებულად გაიზომება.

იგეგმება ***მომხმარებლის მიღების*** ტესტის პროცესის შემუშავება და სტანდარტიზაცია. მისი მონიტორინგი იწარმოებს კვლევის საჭიროებების შესაბამისად: შეესაბამება თუ არა ახალი პროდუქტი/სერვისი და მორგებულია თუ არა მომხმარებლის მოთხოვნებზე, რათა დავრწმუნდეთ, რომ ის მარტივი, სწრაფი და მაღალხარისხიანია.

მნიშვნელოვანი ყურადღება და მუშაობა იქნება მიმართული ციფრული არხების მომხმარებელთა გამოცდილების გასაუმჯობესებლად მომსახურების პროცესის მონიტორინგის, მიღებული შედეგების გაანალიზებისა და შემდგომი განვითარების გზით.

იგეგმება მომხმარებლის არხების ყოველდღიური გამოკითხვის ავტომატიზაცია და კვლევის მთელი პროცესის მართვა, შედეგების საფუძველზე საკითხების ანალიზი და განვითარებაზე ზრუნვა წინასწარ შეთანხმებული და დამკვიდრებული KPI– ების გასაუმჯობესებლად.

დღევანდელ რეალობაში, ციფრული არხების საშუალებით, მომხმარებელს უსასრულო შესაძლებლობები აქვს, საკუთარი მოთხოვნები სწრაფად, მარტივად და ხარისხიანად დაიკმაყოფილოს - მოიძიოს, შეადაროს, შეარჩიოს და შეიძინოს გამოცდილება შესაბამისი სერვისის ან პროდუქტის გამოყენებით. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული აქტივობები, სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანია კონკურენტულ გარემოში მომხმარებელთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მომხმარებლებისადმი ემპათია და გამუდმებით ფიქრი, რომ ჩვენ ყველანი სხვადასხვა სიტუაციებში მომხმარებლები ვართ, მომხმარებელზე ორიენტირებული კომპანიის შექმნისა და შენარჩუნების აუცილებელი წინაპირობაა. ეს არის განყოფილებისა და მთლიანად ჯგუფის საბოლოო მიზანი. ციფრულ და რეალურ სივრცეში, ჩვენი თანამშრომლების ერთობლივი ძალისხმევით, ჩვენ ყოველთვის ერთ-ერთი საუკეთესო არჩევანი ვიქნებით ჩვენი კლიენტებისთვის.

თანამშრომლები

იმისათვის, რათა მომსახურების წამყვან ფინანსურ ინსტიტუტად გვაღიარონ, უნდა გავაგრძელოთ თანამშრომელთა კმაყოფილებისა და მოტივაციის, კლიენტების ქცევისა და მათი ფინანსური მოთხოვნების ცვლილებებთან ადაპტირება.

2020 წელი HR დეპარტამენტისთვის გაუთვალისწინებელი და რთული გამოწვევების წელი იყო. Covid-19-მა რადიკალურად შეცვალა HR სფეროს არსი და სხვა ძირითად

პასუხისმგებლობებთან ერთად HR დეპარტამენტმა თავის თავზე აიღო ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქციები, როგორიცაა:

1. უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა
2. თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა
3. ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფა
4. დისტანციური მუშაობის პირობებში მაღალი ეფექტურობის შენარჩუნება

მთელი 2020 წლის განმავლობაში ჩვენ ვაგრძელებდით ინვესტიციებს ჩვენი თანამშრომლებისთვის კეთილდღეობისთვის, სამუშაო ადგილების სიმჭიდროვის შემცირების ღონისძიებებს, სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებელ მასშტაბურ ძალისხმევას და რეგულარული ღრმა წმენდის ოპერაციებს, დამცავი ორგმინის და შესაბამისი მარკერების ინსტალაციას სერვისცენტრებში, ასევე სახის ფარის, ხელის სადეზინფექციო საშუალებების, ნიღბების, ხელსახოცების და გამწმენდების უზრუნველყოფას. ჩვენს თანამშრომლებს უწყვეტად მიეწოდებოდათ სამედიცინო დახმარება და რჩევები, მათ შორის ადგილზე ან ვირტუალურ კონსულტაციებთან ერთად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების კვალდაკვალ.

გამოვლინდა თანამშრომლების ჯგუფი, რომლებიც მუშაობენ ბიზნესის უწყვეტობისათვის მნიშვნელოვან პოზიციებზე. ისინი გადაიყვანეს დისტანციურ რეჟიმზე.

ჯგუფის თანამშრომლების 87%-ს დისტანციურად მუშაობის საშუალება მივეცით შესაბამისი საოფისე ტექნიკის უზრუნველყოფით. ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, სერვისცენტრების ქსელის და ცენტრალური საწყობის პერსონალი გადავიდა ორკვირიანი როტაციის გრაფიკზე.

არაკონტაქტური თერმომეტრების გამოყენებით მიმდინარეობდა თანამშრომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ყოველდღიური შემოწმება და ჩაწერა. HR დეპარტამენტი ყოველდღიურად აკვირდებოდა სამუშაო სივრცის სრულად შესაბამისობას ჯანდაცვის სამინისტროს მოთხოვნებთან.

დავიწყეთ ახალ რეალობასთან შეგუება: „განწყობა პოზიტიური, ტესტი ნეგატიური.“ შეიქმნა და პრიორიტეტი მიენიჭა პერსონალის მენტალური ჯანმრთელობის დამხმარე ღონისძიებებს. ადამიანური რესურსების დეპარტამენტმა შეიმუშავა საინფორმაციო კურსი „როგორ ვიყოთ კარგად იზოლაციის პირობებში“. ასევე დაუყოვნებლივ შევიმუშავეთ პანდემიის დროს თავის მოვლისა და შვილების აღზრდის შესახებ სესიები, ასევე კოვიდ-19-ის პრევენციის ტრენინგი. ეს ტრენინგები მთელ პერსონალს ონლაინ რეჟიმში ჩაუტარდა.

დაინერგა Zoom და Microsoft Teams პლატფორმები ონლაინ შეხვედრების ორგანიზებისა და ეფექტურობის შესანარჩუნებლად.

დაიწყო ახალი დისტანციური მომსახურების არხით, ვიდეო განკით, მომხმარებლისთვის უწყვეტი მომსახურების გაწევის პროცესი და, შესაბამისად, საჭირო გახდა ამ სფეროში პერსონალის მომზადება.
შემუშავდა არაერთი დოკუმენტი და არსებული უჩვეულო სიტუაციის მართვის მიზნით გაუმჯობესდა:

- სამოქმედო გეგმა სამუშაო გარემოში რისკის შემცველი თანამშრომლის გამოვლენის შემთხვევაში
- როგორ ვიმუშაოთ სახლიდან ეფექტურად
- სხეულის ტემპერატურის მონიტორინგის წესი
- საოფისე მუშაობის ზოგადი წესები
- აუდიო ტრენინგი COVID-19-ის პრევენციის შესახებ

ბანკის მოთხოვნით გაიცა სპეციალური ნებართვები ბიზნეს-პროცესების უწყვეტობისთვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პერსონალისთვის.

მეტი ყურადღება გამახვილდა ჩვენი ადამიანური კაპიტალის კარიერულ განვითარებაზე, სწავლებასა და უნარჩვევებზე, ასევე ბევრი მნიშვნელოვანი ინვესტიცია განხორციელდა ჯგუფის მიერ ჩვენი თანამშრომლების პროდუქტიულობის გაზრდის მიმართულებით, ასევე გაყიდვების, სტრესის მართვისა და კომუნიკაციის, მომსახურებისა და გაყიდვების, ინფორმაციის უსაფრთხოებისა და დისტანციური მუშაობის მიმართულებით, ჩატარდა კურსი „როგორ ვიყოთ კარგად იზოლაციის პირობებში.“ ჩვენს პარტნიორ ინსტიტუტებთან თანამშრომლობით FiM, EFSE, GGF, EBRD და ADB, დისტანციის მიუხედავად, დაფინანსდა სხვადასხვა ტექნიკური დახმარების პროექტი ამ მშფოთვარე პერიოდში თანამშრომლების დასახმარებლად. 2020 წლის განმავლობაში პერსონალისთვის გათვალისწინებული იყო საერთაშორისო კურსები და კონსულტაციები სხვადასხვა ძირითად სფეროებში.

- აქტივებისა და ვალდებულებების მართვის მექანიკა - IFF & Middlesex University London
- საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა - ამერიკელ ბანკირთა ასოციაცია
- ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა - (EBRD)
- ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალისტის სერტიფიცირების პროგრამა (CAMS) - (ADB)
- GEFF ტრენინგი მწვანე დაკრედიტების მიმართულებით - EBRD
- რისკების მართვა: ბანკების რეგულირება (ბაზელი) - – NBG (ლუქსემბურგი)
- საკრედიტო რისკისა და ფულადი ნაკადების ანალიზი - NBG (ლუქსემბურგი)
- მიწოდების ალტერნატიული არხები (ციფრული) - შთამაგონებელი განვითარება (ფრანკფურტი)
- შიდა აუდიტი და კონტროლი - NBG (ლუქსემბურგი)

პანდემიის მიუხედავად, წლის ბოლოს ჩვენ გამოვავლინეთ 2020 წლის დამსახურებული თანამშრომლები და გადავეცით ტრადიციული საჩუქრები. უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმებულთა 30% -ს უკვე აქვს ეს სტატუსი, რაც ძალიან გვეამაყება, რადგან გვაჩვენებს, რომ ბაზისბანკის ჯგუფი სასურველი დამსაქმებელია.

სოციალური პასუხისმგებლობა

ადამიანები ჩვენი ფასეულობების ქვაკუთხედია. ჩვენი საქმიანობა და წარმატება ჩვენი საზოგადოების წარმატებაზეა გადაჯაჭვული. ამიტომ, მიუხედავად უპრეცედენტო გამოწვევებისა და დაბრკოლებებისა, რაც 2020 წელს წამოიჭრა, ბაზისბანკის ჯგუფი კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ყველა ვალდებულებისადმი ერთგული დარჩა და ყველა

დაგეგმილი პროექტი განახორციელა, რათა თავისი ძალა და შესაძლებლობები ამ საჭირო დროს სხვებისთვისაც გაეზიარებინა.

ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გაძლიერება

გლობალურმა პანდემიამ, რომელიც 2020 წლის დასაწყისში იჩინა თავი, ბიზნესში ჯერარნახული გაურკვევლობა გამოიწვია, ჯანდაცვის სისტემას კი უამრავი სირთულე შეუქმნა. ჩვენმა აქციონერმა ბაზისბანკის ჯგუფთან ერთად გააცნობიერა ჯანდაცვის ეროვნულ სისტემაში შესაძლებლობების განვითარების სასიცოცხლო და გადამწყვეტი მნიშვნელობა სირთულეების დაძლევისთვის და სოციალური და ჯანდაცვის ეროვნულ ფონდში StopCov 200 000 ლარი გადარიცხა.

ინტელექტუალური საზოგადოების მშენებლობა

ჩვენი ჯგუფი ყოველთვის ცდილობს დაიცვას ჩვენი ძირითადი ღირებულებები, განათლება და თავისუფალი აზროვნება ჩვენს საზოგადოებაში. ჩვენ გვესმის, რომ თანამედროვე დროში ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია ჩვენი მოსახლეობის მხარდაჭერა, განათლებაა, იმ დამხმარე უნარებთან ერთად, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა შემეცნებითი შესაძლებლობების განვითარებას. ჯგუფი თანამშრომლობს ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებთან, ასევე საშუალო სკოლებთან, უზრუნველყოფს სტიპენდიებს და სწავლას სტუდენტებისთვის და ახალისებს მათ ინტერესს სამეცნიერო კვლევებისადმი. 10 წელზე მეტია, ვმართავთ განათლების მხარდამჭერ ფონდს, რომლის მეშვეობითაც ბევრი სასარგებლო პროექტი განხორციელდა.

უფრო განათლებული და ინტელექტუალური საზოგადოების მშენებლობის ჩვენეული მცდელობა ჯერ კიდევ 2014 წელს გამოვლინდა, როცა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან და მის პასკალის სტიპენდიების პროგრამასთან გავაერთიანეთ ძალისხმევა. ყოველწლიურად 3000 ლარის სტიპენდია ეძლევა 10-მდე ახალგაზრდა მეცნიერს, რომლებიც აფილირებული არიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან, და რომელთაც საერთაშორისოდ აღიარებული სამეცნიერო კვლევა გამოქვეყნებული აქვთ ერთ-ერთ სამეცნიერო ჟურნალში, რომელიც Thomson Reuters-ის მონაცემთა ბაზაშია მითითებული. ნაყოფიერი თანამშრომლობის წლების განმავლობაში, ჩვენი საზოგადოების ათეულობით ყველაზე ნათელი გონების მქონე ახალგაზრდამ მიიღო სტიპენდია. ამით კიდევ უფრო წავახალისეთ მათი სამეცნიერო მიღწევები და დავეხმარეთ მათ ცოდნისა და მუშაობის კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აყვანაში.

უკვე 8 წელია, რაც ბაზისბანკის ჯგუფი ეროვნულ ტელევიზიაში ყველაზე რეიტინგული ინტელექტუალური თამაშის: რა? სად? როდის? პარტნიორია. ეროვნული ინტელექტუალური კლუბის წევრებისა და რიგითი მოქალაქეების შერკინებისას, რომელთაც სურთ თავიანთი ცოდნისა და ლოგიკური აზროვნების გამოცდა, ჩვენ მხარს ვუჭერთ აუდიტორიის ჯგუფს და თითოეულ წარმატებულ მონაწილეს ვაძლევთ ჩვენს ბარათს დეპონირებული 500 ლარით. თუ მაყურებელი გრანდ ფინალში გაიმარჯვებს, სერიის განმავლობაში საუკეთესო კითხვის ავტორს გადაეცემა გრანდიოზული პრიზი 5000 ლარი. 2020 წლის განმავლობაში, ჩვენმა ორგანიზაციამ ინტელექტუალური თამაშის წარმატებულ მონაწილეებს 100-ზე მეტი ჯილდო დაურიგა.

ძლიერი გონება - ძლიერი სხეული

ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ გონება და სხეული ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ამიტომ ყოველთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ვუწევდით პროპაგანდას. ბოლო პერიოდში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ასებული ფეხბურთის გუნდის ოფიციალური სპონსორი გავხდით.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე გლობალური და ეროვნული გარემო შორს არის სტაბილურობისგან და ჯერ კიდევ არ არსებობს გაურკვევლობა, ჩვენ ვაპირებთ მხარი დავუჭიროთ ძლიერი, ინტელექტუალური და განათლებული საზოგადოების მშენებლობას, შევინარჩუნოთ და გავავრცელოთ ჩვენი ძირითადი ღირებულებები, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს ჩვენი ზრდის და წარმატების გაგრძელების აუცილებელი წინაპირობაა.

საოპერაციო და ფინანსური საქმიანობა

ეკონომიკური გარემო

2020 წლის დასაწყისიდან მაკროეკონომიკურ და საოპერაციო გარემო მთიანად COVID-19 პანდემიის გავლენის ქვეშ მოექცა. პანდემიის გავლენა ქვეყნების ეკონომიკებზე უზარმაზარი იყო: COVID-19 ინფექციების არაპროგნოზირებადი და გახანგრძლივებული ტალღები, საყოველთაო ჩაკეტვები და შეზღუდვები, რამაც შეაჩერა სოციალური და ეკონომიკური საქმიანობა, შემცირებული გიზნეს გარემო, რომელიც 2020 წელს თითქმის ყველა ქვეყანაში უპრეცედენტო ვარდნაში გადაიზარდა.

მარტის დასაწყისში COVID-19-ის გავრცელებამ მნიშვნელოვანი გაურკვევლობა შეუქმნა საოპერაციო გარემოს. საქართველო გიზნესზე მავნე ზემოქმედებას და პანდემიით გამოწვეული მაკრო პარამეტრების შესუსტებას განიცდიდა, ზოგადად მსოფლიო კი ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესების წინაშე დადგა.

ჩაკეტვით გამოწვეულმა შიდა მოხმარების შემცირებამ, ეკონომიკაში შექმნილ გაურკვევლობასთან და გარე გაზრებზე ძლიერი დამოკიდებულების ფაქტორთან ერთად, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკური ზრდა შეაფერხა. წლის განმავლობაში მკაცრი შეზღუდვები დაწესდა ზოგიერთ სექტორზე, ყველაზე მეტად დაზარალდა HORECA სექტორი, მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველა ძირითადი საცალო მაღაზია და სავაჭრო ცენტრი დაიხურა, გამოცხადებული შეზღუდვების დროს ტურიზმის სექტორთან დაკავშირებული მომსახურება შეწყდა. მოთხოვნის ნეგატიურმა შოკმა ასევე იმოქმედა მიწოდების სფეროს საქმიანობაზე, ასევე უძრავ ქონებაზე, განათლებაზე, ფინანსურ მომსახურებაზე. მეორე მხრივ, გარკვეული პოზიტიური ტენდენციები დაფიქსირდა ისეთ სფეროებში, რომლებიც გრძელვადიან პერსპექტივაში დადებითად აისახება, ესენია: სოფლის მეურნეობა, წარმოება, ჯანდაცვა, დისტანციური მომსახურება და კომუნიკაცია.

2020 წელს ეკონომიკა წლიურად 6.1%[1] -ით შემცირდა. საქართველოს ეკონომიკაზე პანდემიის მნიშვნელოვანი გავლენა მიმდინარე ანგარიშის დიდი დეფიციტსა და შესამჩნევად მაღალ სახელმწიფო ვალზე გამოიხატა, ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოურ ვალუტაში იყო დენომინირებული.

2020 წელს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინება, რომელიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციებითა და ტურიზმის სექტორით შემოიფარგლებოდა, ნაწილობრივ ანაზღაურდა წმინდა სავაჭრო დეფიციტის შემცირებით, რაც იმპორტის შემცირებამ და შედარებით დივერსიფიცირებულმა სავაჭრო პარტნიორებმა და ფულადი გზავნილების საშუალებით მოსალოდნელზე მაღალმა სავალუტო შემოდინებებმა გამოიწვია. წმინდა სავაჭრო დეფიციტის შემცირებას გადააჭარბა შიდა ტურიზმის შემოსავლების მკვეთრმა შემცირებამ (რომელიც 2019 წელს მშპ-ის 12%-დან 2%-მდე შემცირდა) და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირებამ, რამაც 616 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და წლიურად 57% -ით ნაკლებია. შედეგად, საქართველოს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (CAD) 12.4%[2]-მდე გაიზარდა. დეფიციტის დასაფინანსებლად და შესაბამისად აღდგენის მხარდასაჭერად, საქართველოს მთავრობამ 2020 წელს გაზარდა შიდა და საგარეო ვალი, რომელიც მშპ-ის 60%-ს აღწევდა.

[1] წყარო: საქსტატი

[2] წყარო: სებ

ქვეყანამ COVID-19 პანდემიას ფისკალური და ფულადი დახმარების ფართო ზომებით უპასუხა. მთავრობის მხარდაჭერა, როგორც ფისკალური სტიმული, საკრედიტო რესურსებიდან დაფინანსებული მაკრო პარამეტრების მხარდამჭერი ძირითადი ინსტრუმენტი იყო. ამით შემსუბუქდა ის ზეწოლა, რომელიც დახურულმა ბიზნესმა, უმუშევრობის გაზრდამ, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გაფართოებამ შექმნა. მთავრობის მხარდაჭერა მოიცავდა ხელფასის სუბსიდიებს, ფულადი სახსრების გადარიცხვას გარკვეული შინამეურნეობებისათვის, კომუნალურ დაფინანსებას, გაზრდილ სოციალურ შეღავათებს, ბიზნესისთვის საგადასახადო შეღავათებს და იპოთეკური დაფინანსების გზით უძრავი ქონების დეველოპერების მხარდაჭერას ეკონომიკური საქმიანობის შენარჩუნების ხელშესაწყობად.

2020 წელს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი (3%) შენარჩუნდა. ფასების დონეზე ძირითადად მიწოდების მხრიდან არსებულმა შეფერხებებმა და 2020 წელს აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურებულმა ლარმა იმოქმედა. წლის მეორე ნახევარში, შენებულმა ერთობლივმა მოთხოვნამ, ეკონომიკის გახსნასთან შემდგომ აღდგენასთან ერთად ფასებზე ზეწოლა შეამსუბუქა. ინფლაცია სავარაუდოდ მიზნობრივ მაჩვენებელს 2021 წლის ბოლოსთვის დაუბრუნდება.

პანდემიის რეალურ ეკონომიკაზე გავლენის შესამცირებლად ეროვნულმა ბანკმა მაკროპრუდენციული პოლიტიკის ღონისძიებები გაატარა. საბანკო სისტემისთვის იაფი ლარის რესურსების მიწოდების გასაზრდელად და ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობის მიზნით, ეროვნულმა ბანკმა წლის მეორე კვარტალში მონეტარული პოლიტიკის კურსი 1 პპ -ით შეამცირა, თუმცა 2021 წლის დასაწყისში ინფლაციური ზეწოლის გაზრდის გამო (საქონელზე გაზრდილი ფასების გამო, სუსტი ლარის გავლენით), ეროვნულმა ბანკმა პოლიტიკის კურსი 1.5 პპ-ით გაზარდა და მკაცრს დატოვებს, ვინაიდან საბაზო ინფლაცია ეროვნული ბანკის მიზნობრივ 3.0%-ს ქვემოთ ჩამოვიდა.

ამავდროულად, ცენტრალური ბანკი აქტიურად მონაწილეობდა სავალუტო ბაზარზე და ეკონომიკას საკმარის უცხოურ ვალუტას აწვდიდა. 2020 წელს სებ-მა სავალუტო ინტერვენციების გზით 873 მლნ აშშ დოლარის უცხოური ვალუტის რეზერვები გაყიდა. საერთაშორისო სავალუტო რეზერვები 2020 წლის განმავლობაში გაიზარდა და 3.9 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული ფინანსური მხარდაჭერა რეზერვებს ადეკვატურ დონეზე ინარჩუნებს და ეროვნულ ბანკს მეტ შესაძლებლობას აძლევს ეკონომიკის საჭირო სავალუტო რესურსებით დასახმარებლად. სავალუტო ბაზარზე მაკროპრუდენციულმა ზომებმა და ინტერვენციებმა ხელი შეუწყო ფინანსურ სტაბილურობას და გაათანაბრა გაცვლითი კურსის არასტაბილურობა.

ეკონომიკაზე COVID-19-ის გავლენა საქართველოს სუვერენულ რეიტინგზე აისახა. 2020 წლის აგვისტოში Fitch–მასაქართველოს გრძელვადიანი უცხოური ვალუტის ემიტენტის რეიტინგი 'BB' დონეზე დაადასტურა, უარყოფითი პერსპექტივით. პერსპექტივის გაუარესება საქართველოს ეკონომიკაზე პანდემიის მნიშვნელოვან გავლენას უკავშირდებოდა, რომელიც დიდი ტურისტული სექტორით, დიდი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტით და შესამჩნევად მაღალი სახელმწიფო ვალით, ასევე უცხოური ვალუტით დენომინირებული ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილით ხასიათდება. უცხოური ვალუტით დენომინირებული ვალის მაღალი წილი გაცვლითი კურსის რისკს იწვევს. მაღალი გეოპოლიტიკური რისკი კიდევ უფრო ზრდის საგადახდო ბალანსის რისკს და შეიძლება გავლენა იქონიოს ვალუტაზე.

პერსპექტივა

2021 წლის საპროგნოზო ზრდა 4.3%[3]-ია. პროგნოზები ძალზე მგრძნობიარეა კრიზისის ხანგრძლივობისა და გარკვეული (დაკავშირებული) გარე ფაქტორების ევოლუციის მიმართ, ნავთობის ფასების, ტურიზმისა და ფულადი გზავნილების ნაკადების ჩათვლით. საბაზისო სცენარში ეკონომიკის ზრდას მხარს დაუჭერს ფისკალური სტიმულისა და დაკრედიტების ზრდა, პროგნოზი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პანდემიის ევოლუციასა და ვაქცინაციის ეფექტურობასთან დაკავშირებული გაურკვევლობებზე, ასევე წლის მეორე ნახევარში ტურიზმის სექტორის თანდათანობით აღდგენაზე.

2020 წელს მშპ-ის მკვეთრი შემცირების შემდეგ, 2021 წლის განმავლობაში ეკონომიკის აღდგენაა მოსალოდნელი, რადგანაც COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია უფრო ხელმისაწვდომი გახდება და დამატებითი ფისკალური სტიმული იქნება გათვალისწინებული. შეზღუდვების შემსუბუქებამ 2021 წლის თებერვლიდან ხელი შეუწყო მშპ-ის ზრდას, რაც ძირითადად შიდა მოთხოვნით და უფრო მაღალი ინფრასტრუქტურული ხარჯებით იყო განპირობებული (რაც ინვესტიციებს ასტიმულირებს). საქონლის წმინდა ექსპორტმა უნდა ისარგებლოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორების მხრიდან გაზრდილი მოთხოვნით. მოსალოდნელზე სწრაფად დაიწყო ეკონომიკური აქტივობის და მაკრო პარამეტრების გაუმჯობესება, რასაც მხარს უჭერდა ექსპორტისა და ფულადი გზავნილების ძლიერი ზრდა, საბანკო დაფინანსების გაზრდა და მომსახურების სექტორში მსხვილ ბიზნესზე შეზღუდვების მოხსნა.

საბანკო სექტორი

Covid-19-თან დაკავშირებით ეკონომიკის ჩაკეტვის მიუხედავად, საქართველოს საბანკო სექტორი ფინსნური მდგრადობით გამოირჩეოდა. კაპიტალის და ლიკვიდობის დამატებითი მოთხოვნები, რომლებიც სებ-მა პანდემიის წინა პერიოდში დააწესა, საპროცენტო სესხების საპასუხისმგებლო პრაქტიკასთან და ლარიზაციის პოლიტიკასთან ერთად, საბანკო სექტორს დაეხმარა კრიზისს კაპიტალის და ლიკვიდურობის კარგი პოზიციებით შეხვედროდა.

ბანკების კაპიტალზე და ლიკვიდურობის მოთხოვნებზე ზეწოლის შესამცირებლად, ეროვნულმა ბანკმა დაუშვა ფინანსური სტრესის დროს კაპიტალის და ლიკვიდურობის ბუფერების გამოყენება.

კაპიტალის მოთხოვნებთან დაკავშირებით, ეროვნულმა ბანკმა გადადო 2020 წლის მარტში დაგეგმილი CAR–დან CET1–ის მოთხოვნებზე დამატებითი ბუფერის მოთხოვნა კაპიტალზე, შეამცირა CET1 კონსერვაციის ბუფერზე მოთხოვნა 2.5%-დან 0-მდე და გაათავისუფლა პილარ 2-ით გათვალისწინებული CICR ბუფერის 2/3.

ამან საბანკო სექტორს საშუალება მისცა შესაძლო ზარალი გაენეიტრალებინა და ამით ეკონომიკის მხარდაჭერა გაეგრძელებინა.

2021 წელს სებ-ი აპირებს გამოაცხადოს გეგმა, რომლის თანახმადაც ბანკებს მოეთხოვება პოსტპანდემიურ პერიოდში თანდათან შეავსონ გამოყენებული კაპიტალის ბუფერები.

[3] წყარო: სსფ

გარდა ამისა, ფინანსური სტრესის დროს საკმარისი ლიკვიდობის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სებ -მა გააქტიურა სვოპის ოპერაციები. ასევე, მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების მიზნით, ეროვნულმა ბანკმა ლიკვიდურობის ახალი ინსტრუმენტი შემოიტანა. ის კომერციულ ბანკებს საშუალებას აძლევს, მიიღონ სესხის ლიკვიდობის მხარდაჭერა მცირე და საშუალო ბიზნესის სესხის პორტფელის უზრუნველყოფით. ეკონომიკის ჩაკეტვამ ოჯახების და კორპორაციების მნიშვნელოვანი ფინანსური უკუსვლა გამოიწვია. ამ მხრივ, კრედიტორების მიერ შემოთავაზებულმა სესხების გადავადების პროგრამებმა მნიშვნელოვნად შეამსუბუქა დროებით გადახდისუუნარო მსესხებლების ფინანსური სტრესი.

მიუხედავად 2020 წელს ეკონომიკური აქტივობის შენელებისა, საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელის ზრდა კვლავ ძლიერი დარჩა, რასაც ნაწილობრივ მხარი დაუჭირა ლარის დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე მთავრობის სუბსიდიებმა. 2020 წლის მდგომარეობით, საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელი 20%-ით გაიზარდა.

ბანკების ფინანსური მდგომარეობა შეაფერხა ეკონომიკის რეცესიამ, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს კლიენტების გადახდისუნარიანობაზე, რაც უფრო მკვეთრად გამოხატულია სექტორებში, რომლებზეც ლოქდაუნი უშუალოდ ზემოქმედებდა. საგანგებო მდგომარეობის დროს, საბანკო სექტორმა ხანმოკლე საკრედიტო არდადეგები შესთავაზა გარკვეულ საცალო კლიენტებს და იმ ბიზნესს, რომლებიც კრიზისით დაზარალებულ სექტორებში მოღვაწეობენ; შესაბამისად, გრაფიკით გათვალისწინებული დაფარვები შეთანხმებულ პერიოდამდე გადაიდო.

მიუხედავად იმისა, რომ გაზრდილი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების და კრედიტორების მიერ შემოთავაზებული სესხების გადავადების პროგრამების ფონზე მნიშვნელოვანი ოდენობით სესხებზე დანაკარგების რეზერვები შეიქმნა, კაპიტალის და ლიკვიდობის ადეკვატურობა კვლავ მყარია. საბანკო სექტორის გამძლეობას მტკიცედ უჭერს მხარს ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დაფიქსირებული მნიშვნელოვანი მომგებიანობა, რასაც თან ახლავს ეროვნული ბანკის მიერ ბოლო წლებში წინასწარ განხორციელებული მარეგულირებელი ღონისძიებები. 2020 წლის განმავლობაში თანდათანობით აღდგენილი საბანკო სისტემის მომგებიანობა 2021 წელს მყარი დარჩება.

პანდემიის ზემოქმედებამ საკრედიტო სააგენტო Fitch აიძულა გადაესინჯა საქართველოს საბანკო სექტორის პერსპექტივა და ის 2020 წელს "STABLE" - დან "NEGATIVE" -ზე შეეცვალა. ეკონომიკის შემცირება და საკრედიტო პორტფელის მაღალი დოლარიზაცია ის ძირითადი ფაქტორები იყო, რომლებმაც გავლენა მოახდინა პერსპექტივის შეცვლაზე.

თუმცა 2021 წლის დასაწყისში პერსპექტივა დადებითისკენ გადაისინჯა და დაუბრუნდა "სტაბილურს". მარეგულირებლის, მთავრობისა და ბანკების კოორდინირებული ქმედებები, რაც გულისხმობდა კაპიტალის მოთხოვნის დროებით შემსუბუქებას და ყველაზე დაუცველ ეკონომიკურ სექტორში მომუშავე შინამეურნეობებისა და მიზნეს-სუბიექტებისთვის დახმარების გაწევას, საბანკო სისტემას ძირითად ფინანსურ მაჩვენებლებში მდგრადობის შენარჩუნებაში ეხმარება. ეკონომიკის გაჯანსაღების უკეთესი მოლოდინი 2021 წელს ხელს შეუწყობს მიზნეს-საქმიანობას და კრედიტის ზრდას, რაც 2020 წელთან შედარებით გააუმჯობესებს ბანკებისთვის შემოსავლების პერსპექტივებს. 1-ელ კვარტალში პანდემიით გამოწვეული აქტივების ხარისხის პოტენციური გაუარესების წინააღმდეგ გაკეთებული მნიშვნელოვანი რეზერვები ასევე ანელებს 2021 წელს დამატებითი დარეზერვებისგან დანაკარგების მიღების რისკს.

ჯგუფის ფინანსური შედეგები

BB ჯგუფის შედეგები

ჯგუფმა შეძლო 2020 წლის დასაწყისში COVID-19 ინფექციის გავრცელებით გამოწვეულ უაღრესად მომთხოვნი და სარისკო ბიზნეს გარემოს გამოწვევებთან გამკლავება. 2020 წელს გაურკვევლობამ, ეკონომიკურმა ვარდნამ, ლოქდაუნმა და ჯანდაცვის კრიზისის სხვა შედეგებმა შეანელა ჯგუფის ზრდა. თუმცა ჯგუფმა შეძლო მდგრადი პოზიციონირების შენარჩუნება ბაზარზე.

ამ ფონზე ჯგუფმა სტაბილური შედეგები აჩვენა. მიუხედავად ფართომასშტაბიანი ეკონომიკური დაუცველობისა, ჯგუფის წინა წლების ჯანსაღი აქტივების ბაზამ და რისკის დაბალმა ტოლერანტობამ მნიშვნელოვანი დანაკლისისგან დაგვიცვა. გაცხადებული შემოსავლები დარეზერვებამდე იყო 35,7 მლნ ლარი, რაც 13%-იან ვარდნას წარმოადგენს, მოგება დაბეგვრამდე იყო 25,7 მლნ ლარი, რაც 35%-ით ნაკლებია წინა მაჩვენებელზე. ჯგუფმა გააძლიერა თავისი აქტივების ბაზა და საკმაოდ გონივრული ROAE 8.2% ჩაწერა. გარდა ძირითადი საბანკო ოპერაციებისა, ჯგუფმა კლიენტებს დაზღვევის და ლიზინგის მომსახურება გაუწია. დაზღვევისა და ლიზინგის ბიზნესით მიღებული შემოსავლები ჯგუფის მოგების 10%-ს შეადგენს; მიუხედავად დაბალი ეკონომიკური საქმიანობისა, ახალმა ბიზნესმა კარგი შედეგი აჩვენა და შეინარჩუნა ჯანსაღი მომგებიანობის პრაქტიკა.

2021 კონცენტრირებულია ბიზნესის შემდგომ წინსვლაზე და დამატებული ღირებულების შექმნაზე, განსაკუთრებით იმ სირთულეების დროს, რომლებიც ეკონომიკის ვარდნას ახლავს თან. ბანკი, როგორც ჯგუფის მშობელი კომპანია, ადგენს ბიზნესის მიმართულებების მიზნობრივ მაჩვენებლებს და მთელი ჯგუფის ბიზნეს სტრატეგიებს. შედეგები წარმოდგენილი და განხილულია ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების საფუძველზე, სხვაგვარად აღნიშნულის გარდა.

ჯგუფის მთავარი მაჩვენებლები

მთავარი მაჩვენებლები	*2020*	*2019*
***საოპერაციო შედეგები** (მილიონი ლარი)*		
წმინდა საოპერაციო შემოსავალი	66.9	73.4
საოპერაციო მოგება გაუფასურებამდე	35.7	41.0
მოგება მოგების გადასახადამდე	25.7	39.9
წმინდა მოგება	24.2	37.3
მომგებიანობის გაანგარიშება		
ხარჯების/შემოსავლების კოეფიციენტი	46.6%	44.2%
საოპ. მოგება გაუფ-მდე საშ. კაპიტალზე	12.1%	15.4%
საოპ. მოგება გაუფ-მდე საშ. აქტივებზე	2.0%	2.7%
უკუგება საშუალო კაპიტალზე დაბეგვრამდე	8.7%	15.0%
უკუგება კაპიტალზე (მოგება დაბეგვრ.შემდ/ მთლ. კაპ.)	8.2%	14.1%
უკუგება აქტივებზე (მოგება დაბეგვრის შემდეგ/მთლიანი აქტივები)	1.4%	2.4%

წყარო: შიდა დათვლები

- საერთო ეკონომიკური ვარდნისა და პანდემიის მიუხედავად, ჯგუფმა მოახერხა 66.9 მლნ ლარის წმინდა საოპერაციო შემოსავლის მიღება, წლიური 9%-იანი კლებით (2019 წ. 73.4 მლნ ლარი), რაც უფრო დაბალია, ვიდრე 2019 წელს, როცა აბსოლუტური წლიური ზრდა +6% იყო (ზრდა +3,9 მილიონი ლარით 2018 წელთან შედარებით). 2020 წლის განმავლობაში წმინდა საოპერაციო შემოსავლების ცვლილებების მთავარი მამოძრავებელი იყო წმინდა საპროცენტო შემოსავალი, რომელსაც შემოსავლების 81% მოაქვს (იგივე რაც 2019 წელს). არასაპროცენტო შემოსავლებზე გავლენა სტაბილურად შენარჩუნდა. ლოქდაუნის და საქმიანი აქტივობის შემცირების შედეგად, საკომისიო შემოსავლების დეფიციტი კომპენსირდა ლიზინგის საქმიანობიდან შემოსავლების გაზრდით.
- 2020 წელს შემოსავლების ზრდა საპროცენტო შემოსავლის აქტივობებიდან არ იყო ისეთი ძლიერი, როგორც 2019 წელს. სხვადასხვა ფაქტორი, მიმდინარე ეკონომიკური გაურკვევლობა, სპრედის შემცირება, გაზრდილი დაფინანსების ხარჯები, რომელსაც ემატება გაზრდილი საშუალო ლიკვიდობა. წლის განმავლობაში ბანკმა ლიკვიდობა საშუალო მოთხოვნილზე მაღალ დონეზე შეინარჩუნა, რათა ჩაკეტვის დროს კლიენტების მხრიდან სახსრებზე შესაძლო მზარდი მოთხოვნა გადაეფარა, ამან საპროცენტო შემოსავლების ზრდაზე გავლენა მოახდინა. 2020 წელს სესხების ზრდის შემცირებამ, რამაც 2020 წელს წლიური +5% შეადგინა წინა წელთან შედარებით (+15 2019 წელს), შედეგად წლიურმა მთლიან საპროცენტო შემოსავალებმა +7% შეადგინა (+17 წლიურად 2019 წელს). თუმცა, მაღალშემოსავლიანი აქტივების მზარდმა ბაზამ ნაწილობრივ დააკომპენსირა საპროცენტო შემოსავლის ზრდა. ზეწოლამ, რომელიც ინტენსიური ბანკთაშორისი სესხებით იყო განპირობებული (სებ-ის მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გამო) გადაავადა საპროცენტო შემოსავლების ზრდა, რამაც 2020 წელს წმინდა საპროცენტო შემოსავლის ნეგატიური ზრდა, წლიური -8% გამოიწვია.
- პანდემიამ მნიშვნელოვნად იმოქმედა სესხების რეზერვის ხარჯებზეც. მოსალოდნელი დანაკარგების აღრიცხვის მიზნით ჯგუფმა კონსერვატიული მიდგომები გამოიყენა, რამაც 2020 წელს გამოიწვია ხარჯის 0.87%-იანი ზრდა საშუალო სესხებზე (2019 წელს 0.08%). საერთო ჯამში, რეზერვი გაიზარდა 9.5 მილიონი ლარით (შემცირება -0.2 მილიონი ლარით 2019 წელს), რაც მნიშვნელოვნად აისახება წმინდა შემოსავალზე.
- შემოსავლების ზომიერ ზრდას თან ახლდა ოდნავ შემცირებული ადმინისტრაციული ხარჯები, რამაც განაპირობა გაუფასურებამდელი ოპერატიული მოგება 35,7 მლნ ლარის ოდენობით (-1,2 მლნ ლარი 2020 წლისთვის). მზარდი კაპიტალის და აქტივების ფონზე, სესხების რეზერვებამდე ოპერაციულმა მოგებამ საშუალო კაპიტალზე 2020 წლის ბოლოს შეადგინა 12,1% (15,4% 2019 წლის ბოლოს); ოპერაციული მოგება საშუალო აქტივებზე 2020 წლის ბოლოს წლიურ 2.0% შეადგენდა (2.7% 2019 წლის ბოლოს).
- წელი მკაცრ ბიზნესგარემოსთან ადაპტაციაზე იყო ორიენტირებული. ჯგუფმა აქცენტი ისევ რესურსების უფრო ეფექტურ გამოყენებაზე გადაიტანა, რასაც ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებით მიაღწია. აბსოლუტური მაჩვენებლებით, ჯგუფმა მოახერხა ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება -1,2 მლნ ლარით 2020 წლის ბოლოს (2019 წელს +6,6 წლიური მლნ ლარი). წლის ბოლოსთვის წმინდა შემოსავლების 47% დაიხარჯა თანამშრომლების და სხვა ადმინისტრაციულ პროფესიების კომპენსაციაზე (44% 2019 წლის ბოლოს). ჯგუფი მოწოდებულია ხარჯების შემოსავლებთან (C/I) თანაფარდობა გონივრულ 45%-ზე დატოვოს და შეინარჩუნოს ეფექტურობა, როგორც ძირითადი სტრატეგიული ამოცანა.

- ჯგუფის წმინდა შემოსავალმა შეადგინა 24.2 მლნ ლარი (2019 წლის ბოლოს 37.3 მლნ ლარი), სააქციო კაპიტალის (ROAE) შემოსავალი 8.2%-ზე დაფიქსირდა, ხოლო საშუალო აქტივებზე (ROAA) 1.4%, 2019 წელს - 14 % და 2.6% შესაბამისად.
- კაპიტალიზაცია 17.5%-ია, რაც მარეგულირებლის დადგენილ მინიმალურ მოთხოვნაზე მაღლა დგას. მიუხედავად კაპიტალის კოეფიციენტებზე არსებული ზეწოლისა, რაც რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების ზრდით იყო განპირობებულიდა რისი მიზეზიც ერთის მხრივ უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივების ფასის ზრდა და მეორეს მხრივ გაზრდილი რისკის პოზიციების გამო კაპიტალიდან სტრესული პორტფელზე დამატებით რეზერვის გამოყოფა გახდა, კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის შენარჩუნება ყოველწლიური შემოსავლებით მოხერხდა, რამაც დააკომპენსირა კაპიტალზე გაზრდილი ზეწოლა და გაამყარა ბანკის პოზიცია, რომელიც 2020 წელს საგაზრო რისკის გაზრდისა და ეკონომიკის ვარდნის სირთულეებს უმკლავდებოდა.

შემოსავლის ანგარიშის განცხადებული შედეგები

	2020 წლის ბოლო		2019 წლის ბოლო		კონსოლიდ შედეგ. ცვლ.
(მილიონი ლარი)	*ბანკი*	*კონსოლიდირებული*	*ბანკი*	*კონსოლიდირებული*	*წლიური პროც.*
წმინდა საპროცენტო შემოს.	53.0	54.4	58.5	59.4	-8.5%
არასაპროც შემოს (წმინდა)	8.9	12.5	10.7	14.0	-10.6%
მთლ. წმ. შემოს.	**61.9**	**66.9**	**69.2**	**73.4**	**-8.9%**
ადმინისტრაციული ხარჯები	(28.7)	(31.2)	(30.4)	(32.4)	-3.8%
გაუფ-მდელი საოპ. მოგება	**33.2**	**35.7**	**38.9**	**41.0**	**-12.9%**
სესხების გაუფას.რეზერვი	(9.9)	(10.0)	(1.1)	(1.1)	
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადამდე	**23.3**	**25.7**	**37.8**	**39.9**	**-35.7%**
მოგების გადასახადის ხარჯი (სარგებელი)	(1.2)	(1.5)	(2.3)	(2.6)	**-43.7%**
წმინდა მოგება	**22.0**	**24.2**	**35.5**	**37.3**	**-35.1%**

- ჯგუფმა მოახერხა მნიშვნელოვანი შემოსავლის დაწერა, 2020 წლის განმავლობაში მკვეთრი ეკონომიკური ვარდნის მიუხედავად. აქტივების ძლიერი ბაზა და რისკისადმი დაბალი ტოლერანტობა საანგარიშო წელს კონტროლირებად დანაკარგებებს უზრუნველყოფდა. მოსალოდნელია, რომ ეს გამოსწორდეს მომდევნო წელს, რადგან ეკონომიკა ნელ-ნელა იწყებს გახსნას და 2021 წლის პროგნოზები დადებითია.
- ჯგუფმა 2020 წელს 24.2 მლნ ლარის წმინდა მოგება მიიღო (2019 წელს 37.3 მლნ ლარი). წმინდა შემოსავალის ზრდა განპირობებულია სესხებიდან და სხვა აქტივებიდან მიღებული სტაბილური საპროცენტო შემოსავლებით (ფასიანი ქაღალდები იკავებს მზარდ წილს ლიკვიდურ აქტივებში - მთლიანი აქტივების 14% 2020 წლის ბოლოს, 12% 2019 წლის ბოლო) და მათი წილის ზრდით მთლიანი საპროცენტო შემოსავლებში: 2020 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 15% (12% 2019 წელს). თუმცა, საპროცენტო შემოსავლების ზრდა დაფინანსების მზარდმა მოთხოვნებმა და მასთან დაკავშირებულმა ხარჯებმა გადაფარა, რამაც 2020 წელს წმინდა საპროცენტო შემოსავალი -8.5%ით შეამცირა.
- არასაპროცენტო შემოსავალი, მეორე მხრივ, შემცირდა ლოქდაუნის დროს ოპერაციებიდან და გარიგებებდან მიღებული დაბალი შემოსავლის გამო, თუმცა

ლიზინგიდან და სადაზღვევო ოპერაციებიდან შემოსავლებმა გაზარდა არასაპროცენტო შემოსავალის წილი, რაც კონსოლიდირებულ ანგარიშებში ჯგუფის მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლის 30% შეადგენს.

კონსოლიდირებული წმინდა საპროცენტო შემოსავალი (NII) და წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM)

წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM) *(მილიონი ლარი)*	2020	2019	პროცენტული ცვლილება
მთლიანი საპროცენტო და მსგავსი შემოს.	121.2	115.5	5%
მთლიანი საპროცენტო ხარჯები	(66.8)	(56.0)	19%
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	54.4	59.4	-8%
საშ. საპროც. აქტივები[1]	1,566	1,352	16%
საშ. საპროც. ვალდებულებები[2]	1,174	978	20%
მთლიანი საპროცენტო სარგებელი[3]	7.7	8.5	(0.8) პპ
მთლ. გადახდ. საპროც. განაკვეთი[4]	5.7	5.7	(0.0) პპ
წმინდა საპროცენტო სპრედი[5]	2.1	2.8	(0.8) პპ
წმინდა საპროცენტო მარჟა[6]	3.5	4.4	(0.9) პპ

1 საშუალო პორტფელის სარგებელი – საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი სესხებისგან, შეფარდებული პერიოდის საშუალო თვიურ პორტფელთან
2 საშუალო დეპოზიტების პორტფელის სარგებელი – პერიოდის საშუალო თვიურ პორტფელზე გადახდილი პროცენტი
3 მთლიანი საპროცენტო სარგებელი ნიშნავს პერიოდის საშუალო საპროცენტო აქტივზე გადახდილ პროცენტს
4 მთლიანი გადახდილი პროცენტი ნიშნავს პერიოდის საშუალო საპროცენტო ვალდებულებაზე გადახდილ პროცენტს
5 წმინდა საპროცენტო განაკვეთის სპრედი არის მთლიან საპროცენტო სარგებელსა და მთლიან გადახდილ პროცენტს შორის სხვაობა
6 წმინდა საპროცენტო მარჟა არის წმინდა საპროცენტო შემოსავალი შეფარდებული საშუალო შემოსავლიან აქტივებთან

წმინდა საპროცენტო შემოსავალი. შემოსავლების გენერირების პროცესში საპროცენტო შემოსავალი თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს; საპროცენტო შემოსავლების 83% მოდის მზარდი სესხებიდან. ფასიანი ქაღალდები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მეტი შემოსავლის მოსაპოვებლად: 2020 წლის ბოლოს საპროცენტო შემოსავლის 15% მოდის ფასიან ქაღალდებზე (84% და 12% შესაბამისად 2019 წლის ბოლოს). 2020 წელს საპროცენტო შემოსავალი გაიზარდა 5%-ით (+17%-ით 2019 წლის ბოლოს). ზრდა მნიშვნელოვნად განპირობებულია მზარდი სავალო ფასიანი ქაღალდებით. თუმცა, საპროცენტო შემოსავლების ზომიერი ზრდა საპროცენტო ხარჯებით დაბალანსდა. საპროცენტო ხარჯები +19%-ით გაიზარდა 2020 წელს (+30% 2019 წელს). ხარჯები ძირითადად გაიზარდა ლარის დაფინანსების ნაწილში სებ-ის რეფინანსირების განაკვეთის გაზრდის და მთლიან სავალუტო რესურსებში გრძელვადიანი დაფინანსების წილის გაზრდის გამო, ასევე ბანკებში შეტანილი დაბალი ან უარყოფითი საპროცენტო განაკვეთის მქონე სახსრების გაზრდილი წილის გამო.

დაფინანსების ხარჯი. მთლიანი გადახდილი პროცენტი 2020 წლის განმავლობაში +19%-ით გაიზარდა, ბანკმა სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტიდან დამატებითი რესურსები მოიზიდა.

ბაზარზე გაზრდილი რისკების გამო გაიზარდა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დაფინანსების ხარჯებიც; ლარით დენომინირებული დაფინანსება ჯგუფის რესურსებში მზარდ წილს იკავებს, რაც ხელს უწყობს საპროცენტო ხარჯების ოდნავ გაზრდას; 2020 წლის ბოლოს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების 19% ლარში იყო, რაც უცხოურ ვალუტაში მოზიდულ სახსრებზე უფრო ძვირია. ლარის რესურსი კიდევ უფრო გაძვირდა 2020 წლის შემზღუდავი მონეტარული პოლიტიკისა და ინფლაციური ზეწოლის გამო. საპროცენტო გადასახადების ზრდა მნიშვნელოვნად განპირობებულია ძვირადღირებული ადგილობრივი რესურსებითაც. საანგარიშო წლის განმავლობაში ადგილობრივი სესხების ხარჯები სამჯერ გაიზარდა, მაშინ როდესაც 2019 წელს ის სტაბილური იყო.

მეორეს მხრივ, სტაბილური ბიზნესოპერაციების შენარჩუნებას სტაბილური დაფინანსება სჭირდება. ჯგუფი, თავისი ჯანსაღი ლიკვიდურობით, 2020 წლის სირთულეებს იტევს. ლიკვიდური აქტივების მთლიანი წილი 2020 წლისთვის 37% -დან 44% -მდე გაიზარდა. კლიენტთა დეპოზიტებმა მცირე გავლენა მოახდინა საპროცენტო ხარჯების ზრდაზე; საპროცენტო ხარჯების ზრდის 75% მოდის ადგილობრივ სესხებზე, 21% საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის სესხებზე და დანარჩენი ნაწილი მოდის სადეპოზიტო ნაშთებზე.

საპროცენტო შემოსავლების ზრდა შეესაბამებოდა საპროცენტო ხარჯების ზრდას რაც +11 მლნ ლარი იყო 2020 წელს, საპროცენტო შემოსავლებმა კი 67 მლნ ლარს მიაღწია (56 მლნ ლარი 2019 წელს). ამრიგად, 2020 წლის ბოლოს წმინდა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 54.4 მლნ ლარი (59.4 მლნ ლარი 2019 წელს).

წმინდა საპროცენტო მარჟა. წმინდა საპროცენტო მარჟაზე მოქმედმა სხვადასხვა ფაქტორმა 2020 წლის ბოლოს NIM-ის 0.9 პროცენტული პუნქტით შემცირება განაპირობა, (3.5%: 2020, 4.4%: 2019). სებ-მა წლის განმავლობაში მაღალი მონეტარული პოლიტიკის კურსი შეინარჩუნა. სესხებიდან და ფასიანი ქაღალდებიდან საპროცენტო შემოსავლების ზრდის მიუხედავად, AIEA-ის მთლიანი საპროცენტო სარგებელი მცირე შემცირებას აჩვენებს. ფასიანი ქაღალდების და GLP– ის სარგებელი 2020 წლის განმავლობაში თითქმის უცვლელი დარჩა. გარდა ამისა, ფასიანი ქაღალდების მზარდი წილის მიუხედავად, დაბალი შემოსავლის მქონე NPG რეზერვები მნიშვნელოვნად გაიზარდა ეკონომიკაში არსებული გაურკვევლობის შესაბამისად. ამ დროს ადგილობრივ ვალუტაში სესხის აღების მაღალი ხარჯები და სესხზე შედარებით სტაბილური სარგებელი ამცირებდა საპროცენტო განაკვეთს. ამ ფაქტორებმა განაპირობა 2020 წელს მთლიანი საპროცენტო სარგებელი წლიური 7,7% -ის დონეზე (8,7% 2019 წლის ბოლოს).

ლარიზაციის პოლიტიკის ეფექტი და გაზრდილი ლიკვიდობის მოთხოვნები უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ რესურსებზე კვლავ შენარჩუნდა 2020 წელს, რამაც მთლიანი საპროცენტო გადასახადი იგივე დონეზე 5,7% დატოვა 2020 წლის ბოლოსთვის (5,7% 2019 წლის ბოლოს). ამრიგად, მთლიანი საპროცენტო სარგებლის შემცირებამ და სტაბილურმა საპროცენტო ხარჯმა უარყოფითი გავლენა იქონია წმინდა საპროცენტო განაკვეთზე (NIM). საშუალო საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივების 214 მლნ ლარით გაზრდამ დაბალი ან თუნდაც ნეგატიური უკუგებით, ასევე მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი NIM-ის შემცირებას. მიუხედავად ამისა წმინდა საპროცენტო მარჟა საკმაოდ მყარია, რათა უზრუნველყოს მომდევნო წლებში წმინდა შემოსავლების დამატებით ზრდას პოზიტიური მოლოდინების პირობებში და ზოგადად ხელი შეუწყოს მაღალი შემოსავლის მქონე აქტივების წილის ზრდას.

წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი. არასაპროცენტო შემოსავალი ხელს უწყობს შემოსავლის გამომუშავების სტაბილურობას. შემოსავლების 19% არაპროცენტო საქმიანობიდან მოდის. პანდემიამ შეანელა ჯგუფის შვილობილი კომპანიების ზრდა. თუმცა, ლიზინგის და დაზღვევის წილი არასაპროცენტო საქმიანობაში 30%-ია. ლიზინგს, როგორც სწრაფად მზარდ კომპანიას, შემოსავლები სამჯერ გაეზარდა, ხოლო დაზღვევის წმინდა შემოსავალი შედარებით სტაბილური დარჩა. საკომისიო შემოსავალმა უარყოფითი გავლენა მოახდინა არაპროცენტო შემოსავლების გამომუშავებაზე. შენელებულმა ეკონომიკურმა საქმიანობამ შეამცირა წმინდა საკომისიო შემოსავლები, ოპერაციებში შედარებით შეზღუდული ბრუნვის გამო, რომელიც 2019 წელთან შედარებით 10%-ით შემცირდა. შედეგად, არასაპროცენტო შემოსავლების ზრდამ 2020 წლის ბოლოსთვის -10.6% შეადგინა.

საოპერაციო ხარჯები. საანგარიშო წლის განმავლობაში ჯგუფმა წარმატებით მოახერხა საოპერაციო ხარჯების გონივრულ დონეზე შენარჩუნება. ჯგუფმა ადმინისტრაციული ხარჯების 3.8%-ით შემცირება შეძლო (31.2 მლნ ლარი 2020 წლისთვის, 32.4 მლნ ლარი 2019 წლისთვის). ბანკმა ეფექტურობას ბანკის მენეჯმენტისთვის პრემიების შემცირებით და ხარჯების დაზოგვის სხვა კორექტირებით მიაღწია. სტრატეგიული პროექტების დაფინანსება 2020 წლის განმავლობაში სტაბილურად გაგრძელდა.

სახსრების უმეტესი ნაწილი დაიხარჯა პერსონალის შემადგენლობაზე - ადმინისტრაციული ხარჯების 58% 2020 წელს და 61% 2019 წელს. სარეკლამო და მარკეტინგული კამპანიების დაფინანსება 2020 წელს ტემპს ინარჩუნებს. ეს დაგვეხმარა 2020 წელს ჯგუფის მიზნების შესაბამისად პოზიტიური შედეგების მიღწევაში. ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობა შეადგენს 46.6%-ს, სადაც 26.9% გამოყოფილია კომპენსაციის კოეფიციენტზე და 19.7% საოპერაციო ხარჯებში შემავალ სხვა ხარჯებზე (არასაკომპენსაციო კოეფიციენტი).

რისკის ხარჯი. ეკონომიკური ვარდნა და გაურკვევლობა მომავლის მოვლენების შესახებ, პერიოდული ლოქდაუნები და ჯგუფის კონსერვატიული მიდგომები სესხების უფრო მაღალი დარეზერვებით დასრულდა. 2020 წლის ბოლოს სთეიჯ 3 სესხების წილმა მთლიან პორტფელში 7.5%-ი შეადგენდა (5.4% - 2019). აქტივების ჯანსაღი ბაზა და გაფუჭებული აქტივების ეფექტური მართვა ანეიტრალებს ბიზნესის გამკაცრებული პირობების მძიმე ეფექტს.

GLP–ის (მთლიანი სესხის პორტფელი) რისკის ღირებულებამ 9.5 მილიონი ლარი შეადგინა (2019: 0.7 მილიონი ლარი), რაც მთლიან ეკონომიკურ შენელებას ასახავს. შესაბამისად, რისკის ღირებულება შეფარდებული GLP კოეფიციენტთან 2020 წლის ბოლოს 0.93%-მდე გაიზარდა (0.08% 2019 წელს). გაუფასურების რეზერვებზე შემდგომი გავლენა იქონია ბანკებზე გაზრდილმა პოზიციებმა და ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების (მთავრობის და კორპორაციების ობლიგაციები) საინვესტიციო პორტფელის პოზიციის გაზრდამ. წლიური რისკის პოზიციის მთლიანი რეზერვი იყო 10.0 მლნ ლარი (2019 წელი: 1.1 მლნ ლარი).


მოგების გადასახადის ხარჯები. საშემოსავლო გადასახადის ხარჯებმა 1.5 მილიონი ლარი შეადგინა (2019 წელი: 2.6 მილიონი ლარი), ეს მაჩვენებელი 1.1 მილიონი ლარით შემცირდა, რაც დაბეგვრამდე დაბალ შემოსავალთანაა დაკავშირებული (EBT).


წლის წმინდა შედეგები. შემოსავლების ზომიერი ზრდის და ხარჯებზე მკვეთრი ზემოქმედების პირობებში ჯგუფმა 5.3 მლნ ლარით ნაკლები წმინდა დარეზერვებამდე შემოსავალი მიიღო. ამასთან, გაუფასურების ხარჯებმა კიდევ უფრო უარყოფითი გავლენა მოახდინა წლის ბოლოს შედეგზე და 24.2 მლნ ლარი წმინდა შემოსავალი განაპირობა (2019 წელი: 37.3 მლნ ლარი).

საბალანსო უწყისის პოზიცია

	2020		2019		2020 წლის კონსოლიდ შედეგების წლიური ცვლილება	
(მილიონი ლარი)	ბანკი	კონსოლიდ ირებული	ბანკი	კონსოლიდ ირებული	სხვაობა	in %
ფასიანი ქაღალდები	285	286	202	203	83	41%
მთლ სას. პორტ (GLP)	**1,101**	**1,101**	**1,000**	**1,000**	**101**	**10%**
მათ შორის:						
გიზნეს სესხები	885	885	797	797	88	11%
საცალო სესხები	216	216	203	203	13	6%
სესხ. გაუფას. რეზერვი	(26)	(26)	(15)	(15)	(11)	69%
წმინდა სესხები	**1,075**	**1,075**	**985**	**985**	**90**	**9%**
მთლიანი აქტივები	**2,058**	**2,069**	**1,689**	**1,701**	**368**	**22%**
მთლ. კლიენტ. დეპოზ.	**940**	**939**	**770**	**769**	**170**	**22%**
მათ შორის:						
მოთხოვნამდე	490	489	368	368	121	33%
ვადიანი	450	450	402	401	49	12%
IFI-დან ნასესხ. სახს.	477	477	429	429	48	11%
მთლიანი ვალდებ.	**1,754**	**1,760**	**1,409**	**1,417**	**343**	**24%**
მთლიანი კაპიტალი	**304**	**309**	**280**	**284**	**25**	**9%**


ჯგუფის სტაბილურ ფინანსურ შედეგებს მაღალი ხარისხის აქტივები და კონკურენტული შედეგები უზრუნველყოფს. შენელებული ეკონომიკის მიუხედავად, ჯგუფის აქტივები სტაბილურად იზრდება და ბაზარზე არსებულ პოზიციას ინარჩუნებს.





მთლიანი აქტივები 368 მლნ ლარით გაიზარდა, ანუ +22% წლიური ზრდა აჩვენა, რის შედეგადაც მთლიანმა კონსოლიდირებულმა აქტივებმა 2020 წლის ბოლოს 2.1 მლრდ ლარი შეადგინა (2019 წელი: 1.7 მლრდ ლარი). ზრდა ძირითადად მთლიანი სასესხო პორტფელის, ფასიანი ქაღალდების პორტფელის და ბანკებში განთავსებების ზრდის შედეგად მივიღეთ. მთლიანი აქტივების ზრდაში სასესხო პორტფელის წმინდა ზრდამ 25% შეადგინა, ხოლო ფასიანი ქაღალდებისამ 23%. წლიური ზრდის თითქმის 48% მოდიოდა ბანკების პოზიციებზე და სებ-ში[4] განთავსებულ სავალდებულო რეზერვებზე. ლიკვიდობის გაზრდა ზრდისთვის ჯანსაღ საფუძველს ამზადებს, მომავალ წელს ეკონომიკის აღდგენის კვალდაკვალ.

მთლიანი საკრედიტო პორტფელი. მთლიანი საკრედიტო პორტფელი 2020 წელსაც კი განაგრძობს ზრდას. მან +10% წლიური ზრდა აჩვენა და 2020 წლის ბოლოს 1,1 მილიარდ ლარს მიაღწია. ისტორიულად, ბანკი აქტიურად მხარს უჭერს თავის ბიზნესკლიენტებს და ეხმარება მათ წლიდან წლამდე მდგრად ზრდას. ბიზნეს-სეგმენტი პორტფელის 80%-ს შეადგენს, და მთლიანი პორტფელის ზრდაში 88% წვლილი შეაქვს, მთლიანი აქტივების ზრდაში კი 26%. საცალო სეგმენტი ასევე გაიზარდა (+6% წლიურად 2020 წლის ბოლოს) და მთლიან პორტფელში სტაბილური წილი შეინარჩუნა (20% როგორც 2020 წელს, ისე 2019 წელს).



2020 წლის ბოლოს ბიზნესის სეგმენტის ზრდამ წლიურად 88 მილიონი ლარი შეადგინა, საცალო სეგმენტისამ - წლიური 13 მილიონი ლარი. მთლიანი პორტფელის ფორმირებაში ძირითადი ადგილი კორპორაციულ და მცირე და საშუალო ბიზნესის სესხებს უჭირავს. ეროვნული ვალუტის დევალვაციის მიუხედავად, მთლიანი სასესხო პორტფელის კომპოზიცია ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების ოდნავ მზარდ წილთან 45%-ით შეიცვალა (2019: 44%).

სასესხო პორტფელის შემადგენლობა


ბიზნესის პორტფელი იმგვარ დივერსიფიკაციას აგრძელებს, რაც წინა წლებში ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიამ ძლიერ დააზარალა სასტუმროების და რესტორნების, და მომსახურების სექტორები, ისინი პორტფელში მაინც საკმაო ადგილს იკავებენ, რისკების

4

მართვის შიდა პოლიტიკა კი ამ სექტორზე გაცემული სესხების სიჯანსაღეს უზრუნველყოფს. ამასთან ერთად, ბანკის და მთავრობის წამახალისებელი ღონისძიებები ამ ბიზნესებს რთული სიტუაციიდან გამოსვლაში და გაუარესებულ პირობებთან გამკლავებაში ეხმარება. ეკონომიკა ნელნელა იწყებს შენელებული მდგომარეობიდან გამოსვლას.

ბანკის მიერ დაფინანსებული ყველაზე დიდი სექტორებია ტურიზმის და რესტორნების სექტორი, ფინანსური ინსტიტუტები, უძრავი ქონების მართვა და მშენებლობა, ვაჭრობა და მომსახურების სეგმენტები. რისკების მართვის პოლიტიკის ფარგლებში ბანკი აწესებს ინდუსტრიის კონცენტრაციის ლიმიტებს (მაქსიმალური პოზიცია მთლიანი სასესხო პორტფელის 15%), რაც უზრუნველყოფს, რომ სექტორული კონცენტრაცია დაბალი და ზოგადად სტაბილური იყოს.

ბიზნეს სესხების სტრუქტურა



საცალო სეგმენტის მოზიდვა ჯგუფისთვის ამოცანად რჩება. ამიტომ, ჯგუფი სტრატეგიულად ავითარებს სხვადასხვა ხარისხიან პროდუქტებს და სერვისებს. მუდმივად განვითარებადი ციფრული საბანკო სერვისების კვალდაკვალ ბანკმა სხვადასხვა საჭიროებაზე გამიზნული პროდუქტები შექმნა. ბანკი გრძელვადიან ურთიერთობებს ამყარებს კლიენტებთან და პიარკამპანიების გაძლიერებით აპირებს კერძო პირებისთვის არსებული პროდუქტების და მომსახურების შეთავაზებას. 2020 წლის განმავლობაში სავალო სეგმენტის წილი პორტფელში უცვლელად 20% იყო.

აქტივების ხარისხი და საკრედიტო დანაკარგების რეზერვი. მთლიანი სასესხო პორტფელის 10%-იან წლიურ ზრდას უმოქმედო სესხების ზრდაც ახლდა თან. რთული ეკონომიკური პირობების გამო ამ სესხების წილი 2020 წლის ბოლოს 6.2%-ს შეადგენდა (2019: 2.7%). შიდა რისკის აპეტიტი მიუხედავად ამისა კვლავ უზრუნველყოფს პორტფელის ჯანსაღ კომპოზიციას. სააღრიცხვო პოლიტიკამ უკვე გაითვალისწინა კრედიტუნარიანობის გაუარესება და გაზარდა საკრედიტო დანაკარგების რეზერვი. რეზერვი მოსალოდნელი დანაკარგების ნახევარზე მეტს ფარავს, როგორც უმოქმედო სესხების გადაფარვის კოეფიციენტი აჩვენებს - 2020 წლის ბოლოს ეს კოეფიციენტი 56% იყო (2019: 56%).


პორტფელის ხარისხი	*2020*	*2019*
მილიონი ლარი		
მთლიანი სასესხო პორტფელი	**1,101**	**1,000**
მესამე ეტაპის სესხები	83	54
მესამე ეტაპის სესხები GLP-ში	7.5%	5.4%
მათ შორის:		
უმოქმედო სესხები[1]	66	27
უმოქმედო სესხები GLP-ში	6.0%	2.7%
საკრედ დანაკ რეზერვი	**26**	**15**
საკ დანაკ რეზ კოეფიციენტი	2.4%	1.5%
უმოქმედო სესხ გადაფარვა[2]	40%	55%


1 NPL ნიშნავს – 90 დღეზე მეტად ვადაგადაცილებულ სესხს და პოზიციებს, რომლებზეც მენეჯმენტის შეფასებით დაფარვის შესაძლებლობა ნაკლებია

2 NPL დაფარვა ნიშნავს სესხებზე დანაკარგების რეზერვი გაყოფილი NPL პოზიციაზე

ცვლილებები მთლიან ვალდებულებებში. ჯგუფი მიზნეს ოპერაციებს სტაბილური დაფინანსებით უჭერს მხარს, რომელიც ერთგული კლიენტების და დიდი ხნის პარტნიორი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან აქვს მოზიდული. ბანკმა ზრდის სოლიდური საფუძველი შექმნა, რომელსაც ზურგს ძლიერი ლიკვიდობა უმაგრებს. მოზიდული სახსრების ეფექტიანი გამოყენება მხარს დაუჭერს მდგრად ზრდას და სტაბილურ მომგებიანობას. მთლიანი ვალდებულებების ზრდამ წლიურად 24% შეადგინა, და 2020 წლის ბოლოს 1.8 მილიარდ ლარს გაუტოლდა (2019: 1.4 მილიარდი ლარი).


რაც შეეხება ვალდებულებების მხარეს, ბაზისბანკმა შეინარჩუნა კლიენტთა ბაზა და პროფილი, გააუმჯობესა კონცენტრაციის სტრუქტურა და დაფინანსების ბაზის ვადიანობა. ერთგული და დიდი ხნის კლიენტები მხარს უჭერენ ბანკის სტაბილურ დაფინანსებას. საანგარიშო წლის დასაწყისში არსებობდა კლიენტთა ანგარიშების მასიური გადინების რისკი. თუმცა, პირიქით მოხდა. დეპოზიტების ბაზა სტაბილურად შენარჩუნდა, გაფართოვდა კიდეც და სახსრების ზრდის ნახევარს შეუწყო ხელი. 2020 წლის ბოლოს მთლიანი ნასესხები სახსრები წლიურად 343 მილიონი ლარით გაიზარდა.





ვალდებულებების მთავარი წყარო კლიენტთა დეპოზიტები და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან და სხვა შიდა ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სახსრებია. მეტიც, კლიენტების ანგარიშები და სხვა ბანკების განთავსებები მთლიანი სახსრების წლიური ზრდის წყაროა. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მოზიდული სახსრები 2020 წლის სახსრების წლიურ ზრდაში შედარებით მოკრძალებულ როლს თამაშობს (მთლიანი ვალდებულებების ზრდის 14% საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მოზიდული სახსრებით ფინანსდება; 50% კლიენტთა დეპოზიტებით, 35% კი ბანკების განთავსებებით).


კლიენტთა დეპოზიტები. ეს წელი კლიენტების ბანკისადმი ნდობაში გვარწმუნებს. კლიენტთა ანგარიშები მხარს უჭერს ჯგუფის დაფინანსების რესურსების სტაბილურობას. გაურკვევლობის მიუხედავად, კლიენტები უფრო მეტ სახსრებს ათავსებენ ვადიანი და მიმდინარე/მოთხოვნის ანგარიშებზე. კლიენტთა დეპოზიტების საბალანსო ღირებულება წელიწადში170 მლნ ლარით გაიზარდადა 2020 წლისთვის 939 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის 49 მლნ ლარი იყო ვადიანი დეპოზიტებიდან და 121 მლნ ლარი მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშებიდან. ფიზიკურ პირებს კლიენტების მთლიან დეპოზიტებში კვლავ მნიშვნელოვანი წილი აქვთ: 38% 2020 წლის მონაცემებით (2019: 43%).
აღსანიშნავია, რომ 2020 წლის ბოლოს ფიზიკურმა პირებმა საბანკო ანგარიშებზე განთავსება 24 მილიონი ლარით გაზარდეს; ზრდის უმრავლესობა ეხება ვადიან დეპოზიტებს. ფიზიკური პირების გარდა, იურიდიული პირები და სახელმწიფო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სადეპოზიტო პორტფელის სტრუქტურირებაში. ეროვნული ეკონომიკის წამყვანი ინდუსტრიების მსხვილი კორპორაციები პორტფელის მნიშვნელოვან ნაწილს იკავებენ. განსაკუთრებით იზრდება ფინანსური ინსტიტუტების, მომსახურების, განათლებისა და უძრავი ქონების განვითარების კომპანიების ანაბრები.



სხვა დაფინანსება. დაფინანსების მეორე წყაროა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების 477 მლნ ლარის ვადიანი სესხები და 304 მლნ ლარის ოდენობის ბანკთაშორისი სესხები. მთლიანი სესხები წლიურად 27%-ით გაიზარდა და დაფინანსების მხრიდან მთლიანი აქტივების ზრდის 49% აანაზღაურა.

ბანკი აფორმებს ახალ შეთანხმებებს EBRD, ADB, CDB, EFSE და სხვებთან, რათა ხელი შეუწყოს ადგილობრივი მსხვილი და მცირე და საშუალო ბიზნესის მდგრად განვითარებას ისეთი

გარემოსდაცვითი პრაქტიკის დანერგვით, როგორიცაა ენერგოეფექტურობა, მწვანე დაკრედიტება, ბინათმშენებლობის საბინაო პროექტები, მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსება და სხვა. ბიზნესის ხელშემწყობი გარემო ბანკის შემდგომი განვითარების საწინდარია.



2020 წლის განმავლობაში ბანკმა დაახლოებით 184 მილიონი ლარის ექვივალენტი დამატებითი თანხა მოიზიდა ისეთი პარტნიორებისგან, როგორიცაა EBRD, CDB, ADB, Commerzbank, Black Sea Trade and Development Bank (BSTDB), BANCA POPOLARE DI SONDRIO SCPA და Finance in Motion.

ბაზისბანკი ხელს უწყობს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას; ეხმარება ენერგოეფექტური პრაქტიკის დამკვიდრებაში და მათ საწარმოებში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაში. სავაჭრო ხელშეკრულებები ევროპასთან (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (DCFTA) და ჩინეთთან ახალ შესაძლებლობებს ქმნის ადგილობრივი ბიზნესისათვის, თუმცა, ბაზრების გახსნა აძლიერებს კონკურენციას ადგილობრივი ფირმებისთვის, რაც დამატებით ძალისხმევას და მნიშვნელოვან ფინანსებს მოითხოვს. სახსრების დამატებითი საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ბაზისბანკი აგრძელებს მუშაობას მაღალი რეპუტაციის მქონე დონორ ფინანსურ ინსტიტუტებთან ახალ პროექტებზე, სხვადასხვა გრძელვადიანი და მოკლევადიანი დაფინანსების დივერსიფიკაციისა და დაბალანსებისთვის, მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ფინანსური რესურსების უკეთესი ბალანსის დასაცავად, სხვადასხვა ვალუტების, აგრეთვე დარგობრივი და პროდუქტების კომბინაციების უზრუნველსაყოფად; გაითვალისწინებს მოზიდული დაფინანსების ოპტიმალურ ეფექტიანობას მარჟების და ხარჯების გათვალისწინებით, ვადიანობის მახასიათებლებს და პროდუქტის მოქნილობას. პროექტები ბანკს მხარს უჭერს მოკლევადიანი ლიკვიდობის საჭიროებების მხარდაჭერაში. უფრო ხანგრძლივი პროექტები ეკონომიკის მთავარ სექტორებს ეხმარება: მცირე და საშუალო ბიზნესის, ენერგეტიკის, წარმოების, მშენებლობის, იპოთეკური საცალო სესხების და ა.შ.

ცვლილებები კაპიტალში. სააქციო კაპიტალი წლიურად 25 მლნ ლარით გაიზარდა და 2020 წელს მთლიან კაპიტალში 309 მლნ ლარი, წვლილი შეიტანა. კაპიტალი შედგება 91 მლნ ლარის საწესდებო კაპიტალისგან, რომელიც გაფართოვდა 206 მლნ ლარის გაუნაწილებელი

მოგებით. აღსანიშნავია, რომ სააქციო კაპიტალის 96% მოიცავს მატერიალურ კაპიტალს, დანარჩენი ნაწილი კი შენობების გადაფასების რეზერვს.

ჰუალინგ დაზღვევის ფინანსური მდგომარეობის და შედეგების მთავარი მაჩვენებლები

მილიონი ლარი	2020	2019	ცვლილება 2020	
ფული და ფულის ეკვივალენტები	9.4	7.8	1.6	21.0%
დაზღვევის აქტივები	5.7	7.3	(1.6)	-21.8%
მთლიანი აქტივები	**17.4**	**15.5**	**1.9**	**12.1%**
დაზღვევის ვალდებულებები	6.4	7.7	(1.3)	-16.9%
მთლიანი ვალდებულებები	**6.8**	**8.0**	**(1.2)**	**-14.9%**
მთლიანი კაპიტალი	**10.6**	**7.5**	**3.1**	**40.6%**
წმინდა საოპერაციო შემოსავლები	3.9	4.4	(0.6)	-12.7%
საოპერაციო მოგება გაუფასურებამდე	1.5	2.3	(0.9)	-37.2%
მოგება(ზარალი) მოგების გადასახადამდე	1.6	1.9	(0.3)	-16.6%
წმინდა მოგება (ზარალი)	1.4	1.6	(0.3)	-17.1%

პანდემიამ "ჰუალინგ დაზღვევის" ოპერაციებზე ზრდის შესაძლებლობების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. 2020 წლის დასაწყისში, ზრდის პერსპექტივები მაღალი იყო, რასაც მოჰყვა დაბალი სავარაუდო ზარალები, 2020 წლის აპრილისთვის 19%. თუმცა, წლის განმავლობაში მოთხოვნა სადაზღვევო მომსახურებაზე შემცირდა. ლოქდაუნის შეზღუდვებმა მნიშვნელოვნად იმოქმედა იმ სფეროებზე, რომლებიც საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს; ეს ძირითადად შეეხო ბიზნესს, რომელიც დაკავშირებულია სასტუმროებთან, რესტორნებთან და კვების ობიექტებთან („HORECA, საზოგადოებრივი ადგილები, როგორიცაა მაღაზიები/სავაჭრო ცენტრები და მომსახურების სფეროები, მათ შორის ტრანსპორტი, ბაზრები, მომხმარებელთა მოთხოვნის სტიმულირება, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს არა-ჯანმრთელობის დაზღვევის ბიზნესზე.) ბაზარზე საცალო დაზღვევის აქტივობის მნიშვნელოვანი შემცირება დაფიქსირდა, ლოქდაუნის პერიოდის გამო მცირდებოდა მოსახლეობის მხრიდან საავტომობილო დაზღვევის შეძენის სურვილი (კომპანიის მთავარი პროდუქტი). იმ პერიოდში მევრმა კლიენტმა მოითხოვა სადაზღვევო პოლისის შეჩერება ან გაუქმება. კორპორაციების აქტივობაც შემცირდა, თუმცა უფრო მცირე მასშტაბით.

თუმცა ზოგიერთ მიმართულებას, როგორიცაა სასტუმროების ბიზნესი, COVID-19 სერიოზულად შეეხო, ამიტომ მათი უმრავლესობა მიმდინარე პოლიტიკის განახლებისგან თავს იკავებდა. ასეთ გარემოებებში კომპანია ინარჩუნებს სათანადო ლიკვიდურობას და აქტივებს, რათა შეძლოს ზრდის ტემპის შენარჩუნება, როცა ეკონომიკა თანდათანობით გამოჯანმრთელებას დაიწყებს.

პანდემიის გავლენის გათვალისწინებით, ჰუალინგ დაზღვევამ წელიწადი საკმაოდ კარგი შედეგებით დაასრულა. წმინდა საოპერაციო შემოსავლებმა 3.9 მლნ ლარს მიაღწია, რაც 0.6-ით ნაკლებია წინა წლის შემოსავალზე. შემოსავლების ეფექტურმა განაწილებამ/ხარჯვამ ხელი შეუწყო წმინდა შემოსავალს 1.4 მლნ ლარს (-0.3 მლნ ლარი წლიურად).

გაუფასურებამდელმა ოპერაციულმა მოგებამ საშუალო კაპიტალის 16.0% და საშუალო აქტივების 8.8% შეადგინა. ასეთი შემოსავალი 2020 წლის ბოლოს უზრუნველყოფდა მაღალი მომგებიანობის მაჩვენებელს AROE -ზე, 15.0%-ს, ხოლო AROA–ზე 8.3%-ს.

BB ლიზინგის ფინანსური მდგომარეობის და შედეგების მთავარი მაჩვენებლები

ათასი ლარი	*2020*	*2019*
ფული და ფულის ეკვივალენტები	6,480	1,655
ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები	5,069	3,112
მთლიანი აქტივები	12,114	5,110
მთლიანი კაპიტალი	11,803	4,967
წმინდა საოპერაციო შემოსავლები	1,927	384
ადმინისტრაციული ხარჯები	(1,090)	(415)
წმინდა მოგება	837	(30)

ოპერაციების მეორე წელი საკმაოდ რთული აღმოჩნდა BB ლიზინგისთვის. კომპანიამ მოახერხა მეტი მომხმარებლის მოზიდვა და ლიზინგის პორტფელის 2 მლნ ლარით გაფართოება, რაც 2020 წლის ბოლოსთვის 5.1 მლნ ლარს აღემატება. მიუხედავად დესტრუქციული ეკონომიკური პირობებისა, პიარკამპანიებმა ხელი შეუწყო მომხმარებელთა სამიზნე ბაზრის გაფართოებას. კომპანია არ იყენებს რაიმე მნიშვნელოვან ბერკეტს. თითქმის ყველა საქმიანობა აქციონერის კაპიტალით - დაახლოებით 12 მილიონი ლარითაა დაფინანსებული.

2020 წელი იყო რთული წელი ბიზნესისა და საცალო ვაჭრობისთვის და უფრო ფრთხილი ხარჯვით ხასიათდებოდა, რაც კორონავირუსული პანდემიის ირგვლივ არსებული ეკონომიკური გაურკვევლობით იყო გამოწვეული, გავლენას ახდენდა მომხმარებელთა ნდობაზე და ამცირებდა მოთხოვნას. გასულ წელს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, სხვადასხვა დონეზე ქსელის შექმნას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა კომპანიებისთვის. ეს ერთადერთი გზაა მიმდინარე გამოწვევებთან გასამკლავებლად და სინერგიისა და შესაძლებლობების მიზანმიმართულად, სამომავლოდ შესაქმნელად. როდესაც პანდემიის რისკი გამოჩნდა და ქვეყნის ეკონომიკური ჩაკეტვა გარდაუვალი იყო, BB ლიზინგი ინდივიდუალურად მუშაობდა ყველა კლიენტთან; კომპანიამ კლიენტთა 41%-ს დაფარვებზე 3 თვიანი მორატორიუმის პერიოდი შესთავაზა, რითაც კლიენტების ფინანსური მდგომარეობა დაიცვა ლიზინგის გრაფიკის მეშვეობით. გარდა ამისა, კომპანიამ მიიღო სიფრთხილის ზომები, გაამკაცრა რისკის აპეტიტი, გაზარდა ავანსების გადახდის მოთხოვნა და დროებით შეაჩერა კრიზისის მიმართ დაუცველი სექტორების - ტურიზმის და ტაქსის სერვისების დაფინანსება.

პირველი წლის ოპერაციებმა დააგროვა წმინდა საოპერაციო შემოსავლები 2 მილიონი ლარის ოდენობით. მომდევნო წლებში BHL გააძლიერებს საქმიანობას კლიენტთა ფართო ბაზის მისაღწევად მათთვის მოწინავე პროდუქტების მიწოდებით.

ლიკვიდობა და კაპიტალი

2020 წლის განმავლობაში ჯგუფი უარყოფით ეკონომიკურ პირობებს უმკლავდებოდა. რთული ეკონომიკური გარემოს მიუხედავად, დაფინანსების და ლიკვიდობის პოზიციები ძლიერია, მთლიანი აქტივების ხარისხი კი საკმარისად მყარია, რათა უზრუნველყოს ჯგუფის სტაბილურობა და მომავალი ზრდა. მინიმალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად კაპიტალი და ლიკვიდობის პოზიციები მუდმივ კონტროლს ექვემდებარება. გარდა ამისა, ჯგუფი ინარჩუნებს ძლიერ ლიკვიდობას კაპიტალის ბუფერებს მარეგულირებლის მინიმალურ მოთხოვნებთან შედარებით.

ჯგუფის ლიკვიდური აქტივები უზრუნველყოფილია გრძელვადიანი ფონდებით, რომელიც ფინანსდება ბანკის სტაბილური პარტნიორების მიერ - კლიენტები, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და პარტნიორი ბანკების სახსრები. ლიკვიდური აქტივები მთლიანი აქტივების მზარდ ნაწილს იკავებს და მთლიანი ვალდებულებების ნახევარზე მეტს მოიცავს. კლიენტების ანგარიშები უფრო დიდი ტემპით იზრდებოდა, ვიდრე მთლიანი სასესხო პორტფელი, რაც სესხებისა და დეპოზიტების თანაფარდობის დაბალი კოეფიციენტითაა განპირობებული.

ლიკვიდობის კოეფიციენტები ლიკვიდობის პოზიციების აშკარა გაუმჯობესებაზე მიანიშნებს.

დაფინანსება	2020	2019
სესხები/დეპოზიტები	117%	131%
ლიკვიდური აქტივები*/ მთლიანი ვალდებულებები	51%	44%
ლიკვიდური აქტივები/ მთლიანი აქტივები	44%	37%

*ლიკვიდური აქტივები მოიცავს მთლიან ფულს და ფულის ეკვივალენტებს და ფასიანი ქაღალდების პორტფელს.

ლიკვიდური აქტივები, რომლებიც მთლიანი აქტივების 44%-ს შეადგენდა, წლიურად 42%-ით გაიზარდა. ზრდა მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების (HQLA) ხარჯზე მოხდა, რომლებიც წლიურად 56%-ით გაიზარდა. მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები შედგება: ნაღდი ფულისგან, ფულის ეკვივალენტების და მაღალლიკვიდური აქტივებისგან. ეს ლიკვიდობის დაფარვის მაღალ კოეფიციენტს უზრუნველყოფს: წლის ბოლოს ეს მაჩვენებელი 164% იყო. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური სირთულეების მიუხედავად ბანკმა გააუმჯობესა თავისი ლიკვიდურობის მდგომარეობა.

ბანკი სებ-ს ყოველდღიურ ანგარიშს წარუდგენს ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტის (LCR) შესახებ. ეს კოეფიციენტი აღნიშნავს ფინანსური ინსტიტუტების მფლობელობაში არსებული მაღალლიკვიდური აქტივების პროპორციას, რათა მათ შეძლონ მოკლევადიანი ვალდებულებების გასტუმრება. სებ-ი ლიკვიდობის დაფარვაზე სხვადასხვა ლიმიტს აწესებს ეროვნული და უცხოური ვალუტებისთვის. კოეფიციენტი უზრუნველყოფს მოკლევადიანი ლიკვიდობის რისკის უკეთ მართვას გაზელი III-ით. მინიმალური მოთხოვნა 30 დღის მოსალოდნელი ფულის გადინებაზე 100%-იანი ლიკვიდობის დაფარვაა. კოეფიციენტი მომავალი თვის მოსალოდნელ გადინებას ანგარიშობს.

წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR) სებ-მა 2019 წელს შემოიღო გაზელი III -ის ჩარჩოს ფარგლებში. კოეფიციენტი განსაზღვრავს შედარებით გრძელვადიანი დაფინანსების საჭიროებას, რასაც მხარს უჭერს იმ ვალდებულებების დასაფარად საჭირო სტაბილური წყაროები, რომლებიც წარმოიშობა აქტივებზე საჭირო სტაბილური დაფინანსებიდან. კოეფიციენტზე დაწესებული ლიმიტი 100%-ია, რაც წარმოადგენს სტაბილური დაფინანსების არსებულ ოდენობას, გაყოფილს საჭირო ოდენობაზე.

ბანკის LCR და NSFR პოზიციები ილუსტრირებულია ქვემოთ:

ლიკვიდობის მოთხოვნა მილიონ ლარში	2020	2019
მაღალხარისხიანი ლიკვიდური აქტივები	625	401
მთლიანი შემოდინებები	44	26
მთლიანი გადინებები	419	270

წმინდა გადინებები	375	244
LCR კოეფიციენტი %	167%	164%

ლიკვიდობის მოთხოვნა მილიონ ლარში	**2020**	**2019**
არსებული სტაბილური დაფინანსება	1,080	1,009
სტაბილური დაფინანსების საჭირო ოდენობა	833	789
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი %	129.7%	127.8%

საკრედიტო რეიტინგი

ნოემბერში Fitch Ratings–მა დაასრულა რეიტინგის განხილვა და დაადასტურა ბაზისბანკის (IDR) 'B+' ნეგატიური პერსპექტივით. (2021 წლის ივნისში პერსპექტივა გადაიხედა და გახდა „სტაბილური“). რეიტინგი ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას ხარისხის, მომგებიანობის და კაპიტალიზაციის თვალსაზრისით. ნეგატიური პერსპექტივა ასახავს სუსტ ეკონომიკურ გარემოს და Fitch–ის შეფასებას მცირე ქართული ეკონომიკის დაუცველობის შესახებ საერთო სტრესის, ჯანდაცვის კრიზისისა და ლოქდაუნების ფონზე.

COVID-19-ის ეპიდემიამ ქართული ბანკების პერსპექტივის შეცვლა გამოიწვია. ის “სტაბილურიდან” “ნეგატიურით“ შეიცვალა, ეკონომიკური და ფინანსური ბაზრების შემცირების და გაჯანსაღების სავარაუდო დროსთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამო. მთავრობის მიერ გატარებულმა ზომებმა და ეროვნული ბანკის მიერ ინიცირებულმა მასტიმულირებელმა საშუალებებმა ბანკების მიერ მიღებულ ზომებთან ერთად შეამცირა მსესხებლებზე ზეწოლა აღდგენის საფუძველი შექმნა. დაფარვებზე შეთავაზებულმა არდადეგებმა ადგილობრივ ბიზნესს ამოსუნთქვის და სამომავლო განვითარების საშუალება მისცა; 2020 წელმა საქართველოს საბანკო სისტემის ძლიერი ფინანსური მდგომარეობა დაადასტურა და პოზიტიური მოლოდინი გააჩინა, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს „ნეგატიური“ პერსპექტივის გადახედვას.

კაპიტალის ადეკვატურობა და საზედამხედველო ნორმების შესრულება

2020 წელი საკმაოდ მაღალი და მყარი კაპიტალის ადეკვატურობით დასრულდა. მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 2020 წლის ბოლოს 17.5% იყო (2019: 19.0%). ეკონომიკური გარემოს მკვეთრი გაუარესების გამო ეროვნულმა ბანკმა კაპიტალზე მინიმალური მოთხოვნები შეამცირა. სებ-ის მიერ გატარებული ზომები უზრუნველყოფს საკმაოდ სანდო შერბილების მექანიზმს მარეგულირებელ კაპიტალზე მინიმალურ მოთხოვნებზე ზემოთ. კაპიტალის მოთხოვნა ანგარიშდება სებ-ის ახალი რეგულაციით „კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები კომერციული ბანკებისთვის“ რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 31 დეკემბერს. რეგულაციის პრინციპები კაპიტალის იმ ბაზას ეყრდნობა, რომელიც დააწესა ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტმა ბაზელი 3 სერიით, და 2013 წლის 26 ივნისს დამტკიცებული ევროგაერთიანების 575/2013 დირექტივებითა და რეგულაციებით.
მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები ორი პილარით განისაზღვრება: პილარი 1 აწესებს საზედამხედველო კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებს, პილარი 2 - საზედამხედველო შემოწმების პროცესს - კომერციული ბანკების კაპიტალის ბუფერის მოთხოვნების შესახებ რეგულაციას.

საზედამხედველო სისტემის პილარი 1 განსაზღვრავს რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებს, რომლებიც მოიცავს საკრედიტო რისკს, საბაზრო და საოპერაციო რისკებს.

რისკის პოზიციების კალკულაციის შესახებ არსებული რეგულაციით, ბანკი სტანდარტულ მიდგომას იყენებს. საოპერაციო რისკის კაპიტალის მოთხოვნები იანგარიშება საბაზო ინდიკატორის მიდგომით და წინა სამი წლის წმინდა საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავლიდან მიღებული მთლიანი შემოსავლის საშუალო თანხის 15%-ს გამოყოფს.

RWA 2020 წლის ბოლოს და 2019 ასეთია:

მილიონი ლარი	2020	2019
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები საკრედიტო რისკისთვის	1,385	1,245
საბალანსო მუხლები	1,320	1,151
გარეგბალანსური მუხლები	65	93
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები საბაზრო რისკისთვის	17	3
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები საოპერაციო რისკისთვის	117	112
მთლიანი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	1,519	1,360

1-ლი პილარის ჩარჩო მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებს შემდეგნაირად ადგენს:

- პირველი საფეხურის ჩვეულებრივი კაპიტალის (CET 1) კოეფიციენტი 4.5%
- პირველი საფეხურის კაპიტალის კოეფიციენტი 6%
- საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი 8%

1-ლი პილარით განსაზღვრული მინიმალური კაპიტალის მოთხოვნასთან ერთად, ბანკს მოეთხოვება შემდეგი კომპონენტებისგან შემდგარი მოთხოვნების შესრულება:

- კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი განისაზღვრება, როგორც რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 2.5% და განსაზღვრულია სტრესის შემთხვევაში ზარალის დაფარვას;
- კაპიტალის კონტრციკლური ბუფერი - ბაზელი 3-ის ფარგლებში შეიქმნა და ერთ-ერთი მთავარი მაკროპრუდენციული პოლიტიკის ინსტრუმენტია. მისი მიზანია კრედიტის ისეთი ზრდის შეზღუდვა, რომელიც სისტემური რისკების დაგროვებას იწვევს. კაპიტალის კონტრციკლური ბუფერის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება მთელი რიგი ფაქტორების ანალიზი, მათ შორის სესხების მშპ-სთან ფარდობის კოეფიციენტი და გრძელვადიანი ტრენდიდან გადახვევის ინდიკატორები; დაკრედიტების ტრენდები, ქვეყნის მაკროფინანსური გარემოს სხვა ინდიკატორები და მახასიათებლები და ა.შ. 2020 და 2019 წლის ბოლოს კაპიტალის კონტრციკლური ბუფერი საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 0%-ის დონეზე დაადგინა.
- სისტემურობის ბუფერები - ამ ბუფერებს ადგენენ ცალკე თითოეული კომერციული ბანკისთვის, რომელიც სისტემურად მნიშვნელოვან ბანკად მიიჩნევა. ის ბაზისბანკისთვის რელევანტური არ არის და 2020 და 2019 წლებში 0%-ზე დაადგენეს.

მე-2 პილარი ეხება საზედამხედველო განხილვის და შეფასების პროცესს, რომლის დროსაც საქართველოს ეროვნული ბანკი განიხილავს ბანკების მიერ განხორციელებულ სისტემატიზაციას, სტრატეგიებს, პროცესებს და მექანიზმებს და აფასებს ამ ღონისძიებების ადეკვატურობას იმ რისკებთან მიმართებაში, რომლებიც ამ ფინანსური ინსტიტუტის წინაშე

შეიძლება იდგეს. 1-ლი პილარით განსაზღვრული მინიმალური კაპიტალის მოთხოვნასთან ერთად, ბანკებს კიდევ უნდა ჰქონდეთ კაპიტალის ბუფერები იმ რისკებისთვის, რომლებიც 1-ლი პილარით არაა გათვალისწინებული. (მათ შორის საბაზრო რისკები, რომლებიც 1-ელ პილარში არ შედის, კონცენტრაციის რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი, ლიკვიდობა, სტრატეგია, რეპუტაცია და ა.შ.)

- არაჰეჯირებული ვალუტით გამოწვეული საკრედიტო რისკის ბუფერი;
- საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის ბუფერი, რომელიც სახელის და სექტორული კონცენტრაციის ბუფერებს მოიცავს;
- წმინდა სტრეს-ტესტის ბუფერი, რომელიც წესდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ადმინისტრირებული სტრეს-ტესტების მიხედვით;
- წმინდა GRAPE ბუფერი, რომელიც წესდება საქართველოს ეროვნული ბანკის ზოგადი რისკების შეფასების პროგრამის და ბანკის შიდა კაპიტალის შეფასების მიხედვით.

	2020		*2019*	
კაპიტალის ადეკვატურობა	*მინიმალური მოთხოვნა*	*ფაქტობრივი*	*მინიმალური მოთხოვნა*	*ფაქტობრივი*
მთლიანი CAR	≥7.24%	17.5%	≥10.74%	19.0%
Tier 1 კოეფიციენტი	≥12.27%	15.3%	≥16.18%	16.8%

კაპიტალის ადეკვატურობა გონივრულ დონეზე ნარჩუნდება ძლიერი საზედამხედველო კაპიტალის საშუალებით, რომელიც დაახლოებით 7 მილიონი ლარით გაიზარდა; ამ ზრდის 45% მოდის პირველი საფეხურის კაპიტალზე (გაუნაწილებელი მოგება წარმოადგენს ზრდის ძირითად წყაროს) და 55% მეორე საფეხურის კაპიტალის ინსტრუმენტებიდან. მეორე მხრივ, რისკების მიხედვით შეწონილი პოზიციები გაიზარდა კორპორაციული სესხების ზრდის გამო. რისკის შესამცირებლად ბანკმა შეიძინა რამდენიმე წარმოებულების (დერივატივების) კონტრაქტი სავალუტო პოზიციის ჰეჯირების მიზნით, რამაც გამოიწვია სავალუტო რისკის ბუფერზე მოთხოვნის შემცირება. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების მიზნეს-სესხებში კონცენტრაცია 2019 წელს 62% -დან 2020 წელს 60%-მდე შემცირდა, რამაც ხელი შეუწყო CAR–ის მოთხოვნის გაუმჯობესებას ბიზნეს სეგმენტზე, რითაც კონცენტრაციის ბუფერზე მოთხოვნა 0.72 პპ–ით შემცირდა.

COVID-19-მა შექმნა ზეწოლა რისკის CAR-ზე რომელიც RWAs შეწონაში გაიზარდა არაჰეჯირებული მუხლების უცხოური ვალუტის გამყარების და გარკვეულ სექტორებში აქტივების გაუფასურების გამო. შედეგად, კაპიტალის ზრდა ზომიერი იყო.

2020 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკის საზედამხედველო კაპიტალზე მოთხოვნები შემცირდა, რათა საბანკო სექტორს CAR-ის კოვენანტები არ დაერღვია CAR დონეზე განსაკუთრებით მძიმე ზეწოლის გამო, რომელიც შემდეგიდან გამომდინაეობდა:

- ლარის კურსის მკვეთრი გაუფასურება, რომელიც გავლენას ახდენს და მკვეთრად მაღლა წევს უცხოურ ვალუტაში ნომინირებულ RWA-ს წონას;
- კაპიტალის დონის შემცირება რეზერვებზე გაზრდილი ხარჯების გამო, რომლებიც პანდემიით დაზარალებულ პორტფელებზე შეიქმნა.

ეროვნულმა ბანკმა კაპიტალზე ზეწოლის შესამცირებლად შემდეგი ზომები მიიღო:

- მარტში დაგეგმილი დამატებითი კაპიტალის მოთხოვნების ეტაპობრივი გადადება CET 1-ზე;
- კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის (რისკით შეწონილი აქტივების 2.5%) გათავისუფლება;
- პილარი 2 -ის ბუფერის ნაწილის გათავისუფლება (ვალუტით გამოწვეული საკრედიტო რისკის ბუფერის 2/3);
- ღიად დატოვა ყველა პილარ 2 ბუფერის (CICR, HHI და წმინდა Grape ბუფერები) გათავისუფლების შესაძლებლობა;

ბუფერების შემცირების ოპციის დაშვება ბანკებს ხელს უშლის კაპიტალის ნებისმიერი ფორმით განაწილებაში (დივიდენდის გადახდისა და კაპიტალის ინვესტიციების ჩათვლით) სანამ ბუფერები სრულად არ აღდგება საწყის დონეზე.

2020 წლის ბოლოს BB კაპიტალის კოეფიციენტი 17.5% იყო. CAR–ის განვითარება პანდემიის დროს გამოწვეული იყო:

- ვალუტის კურსის მკვეთრი გაუფასურება, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს RWA-ებში სავალუტო პოზიციების რისკის წონაზე.
- მარეგულირებლის სტანდარტების შესაბამისად 24,1 მლნ ლარის COVID-19-თან დაკავშირებული ზემოქმედებისათვის გაკეთებული რეზერვები;
- კაპიტალის 160 საბაზისო პუნქტი მოხმარდა რეზერვისთვის საჭირო გაზრდილ ასიგნაციებს.

2020 წლის ბოლოსთვის CAR კოეფიციენტი 150 პუნქტით გაიზარდა, ძირითადად, გაზრდილი საოპერაციო შემოსავლების, კორექტირებული რეზერვებისა და ზოგიერთი უმოქმედო აქტივის დაფარვის შედეგად. მთლიანობაში იმ პერიოდის შემოსავალმა შეამცირა ადგილობრივი სტანდარტებით დაფიქსირებული ზარალი დამატებითი დარეზერვების გამო და 2020 წლის განმავლობაში წარმოქმნილი დანაკარგების სრული აღდგენა წლის ბოლოსთვის იქნა მიღწეული.

ახალი ბრძანებით კონსერვაციის ბუფერი 2.5% და +2/3 CICR ამოღებულია კაპიტალის მოთხოვნებიდან. 2020 წლის ბოლოსთვის ბანკი CAR კოეფიციენტს მარეგულირებლის მიმდინარე მოთხოვნაზე მაღლა აჩვენებს, და ასევე სრულად დატვირთულ კაპიტალის ბუფერებზე მაღალ დონეზე აქვს.

ბანკი ინარჩუნებს საკმარის კაპიტალიზაციას BB-ის ზრდის მხარდასაჭერად ჯგუფის მიერ დასახული გეგმის შესაბამისად. სრულად დატვირთული კაპიტალის კოვენანტი არის 16.2%, ბანკი ინარჩუნებს რეალურ CAR-ს 17.5%–ზე.

CAR-ის შესამცირებლად დივიდენდის გადახდა ან ინვესტიციების ზრდა არ არის დაგეგმილი. 2021 წელს მოსალოდნელია სეგ-ის მოთხოვნების შესაბამისად 24,1 მილიონი ლარის ოდენობით კაპიტალზე რეზერვის ხარჯის ნაწილობრივი აღდგენა COVID-19-ის შედეგად რესტრუქტურიზებული სესხებისთვის. სხვა დამატებითი ხარჯები მოსალოდნელი არ არის, რამაც უნდა გაზარდოს საოპერაციო შემოსავლები CAR-ის უფრო მაღალ დონეზე ასაყვანად.

სებ-ის კაპიტალის აღდგენის გეგმა - სებ-ი მოითხოვს, რომ საბანკო სექტორმა აღადგინოს მინიმალური საზედამხედველო დონე, მათ შორის მომდევნო 2 წლის განმავლობაში გამოთავისუფლებული ბუფერები.

რისკების მართვა

რისკების მართვის და კონტროლის სისტემა

რისკების მართვის და კონტროლის სისტემები მნიშვნელოვანია ბანკისა და ჯგუფის სტაბილური და ძლიერი განვითარების უზრუნველსაყოფად, მისი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, რისკების, კაპიტალისა და მუშაობის შედეგების მომხმარებლების, აქციონერების, თანამშრომლებისა და დაინტერესებული მხარეების ინტერესებთან შესათანხმებლად.

რისკების სტრატეგია, იხილება და მტკიცდება საბჭოს დონეზე, გამომდინარეობს მიზნეს სტრატეგიისაგან და განსაზღვრავს იმ მთავარ პრიორიტეტებსა და მიზნებს, რომლებიც ადგენს მათ აღსრულებას და ასახავს ეკონომიკურ, სოციალურ და მარეგულირებელ გარემოში განხორციელებულ ცვლილებებს; უზრუნველყოფს ბანკის რისკების მადის ჩარჩო-დოკუმენტით მიერ განსაზღვრულ საშუალო-დაბალი რისკის პროფილს, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკისა და მარეგულირებელი პრინციპების გათვალისწინებით. რისკების სტრატეგიას განიხილვას და ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო. მისი განხილვა და მასში ცვლილებების შეტანა აუცილებელია ნებისმიერ დროს, ბანკის მიზნეს-სტრატეგიის განახლებისას, მაგრამ სულ მცირე წელიწადში ერთხელ. აუცილებელია, რომ ის ხელმისაწვდომი იყოს მთელი ინსტიტუტისთვის.

რისკის სტრატეგია განსაზღვრავს ჯგუფის მიდგომას რისკების მართვისადმი, ზოგადი მეთოდოლოგიის ჩათვლით, შესაბამისი რისკების დადგენის, შეფასების, კონტროლის, ანგარიშგების და მართვის მიზნით; და რისკების მართვის სტრუქტურას, რომელიც შეიქმნა ამ საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით, ბანკის ყოველდღიურ საქმიანობაში.

რისკების მართვა ხდება პრინციპების ჩარჩოებში, რომლებიც პოლიტიკასა და პროცედურებშია ფორმალურად აღწერილი, და ორგანიზაციული სტრუქტურით, რომელიც მკაფიოდ დელეგირებული უფლებამოსილების დონეებს და გაზომვისა და მონიტორინგის პროცესებს ითვალისწინებს, რომლებიც მჭიდროდ შეესაბამება სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას. მმართველობის ეს ჩარჩო უზრუნველყოფს ბანკის ყოველდღიური საქმიანობისას ყველა დამახასიათებელი რისკის სწორ კონტროლს.

რისკების მართვა

ჯგუფს რისკების მართვის მძლავრი სისტემა აქვს, რომელიც რისკის პროფილის ეფექტურ კონტროლსა და მართვას უზრუნველყოფს, როგორც ეს საბჭოს მიერაა განსაზღვრული.
სტრატეგიულ დონეზე, რისკების მართვის ამოცანები, რომლებსაც მხარს უჭერს რისკების მართვის სტრუქტურა, არის:

- ჯგუფის რისკის აპეტიტის და კაპიტალის გეგმის მიხედვით ბანკის სტრატეგიის შემუშავება;
- რისკების რეაგირების გადაწყვეტილებების ოპტიმიზაცია ბიზნესთან მაქსიმალური მიახლოების გზით;
- იმის უზრუნველყოფა, რომ ბიზნესის ზრდის გეგმებს სათანადოდ მხარს უჭერს რისკების ეფექტიანი ინფრასტრუქტურა;

- რისკების პროფილის იმგვარად მართვა, რომ მისი ფინანსური სიჯანსაღის შენარჩუნება შესაძლებელი იყოს ბიზნესისთვის უაღრესად არასახარბიელო პირობების დადგომისას.

მართვის სისტემას მხარს უჭერს როლების განაწილება დაცვის სამ ხაზს შორის, კომიტეტების მძლავრი ინფრასტრუქტურა, და რისკის განაწილების პასუხისმგებლობა უმაღლესი მენეჯმენტიდან დაწყებული თითეული ბიზნესმიმართლებით, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელით და/ან რისკის ოფიცერით დამთავრებული.


დაცვის ხაზები

ბაზისბანკში რისკების კონტროლი დაცვის სამ ხაზზეა ორგანიზებული:

- სტრუქტურული დანაყოფების დონე - ოპერაციული ყოველდღიური მართვა ბიზნეს-განყოფილებების და მხარდამჭერი ფუნქციების მოვალეობაა, რომელთაგანაც წარმოიშობა რისკები. მათი პასუხისმგებლობა ამ რისკების მართვაა. რისკების მართვაზე პასუხისმგებელი თითო პირი აწესებს და განიხილავს რისკების მართვის ინსტრუმენტებს და საქმიანობის შედეგად წარმოშობილი რისკების მართვის ინსტრუმენტებს, თან უზრუნველყოფს, რომ რისკების ყოველდღიური მართვა რეგულირდება ბანკის პოლიტიკის შესაბამისად და სრულდება ბანკის დეტალური საოპერაციო რეგულაციების თანახმად.
- რისკების დეპარტამენტის დონე - შიდა კონტროლი და შესაბამისობის კონტროლი მისი პასუხისმგებლობაა, რისკების გამოვლენასა და კონტროლთან ერთად. ლიმიტების სისტემას ამუშავებს რისკების დეპარტამენტი, რომელიც შედეგების შესახებ რეგულარულად აცნობებს დირექტორთა საბჭოს. ლიმიტების დარღვევის დროს დირექტორთა საბჭო განსაზღვრავს მიტიგაციის ღონისძიებებს. რისკების მართვის დეპარტამენტი ასევე აკონტროლებს პირველი დაცვის ხაზის საქმიანობას. დაცვის ფუნქციები უზრუნველყოფს, რომ რისკები აპეტიტის მიხედვით იმართება და ორგანიზაციაში დაცულია რისკების მკაცრი კულტურა. ისინი ასევე უზრუნველყოფენ ზედამხედველობას, კონსულტაციას და ექსპერტულ მოსაზრებას რისკებთან დაკავშირებულ საკითხებზე.
- შიდა აუდიტის დონე - უფროსი მენეჯმენტისა და საბჭოსთვის იმის უზრუნველყოფა, რომ პირველი და მეორე ხაზის ძალისხმევა შეესაბამება მოლოდინს. შიდა აუდიტი აკონტროლებს და რეგულარულად ამოწმებს, რომ პოლიტიკა და პროცედურები ადეკვატურია და ეფექტურად ხორციელდება მენეჯმენტში, რომ რისკები კონტროლდება და შეესაბამება ბანკის რისკის აპეტიტის განცხადებას, შიდა რეგულაციებს და ამოწმებს საზედამხედველო და სავალდებულო მოთხოვნებს.


SUPERVISORY BOARD
MANAGEMENT BOARD
FIRST LINE DEFENCE
Operative Controls at business unit level
Self Assessment
SECOND LINE DEFENCE
Risk Management
Compliance
Controlling/ Monitoring
THIRD LINE DEFENCE
Internal Auditors
EXTERNAL AUDITORS
REGULATOR
RISKS
Risk Ownership
Risk Control
Risk Assurance

რისკების მართვის სტრუქტურა ბაზისბანკში



რისკების მართვის სტრუქტურა ბანკში უზრუნველყოფს მოვალეობების განცალკევებას უფროსი მენეჯმენტიდან სხვა სტრუქტურებსა და წინა ხაზის პერსონალზე. რისკების მართვის პასუხისმგებლობა ყველა დონეზეა გადანაწილებული, სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოდან დაწყებული (აღმასრულებელი მენეჯმენტი) თითოეული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელით და რისკების ოფიცრით დამთავრებული.

რისკების მართვის პასუხისმგებლობა დირექტორთა საბჭოს პასუხისმგებლობების ნაწილია. შემდეგ ის დელეგირდება უფროს რისკების მენეჯერებზე და რისკების მართვის კომიტეტებზე, რომლებიც აღსრულებასა და კონტროლზე აგებენ პასუხს. ჯვარედინი რისკების ანალიზი და რეგულარული განხილვა ჯგუფში უზრუნველყოფს რომ ადგილზეა რისკების მართვის პრაქტიკა და რისკის ჰოლისტიკური გაგება. რისკების ზედამხედველობის ფუნქცია და რისკების მართვის სისტემები შემდეგ რისკების მართვის სტრუქტურებზეა განაწილებული:

- სამეთვალყურეო საბჭო,
- დირექტორთა საბჭო,
- აუდიტის კომიტეტი,
- რისკების კომიტეტი,
- აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (“ALCO”),

- რისკების მართვის დეპარტამენტი,
- ხაზინის დეპარტამენტი,
- საკრედიტო კომიტეტები.

სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე - დამოუკიდებელი აუდიტის კომიტეტი და რისკების კომიტეტი, რომლებიც პირდაპირ საბჭოს ექვემდებარება და მიუკერძოებელ ინფორმაციას აწვდი არსებული პოლიტიკის და პროცედურების ადეკვატურობაზე, ჯგუფის რისკების სტრატეგიის შესრულებაზე, რისკის აპეტიტზე და რისკის პოზიციებზე, საზედამხედველო ნორმების შესრულებაზე და სხვა შიდა და გარე რეგულაციებზე;

დირექტორთა საბჭოს დონეზე - დამოუკიდებელი რისკების მართვის სტრუქტურული ერთეული და რისკის პროფილის კომიტეტები საკრედიტო, აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტების დონეზე უზრუნველყოფენ რისკების მართვის ჯანსაღ პრაქტიკას და გადაწყვეტილების მიღების პროცესს; რისკების მართვის ანალიტიკური და გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტებს; ფინანსური და მენეჯერული ანგარიშგების ამომწურავ სისტემას საზედამხედველო მოთხოვნის და მენეჯმენტის საჭიროებების შესასრულებლად; სხვადასხვა ტიპების რისკების მიკვლევა და კლასიფიკაცია, რომელიც ჯგუფის წინაშე პოტენციურად დგას; პოლიტიკა, პროცედურები და გაიდლაინები, რომლებიც ორგანიზაციის შიგნით რისკების მართვას განაგებს.

სამეთვალყურეო საბჭო „ქმნის ამინდს“, ამკვიდრებს და იცავს მაღალი ეთიკის და პასუხისმგებლობის კულტურას. საბჭოს ზოგადი პასუხისმგებლობაა რისკების მართვის ჩარჩოს კონტროლი. როგორც ბანკის უმაღლესი მმართველობითი ორგანო, სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს და აკონტროლებს ბანკის სტრატეგიის განხორციელებას და მის მიუჯეტს, აწესებს ზოგად მიდგომებს და რისკის მართვის პრინციპებს, აფასებს ბანკის რისკის პროფილს, ბანკის რისკების მართვის სისტემის ადეკვატურობას და ეფექტურობას, ამტკიცებს რისკების ცალკეულ სტრატეგიებს, აწესებს რისკის აპეტიტს და რისკების კონტროლის სისტემას.

რისკების მართვის პოლიტიკას სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს ჯგუფის რისკების გამოვლენის, ანალიზის და მართვის მიზნით. ისინი მენეჯმენტს აკისრებენ პასუხისმგებლობას კონკრეტულ რისკებზე, აწესებენ რისკების ლიმიტებს, აწესებენ შიდა კონტროლის სისტემის მოთხოვნებს და მუდმივ მეთვალყურეობას უწევენ რისკის დონეებს და ლიმიტების დაცვას. რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები რეგულარულად მოწმდება და ასახავს ბაზრის პირობების, ახალი საუკეთესო პრაქტიკის, პროდუქტების და მომსახურების ცვლილებებს.

აუდიტის კომიტეტი - აუდიტის კომიტეტი კონტროლის დამოუკიდებელი ფუნქციაა, რომელიც რეგულარულად იხილავს შიდა კონტროლებს და პროცესებს; იხილავს ბანკის შიდა კონტროლის სისტემას, აფასებს მის ობიექტურობას და სისწორეს; ზედამხედველობას უწევს ბანკის შიდა და გარე აუდიტის რეკომენდაციების შესრულებას; ამტკიცებს ან საბჭოს რეკომენდაციას უწევს ფინანსური აღრიცხვის პროცესის მონიტორინგთან დაკავშირებით; ზედამხედველობას უწევს რისკების მართვის სისტემის ეფექტიანობას, განსაკუთრებით შიდა კონტროლის სისტემის და შიდა აუდიტის სისტემის ეფექტიანობას. აუდიტის კომიტეტი საბჭოს წარუდგენს ყოველკვარტალურ ანგარიშგებას რისკების ძირითადი პორტფელების და რისკების სტრატეგიის შესახებ და სამეთვალყურეო საბჭოს მხარს უჭერს სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგში; მონიტორინგს უწევს დირექტორთა საბჭოს იმ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობს კომპანიის მიერ კანონის მოთხოვნების, წესების და შიდა პოლიტიკის შესრულებას.

რისკების კომიტეტი მეთვალყურეობს ბანკის რისკის პროფილს, აფასებს მთავარი რისკების ადეკვატურობის მოთხოვნებს, მათ შორის შეფასებას, მონიტორინგს და ლიმიტებს; მსჯელობს და ათანხმებს რისკის პროფილის და რისკების სტრატეგიის საკითხებთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. განიხილავს რისკების პოლიტიკას და სამეთვალყურეო საბჭოში დასამტკიცებლად შემოტანილ დაკავშირებულ დოკუმენტებს, მათ წარდგენამდე; აფასებს ბანკის შიდა კონტროლის და რისკების მართვის სისტემების ეფექტურობას შიდა აუდიტის კომიტეტთან ერთად; იხილავს გარე აუდიტის მიერ ჩატარებულ რისკების მართვის გარემოს ტესტირების შედეგებს და ამზადებს შესაბამის რეკომენდაციებს, პერიოდულად იხილავს არსებულ ლიმიტების სისტემას;

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ბანკის მართვაზე კანონის და წევრების კომპეტენციის და უფლებამოსილების განმსაზღვრელი დებულების შესაბამისად და საქმიანობას ბანკის მთავარი მიზნების და ამოცანების შესაბამისად ახორციელებს. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ეფექტიანი ბიზნესორგანიზაციის დაარსებაზე და უზრუნველყოფს მოვალეობების სათანადო განცალკევებას და სუბორდინაციას; ბიზნესს ანიჭებს სტრუქტურას, რომელიც ითვალისწინებს რისკის ფაქტორს; უზრუნველყოფს შესაბამისი პროცედურების არსებობას, მათ შორის ყველა პოლიტიკის დოკუმენტის და პროცედურის საბოლოო დამტკიცებას (სამეთვალყურეო საბჭოში წარდგენამდე), მათ განხორციელებამდე.

მენეჯმენტის ზედამხედველობის და კონტროლის კულტურა გულისხმობს დირექტორთა საბჭოს ჩვეულებრივ საქმიანობაში შიდა კონტროლის მთავარი კომპონენტების შეტანას. დირექტორთა საბჭოს კონტროლის ფუნქციაში შედის შედეგების განხილვა და პროგრესის მიმართვა სტრატეგიული მიზნებისკენ, საქმიანობის კონტროლი განყოფილებების და დეპარტამენტების დონეებზე, ბანკის სტრატეგიის და რისკის და კაპიტალის ლიმიტების რეგულარული განხილვა და პოზიციის და კაპიტალის ლიმიტების შესრულების უზრუნველყოფა; შეუსრულებლობის შემთხვევებზე რეაგირება, რათა შესაბამისი დონის მენეჯმენტი ინფორმირებული იყოს ამ ტრანზაქციის ან სიტუაციის შესახებ და დამკვიდრდეს ანგარიშვალდებულების პრაქტიკა; გარკვეულ ლიმიტებზე ზემოთ განხორციელებულ ტრანზაქციებზე დამტკიცების და ავტორიზაციის მოთხოვნა; შიდა კონტროლის სისტემების შეფასების განხილვა; აუდიტორების და საზედამხედველო ორგანოების მიერ შიდა კონტროლის სისტემის სისუსტეებთან დაკავშირებით გამოთქმულ წუხილსა და რეკომენდაციებზე სწრაფი რეაგირება.

შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემა მნიშვნელოვანი რისკების აღმოჩენას და მუდმივ შეფასებას მოითხოვს. ამ პროცესმა უნდა მოიცვას ბანკების მიერ აღებული ყველა რისკი და ბანკის შიგნით ყველა დონეზე უნდა მუშაობდეს. ცალკეული პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებიც ეხება საკრედიტო, საოპერაციო და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკას, ბანკს საშუალებას აძლევს, რისკები შიდა დონეზე გაზომოს, გააერთიანოს და განაცხადოს, ასევე ეს ინფორმაცია გამოიყენოს საზედამხედველო მიზნებისთვის. ასევე, ბანკის შიდა მეთოდოლოგიასა და სახელმძღვანელოებში აღწერილია პროცესები კრედიტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან და კრედიტის გაცემიდან, ფასწარმოქმნიდან და დამტკიცებიდან დაწყებული, პორტფელის მართვით და კაპიტალის ადეკვატურობით დამთავრებული.

რისკების ზოგადი ზედამხედველობის და მართვის უზრუნველსაყოფად დირექტორთა საბჭო ბანკის შიგნით ქმნის კომიტეტებს და ფუნქციურ ერთეულებს..

ALCO კომიტეტი იხილავს არსებულ და სამომავლო ლიკვიდობის პოზიციებს და მონიტორინგს უწევს ალტერნატიული დაფინანსების წყაროებს; იხილავს ვადიანობის/ხელახალი

ფასწარმოქმნის გრაფიკს, რა დროსაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დიდი ოდენობით აქტივების ვადიანობის გადანაწილებას და ვადადამდგარ ვალდებულებებს; შეიმუშავებს დეპოზიტების, სესხების და ინვესტიციების ფასწარმოქმნის და ვადიანობის გადანაწილების პარამეტრებს; შეიმუშავებს იმ ალტერნატიულ სტრატეგიებს, რომლებიც ითვალისწინებს საპროცენტო განაკვეთების და ტრენდების ცვლილებებს, დეპოზიტებს და სასესხო პროდუქტებს, მათთან დაკავშირებულ საბაზრო/საბანკო რეგულაციებს და ა.შ. დამოუკიდებლად იხილავს ALM მოდელ(ებ)ის და პროცედურების კომპონენტების, წინასწარი გაანგარიშებების და შედეგების დადასტურებას და მართებულობას; ამტკიცებს კონტრაგენტის რისკის ლიმიტის სტრუქტურას.

საკრედიტო კომიტეტი მოქმედებს ბანკის ინტერესებით, შიდა პოლიტიკის და პროცედურების თანახმად; აფასებს პოტენციური კლიენტების ფინანსურ მდგომარეობას და მათ მიერ კრედიტის დაფარვის უნარს; იხილავს სასესხო განაცხადებს და იღებს მათზე გადაწყვეტილებებს კომიტეტზე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში; იხილავს ამოღების პრაქტიკას დაკრედიტების სტანდარტების და ამოღების გაუმჯობესების მიზნით.

რისკების მართვის დირექტორი ("CRO"), დირექტორთა საბჭოს წევრი და უმაღლესი დონის ხელმძღვანელი პირია, და პასუხისმგებელია რისკების საერთო მართვაზე საკრედიტო, საბაზრო და ოპერაციული რისკების სფეროებში. ის ხელმძღვანელობს, უძღვება აყალიბებს ხედვას და მიმართულებას აძლევს „საწარმოს რისკის მართვას" (ERM) და შეიმუშავებს მენეჯმენტის პოლიტიკის გაზას, მათ შორის ბანკის საერთო რისკის აპეტიტს. მის პასუხისმგებლობებში შედის: რისკების ყოვლისმომცველი კონტროლი და რისკების გაზომვის მეთოდების შემუშავების გაგრძელება; რისკების რაოდენობრივი გამოსახვა და რისკების ლიმიტის დადგენა, რისკების აღრიცხვის სისტემის შექმნა, საბჭოსთვის და მთავარი დაინტერესებული მხარეებისთვის რისკის პროფილის მკაფიო ხედვის წარდგენა. მას პირდაპირი იოლი წვდომა აქვს სამეთვალყურეო საბჭოზე, სამეთვალყურეო საბჭოს რეგულარულად აწვდის ინფორმაციას ბანკის რისკის პროფილის, განსაზღვრული რისკის აპეტიტის დაცვის, და იმ მნიშვნელოვანი შიდა და გარე მოვლენების შესახებ, რომლებსაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ბანკის რისკებზე.

რისკების მართვის დეპარტამენტი აფასებს საკრედიტო, საბაზრო და ოპერაციულ რისკებს, რომლებიც სხვადასხვა ტრანზაქციას ან ოპერაციას უკავშირდება და ადგენს წინადადებებს სტრუქტურაში, პროცედურებსა და დებულებებში საჭირო ცვლილებების შესახებ; მართავს და აფასებს საკრედიტო, საბაზრო და ოპერაციულ რისკებს; შეიმუშავებს ICAAP-ის (კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესი) და GRAPE-ის (რისკების შეფასების საერთო პროგრამა) გაზას, რისკების მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან კოორდინაციით; შეიმუშავებს და შემოიღებს რისკების შემცირების მეთოდებს, რომლებიც კონკრეტულად საკრედიტო რისკების მართვას უკავშირდება; აფასებს ბანკის მიერ დაკრედიტების მხრივ გაწეულ მუშაობას და ადარებს გასულ პერიოდებს; იხილავს ყველა პოლიტიკას და პროცედურას დირექტორთა საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენამდე.

ხაზინის დეპარტამენტი – პასუხისმგებელია აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურის, ლიკვიდობის და დაფინანსების პოზიციის, საპროცენტო განაკვეთის გეპის პოზიციების და უცხოური ვალუტის რისკის პოზიციის ყოველდღურ კონტროლზე, პირდაპირ ექვემდებარება ფინანსურ დირექტორს, დასამტკიცებლად კი ALCO კომიტეტს; ხაზინის დეპარტამენტი რისკის აღების სათანადო ლიმიტებს ინარჩუნებს, ასევე რისკის გაზომვის ადეკვატურ სისტემებს და სტანდარტებს, პოზიციის შეფასების და შედეგების გაზომვის სტანდარტებს, უძღვება რისკების

ამომწურავი ანგარიშგების და მენეჯმენტის მიერ შემოწმების პროცესს, ასევე უზრუნველყოფს ეფექტიან შიდა კონტროლს.

რისკების სტრატეგია

სტრატეგიულ დონეზე რისკების მართვის ამოცანები, რომლებსაც მხარს უჭერს რისკების მართვის სტრუქტურა, შემდეგია:

- ბანკის სტრატეგიის განსაზღვრა ჯგუფის რისკის აპეტიტის და კაპიტალის გეგმის შესაბამისად
- რისკებზე რეაგირების გადაწყვეტილებების ოპტიმიზაცია ბიზნესთან მაქსიმალური მიახლოების გზით;
- იმის უზრუნველყოფა, რომ ბიზნესის ზრდის გეგმებს სათანადოდ მხარს უჭერს რისკების ეფექტიანი ინფრასტრუქტურა;
- რისკების პროფილის იმგვარად მართვა, რომ მისი ფინანსური სიჯანსაღის შენარჩუნება შესაძლებელი იყოს ბიზნესისთვის უაღრესად არასახარბიელო პირობების დადგომისას.


ინფორმაცია და კომუნიკაცია აუცილებელია რისკების ეფექტური მართვისთვის. ბაზისბანკში ეს მოიცავს ძირითადი მონაცემების შეტანაც დოკუმენტბრუნვაში, როგორიცაა შიდა ფინანსური, საოპერაციო და შესაბამისობის მონაცემები, ასევე გადაწყვეტილების მიღებისთვის რელევანტური გარე საბაზრო ინფორმაცია.ეფექტური შიდა კონტროლის სისტემა მოითხოვს მნიშვნელოვანი რისკების მუდმივ გამოვლენას და შეფასებას.

საკრედიტო, საოპერაციო და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო (AML) ცალკეული პოლიტიკა ბანკს საშუალებას აძლევს გაზომოს, დააჯგუფოს და განაცხადოს რისკების შესახებ ორგანიზაციის შიგნით, და ეს ინფორმაცია გამოიყენოს საზედამხედველო მიზნით. ასევე, ბანკის შიდა მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოებში მოცემულია პროცესების აღწერა საკრედიტო გადაწყვეტილებიდან, გაცემიდან, ფასწარმოქმნიდან და დამტკიცებიდან დაწყებული პორტფელის მართვით და კაპიტალის ადეკვატურობით დამთავრებული.

რისკების მართვის უწყვეტობა



ბანკი ინარჩუნებს და იცავს კორპორაციული მართვის საუკეთესო სტანდარტებს. გაზისბანკი არის კომერციული ბანკების კორპორაციული მმართველობის კოდექსის ხელმომწერი, რომელიც საქართველოს საბანკო ასოციაციამ 2009 წელს მიიღო. ჩვენი საქმიანობა რეგულირდება და ზედამხედველობა ეწევა სებ-ის საბანკო ზედამხედველობის ფარგლებში, რომელიც მოიცავს ლიცენზირებას, კაპიტალის ადეკვატურობას, ლიკვიდობის მოთხოვნას, რისკების კონცენტრაციას, კორპორაციული მართვის კოდექსს, ასევე ორგანიზაციულ და საანგარიშგებო მოთხოვნებს. ზედამხედველობის ჩარჩო ასევე ითვალისწინებს კომერციულ ბანკებში რისკების მართვის, რისკების მართვის პრინციპების, შიდა კონტროლის სისტემების და ა.შ. გაიდლაინებს. მენეჯმენტის ანგარიშგების სისტემა იმგვარადაა აწყობილი, რომ რისკების მართვის ეფექტიან მექანიზმს წარმოადგენს. რისკების მართვის პროცესები ხელს უწყობს რისკების სტრატეგიის განხორციელებას ბანკის ყოველდღიურ პროცესებში. ამგვარად, რისკების მართვა გამჭვირვალობის შექმნის და რისკების შემცირების მუდმივი პროცესი ხდება. თავისი ამოცანების შესრულებისას, რისკების მართვა ხუთ ცალკეულ პროცესად იყოფა: გამოვლენა, შეფასება, კონტროლი, ანგარიშგება და მართვა. საბანკო საქმიანობისთვის დამახასიათებელი ყველა მატერიალური ტიპის რისკი, ფინანსური, ასევე არაფინანსური რისკები: მათ შორის საკრედიტო რისკები, საბაზრო რისკები, ოპერაციული, ლიკვიდობის, საზედამხედველო და რეპუტაციული რისკები რისკების მართვის შესაბამისი პროცესების მეშვეობით იმართება. რისკის და კაპიტალის მოთხოვნის რაოდენობრივი გამოსახვის მოდელირების და შეფასების მიდგომები ყველა მატერიალური რისკის ტიპზე ვრცელდება.



რისკის აპეტიტი და ძირითადი ტიპები

რისკის აპეტიტი რისკის ის ოდენობაა, რომლის მისაღებადაც ორგანიზაცია მზადაა, ან რომლიც წინაშეც დადგება ნებისმიერ დროს. ცხადია, რომ ბანკის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი რისკის ნულამდე შემცირება შეუძლებელია, თუმცა, ხარჯების და სარგებელის სათანადო ანალიზზე დაყრდნობით, ბანკმა უნდა შეიმუშაოს მისი რისკების ტოლერანტობის ბაზა.

შიდა და გარე რისკის ფაქტორების გამოვლენა და მართვა ჯგუფის ორგანიზაციული სტრუქტურის შიგნით ხდება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რისკების რუკების შედგენას. მათი მეშვეობით დგინდება რისკ-ფაქტორები და რისკების მიტიგაციის პროცედურებზე არსებული კომფორტის დონე.

თითოეული მატერიალური ტიპის რისკის მართვა ბანკის რისკის ჩარჩოთია განსაზღვრული. ბაზისბანკის მიზანია მისი გრძელვადიანი რეიტინგის B+ სტაბილიზება და გაუმჯობესება და პორტფელის და რისკის შეგნებული მონიტორინგის ბიზნეს სტრატეგიასთან ჰარმონიზება. სარეიტინგო სააგენტომ FITCH 2019 წელს ემიტენტის დეფოლტის რეიტინგი B+ დაადასტურა, რაშიც ბანკის ჯერჯერობით გონივრული აქტივების ხარისხი და სოლიდური კაპიტალის ბუფერი აისახა.

ბაზისბანკის რისკის აპეტიტი დაწესდა, როგორც ლიმიტების სისტემა, რომელიც ბანკს საშუალებას აძლევს, მუდმივი მეთვალყურეობა გაუწიოს შესაბამისი რისკ-ფაქტორების პოზიციას. ლიმიტების სისტემა ითვალისწინებს ICAAP-ის პროცესების შედეგად გამოვლენილ ყველა შესაბამის რისკის ტიპს.

ლიმიტებს განსაზღვრავს დირექტორთა საბჭო. ისინი უნდა შეესაბამებოდეს სტრტეგიულ დაგეგმვას და გარე მოთხოვნებს (კანონის მოთხოვნებს კაპიტალისა და ლიკვიდობის შესახებ; ჯგუფის დონის/მფლობელის მოთხოვნებს). ბანკი რისკების შეფასებას სისტემურად ახორციელებს, სტრესტესტების და ICAAP პროცედურის საშუალებით. კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი და ლიკვიდობის პოზიცია რეგულარული ბენჩმარკის ანალიზის ფარგლებში, უფრო მკაცრი სტრესტესტების პირობებში ფასდება.

ინსტიტუტის რისკების რუკა აჩვენებს ყველა რისკის ტიპის სრულ სურათს, რომელიც ბაზისბანკში ICAAP-ის ფარგლებში ფასდება. ყველა ტიპის რისკზე ფასდება მისი რელევანტურობა და მეთოდოლოგიური მიდგომა რისკების გასაზომად და შესამცირებლად მოცემულია ICAAP პოლიტიკის დოკუმენტში.

თუ რისკი მნიშვნელოვნადაა მიჩნეული და შეიძლება მისი რაოდენობრივი გამოსახვა, ბანკი ადგენს რისკის დასაფარად საჭირო შესაბამისი კაპიტალის გაანგარიშების შიდა მეთოდოლოგიას. რისკის სხვა ტიპები, რომლებიც რაოდენობრივად არ გამოიხატება, შესაბამისი შიდა პროცესებით კლასიფიცირდება.

შიდა პროცესების მიზანია არაკვალიფიცირებული რისკის ტიპებისგან გამომდინარე შესაძლო ზარალის მინიმუმამდე დაყვანა. თ რისკი არარელევანტურადაა მიჩნეული, განსაკუთრებული კვალიფიკაციის მინიჭების მითითება არ არსებობს.

თუმცა ICAAP-ის მუდმივი შემოწმების შედეგად შეიძლება სულ მცირე წელიწადში ერთხელ რისკის ყველა ტიპის შეფასება და იმ რისკების სათანადოდ ასახვა, რომლებიც არარელევანტური იყო და დროთა განმავლობაში რელევანტური გახდა.

რისკების ძირითადი ტიპები / გამოვლენა და შეფასება

ჯგუფი ერთგულად ასრულებს მიზანს, ჰქონდეს რისკების მართვის ყოვლისმომცველი პროცესი, რომელიც საშუალებას აძლევს, ეფექტიანად გამოავლინოს, გაზომოს, მონიტორინგს დაუქვემდებაროს და გააკონტროლოს ყველა რისკის პოზიცია. ჯგუფი ცდილობს, თავიდან აიცილოს მოგების და წმინდა ღირებულების მკვეთრი ცვლილებები, რომლებიც შედეგად

მოსდევს კონკურენტულ გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე არასათანადო რეაგირებას და/ან მცდარ კორპორაციულ გადაწყვეტილებებს. ჯგუფი განუხრელად იცავს პრინციპს, ჰქონდეს ადეკვატური, კარგად დამუშავებული ბიზნეს-სტრატეგია, შეიმუშაოს რისკების ადრეული გამოვლენის სისტემები და მისმა შიდა პოლიტიკამ და პროცედურებმა უზრუნველყოს რისკის ინფორმირებულობით მიღებული გადაწყვეტილებები ყოველდღიურ ბიზნეს-საქმიანობაში, რითაც მოახდენს პოტენციური რისკების მიტიგაციას. ბანკის დონეზე, ჯგუფი აკონტროლებს რისკის შემდეგ პოზიციებს:

საკრედიტო რისკი. ჯგუფის წინაშე დგას საკრედიტო რისკი, რომელიც არის ის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარის ფინანსურ ზარალს გამოიწვევს. საკრედიტო რისკის პოზიცია წარმოიშობა ჯგუფის დაკრედიტების და კონტრაგენტებთან სხვა ტრანზაქციების მეშვეობით, რაც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს და გარებალანსურ კრედიტთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი ბანკებისთვის და მათ საზედამხედველო უწყებებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რისკის ტიპია. ბანკის საკრედიტო სტრატეგიაა დივერსიფიცირებული და მომგებიანი სასესხო პორტფელის შექმნა და ამასთან მაქსიმალური ხარისხის შენარჩუნება.

საკრედიტო რისკის მართვა - რისკების მართვის მიზნით საკრედიტო რისკის წინასწარ შეფასება კომპლექსურია და მოდელების გამოყენებას მოითხოვს, რადგან რისკი სხვადასხვაა და დამოკიდებულია მოსალოდნელ ფულადი ნაკადების მოძრაობაზე და დროის გასვლაზე. საკრედიტო რისკების შეფასება აქტივების პორტფელისთვის მოითხოვს შესაძლო დეფოლტის, დაკავშირებული ზარალის კოეფიციენტების და კონტრაგენტებს შორის დეფოლტის კორელაციების შესაძებ წინასწარი შეფასების გაკეთებას. ბაზისბანკში საკრედიტო რისკების მართვა მის ყოველდღიურ საქმიანობაში შემავალი სხვადასხვა აქტივობისგან შედგება.

რისკების მართვის სათანადო გარემოს შექმნა. ბაზისბანკშ ეს მიიღწევა საკრედიტო პოლიტიკის დოკუმენტით და საკრედიტო სახელმძღვანელოთი, რომლებიც შეეხება მიზნობრივ ბაზრებს. ამ ფორმალურ დოკუმენტებში მოცემული და შეჯამებულია პორტფელის მიქსი, საფასო და არასაფასო პირობები, ლიმიტების სტრუქტურა, დამამტკიცებელი ორგანოები და გამონაკლისების დამუშავება და მათზე ანგარიშის მომზადება.

ჯგუფი მის მიერ აღბულ საკრედიტო რისკს ასტრუქტურირებს კონცენტრაციის ლიმიტებით მიღებული რისკის ოდენობაზე ერთ მსესხებელთან ან მსესხებელთა ჯგუფთან ან გეოგრაფიულ და ინდუსტრიის სეგმენტებთან მიმართებაში. პროდუქტების და ინდუსტრიის მიზედვით საკრედიტო რისკზე დაწესებული ლიმიტები რეგულარულად მტკიცდება მენეჯმენტის მიერ. ასეთი რისკები რეგულარულად კონტროლდება და ექვემდებარება ყოველწლიურ ან უფრო ხშირ შემოწმებას.

საკრედიტო რისკს პორტფელის და ტრანზაქციების დონეზე მართავს საკრედიტო კომიტეტების სისტემა, რაც ეფექტიან გადაწყვეტილების მიღებას უწყობს ხელს. დაწესებულია საკრედიტო კომიტეტების იერარქია პოზიციის ტიპის და იერარქიის მიხედვით. შესაბამისი კლიენტთან ურთიერთობის მენეჯერებისგან წამოსული სასესხო განაცხადი საკრედიტო ლიმიტის დასამტკიცებლად გადაეცემა შესაბამის საკრედიტო კომიტეტს.

კრედიტის გაცემის ჯანსაღი პროცესი - ბაზისბანკში ეს გულისხმობს მთელი რიგი ელემენტების გათვალისწინებას კრედიტის გაცემის დროს. საკრედიტო პოზიციიდან და საკრედიტო ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, ეს შეიძლება იყოს კრედიტის მიზნობრიობა,

გადახდის წყაროები, მსესხებლის ან კონტრაგენტის მიმდინარე რისკის პროფილი, უზრუნველყოფა და მისი სენსიტიურობა ეკონომიკაში და ბაზარზე მიმდინარე მოვლენებისადმი, მსესხებლის დაფვარვების ისტორია და მიმდინარე გადახდისუნარიანობა, ისტორიული ფინანსური ტრენდები და ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზები. საკრედიტო ანალიზის დროს, ყურადღება ექცევა მსესხებლის ბიზნეს-ექსპერტიზას, მსესხებლის ეკონომიკის სექტორს და სექტორში მის პოზიციას. ეს ელემენტები ქულების მინიჭების მოდელების შემადგენელი ნაწილებია, რომლებიც საცალო და კორპორაციული ბიზნესმიმართულებებისთვის შემუშავდა. ქულები სესხის დამტკიცების პროცესში ძირითადად ფასწარმოქმნის მიზნით გამოიყენება. კორპორაციული და საცალო დაკრედიტების დეპარტამენტები (რისკების მართვის ჯგუფის დაქვემდებარებაში) მონაწილეობას იღებენ კლიენტის საკრედიტო რისკის შეფასებაში; თითოეული სესხის ფასწარმოქმნა კორექტირდება რისკის ფაქტორის, კლიენტის მინიჭებული ქულის და პროდუქტის რისკიანობის გათვალისწინებით.

საკრედიტო რისკის ქულების სისტემა - საკრედიტო რისკის შეფასების და ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკის ოდენობის მიხედვით დასაყოფად, ჯგუფი იყენებს შიდა რეიტინგის სისტემას იურიდიული პირებისთვის, ან რისკის ქულებს საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოებისგან
(Standard & Poor's - "S&P", Fitch, Moody's) ცენტრალური მთავრობებისთვის, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისთვის, ფასიანი ქაღალდების და სხვა ფინანსური აქტივებისთვის, სადაც მიზანშეწონილია.

რისკის მიტიგაცია და ნარჩენი რისკი - საკრედიტო რისკის პოზიცია ნაწილობრივ იმართება უზრუნველყოფის, ასევე პერსონალური და კორპორაციული გარანტიების მიღებით საკრედიტო რისკის მიტიგაციისთვის. უზრუნველყოფის გადაფარვის ლიმიტები განსხვავდება პროდუქტის ტიპის და მსესხებლის სეგმენტის მიხედვით. უზრუნველყოფის პოტენციური ნარჩენი რისკის შესამცირებლად ბანკი დაკრედიტების პროცესსა და პორტფელის მართვის დროს უზრუნველყოფის გადაფარვის გასაანგარიშებლად იყენებს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულების დისკონტირებას. უზრუნველყოფის შეფასებას ჯგუფი იღებს სესხის გაცემის დროს და ყოველწლიურად ხელახლა აფასებს სესხისთვის დაფლეჯილ უძრავ ქონებას, რომელიც შეტანილია ტოპ 100 მსესხებელთა ჯგუფის სიაში ანგარიშგების დღის მდგომარეობით საბალანსო ღირებულებით. ტოპ 100 მსესხებლის ჯგუფების გარდა, სესხებისთვის 100 ათას ლარზე მეტი თანხით ჯგუფი ითხოვს დაფლეჯილი უძრავი ქონების უზრუნველყოფის ხელახლა შეფასებას, თუ ამავე უძრავი ქონების უზრუნველყოფით გაიცემა ახალი სესხი, ან როცა მოცემული ვალდებულების რესტრუქტურიზაციახდება და ბოლო შეფასება ერთ წელზე დიდი ხნის წინ განხორციელდა. იურიდიული დეპარტამენტი რეგულარულად (სულ მცირე ყოველ წელს) იხილავს უზრუნველყოფის ხელშეკრულების ნიმუშს და თუ აუცილებელია ცვლის ახალი მარეგულირებელი გარემოს ან უზრუნველყოფის რეალიზაციასთან დაკავშირებული გამოცდილების მიხედვით. მინიმალური უზრუნველყოფის გადაფარვა (არაუზრუნველყოფილი პორტფელის მაქსიმალური ოდენობა) დისკონტირებული ღირებულებით საკრედიტო პოლიტიკით განისაზღვრება თითოეული ტიპის კლიენტისთვის.

რეზერვების შეფასება. 2018 წლის 1 იანვრიდან ჯგუფი აფასებს საკრედიტო რისკს და ანაწილებს რეზერვებს მოსალოდნელი ზარალისათვის IFRS 9 -ის შესაბამისად. აქტივებისა და სხვა პირობითი ვალდებულებების ზარალი უნდა იყოს საკმარისი იმისათვის, რომ დაფაროს ბანკის საკრედიტო პორტფელის ყველა მოსალოდნელი ზარალი. რისკის ძირითადი პარამეტრები, რომლებიც გათვალისწინებულია ზარალის რეზერვის გაანგარიშების ფარგლებში, არის: ა) კონტრაგენტის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობა (PD);

გ) კონტრაგენტის დეფოლტის (LGD) და დეფოლტის პოზიციის (EAD) შემთხვევაში მოსალოდნელი ზარალი. საპროგნოზო ინფორმაცია შედის საბოლოო ECL (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის) შეფასებაში. IFRS 9 ფინანსურ ინსტიტუტებს საშუალებას აძლევს უფრო ზუსტად შეაფასონ სესხებზე დანაკარგების რეზერვები საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენებით, რომელიც გაუმართლებელი ხარჯის და ზედმეტი ძალისხმევის გარეშე მოიპოვება. ECL შეფასების მიდგომა IFRS 9 მიხედვით ითვალისწინებს წარსულ მოვლენებს, მიმდინარე პირობებს და მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზებს ECL შეფასების პროცესში. შიდა გაუფასურების მოდელებში ბანკმა შეიტანა მაკროეკონომიკური პროგნოზები, რომელიც გამოქვეყნდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.
საკრედიტო ზარალის (ECL) გამოთვლის პროცესზე მმართველობა გაზიარებულია ფინანსური ანგარიშგების და რისკის ფუნქციებს შორის. IFRS 9-ის თანახმად, ყველა გამოყენებული პარამეტრის და მნიშვნელოვანი დაშვებების შემოწმება და უკუტესტირება ECL შეფასების პროცესის განუყოფელი ნაწილია. ჯგუფი რეგულარულად განიხილავს თავის მეთოდოლოგიას და დაშვებებს, რათა შეამციროს ნებისმიერი სხვაობა შეფასებებსა და სესხებზე ფაქტობრივ დანაკარგებს შორის. IFRS 9-ის თანახმად, ყველა გამოყენებული პარამეტრის და მნიშვნელოვანი დაშვებების შემოწმება და უკუტესტირება ECL შეფასების პროცესის განუყოფელი ნაწილია. ECL გაანგარიშების მეთოდოლოგიის შემდგომი ტესტირების შედეგები ეცნობება ჯგუფის მენეჯმენტს და ავტორიზებულ პირებს შორის დისკუსიის შემდეგ განისაზღვრება შემდგომი ნაბიჯები მოდელებისა და დაშვებების შესამოწმებლად.
2020 წლის განმავლობაში ჯგუფმა ჩაატარა IFRS 9-ის გაუფასურების მოდელში გამოყენებული დაშვებების, ზღვრებისა და რისკის პარამეტრების უკუტესტირება, რათა შეეფასებინა 2020 წლის ფინანსური წლის პროგნოზების ადეკვატურობა, როგორც IFRS 9-ის გაუფასურების მოდელებით წინა წლის ბოლოს იყო შეფასებული. უკუტესტების შედეგების საფუძველზე მოდელში განხორციელდა რამდენიმე მოდიფიკაცია, კერძოდ:

- LGD შეფასების მოდელებში გამოყენებული ამოღების დრო - გაანალიზებულმა მონაცემებმა აჩვენა, რომ საშუალოდ ერთ წელზე მეტი გადის კლიენტის დეფოლტის დღიდან, სანამ აუქციონი ჩატარდება და ძირითადი უზრუნველყოფის დასაკუთრება მოხდება, შესაბამისად ამოღების დრო შეიცვალა იმ დამატებითი დროის ასახვის მიზნით, რაც საჭიროა ვალდებულების აღსადგენად დეფოლტის ვადის მიხედვით. ამ მოდიფიკაციის ეფექტი არის 1,839 ათასი ლარის რეზერვების გაზრდა.

COVID-19-მა დიდი გაურკვევლობა გამოიწვია მსოფლიო ბაზრებზე და დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე, რადგან ის ძლიერ არის დამოკიდებული გარე ბაზრებზე და, შესაბამისად, 2020 წლის ECL შეფასების პროცესის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო Covid-19 პანდემიის შედეგად მოსალოდნელი უარყოფითი ეფექტის ჩართვა საბოლოო ECL შეფასებებში. COVID-19-ის საბოლოო ეფექტი ჯგუფის ბიზნესზე დიდწილად იქნება დამოკიდებული პანდემიის ხანგრძლივობაზე და გავრცელებაზე მსოფლიოსა და ქართულ ეკონომიკაზე.

სტრესტესტირება. ბანკი რეგულარულად ახორციელებს სტრესტესტირებას არასახარბიელო მაკროეკონომიკური მოვლენების, ან აგრეგირების სხვადასხვა დონეზე ბანკის კონკრეტული მოვლენების საზედამხედველო კაპიტალის ბუფერებზე ზეგავლენის მონიტორინგისთვის. სტრესტესტები სხვა მოვლენებთან ერთად ითვალისწინებს ფართომასშტაბიანი ეკონომიკური კრიზისის ისეთ მოვლენებს, როგორიცაა რეცესია, ვალუტის კურსის მერყეობის შედეგები, დასაქმების დონის შემცირება; ასევე ტარდება სექტორისთვის დამახასიათებელი სტრესტესტები,

გათვალისწინებულია საექსპორტო ბაზრების დახურვა (პოლიტიკური რისკები), რამდენიმე დიდი პოზიციის დეფოლტი.

სტრესული სცენარების განსაზღვრისთვის ბანკი ეყრდნობა საქართველოს ეროვნული ბანკის მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოს სტრეს-ტესტებისთვის. 2020 წლის განმავლობაში, ბანკის პორტფელი შემოწმდა Covid-19-ის შესაძლო ნეგატიური ეფექტების გამოსავლენად, სტრესული სცენარის პარამეტრებით, რომლებიც ადაპტირდა იქნა ახალ რთულ გარემოზე. ამ მიზნით SICR და დეფოლტის კრიტერიუმები გაფართოვდა და სესხები და კონტრაგენტები, რომლებიც დაზარალდნენ პანდემიით, დაკლასიფიცირდა მე-2 ან მე-3 ეტაპზე სტრეს-ტესტის შედეგების მიხედვით, რომელიც შესრულდა Covid-19-ის ზემოქმედების მოსალოდნელი შედეგის შესაფასებლად.

COVID-19 პანდემიის შესაძლო გავლენის შესაფასებლად, ბანკმა შეასრულა თავისი პორტფელის ანალიზი საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ განსაზღვრული სტრესული სცენარებით. სცენარები იყო გათვალისწინებული როგორც საცალო, ისე ბიზნესის პორტფელებისთვის. სტრესულ პირობებში განხილული პორტფელი მოიცავდა შემდეგ სექტორებს: უძრავი ქონების განვითარება და უძრავი ქონების მენეჯმენტი, სტუმართმოყვარეობა (სასტუმროები, რესტორნები, კაფეები და ბარები და ტურიზმის სერვისი), ყველა კლიენტი მსესხებლების ტოპ 100 მსესხებლის ჯგუფში, ასევე შემთხვევით შერჩეული მსესხებლები ბიზნესისა და საცალო პორტფელების სხვა სექტორებიდან. საცალო სეგმენტში შერჩევა მოიცავდა იმ მსესხებლებს, რომლებიც ჩაკეტილობის პერიოდში მოითხოვდნენ საკრედიტო გრაფიკის შეცვლას. იმის შეფასებისას, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა იმ მსესხებლების საკრედიტო რისკი, რომლებმაც დაფარვებზე არდადეგები მიიღეს, ჯგუფმა გამოავლინა თვისობრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმების სერია სხვადასხვა ფაქტორების ანალიზის საფუძველზე. ვალის მომსახურების დაფარვის კოეფიციენტები (DSCR) ბიზნეს მსესხებლებისათვის და საცალო მსესხებლებისათვის გადახდის შემოსავალთან შეფარდების (PTI) კოეფიციენტები გამოითვლება სტრესული სცენარების მიხედვით და ამგვარად ჯგუფმა ხელი შეუწყო გაზრდილი რისკების პოზიციების ადრეულ გამოვლენას.

სრულ შეღავათს დაქვემდებარებული სესხები (ანუ შეღავათი ძირითად თანხასა და პროცენტზე) გადაიტანეს მე-2 ან მე-3 ეტაპებზე, PTI და DSCR– ის, გახანგრძლივების პერიოდისა და სხვა შესაბამისი პარამეტრების მიხედვით. ბიზნეს-მსესხებლებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ბოლოდროინდელი ფინანსური მონიტორინგის ხელმისაწვდომობა.

ECL შეფასების პროცესში გამოყენებული საპროგნოზო ინფორმაცია ასევე შეიცვალა სებ-ის მიერ გამოქვეყნებული მაკროეკონომიკური პროგნოზების მიხედვით.
ცვლილებების შედეგად ლარის დამატებითი ECL რეზერვები გაკეთდა 2020 წელს ან ინდივიდუალური მსესხებლის დონეზე, ან ჩაერთო მაკროეკონომიკურ სცენარებში. მთლიანი პორტფელის ECL გადაფარვა 2019 წლის 31 დეკემბერს 1.54%-დან 2020 წლის 31 დეკემბერს 2.34%-მდე გაიზარდა (დაახლოებით 51%-იანი ზრდა).
დაფარვებზე გამოცხადებული არდადეგები გავლენას არ ახდენს ბანკში ECL შეფასების პროცესზე, ვინაიდან სესხების განაწილება ეტაპებზე და რეზერვების გაანგარიშება ხდება როგორც მიმდინარე ასევე მაქსიმალური ვადაგადაცილებული დღეების გამოყენებით ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში.
საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი („CAR“) 2.8%-ით შემსუბუქდა სებ-ის სტანდარტებით გაკეთებული დამატებითი რეზერვების შემდეგ, მაგრამ შემდგომში აღდგა წლის განმავლობაში წარმოქმნილი საოპერაციო შემოსავლით. 2020 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით ბანკი აცხადებს კაპიტალის ადეკვატურობის 5.2% კოეფიციენტს, რაც მიმდინარე მოთხოვნებზე მეტია.

სათანადო საკრედიტო ადმინისტრირების, გაზომვის და მონიტორინგის პროცესების შენარჩუნება. ეს მოიცავს ცალკეული მსესხებლების მდგომარეობასთან დაკავშირებული რიგი ძირითადი საკითხების რეგულარულ მონიტორინგს. ეს საკითხებია მსესხებლის ან შემხვედრი მხარის არსებული ფინანსური მდგომარეობა, არსებული კოვენანტების შესრულება, უზრუნველყოფის გადაფარვა, და ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაფარვების ვადაგადაცილებები. ის ასევე მოიცავს მთლიან სასესხო პორტფელში პოზიციის წილის მონიტორინგს მსესხებელთა კონკრეტული ტიპების გამო, რისკის კონცენტრაციის თავიდან აცილების მიზნით. ასეთ კონცენტრაციას ადგილი აქვს, როცა ერთ შემხვედრ მხარეზე, ერთმანეთთან დაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფზე, ან ეკონომიკის კონკრეტულ სფეროზე ან სექტორზე გაცემულია პირდაპირი ან არაპირდაპირი სესხების დიდი ოდენობა.

პორტფელის ხარისხზე შესაბამისი ანგარიშგების შენარჩუნება. პორტფელის ხარისხი და დაკრედიტების ლიმიტები, რომლებიც საკრედიტო პოლიტიკით გაისაზღვრება, მუდმივად კონტროლდება საკრედიტო რისკების მენეჯმენტის მიერ და ბანკის მენეჯმენტს მასზე ინფორმაცია წარედგინება პორტფელის ანგარიშგების სახით. პორტფელის შესახებ ანგარიში შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ნაწილდება პორტფელი რეიტინგის კლასებზე, დაყოვნებულ თანხებზე, სექტორების მიხედვით პოზიციებზე და HHI (ჰერშმან ჰირფენდალის კონცენტრაციის ინდექსი) ინდექსზე, PD (დეფოლტის ალბათობა) დინამიკაზე, LGD (ზარალი დეფოლტის შემთხვევაში) რიცხვებზე და ა.შ.საკრედიტო რისკის პოზიციის მონიტორინგის მიზნით, რეგულარულ ანგარიშებს ამზადებს ფინანსური ანგარიშგებისა და რისკების დეპარტამენტების შესაბამისი პერსონალი, სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე, რომელიც ფოკუსირდება მომხმარებელთა ბიზნესზე და ფინანსურ საქმიანობაზე. ნებისმიერი მნიშვნელოვანი ურთიერთქმედება მომხმარებლებთან, რომელთაც გაუუარესდებათ გადახდისუნარიანობა, რისკების კომიტეტის, მენეჯმენტის საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს ეცნობება და მათ მიერ განიხილება.

საბაზრო და ლიკვიდობის რისკების მართვას ახორციელებს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO) ხაზინის დეპარტამენტთან და რისკების მართვის დეპარტამენტთან ერთად. ხაზინის დეპარტამენტი მონიტორინგს ახორციელებს სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან რეგულარული შეხვედრების საშუალებით. ამ შეხვედრების დროს ხაზინა თანამშრომლებისგან იღებს ექსპერტულ რეკომენდაციას თავიანთი სფეროების შესახებ, ახორციელებს ლიკვიდობის გეპების, სტრუქტურული საპროცენტო განაკვეთების პოზიციების ყოველდღიურ კონტროლს, და მართავს და აკონტროლებს უცხოური ვალუტის რისკის პოზიციას.

საბაზრო რისკის ყველაზე გავრცელებული გამომწვევი მიზეზები საპროცენტო განაკვეთების და უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების რისკებია.

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის ინსტიტუტის მოგების და კაპიტალის მიმდინარე ან სამომავლო რისკი, რომელიც საპროცენტო განაკვეთის არასახარბიელო ცვლილებებითაა გამოწვეული. საკრედიტო ინსტიტუტის პერსპექტივიდან, საპროცენტო განაკვეთის რისკი

შეიძლება წარმოიშვას როგორც სავაჭრო პორტფელისგან, ისე საბანკო ტრანზაქციებისგან (ტრადიციული საკრედიტო/სადეპოზიტო და საინვესტიციო ტრანზაქციები).

ბანკისთვის დამახასიათებელი საპროცენტო განაკვეთის რისკებია:

- გადაფასების რისკი, რისკი რომელიც წარმოიშვება მისაღები შემოსავლების და გადასახდელი ხარჯების ვადიანობის სხვადასხვა სტრუქტურისგან, ასევე სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთების ან სხვადასხვა პერიოდებზე დაფუძნებული ფასწარმოქმნიდან; გადაფასების რისკი წარმოიშობა, როცა აქტივების და ვალდებულების ვადების სტრუქტურა არაა თანხვედრაში და როცა ფასწარმოქმნა სხვადასხვა ინტერვალებში ან სხვადასხვა საფუძველის მქონე საპროცენტო განაკვეთებით ხორციელდება (მაგალითად, მისაღები შემოსავლები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით და ვალდებულებები ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით).
- შემოსავლიანობის მრუდი, ანუ შემოსავლის მრუდის ფორმის და დახრილობის ცვლილებებით გამოწვეული რისკი.

სავალუტო რისკი წარმოიშობა კონკრეტულ ვალუტაზე ღია ან არასრულყოფილად ჰეჯირებული პოზიციებიდან გაცვლითი კურსების მოულოდნელი ცვლილებების შედეგად (რომელმაც შეიძლება გაზრის მონაწილის ადგილობრივი ან საანგარიშგებო ვალუტის დანაკარგები გამოიწვიოს).

ბანკში დაწესებული საბაზრო რისკის ზედამხედველობა და კონტროლი, რათა უზრუნველყოფილ იქნას საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკის გრძელვადიანი და ყოველდღიური მართვის მიზნით შემუშავებული ბანკის პოლიტიკებისა და პროცედურების ადეკვატურობა და დაცულ იქნას საბაზრო რისკის მართვის და კონტროლის უფლებამოსილების და პასუხისმგებლობის მკაფიო ზღვარი. ბანკს გამართული აქვს საპროცენტო განაკვეთის ანგარიშგების და შემოწმების ყოვლისმომცველი პროცესი, ასევე ეფექტური შიდა კონტროლები; ბანკი აწესებს შესაბამის ლიმიტებს რისკის აღებაზე, ქმნის რისკების და შედეგების გაზომვის, პოზიციის შეფასების და ვადიანობის გეპების გადაფასების ადეკვატურ სისტემებს და სტანდარტებს.

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი განისაზღვრება, როგორც ბანკის მიერ ნორმალურ ან სტრესულ პირობებში თავისი ფინანსური ვალდებულებების შესრულების უუნარობის რისკი. ლიკვიდურობა არის ბანკის უნარი დააფინანსოს აქტივების ზრდა და შეასრულოს ვალდებულებები დროულად, მიუღებელი ზარალის გარეშე. ბანკების ფუნდამენტური როლი მოკლევადიანი დეპოზიტების გრძელვადიან სესხებად გადაქცევაში, ბანკებს თავიდანვე დაუცველს ხდის ლიკვიდობის რისკის მიმართ და გავლენას ახდენს მთლიანად ბაზრებზე. პრაქტიკულად ყველა ფინანსურ გარიგებას ან ვალდებულებას აქვს გავლენა ბანკის ლიკვიდობაზე. ლიკვიდობის რისკის ეფექტური მართვა ხელს უწყობს ბანკის შესაძლებლობას შეასრულოს ფულადი სახსრების ვალდებულებები, რომლებიც გაურკვეველია, რადგან მათზე გავლენას ახდენს გარე მოვლენები და სხვა აგენტების ქცევა.

ბანკი ლიკვიდობას მართავს ბაზელი 3-ის ლიკვიდობის მართვის მეთოდოლოგიის და სხვა შიდა შეფასების მოდელების მიხედვით, რომლებიც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით შემუშავდა, ხოლო ლიკვიდობის რისკებს მართავს ALM (Asset and Liability Management აქტივ-პასივების მართვა) პოლიტიკის და ლიკვიდობის მართვის შიდა პოლიტიკის თანახმად, რომელშიც მოცემულია ლიკვიდობის მართვის დეტალური პროცესები და ლიკვიდობასთან დაკავშირებული ლიმიტების სისტემა. (კუმულაციური ვადიანობის შეუსაბამობის ლიმიტი, LCR

Liquidity Cover Ratio ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი, NSFR Net Stable Funding Ratio წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი).

ლიკვიდობის მართვის პროცესი შემდეგი ნაბიჯებისგან შედგება: ლიკვიდობის მოთხოვნების დადგენა და ხელახალი შეფასება ბანკის აქტივების და ვალდებულებების სტრუქტურიდან და ბაზრის ზოგადი პირობებიდან გამომდინარე; ლიკვიდობის რისკის შესაბამისი ლიმიტების შემუშავება და კონტროლი; დაფინანსების სტრუქტურასა და შეუსაბამობის მოცულობაზე, დაფინანსების მოპოვების უნარზე და ა.შ. მუშაობა; ლიკვიდობის და ფინანსური სახსრების მართვის პრინციპების შემუშავება და მონიტორინგი; ლიკვიდობის პროგნოზირება ნორმალურ სამუშაო პირობებში და სტრესული სიტუაციის ქვეშ; გაუთვალისწინებელი მდგომარეობის გეგმის შემუშავება, რაც გულისხმობს გადაუდებელი სიტუაციების დროს ლიკვიდობის დანაკლისის შევსების სტრატეგიების შემუშავებას.

საოპერაციო რისკი. საოპერაციო რისკი განისაზღვრება, როგორც არაადეკვატური შიდა პოლიტიკის, სისტემის და კონტროლის ჩავარდნების, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან მენეჯმენტის მარცხის, ასევე სტიქიური უბედურებების მიზეზით გამოწვეული ფინანსური ზარალის რისკი. ბანკში ოპერაციული რისკების მართვა სამ დონეზე ხორციელდება: სტრუქტურული ერთეულების/დეპარტამენტების დონეზე, ოპერაციული რისკების მართვის დონეზე და შიდა აუდიტის დონეზე. ოპერაციული რისკების ეფექტიანი გაზომვის და მართვის მიზნით, ერთი მხრივ იქმნება ოპერაციული რისკის, როგორც ბანკის უსაფრთხოებასა და სიჯანსაღესთან დაკავშირებული რისკის განცალკევებული კატეგორიის შიდა ანგარიშგება, ხოლო მეორე მხრივ ოპერაციულად დამოუკიდებელი, შესაბამისად გატრენინგებული და კომპეტენტური თანამშრომლების მიერ ეფექტურად ტარდება ყოვლისმომცველი შიდა აუდიტი.

ბანკის ოპერაციული რისკების პოლიტიკა ითვალისწინებს ოპერაციული რისკის გამოვლენის, გაზომვის და მართვის ამომწურავ სისტემას. პოლიტიკა განსაზღვრავს, თუ რა პრინციპით უნდა იქნას ოპერაციული რისკები გამოვლენილი, შეფასებული, მონიტორინგს და კონტროლს დაქვემდებარებული ან შემცირებული. განისაზღვრება შემოწმებების სისტემა, რომლის შედეგადაც ვლინდება ოპერაციული რისკის გარემოს ძლიერი და სუსტი მხარეები; მზადდება გაუთვალისწინებელი სიტუაციების და ბიზნესის უწყვეტობის გეგმები, რათა ბანკმა შეძლოს მუშაობის გაგრძელება, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და ბიზნესის მკვეთრი ხელისშეშლის შემთხვევაში დანაკარგები მინიმუმამდე დაიყვანოს.

ოპერაციული რისკების დეპარტამენტი აანალიზებს კლიენტების საჩივრებს და ოპერაციული რისკების შემთხვევების მონაცემთა ბაზებს, რითაც გამოავლენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის შესაძლო დარღვევებს. მას ცვლილებები შეაქვს ოპერაციულ პრაქტიკაში, რითაც აუმჯობესებს პერსონალურ მონაცემთა დაცვას და თავიდან იცილებს სწრაფად მზარდი ავტომატიზაციის პირობებში პერსონალური ინფორმაციის გაჟონვას.

მეორე მხრივ, ფინანსური მონიტორინგის დეპარტამენტი ქმნის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის (FMS) მიერ დაკისრებული რეგულაციების შესრულების ოპერაციულ ბაზას, რითაც აფართოებს მარეგულირებლის მოთხოვნების შესრულების შესაძლებლობებს. დეპარტამენტის მთავარი ამოცანა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციაა.

Covid-19-ის უპრეცედენტო გავრცელების დროს, ჯანმრთელობის საკითხებსა და საოპერაციო რისკებზე სათანადო რეაგირების უზრუნველსაყოფად, ბაზისბანკმა შეიმუშავა ბიზნესის

უწყვეტობის გეგმა. ბანკმა მიიღო პრევენციული ზომები თანამშრომლებისა და მომხმარებლების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დასაცავად, აუცილებელი მომსახურების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად და ყველა საოპერაციო და ფინანსური რისკის შესამცირებლად. ბიზნესის უწყვეტობის ყველა ღონისძიება კოორდინირებულია საქართველოს მთავრობასთან და ეროვნულ ბანკთან და ემყარება მათ მითითებებს და გაიდლაინებს. ბანკის ოფისები და ფილიალები უსაფრთხოების დამატებითი სტანდარტების, მათ შორის ჰიგიენის მკაცრი სტანდარტების დაცვით მუშაობენ. ბანკი გააგრძელებს ადგილობრივი და საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციების მითითებების შესრულებას და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას.

ბანკი კაპიტალის მოთხოვნის გაანგარიშებისთვის BIA (Basic Indicator Approach საბაზისო ინდიკატორების გაზომვის მეთოდი) მიდგომას იყენებს. ასევე გამოიყენება რისკების შეფასების უფრო განვითარებული მეთოდების ხარისხობრივი ელემენტები, რაც საოპერაციო რისკების უფრო მეტად ამომწურავი მართვის საფუძველს ქმნის.

“FCA”-მ გამოაცხადა, რომ LIBOR ჯგუფის ბანკებს შეეძლოთ LIBOR ბენჩმარკის შენარჩუნება 2021 წლამდე, და ამავდროულად გადასულიყვნენ LIBOR-ის გარდა სხვა ბენჩმარკებზე. რეფორმის განხორციელების და გადასვლის პროცესი ქმნის ოპერაციულ რისკს, რომელმაც შეიძლება შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებულ გაურკვევლობა და კლიენტების საჩივრები გამოიწვიოს.

ბრძოლა ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ (AML/CTF); ქრთამის და კორუფციის წინააღმდეგ (ABC); შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი. ბაზისბანკს ფინანსური დანაშაულისადმი ჰოლისტიკური მიდგომა აქვს შემუშავებული. ჯგუფის მასშტაბით შექმნილია ფინანსური დანაშაულის საწინააღმდეგო სისტემა (AFC), რომელიც აწესებს კონტროლის მოთხოვნებს შემდეგ ძირითად რისკების სფეროებში: AML/CTF, ABC და ინტერესთა შესაძლო კონფლიქტის თავიდან აცილება. ეს კომბინირებული მიდგომა ბანკს საშუალებას აძლევს უკეთ გაიგოს საკუთარი რისკის პოზიცია და პრიორიტეტად აქციოს მენეჯმენტის ფოკუსი. AFC სისტემის თანახმად, ბაზისბანკი ნულოვანი ტოლერანტობის მიდგომას იყენებს ფულის გათეთრების განზრახ ხელშეწყობისა და ტერორიზმის დაფინანსებისადმი, მექრთამეობის, თაღლითობისა და კორუფციისადმი.

ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციისათვის დაარსდა ფინანსური მონიტორინგის სტრუქტურული ერთეული. AML/CFT კონტროლთან ერთად გამოიყენება შემდეგი ინსტრუმენტები: „იცნობდე შენს კლიენტს“, კლიენტის წინასწარი შესწავლა (Due Diligence) და მისი გაფართოებული ღონისძიებები; ML/TF რისკების შეფასება/ხელახალი შეფასება, რისკების დონის მიხედვით ინფორმაციის განახლება, შავი და PEP სიების სკრინინგი; წითელი დროშების კონტროლი და ა.შ. მონიტორინგის ღონისძიებების ნაწილი ავტომატიზებულია, მათ შორის შავი და PEP სიების სკრინინგი, წითელი დროშების კონტოლი, საეჭვო ტრანზაქციების გამოვლენა და ა.შ.

ბანკი არ არის ტოლერანტული კორუფციის, მექრთამეობის ან თაღლითობის არცერთი ფორმისადმი, ან ნებისმიერი სხვა ტიპის უკანონო, თაღლითური ან არაეთიკური ქცევისადმი. ყველა თანამშრომელი პირადად აგებს პასუხს ბანკის, მისი რეპუტაციის და საკუთარი თავის დაცვაზე მექრთამეობით და კორუფციით გამოწვეული რისკებისგან და თავს არიდებს დაუცველობის შედეგებს. მექრთამეობის და კორუფციის პოლიტიკა განსაზღვრავს ქცევის იმ ძირითად პრინციპებს, წესებს და სტანდარტებს, რომლებსაც ეფუძნება ბანკის ყოველდღიური

საქმიანობა, რათა გონივრულად მოხდეს კომპანიის შიგნით მექრთამეობის პრევენცია, მიკვლევა და განცხადება. შიდა აუდიტი, ფინანსური მონიტორინგის განყოფილება, კომპლაენსის და საოპერაციო რისკის მართვის სტრუქტურული ერთეულები პასუხს აგებენ ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პრინციპების დაცვის უზრუნველყოფაზე, ზრუნავენ, რომ შიდა რეგულაციები და სამუშაო პრინციპები ინტეგრირდეს ბანკის მთლიან საქმიანობასთან.

კორპორაციული შესაბამისობის რისკი: არის სანქციების, ფინანსური ან რეპუტაციული დანაკარგების და სასამართლო საქმეების რისკი, რაც შეიძლება გამოიწვიოს არსებული კანონმდებლობის და ქცევის სტანდარტების უგულვებელყოფამ. შესაბამისობის რისკის მართვის სისტემა ითვალისწინებს შესაბამისობის პოლიტიკას, საბანკო საქმიანობის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებს, შესაბამისობის რეგულარულ შემოწმებას და კონკრეტულ მოთხოვნებთან შედარებას და სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოსთვის ანგარიშის წარდგენას, ასევე მენეჯმენტის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობას. შესაბამისობის პოლიტიკის განხორციელებას და შესაბამისობის რისკების მართვის ეფექტური ფუნქციონირებისთვის ბანკში შეიქმნა კომპლაენსის სტრუქტურული ერთეული. სხვა მოვალეობებს შორის, ერთეული წინასწარ აფასებს, იკვლევს, აფასებს და აკონტროლებს შეუსრულებლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან/პოტენციურ რისკებს.

ბანკს სურს თავიდან აიცილოს მოგების და წმინდა ღირებულების მკვეთრი ცვლილებები, რომლებიც შედეგად მოსდევს კონკურენტულ გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე არასათანადო რეაგირებას და/ან არასწორ კორპორაციულ გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, ბანკი განუხრელად იცავს პრინციპს, ჰქონდეს ადეკვატური, კარგად დამუშავებული ბიზნეს-სტრატეგია, რითაც შეამცირებს პოტენციურ რისკებს, და ბიზნესისთვის დამახასიათებელი რისკები მართოს რისკების ადრეული გამოვლენის სისტემების შემუშავებით და შიდა პროცესებისა და პროცედურების საშუალებით, რითაც უზრუნველყოფს, რომ ბანკის ყოველდღიური ბიზნეს-საქმიანობის გადაწყვეტილებები და ქმედებები რისკების გათვალისწინებით იქნება მიღებული და გატარებული.

ICAAP სისტემის საშუალებით ბანკი ასევე აფასებს სხვა რისკებს, რომლის წინაშეც ბანკი შეიძლება დადგეს. ზოგიერთი მათგანი განხილულია ქვემოთ:

ბიზნესის რისკი ნიშნავს მოგებისა და კაპიტალის შემცირების მიმდინარე ან მომავალ რისკს, რომელიც გამოწვეულია ბიზნესგარემოს ცვლილებებით და არასახარბიელო ბიზნეს-გადაწყვეტილებებით, ან ბიზნესის გარემოში მიმდინარე მოვლენების შეუმჩნევლობით, გადაწყვეტილებების არაადეკვატური შესრულებით, ან კონკურენტულ გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე არასათანადო რეაგირებით.

გარემოსა და სოციალური რისკების მართვა, ერთი მხრივ, მოიცავს თავად ბანკის მიერ მის ყოველდღიურ საქმიანობაში გუნებრივი რესურსების ეფიციენტურ მოხმარებასა და ნარჩენების პასუხისმგებლიან მართვას, ხოლო მეორე მხრივ, პასუხისმგებლიანი დაფინანსების (Responsible financing) პრინციპების ინტეგრირებას ბანკის საკრედიტო საქმიანობაში.

პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპების დანერგვისა და ეფექტიანად აღსრულების მიზნით, 2018 წელს გაზისბანკმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა გარემოსა და სოციალური რისკების მართვის საკუთარ პოლიტიკაში და შეიმუშავა Due Diligence-ის და E&S

risk assessment (ეკოლოგიური და სოციალური რისკის შეფასების) პროცედურები. ბანკის მიერ ასევე დადგინდა გამონაკლისების სია (Exclusion List), რომლითაც ჩამოთვლილია იმ საქმიანობათა სია, რომლებსაც არ აფინანსებს ბანკი; ამგვარ გამონაკლისებს მიეკუთვნება საქმიანობები, რომლებიც რაღაც ფორმით შეიძლება უკავშირდებოდეს იარაღისა და საბრძოლო მასალების წარმოებას/ვაჭრობას, იძულებით და ბავშვთა შრომას, არალეგალურ ფარმაცევტულ პროდუქტებს, პესტიციდებისა და ჰერბიციდების განსაზღვრული ტიპების წარმოებას/ვაჭრობას, აზარტულ თამაშებსა და კაზინოებს და ა.შ. ზემოთ აღნიშნული დოკუმენტები ემყარება როგორც საქართველოს მოქმედ საკანონმდებლო ჩარჩოს, ასევე საუკეთესო პრაქტიკას და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების რეკომენდაციებს.

ეკოლოგიური და სოციალური რისკების შეფასების ფარგლებში, ყველა ტიპის ბიზნეს სესხი გადის სტანდარტულ პროცედურას, რომლის ფარგლებშიც ხდება პროექტის გადამოწმება გამონაკლისების სიაში. შემდეგ ეტაპზე კლიენტის მიერ მიწოდებულ მონაცემებზე და დოკუმენტებზე, ადგილზე ვიზიტის შედეგად გაკეთებულ შეფასებებსა და დამოუკიდებელი წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ხდება პოტენციური კლიენტის პასუხისმგებლობის და მის მიერ ეკოლოგიური და სოციალური რისკების მართვის ხარისხის შეფასება. შეფასებისთვის ბანკი იყენებს IFC's Environmental and Social Performance Standards. ბანკს ასევე შეუძლია კლიენტს დაუდგინოს კოვენანტები, რომლის მიზანიც იქნება კლიენტის ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდა (მაგალითად სახანძრო უსაფრთხოების სისტემის გამართვა; შრომის პირობების მოწესრიგება).

ქვეყნის რისკი - ნიშნავს იმ შესაძლო დანაკარგებს, რომლებიც გამოწვეულია (ეკონომიკური, პოლიტიკური და ა.შ.) მოვლენით, რომელიც კონკრეტულ ქვეყანაში ხდება. მოვლენა შეიძლება გააკონტროლის ქვეყნის მთავრობამ, მაგრამ არა კრედიტის გამცემმა/ინვესტორმა. ბანკმა შექმნა ქვეყნის რისკების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რითაც დადგენილია ლიმიტების სისტემა, რომლის მიხედვითაც ქვეყნების საგარეო რეიტინგებზე დაყრდნობით ხდება იმის შეფასება, თუ რამდენად დგას ბანკი ამა თუ იმ ქვეყნის რისკის წინაშე.

რეპუტაციული რისკი - შეიძლება გამოწვეულ იქნას საქმიანობის სფეროში დამკვიდრებული მომსახურების სტანდარტების შეუსრულებლობით, აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობით, მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურების და სამართლიანი საბაზრო პრაქტიკის ნაკლებობით, მომსახურების დაბალი ან გაუარესებული ხარისხით, არაგონივრულად მაღალი ხარჯებით, მომსახურების ისეთი სტილით, რომელიც არ შეესაბამება ბაზრის ვითარებას ან კლიენტის მოლოდინს, არასათანადო ბიზნეს-ქცევით ან უფლებამოსილების მქონე პირთა არაკეთილგანწყობილი აზრით ან ქმედებებით. ბანკს სურს თავიდან აიცილოს მოგების და წმინდა ღირებულების მკვეთრი ცვლილებები, რომლებიც შედეგად მოსდევს კონკურენტულ გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე არასათანადო რეაგირებას და/ან არასწორ კორპორაციულ გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, ბანკი განუხრელად იცავს პრინციპს, ჰქონდეს ადეკვატური, კარგად დამუშავებული ბიზნეს-სტრატეგია, რითაც შეამცირებს პოტენციურ რისკებს, და ბიზნესისთვის დამახასიათებელი რისკები მართოს რისკების ადრეული გამოვლენის სისტემების შემუშავებით და შიდა პროცესებისა და პროცედურების საშუალებით, რითაც უზრუნველყოფს, რომ ბანკის ყოველდღიური ბიზნეს-საქმიანობის გადაწყვეტილებები და ქმედებები რისკების გათვალისწინებით იქნება მიღებული და გატარებული.

კორპორაციული მმართველობა

ეფექტურ კორპორაციულ მმართველობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიის სათანადო ფუნქციონირებისთვის. კარგად გამართული კომპანია კი კარგი ბიზნესის ქვაკუთხედია, განსაკუთრებით ახალგაზრდა ეკონომიკაში. ჩვენი რწმენით, ბანკში და მთლიანად ინდუსტრიაში კარგი კორპორაციული მმართველობის განხორციელება ნიშნავს იმ ძირითადი პრინციპების დაცვას, როგორიცაა გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, დამოუკიდებლობა და სამართლიანობა.

ეფექტური კორპორაციული მმართველობის პრინციპების დასამკვიდრებლად ბანკი ხელმძღვანელობს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული „კომერციული ბანკების კორპორაციული მმართველობის კოდექსით“. ის ასევე ხელმძღვანელობის ბაზელის კომიტეტის მიერ გამოცემული დოკუმენტით „ბანკების კორპორაციული მმართველობის პრინციპები“, კარგი კორპორაციული მმართველობის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა სტანდარტებით და გაიდლაინებით.

აღნიშნული პრინციპების და რეგულაციების გათვალისწინებით, ბანკმა მისი მასშტაბის კომპლექსურობის, სტრუქტურის, ეკონომიკური მნიშვნელობის, რისკის პროფილის და ბანკის და ჯგუფის ბიზნესმოდელის შესაბამისი კორპორაციული მმართველობის სტრუქტურა ჩამოაყალიბა.

აქციონერი

აქციონერი თავის უფლებებს და მოვალეობებს საერთო კრების საშუალებით ახორციელებს. აქციონერთა საერთო კრება ბანკის მმართველობის უმაღლესი ორგანოა. საერთო კრებაში მონაწილეობით აქციონერები ახორციელებენ ბანკის წევრობის უფლებას საქართველოს კანონმდებლობის და ბანკის წესდების თანახმად. საერთო კრება ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე იღებს გადაწყვეტილებებს: ამტკიცებს ბანკის წესდებას, იღებს გადაწყვეტილებებს აქციების გამოშვებაზე, მოგების განაწილებასა და გამოყენებაზე, ბანკის კაპიტალში ცვლილებებზე; სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნასა და/ან გათავისუფლებაზე.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო (საბჭო) არის ორგანო, რომელიც ზედამხედველობას უწევს ბაზისბანკის საქმიანობას და თავის ფუნქციებს სამეთვალყურეო საბჭოს კრების და საბჭოს დონის კომიტეტების საშუალებით ასრულებს.

საბჭო ნიშნავს დირექტორთა საბჭოს წევრებს და მჭიდროდ თანამშრომლობს დირექტორთა საბჭოსთან, ზედამხედველობს და კონსულტაციას უწევს მნიშვნელოვან საკითხებზე და პირდაპირაა ჩართული ძირეული გადაწყვეტილებების მიღებაში.

სამეთვალყურეო საბჭოს საკვანძო ფუნქციებს წარმოადგენს ბანკის საქმიანობის ზედამხედველობა, კორპორაციული მმართველობა და რისკების მართვა. ამ ფუნქციების ფარგლებში, საბჭო იღებს იმგვარ გადაწყვეტილებებს, როგორიცაა: ბანკის ღირებულებების, ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა და ზოგადად, იმის უზრუნველყოფა, რომ ბანკი იმართებოდეს სამართლიანობის, კომპეტენტურობის, პროფესიონალიზმისა და ეთიკის პრინციპების სრული დაცვით; ბანკის სტრატეგიის განსაზღვრა და მენეჯმენტის მიერ სტრატეგიული ამოცანების შესრულების მონიტორინგი; იმის უზრუნველყოფა, რომ ჯგუფი

ასრულებს საზედამხედველო და მარეგულირებლის ყველა მოთხოვნას; დირექტორთა საბჭოსთან და დირექტორის მოადგილესთან (რისკები და ინფორმაციული ტექნოლოგიები) ერთად ბანკის რისკის აპეტიტის განსაზღვრა. საბჭო ასევე ზედამხედველობს დირექტორთა საბჭოს საქმიანობას და აფასებს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, უზრუნველყოფს კონტროლის ფუნქციების დამოუკიდებლობას და ეფექტიანობას და დირექტორთა საბჭოს მუშაობის შეფასებას წარმართავს გრძელვადიანი თანმიმდევრული გეგმის მიხედვით. საბჭო პასუხისმგებელია დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების ზედამხედველობაზე და ჯგუფის შიგნით კანონის და მარეგულირებელი გაზის მოთხოვნების შესაბამისი ეფექტიანი პროცედურების და პოლიტიკის არსებობაზე.

სამეთვალყურეო საბჭო იცავს და შეესაბამება "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის, „კომერციული ბანკების კორპორაციული მმართველობის კოდექსის“, „პროფესიული ქცევის ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებს და იცავს მის სამუშაოსთან დაკავშირებულ საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებს. საბჭოს შეხვედრები ღია დიალოგის, ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის პრინციპებს ემყარება, სადაც წევრებს შესაძლებლობა აქვთ, სრულად ჩაერთონ სამუშაო პროცესში. გადაწყვეტილებები გამჭვირვალედ მიიღება, ყველა წევრი თანაბრადაა ჩართული დიალოგისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გარდა ბანკის ინტერესთა კონფლიქტის მართვის შიდა დებულებით გათვალისწინებული გამონაკლისისა. საბჭოს გადაწყვეტილებები და მასთან დაკავშირებული მასალები უწყვეტად წარედგინება საქართველოს ეროვნულ ბანკს.

სამეთვალყურეო საბჭომ 2020 წელს ჩაატარა 29 რეგულარული და საგანგებო შეხვედრა.

საბჭოს წევრები

საბჭო შედგება ხუთი წევრისგან, რომელთაგან ორი საბჭოს დამოუკიდებელი წევრია. სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად შეირჩევა. საბჭოს წევრებს ირჩევს აქციონერთა საერთო კრება.
საბჭოს შემადგენლობა ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების სათანადო ნაზავია, რომელიც შეესაბამება ბანკის სტრატეგიას. სხვადასხვა სქესის, ასაკის, ეროვნებისა და ფუნქციონალურობის არსებობა დისკუსიის პროცესში განსხვავებულ შეხედულებებს უზრუნველყოფს, განსხვავებული პერსპექტივებიდან შეფასების საშუალებას იძლევა და აუმჯობესებს საბჭოს მუშაობის შედეგებს.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან: ჯან ძუნი - აღმასრულებელი თავმჯდომარე, ჟუ ნინგ, თავმჯდომარის მოადგილე, დამოუკიდებელი წევრი, მი ზაიქი - თავმჯდომარის მოადგილე, ზაზა რობაქიძე - წევრი (დამოუკიდებელი წევრი), მია მი - საბჭოს წევრი.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები

ჯანგ ძუნი - აღმასრულებელი თავმჯდომარე

2010 წლიდან დღემდე სინძიანგ ჰუალინგ ვაჭრობის და ინდუსტრიის ჯგუფის, ანუ ჰუალინგ ჯგუფის გენერალური მენეჯერის მოადგილეა ფინანსებისა და უცხოური ინვესტიციების მიმართულებით. 1998 წლიდან 2010 წლამდე ჯანგ ძუნი იყო ურუმჩის კომერციული ბანკის გაყიდვების დეპარტამენტის გენერალური მენეჯერი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ასისტენტი და ადამიანური რესურსის მართვის დირექტორი. 1992 წლიდან 1997 წლამდე ის იყო ურუმჩის საკრედიტო კავშირის დირექტორის მოადგილე. მრავალი წლის განმავლობაში ჯანგ ძუნი მაღალი თანამდებობები ეკავა ჩინეთის სახალხო ბანკის ურუმჩის ფილიალში, ურუმჩის კომერციულ ბანკში და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებში. მას კომერციული ბანკების და ოპერაციების მართვის მდიდარი გამოცდილება და შესაბამისად, მცირე და საშუალო ზომის კომერციული ბანკების სტრატეგიული განვითარების ნათელი და ღრმა ხედვა აქვს.
ჯანგ ძუნი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მფლობელია.

ჟუ ნინგ - ვიცე-თავმჯდომარე, დამოუკიდებელი წევრი

2005 წლიდან დღემდე არის კომპანია „ტუჰონგ ინტერნეშენელის“ მმართველი დირექტორი. მას ფინანსური კონსულტაციის პროექტები განხორციელებული აქვს: ურუმჩის კომერციულ ბანკში, დეიანგის ბანკში, იანტაი ბანკში, ჰანგ სენგ ბანკში, ვინგ ლუნგ ბანკში, სიამენ ბანკში, ჰონგ კონგ ფუბონ ბანკში და ტიანშანის ბანკში. ჟუ ნინგს ჩინური და უცხოური მცირე და საშუალო ბანკების სტრატეგიის და ბიზნესის განვითარების ღრმა ცოდნა აქვს.

ჟუ ნინგს აშშ-ის ფუქუას ბიზნეს სკოლაში მიღებული აქვს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი, ინჟინრის დიპლომი აშშ-ის ვირჯინიის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და კიდევ ერთი ინჟინრის დიპლომი ჩინეთის მეცნიერების და ტექნოლოგიის უნივერსიტეტში.

მი ზაიქი - ვიცე-თავმჯდომარე

2011 წლიდან დღემდე მი ზაიქი სინძიანგ ჰუალინგ ვაჭრობის და ინდუსტრიის ჯგუფის, ანუ ჰუალინგ ჯგუფის გენერალური მენეჯერის ადმინისტრაციის დირექტორის მოადგილე და ჰუალინგ ჯგუფის საქართველოს ფილიალის გენერალური მენეჯერის ადმინისტრაციის დირექტორია. 2010-2011 წლებში ის ჰუალინგის უძრავი ქონების განვითარების კომპანიაში დირექტორის ასისტენტად მუშაობდა, 2005-2006 წლებში კი ჰუალინგის სასტუმროში გენერალური მენეჯერის ასისტენტი იყო. მი ზაიქიმ ბიზნესის ადმინისტრირების ხარისხი კალიფორნიის უნივერსიტეტში მიიღო.

ზაზა რომაქიძე - სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

ეკონომიკის მაგისტრის ხარისხთან ერთად ზაზა რომაქიძეს საბანკო სფეროში მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს, რომელიც 24 წელზე მეტს ითვლის. 2012 წლიდან დღემდე ბაზისბანკის აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეა, 2018 წლიდან კი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. კარიერა საქართველოს ეროვნულ ბანკში დაიწყო. მრავალი წლის განმავლობაში მას ცენტრალური ბანკის ზედამხედველობის სფეროში სხვადასხვა პოზიცია ეკავა, ეკონომისტიდან დაწყებული, ზედამხედველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელით დამთავრებული.

მია მი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

მია მი ჰუალინგ ჯგუფის საქართველოს თავისუფალი ეკონომიკური ზონის საერთაშორისო განვითარების მიმართულების დირექტორია. ის ჰუალინგის თავისუფალი ეკონომიკური ზონის ხელმძღვანელის ასისტენტად მუშაობის დროს ორ მნიშვნელოვან სფეროს კურირებდა: 2012 წელს გაზისგანკში წილის შეძენას და 2011-2015 წლებში სამშენებლო მასალების ყოველწლიური გამოფენის ორგანიზებას, სადაც ცენტრალური აზიის ბიზნესპარტნიორები ხვდებოდნენ ერთმანეთს. 2015-2017 წლებში მია მის გაზისგანკის საკვანძო დეპარტამენტებში სხვადასხვა პოზიცია ეკავა. ის პასუხისმგებელი იყო საკრედიტო პორტფელის ანალიზზე, ჩინელ კორპორაციულ და საცალო კლიენტებთან კომუნიკაციასა და განკის აქციონერებთან ურთიერთობაზე, აწყობდა მასშტაბურ კორპორაციულ ღონისძიებებს და ადამიანური რესურსის დეპარტამენტს ეხმარებოდა თანამშრომლების შერჩევაში. მია მის ამერიკის ქ. ლოს ანჯელესის სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი აქვს მიღებული.

სამეთვალყურეო საბჭოს დონის კომიტეტები. საბჭო პასუხისმგებლობის კონკრეტულ სფეროებს ანაწილებს თავის კომიტეტებზე, ესენია: აუდიტის კომიტეტი და რისკების მართვის კომიტეტი. კომიტეტების ფუნქციები ერთმანეთისგან გამიჯნულია, საკითხები დუბლირებულად არ განიხილება. კომიტეტები რეგულარულად წარუდგენენ ანგარიშებს სამეთვალყურეო საბჭოს და ხელს უწყობენ საბჭოს ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს.
კომიტეტებს შეუზღუდავი წვდომა აქვთ განკის შიდა ინფორმაციაზე და დოკუმენტებზე, რომლებიც კომიტეტის კომპეტენციის ნებისმიერ საკითხთანაა დაკავშირებული.
კომიტეტებს სრული წვდომა აქვთ დირექტორთა საბჭოს და რისკების მართვის ფუნქციებზე, თუმცა მათ შესაძლებლობა აქვთ დამოუკიდებლად, დირექტორატის წევრების დაუსწრებლად შეხვდნენ განკის რომელიმე სტრუქტურული ქვედანაყოფის თანამშრომლებსა და გარე აუდიტორებს, მოითხოვონ და მიიღონ ანგარიშები.
კომიტეტებს აქვთ უფლება და შესაძლებლობა დამოუკიდებლად მოიწვიონ გარე კონსულტანტები და, საჭიროების შემთხვევაში, მიიღონ კონსულტაციები და მომსახურება იურიდიულ, ტექნიკურ, საბუღალტრო, ფინანსურ, რისკების მართვის, სტატისტიკურ და სხვა საკითხებზე.

აუდიტის კომიტეტი. აუდიტის კომიტეტს საბჭო აარსებს. კომიტეტი საბჭოს წევრებითაა დაკომპლექტებული. სამიდან ორი დამოუკიდებელი წევრია.

გასული წლის განმავლობაში აუდიტის კომიტეტის სხდომა ექვსჯერ ჩატარდა. სხვა ფუნქციებთან ერთად, კომიტეტი პასუხისმგებელი იყო:

- განკის შიდა და გარე აუდიტორების ფუნქციების ადეკვატურობის და ეფექტიანობის უზრუნველყოფა; ამ ამოცანის ფარგლებში, შიდა აუდიტის მასშტაბის და ფარგლების დაწესება;
- იმის უზრუნველყოფა, რომ დირექტორთა საბჭო დგამს აუცილებელ ნაბიჯებს კონტროლის გამოვლენილი სისუსტეების აღმოსაფხვრელად, კანონმდებლობის შეუსრულებლობის და სხვა ნაკლოვანებების გამოსასწორებლად;
- რისკების მართვის სისტემის და შიდა კონტროლის ეფექტიანობის უზრუნველყოფა;
- განკის წლიური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური და არაფინანსური ანგარიშების განხილვა, აუდიტორებთან ერთად აუდირებული ანგარიშების, აუდიტის

წინა და აუდიტის შემდგომი პროცესების, მთავარი საკითხების და დასკვნების განხილვა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის ანგარიშების და რეკომენდაციების მომზადება;

- ყველა შიდა დოკუმენტაციის, შიდა პროცესების და კონტროლის ფუნქციის განხილვა, ფინანსური ანგარიშგების პროცესის და მონაცემთა უტყუარობის შემოწმების პროცესის მონიტორინგი და ა.შ.

აუდიტის კომიტეტის შემადგენლობაა: ზაზა რობაქიძე - აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე და საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, მი ზაიქი - საბჭოს წევრი და ჟუ ნინგ - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და დამოუკიდებელი წევრი.

რისკების მართვის კომიტეტი. რისკების კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს სამი წევრისგან დაკომპლექტდა, ორი მათგანი დამოუკიდებელი წევრია.
საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რისკების კომიტეტის სხდომა ხუთჯერ ჩატარდა. სხვა საკითხებთან ერთად, კომიტეტი პასუხისმგებელი იყო შემდეგზე:

- ზედამხედველობა გაუწიოს ბანკის რისკის სტრატეგიებისა და პოლიტიკების განსაზღვრას და მათ ეფექტიან აღსრულებას;
- შეაფასოს და ზედამხედველობა გაუწიოს ბანკის რისკის პროფილს და ლიმიტებს;
- ზედამხედველობა გაუწიოს შვილობილი კომპანიების რისკების მართვის ფუნქციას, აკონტროლოს და უზრუნველყოს რისკების მართვის ჩარჩოს არსებობა და შიდა კონტროლის სისტემების გამართული ფუნქციონირება.

ამგვარად, რისკების კომიტეტის მეშვეობით, ბანკის სამეთვალყურეო საბჭო აქტიურად არის ჩართული ბანკის რისკების მართვის პროცესში, პროაქტიულად იღებს ინფორმაციას და რეკომენდაციებს რისკების ლიმიტების, მათი შეფასებისა და მონიტორინგის შედეგების შესახებ და აკვირდება, რამდენად ინტეგრირებულია რისკების მართვის სტრატეგიები და პოლიტიკები ბანკის დირექტორატისა თუ სხვადასხვა მიმართულებების ყოველდღიურ საქმიანობაში და მოქმედებენ თუ არა ისინი კანონმდებლობასა და შიდა პოლიტიკებთან შესაბამისობაში.

რისკების მართვის კომიტეტის წევრები არიან: ჟუ ნინგ - სამეთვალყურეო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარე, დამოუკიდებელი წევრი, მია მი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი დაზაზა რობაქიძე - სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი.

დირექტორთა საბჭო

დირექტორთა საბჭოს უპირველესი ფუნქცია ჯგუფის საქმიანობის ეფექტიანი წარმართვა, ბანკის და ჯგუფის უწყვეტი ზრდის და განვითარების უზრუნველყოფა და ბაზარზე სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი ამოცანების მიხედვით მდგრადი პოზიციონირებაა. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს დირექტორთა საბჭოს წევრებს და ადგენს მათ ფუნქციებს, საბჭოს სტრუქტურას და მისი როლის შესაბამისობას შესაბამისი კანონის და კომპეტენციის და უფლებამოსილების განმსაზღვრელი დებულების მოთხოვნებთან. ანაზღაურების საკითხი განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. მენეჯმენტის ანგარიშვალდებულება, სხდომები, გადაწყვეტილების მიღების ჩარჩო განისაზღვრება დირექტორთა საბჭოს რეგულაციით, რომელიც დაამტკიცა სამეთვალყურეო საბჭომ.

დირექტორატი აცნობიერებს კარგი კორპორაციული მართვისა და რისკების მართვის კულტურის მნიშვნელობას და საკუთარ როლს ამ პროცესებში. დირექტორატი ხელმძღვანელობს ბანკის ოპერაციებს და პასუხისმგებელია მისი საქმიანობის ბანკის ამოცანების მიხედვით და მოქმედი კანონების/ინსტრუქციების და შიდა რეგულაციების შესაბამისად

წარმართვაზე. დირექტორთა საბჭო მჭიდროდ თანამშრომლობს სამეთვალყურეო საბჭოსთან და მას სისტემატურად, სულ მცირე კვარტალში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს ყველა იმ შესაბამის საკითხზე, რომლებიც ეხება სტრატეგიას, დაგეგმილ ბიზნეს-პოლიტიკას, დაგეგმვას, ბიზნესის განვითარებას, რისკების მდგომარეობას, რისკების მართვას, პერსონალის განვითარებას, რეპუტაციასა და შესაბამისობას.

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ბიზნესის ამოცანების შესრულებაზე ჯგუფის სტრატეგიის თანახმად, ბანკის კაპიტალის და ლიკვიდობის დაგეგმვის უზრუნველყოფაზე და იმაზე, რომ ბანკის მასშტაბით ხდება მენეჯმენტის პოლიტიკის და პროცედურების კომუნიკაცია და განხორციელება და მათ აქვთ უფლებამოსილებით და რესურსებით სათანადო მხარდაჭერა. მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია იმის უზრუნველყოფაზე, რომ ბანკი მუშაობს მისი შიდა და გარე რეგულაციებით განსაზღვრულ პროცესებსა და პროცედურებთან, განაწილებულ რესურსებთან, დაგეგმვასთან, მართვასთან, ფინანსური და რისკების პოზიციების აღრიცხვასა და ანგარიშგებასთან შესაბამისობაში, და რომ სათანადოდ ასრულებს მენეჯმენტის და კონტროლის ფუნქციებს.

დირექტორთა საბჭო შედგება გენერალური დირექტორისა და მისი მოადგილეებისგან, და სხვა დირექტორებისგან.
დირექტორთა საბჭო 7 წევრისგან შედგება: გენერალური დირექტორი **დავით ცაავა,** გენერალური დირექტორი ფინანსებში **ლია ასლანიკაშვილი,** გენერალური დირექტორის მოადგილე დაკრედიტების საკითხებში **ხვეი ლი,** გენერალური დირექტორის მოადგილე რისკების მართვის საკითხებში **დავით კაკაბაძე,** გენერალური დირექტორის მოადგილე საცალო ბიზნესი **ლევან გარდაფხაძე,** კომერციული დირექტორი **გიორგი გაბუნია** და საოპერაციო დირექტორი **რატი დვალაძე.**

დავით ცაავა - გენერალური დირექტორი

ბაზისბანკის გენერალური დირექტორი 2011 წლიდან. 2015-2018: სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2017 წლის დეკემბრიდან სს „BHL ლიზინგის“ და სს „ჰუალინგ დაზღვევის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია.

დავით ცაავას საბანკო სექტორში მუშაობის 16 წლიანი გამოცდილება აქვს. ბაზისბანკში კარიერა საკრედიტო ოფიცრის პოზიციიდან დაიწყო, მოგვიანებით კი 2008 წელს კორპორაციული სესხების განყოფილებას ხელმძღვანელობდა. 2008-2010 წლებში კორპორატიული დირექტორი იყო. 2010-2011 წლებში დავით ცაავა გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი იყო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბანკო საქმესა და ფინანსებში ბაკალავრის ხარისხის მოპოვების შემდეგ სწავლა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო, სადაც მაგისტრის ხარისხი მიიღო. მოგვიანებით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის ხარისხი მიენიჭა.

ლია ასლანიკაშვილი - გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების მიმართულებით

ბაზისბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების მიმართულებით 2012 წლიდან. 2017-2018: BHL ლიზინგის გენერალური დირექტორი. 2017-დღემდე: ამავე კომპანიის და ასევე ბაზისბანკის ჯგუფის კიდევ ერთი წევრის, ჰუალინგ დაზღვევის გენერალური დირექტორის მოადგილე.

ლია ასლანიკაშვილს საბანკო სფეროში მოღვაწეობის 21-წლიანი ისტორია აქვს. 1999-2002 წლებში გაზისბანკის საერთაშორისო ოპერაციების დეპარტამენტის მენეჯერი იყო. 2002-2005 წლებში ამავე დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. 2005-2007 წლებში ანგარიშსწორების დეპარტამენტის ხელმძღვანელი იყო. 2007-2008 წლებში ლია ასლანიკაშვილი ხაზინის დეპარტამენტს ედგა სათავეში, 2008-2012 წლებში კი ბანკის ფინანსური დირექტორის თანამდებობა ეკავა.

ფლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა მაგისტრის ხარისხს.

ლი ხვეი - გენერალური დირექტორის მოადგილე დაკრედიტების მიმართულებით

გენერალური დირექტორის მოადგილე დაკრედიტების მიმართლებით 2012 წლიდან. 2015-2018: ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2017 წლიდან BHL ლიზინგის და ჰუალინგ დაზღვევის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

ფინანსურ სექტორში 1993 წლიდან მუშაობს. 2005-2012 წლებში ქ. ურუმჩის კომერციული ბანკის საკრედიტო მართვის დეპარტამენტში კრედიტების დამტკიცების მიმართულებას ხელმძღვანელობდა. სხვადასხვა დროს ურუმჩის საკრედიტო კოოპერატივების საკრედიტო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე და დირექტორის მოადგილე იყო.

ლი ხვეის ბუღალტრული აღრიცხვის ბაკალავრის ხარისხი აქვს, რომელიც ჩინეთის ფინანსურ უნივერსიტეტში მიიღო.

დავით კაკაბაძე - გენერალური დირექტორის მოადგილე რისკების მართვის მიმართულებით

გაზისბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე რისკების მართვის მიმართულებით 2019 წლიდან. 2017-2019: ჰუალინგ დაზღვევის გენერალური დირექტორი. 2017-2018: BHL ლიზინგის გენერალური დირექტორის მოადგილე.

დავით კაკაბაძეს საბანკო სფეროში მუშაობის 17-წლიანი გამოცდილება აქვს. გაზისბანკში 2003 წლიდან მუშაობს. თავიდან ის დეველოპერი და პროგრამისტი იყო. 2005 წელს პროგრამირების განყოფილების უფროსად დაინიშნა. 2008-2012 წლებში დავით კაკაბაძე ინფორმაციული ტექნოლოგიების და რისკების მართვის დირექტორი გახდა. 2012-2019 წლებში გაზისბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე იყო რისკების და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის მიმართულებით.

დავით კაკაბაძეს კავკასიის ბიზნესსკოლაში ფინანსების მაგისტრის ხარისხი აქვს მინიჭებული.

ლევან გარდაფხაძე - გენერალური დირექტორის მოადგილე საცალო საბანკო საქმიანობის მიმართულებით

გაზისბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე საცალო საბანკო საქმიანობის მიმართულებით 2012 წლიდან. 2017-2018: BHL ლიზინგის და ჰუალინგ დაზღვევის გენერალური დირექტორის მოადგილე.

ლევან გარდაფხაძეს საბანკო სექტორში მუშაობის 17-წლიანი გამოცდილება აქვს. გაზისბანკში კარიერა საერთაშორისო ოპერაციების დეპარტამენტის მენეჯერობიდან დაიწყო. 2005 წელს დაინიშნა პლასტიკური ბარათების დეპარტამენტის უფროსად. 2007-2008 წლებში

განვითარების პროექტების მართვის კომიტეტს ხელმძღვანელობდა. 2008-2012 წლებში საცალო საბანკო საქმიანობის დირექტორი იყო.

ლევან გარდაფხაძეს ბიზნესის მართვის მაგისტრის ხარისხი აქვს, რომელიც საქართველოს უნივერსიტეტში მიენიჭა. თბილისის ეკონომიკურ, სამართლის და ინფორმაციის უნივერსიტეტში სამართლის მაგისტრის ხარისხი მიიღო, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კი - საერთაშორისო ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი მიენიჭა.

გიორგი გაბუნია - კომერციული დირექტორი

ბაზისბანკის კომერციული დირექტორი 2019 წლიდან. გიორგი გაბუნიას საბანკო სექტორში მოღვაწეობის 15 წლიანი ისტორია აქვს. 2012-2019 წლებში ის ბანკის კომერციულ დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა, 2010-2012 წლებში საერთაშორისო საბანკო დაწესებულებაში კორპორაციულ მიმართლებას ედგა სათავეში. 2008-2010 წლებში კორპორაციულ რეგიონულ ჯგუფს მართავდა. 2006-2008 წლებში კი ამავე დაწესებულების კორპორაციული ბანკირი იყო. უფრო ადრეულ წლებში კი ბაზისბანკის მარკეტინგის და გაყიდვების სფეროში მუშაობდა.

გიორგი გაბუნიას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბანკო საქმის მაგისტრის ხარისხი მიენიჭა. ბაკალავრის ხარისი ფინანსებსა და საბანკო საქმეში ამავე უნივერსიტეტში მიიღო.

რატი დვალაძე - ოპერაციული დირექტორი

ბაზისბანკის ოპერაციული დირექტორი 2019 წლიდან. 2014-2019 წლებში რატი დვალაძე ბაზისბანკის პროექტების მართვის და ბიზნესის ანალიზის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. 2008-2014 წლებში საკრედიტო რისკების სისტემის და ანალიზის მიმართულებით მუშაობდა. ის ასევე ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას. კითხულობს ლექციებს.

რატი დვალაძემ საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის მაგისტრის ხარისხი თავისუფალ უნივერსიტეტში მიიღო. მას ასევე აქვს მაგისტრის ხარისხი მათემატიკაში, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო და ბაკალავრის ხარისხი მათემატიკაში.

ინტერესთა კონფლიქტი

ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბანკის სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორთა საბჭო და კონტროლის ფუნქციები მკაცრად აკონტროლებენ ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო წყაროებს, მათ შორის შემდეგი მექანიზმებით: ბანკი აღრიცხავს დაკავშირებულ მხარეებს და აწესებს კონტროლს დაკავშირებულ მხარეებთან წარმოებულ ტრანზაქციებზე. პერიოდულად, არსებულ გამოწვევებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სამეთვალყურეო საბჭო განაახლებს მის მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ პოლიტიკას. ამასთან, ბანკი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს ეროვნულ ბანკთან და ითვალისწინებს ზედამხედველის მითითებებს კონტროლის მძლავრი სისტემის შექმნასთან დაკავშირებით.
დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები აუცილებელი წესით ექვემდებარება ბანკის დირექტორთა საბჭოს/სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განხილვასა და დამტკიცებას (თანხების შესაბამისად). ამასთან, ბანკი მტკიცედ იცავს ტრანზაქციაში მონაწილე მხარეთა დამოუკიდებლობის და თანაბრობის, ანუ „გაშლილი მკლავის“ (ე.წ. arm's length principle) პრინციპს და უზრუნველყოფს დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების ამ პრინციპთან შესაბამისობას.

ფინანსური მდგრადობა

2020 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა IFC-თან თანამშრომლობით შეიმუშავა „მდგრადი განვითარების სახელმძღვანელო“, რომელიც კომერციულ ბანკებს წაახალისებსმართონ გარემოს დაცვის და სოციალური რისკები და ამ რისკების შეფასება მათ დაკრედიტების პოლიტიკაში გაითვალისწინონ.

გაზისბანკი იმ რამდენიმე კომერციულ ბანკს შორისაა, რომლებმაც თავიანთი დაკრედიტების პროცედურებში შეიტანეს გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) შემოწმება - ფაქტობრივად, 2018 წლიდან მოყოლებული, E&S რისკების სკრინინგი, განხილვა, კატეგორიზაცია და მონიტორინგი ბანკის საკრედიტო განაცხადის განხილვის პროცესის ნაწილია. E&S შიდა პოლიტიკა განსაზღვრავს მდგრადი დაფინანსების პრინციპებს და ადგენს იმ საქმიანობების ჩამონათვალს, რომლებიც გამორიცხულია დაფინანსებიდან. გამორიცხული აქტივობების ჩამონათვალი მოიცავს საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია იარაღთან და საბრძოლო მასალებთან /გასამხედროებულ მასალებთან, იძულებით/ ბავშვთა შრომასთან, აზარტულ თამაშებთან და ა.შ.

დაფინანსებამდე ბანკი ამოწმებს პროექტის E&S მდგომარეობას და ითხოვს ყველა საჭირო ინფორმაციას/ნებართვას. ამ ინფორმაციის საფუძველზე, პროექტს ენიჭება მაღალი და საშუალო დაბალი E&S რისკის კატეგორია. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის გარემოსდაცვითი/სოციალური მუშაობის ხარვეზები გამოვლინდა, ბანკმა კლიენტთან შეთანხმებაში შეიძლება შეიტანოს სათანადო კოვენანტები. პროგრესის მონიტორინგი ხდება მონიტორინგის ვიზიტების დროს.

სოციალური ფაქტორები

გაზისბანკის, როგორც პასუხისმგებლიანი დამსაქმებლის სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოები კომპანიის შიგნით აყალიბებენ ეთიკური ქცევისა და კეთილსინდისიერების სტანდარტებს და შემდეგ აკეთებენ სათანადო კომუნიკაციას მათ შესახებ. ბანკის პოლიტიკა და პროცედურები იცავს მამხილებლებს, თანასწორობას, თანამშრომელს, სამუშაო ადგილის

ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას. ბანკი, როგორც დამსაქმებელი, მოწოდებულია შეინარჩუნოს შევიწროებისგან და დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემო, ისეთი სამუშაო გარემო, სადაც ყველა ინდივიდს დასაქმების ყველა დონეზე პატივისცემით და ღირსეულად ეპყრობიან.

ბანკის დირექტორთა საბჭო იცავს ყველა შესაბამისი შრომითი კანონმდებლობის და რეგულაციის მოთხოვნებს და შრომის საერთაშორისო სტანდარტებს.

ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის (AFC) სისტემა

ბაზისბანკმა ჰოლისტიკური მიდგომა შეიმუშავა ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისადმი და ჯგუფის მასშტაბით დააარსა ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის (AFC) სისტემა. ის შემდეგი ძირითადი საკითხებისგან შედგება: ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღდეგ ბრძოლა (AML/CTF), მექრთამეობის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა (ABC) და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება.

ზემოთ მოყვანილი პოლიტიკის გათვალისწინებით, ასევე არსებული პრაქტიკის თანახმად, უნდა აღინიშნოს, რომ ბაზისბანკი ბაზისბანკი ნულოვანი ტოლერანტობის მიდგომას იყენებს ისეთი აქტივობების განზრახ ხელშეწყობისადმი, როგორიცაა: ფულის გათეთრება, ტერორიზმის დაფინანსება, მექრთამეობა, თაღლითობა. კორუფცია, ინსაიდერებთან ვაჭრობა და ინტერესთა კონფლიქტი.

სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო ყველა თანამშრომელს (ყველა დონის თანამშრომელს, საშუალო და მაღალი დონის მენეჯერებს, მუდმივ და დროებით თანამშრომლებს), კონსულტანტებს, გარე სერვისების მომწოდებლებს და ბანკთან დაკავშირებულ სხვა გიზნეს-ერთეულებს თხოვს, თავიანთი ბიზნესი სამართლიანად და კანონთან შესაბამისობაში მართონ, დაიცვან პატიოსნების, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების ფუნდამენტური ღირებულებები და შესაბამისობის კულტურა, რომელშიც ფინანსური დანაშაული არასდროს იქნება მისაღები.

ბანკი ხელს უწყობს ანონიმური მხილების სისტემის გამოყენებას, რომელიც თანამშრომლებს და კლიენტებს, ასევე მესამე მხარეს საშუალებას აძლევს, განაცხადონ იმ დარღვევების და შესაძლო ქმედებების შესახებ, რომლებიც ეწინააღმდეგება ბანკის განცხადებულ პოლიტიკას, შესაბამის კანონებს და ეთიკური ქცევის სტანდარტებს.

შესაძლო ინციდენტების ანალიზი და გამოძიება აუდიტის კომიტეტის მონაწილეობით რაც შეიძლება სწრაფად ხდება, გამოძიების პროცესში მონაწილე ყველა პირის მიერ კონფიდენციალობის და პირად მონაცემთა დაცვის პრინციპების მიხედვით.

შიდა აუდიტი, ფინანსური მონიტორინგის სამსახური, კომპლაენსის და ოპერაციული რისკების მართვის ფუნქციები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ფინანსურ დანაშაულებზე

შიდა აუდიტი, ფინანსური მონიტორინგის სამსახური, კომპლაენსის და ოპერაციული რისკების მართვის განყოფილებები პასუხისმგებელნი არიან AFC ჩარჩოს შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, ზრუნავენ, რომ შინაგანაწესი და მუშაობის პრინციპები ინტეგრირებული იყოს ბანკის ყველა სახის საქმიანობაში.

ბაზისბანკის ჯგუფის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2020 წლის 31 დეკემბერი

ბაზისბანკის ჯგუფი

სარჩევი

	Page
განცხადება მენეჯმენტის პასუხისმგებლობის შესახებ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და დამტკიცებასთან დაკავშირებით 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიში	5
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიში	6
კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიში	7
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიში	9

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშები

სარჩევი

1	შესავალი	11
2	ჯგუფის საოპერაციო გარემო	12
3	ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	14
4	კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს	39
5	ახალ ან გადამუშავებულ სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებზე გადასვლა	41
6	ახალი ბუღალტრული განცხადებები	43
7	ფული და ფულის ეკვივალენტები	47
8	სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	48
9	მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	48
10	ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში	49
11	ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში	56
12	კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	56
13	ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები	81
14	სადაზღვევო აქტივები	84
15	საინვესტიციო ქონება	84
16	სხვა ფინანსური აქტივები	85
17	სხვა აქტივები	87
18	შენობა-ნაგებობები, მოწყობილობა და არამატერიალური აქტივები	88
19	აქტივების და საიჯარო ვალდებულებების გამოყენების უფლება	89
20	გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები (ან გასხვისების ჯგუფები)	91
21	ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	91
22	კლიენტთა ანგარიშები	92
23	სხვა ნასესხები სახსრები	93
24	სადაზღვევო ვალდებულებები	93
25	სხვა ფინანსური ვალდებულებები	96
26	სხვა ვალდებულებები	96
27	სუბორდინირებული ვალი	97
28	სააქციო კაპიტალი	97
29	წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდა	97
30	კაპიტალის თითოეულ კომპონენტში აღიარებული სხვა სრული შემოსავალი	99
31	საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი	100
32	საკომისიო შემოსავალი და ხარჯი	101
33	სხვა საოპერაციო შემოსავალი	101
34	ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	102
35	მოგების გადასახადი	103
36	დივიდენდები	105
37	დაფინანსების საქმიანობისგან წარმოშობილი ვალდებულებების რეკონსილაცია	105
38	ფინანსური რისკების მართვა	106
39	კაპიტალის მართვა	131
40	პირობითი ვალდებულებები	134
41	ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა	143
42	სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება	144
43	ფინანსური ინსტრუმენტების წარმოდგენა შეფასების კატეგორიის მიხედვით	148

ბაზისბანკის ჯგუფი

სარჩევი

44	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეთა შორის	149
45	აბრევიატურები	154

ბაზისბანკის ჯგუფი

განცხადება მენეჯმენტის პასუხისმგებლობის შესახებ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებასთან დაკავშირებით 2020 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისთვის

ბაზისბანკის (შემდგომში „ბანკი“) მენეჯმენტი პასუხისმგებელია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად წარადგენს სს ბაზისბანკის და მისი შვილობილი კომპანიების (ერთად “ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მოგება-ზარალის ანგარიშს, სრული შემოსავლის ანგარიშს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშს და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებებს („კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშები“) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია შემდეგზე:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სწორად შერჩევა და გამოყენება;
- ინფორმაციის, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, წარდგენა იმგვარად, რომ უზრუნველყოს შესაბამისი, სანდო, შედარებადი და გასაგები ინფორმაცია;
- დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება, როდესაც IFRS სპეციფიკური მოთხოვნების შესრულება არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ მომხმარებლებმა შეძლონ გააცნობიერონ კონკრეტული ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფინანსურ საქმიანობაზე; და
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სახით საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობის შეფასება.

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია შემდეგზე:

- შიდა კონტროლის ეფექტიანი და ჯანსაღი სისტემის შექმნა და განხორციელება ჯგუფის მასშტაბით;
- ადეკვატური სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება, რომლებიც საკმარისი იმისთვის, რომ აჩვენოს და ახსნას ჯგუფის ტრანზაქციები და გონივრული სიზუსტით ნებისმიერ დროს გაამჟღავნოს ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობა და რომელიც მას საშუალებას აძლევს უზრუნველყოს, რომ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები შეესაბამება IFRS-ს.
- სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების დასაცავად ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რაც მას გონივრულად აქვს ხელმისაწვდომი; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების პრევენცია და გამოვლენა.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის დამტკიცდა ჯგუფის მენეჯმენტის საბჭოს მიერ 2021 წლის 31 მარტს.

მენეჯმენტის საბჭოს სახელით:

_____

დავით ცაავა
გენერალური დირექტორი

31 მარტი 2021

_____

ლია ასლანიკაშვილი
გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსები
31 მარტი 2021

Deloitte.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს ბაზისბანკის აქციონერებს და მენეჯმენტს

დასკვნა

აუდიტი ჩაუტარდა სს ბაზისბანკის („ბანკი“) და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი“) კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს: ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშებს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის; კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის; ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის; და ფინანსური ანგარიშების განმარტებებს, რომლებიც მოიცავს ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

ჩვენი დასკვნით, თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშები ყველა არსებითი ასპექტით სამართლიანად წარმოადგენს ჯგუფის და ბანკის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსური საქმიანობის შედეგებს და კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფულადი ნაკადების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ამ სტანდარტებით, ჩვენი პასუხისმგებლობა განხილულია ჩვენი ანგარიშის თავში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის საერთაშორისო ეთიკური სტანდარტების მუხლის თანახმად, (IESBA კოდექსი), ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან. ჩვენ ასევე შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური მოვალეობები. ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მიღებული აუდიტის მტკიცებულება საკმარისი და ადეკვატურია ჩვენი დასკვნის საფუძვლის ჩამოყალიბებისთვის.

სხვა საკითხი

ჯგუფის და ბანკის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების აუდიტი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარდა სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც 2019 წლის 20 მარტს ანგარიშებთან დაკავშირებით დადებითი დასკვნა დაწერა.

ფინანსურ ანგარიშებთან დაკავშირებით მენეჯმენტის და მმართველობის ფუნქციის მქონე პირების მოვალეობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისმშესაბამისად; ის ასევე პასუხისმგებელია ისეთ შიდა კონტროლზე, როგორსაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ისეთი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად, რომლებშიც არ იქნება არსებითი უზუსტობები, სულერთია ტყუილის, თუ შეცდომის შედეგად.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების მომზადებისას, მენეჯმენტის მოვალეობაა, შეაფასოს ჯგუფის და ბანკის უნარი, გააგრძელოს მუშაობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, საჭიროებისას გაამჟღავნოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო მეთოდი, თუ მენეჯმენტი არ აპირებს ჯგუფის ან ბანკის ლიკვიდაციას, ან ოპერაციების შეწყვეტას, ან არ აქვს ამგვარი ქმედების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მმართველობის ფუნქციის მქონე პირები ჯგუფის და ბანკის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე არიან პასუხისმგებელი.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშების აუდიტთან დაკავშირებით

ჩვენი ამოცანებია, მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ მთლიანად კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშებში არსებითი უზუსტობები არ არის, სულერთია ტყუილის თუ შეცდომის შედეგად, და გამოვცეთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს დასკვნას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არაა იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის მიაკვლევს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოიწვიოს ტყუილმა ან შეცდომამ და არსებითად ითვლება, თუ ისინი, ცალკე ან ერთობლივად, აჩენს გონივრულ მოლოდინს, რომ გავლენას მოახდენს მომხმარებლების მიერ ამ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშებზე დაყრდნობით გაკეთებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად ჩატარება მოითხოვს, აუდიტის განმავლობაში ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების არსებითი უზუსტობის რისკებს, სულერთია ტყუილის თუ შეცდომის შედეგად, ვამზადებთ და ვასრულებთ აუდიტის ისეთ პროცედურებს, რომლებიც ასეთ რისკებზეა ორიენტირებული და ვიღებთ აუდიტის მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატურია ჩვენი დასკვნის საფუძვლის ჩამოყალიბებისთვის. იმის რისკი, რომ აუდიტი ვერ მიაკვლევს ტყუილით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეულის ვერმიკვლევის, რადგან ტყუილი შეიძლება გულისხმობდეს საიდუმლო შეთანხმებას, გაყალბებას, განზრახ გამოტოვებას, არასწორ ინტერპრეტაციებს ან შიდა კონტროლის გადამეტებას.
- ვიღებთ აუდიტისთვის რელევანტურ ინფორმაციას შიდა კონტროლის შესახებ, გარემოებების შესაბამისი აუდიტის პროცედურების მომზადების მიზნით და არა ჯგუფის და ბანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის კანონზომიერებას და მენეჯმენტის მიერ მოწოდებული სააღრიცხვო პროგნოზების და მასთან დაკავშირებული გამჟღავნებების გონივრულობას.
- ვამზადებთ დასკვნას იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად კანონზომიერად იყენებს მენეჯმენტი ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო მეთოდს და მიღებული აუდიტის მტკიცებულების საფუძველზე ვასკვნით, არსებობს თუ არა არსებითი განუსაზღვრელობა იმ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვან ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის და ბანკის უნარი, მუშაობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენი მოვალეობაა, აუდიტის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშის შესაბამის გამჟღავნებებში, ან, თუ ასეთი გამჟღავნებები არაადეკვატურია, შევცვალოთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები აუდიტის ანგარიშის მომზადების დროს მიღებულ აუდიტის მტკიცებულებებს ეფუძნება.

თუმცა, მომავლის მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის ან ბანკის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სახით მუშაობის გაგრძელების შეწყვეტა.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების საერთო პრეზენტაციას, სტრუქტურას და შინაარსს, გამჟღავნებების ჩათვლით; ასევე იმას, წარმოადგენს თუ არა ფინანსური ანგარიშები მიმდინარე ტრანზაქციებს და მოვლენებს იმგვარად, რომ სამართლიანად იყოს წარმოდგენილი.
- ვიღებთ საკმარის ადეკვატურ აუდიტის მტკიცებულებას ჯგუფის ბიზნეს-ერთეულების ან ბიზნეს-საქმიანობის ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით და ვაყალიბებთ მოსაზრებას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენს დასკვნაზე პასუხს ვაგებთ მხოლოდ ჩვენ.

მმართველობის ფუნქციის მქონე პირებთან ვაწარმოებთ კომუნიკაციას, სხვა საკითხებთან ერთად, აუდიტის დაგეგმილ მასშტაბსა და ვადებზე, აუდიტის მნიშვნელოვან დასკვნებზე, მათ შორის აუდიტის დროს აღმოჩენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ხარვეზებზე.

სტიუარტ ლეიტონი
კომპანია Deloitte & Touche LLC სახელით

თბილისი, საქართველო
31 მარტი 2021

		31 დეკ 2020		31 დეკ 2019	
ათასი ლარი	განმ	ბანკის ინდივიდ	კონსოლიდ	ბანკის ინდივიდ	კონსოლიდ
აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	403,190	405,089	246,711	248,700
სავალდ. რეზ. საქ.ერ. ბანკში	8	198,238	198,238	177,989	177,989
მოთხოვნები სხვა ბანკ. მიმართ	9	-	13,424	-	7,186
ინვესტიციები სავალო ფას. ქაღ.	10	285,333	285,633	202,269	202,569
ინვესტიციები საემისიო ფას. ქაღ.	11	63	63	63	63
ინვესტიციები შვილ. კომპ.	44	20,796	-	13,097	-
კლიენტებზე გაც. სესხები და ავანს.	12	1,075,253	1,075,253	984,994	984,994
ფინ. ლიზინგი კლიენტებზე	13	-	5,108	-	3,126
დაზღვევიდან მისაღ. შემოსავლ.	14	-	5,846	-	8,798
საინვესტიციო ქონება	15	-	583	367	959
მოგების გად. მიმდ. ავანსი	35	2,253	2,253	1,472	1,472
სხვა ფინანსური აქტივები	16	1,294	1,334	1,157	1,204
სხვა აქტივები	17	36,044	38,669	28,293	30,615
შენობა-ნაგ. და მოწყობილობა	18	25,796	27,510	26,948	27,016
არამატერიალური აქტივები	18	3,795	3,909	2,033	2,199
აქტივების გამოყენ. უფლ.	19	4,153	4,153	3,536	3,536
სარეალიზ. გრძელვად. აქტივები	20	1,614	1,673	291	486
მთლიანი აქტივები		**2,057,822**	**2,068,738**	**1,689,220**	**1,700,912**
ვალდებულებები					
ვალდებულ. სხვა ბანკ. მიმართ	21	304,163	304,163	183,984	183,984
კლიენტთა ანგარიშები	22	940,377	938,715	770,050	768,870
სხვა ნასესხები სახსრები	23	477,012	477,012	428,926	428,926
სალიზინგო ვალდებულებები	19	4,812	4,812	3,737	3,737
სადაზღვევო ვალდებულებები	24	-	6,119	-	8,828
სხვა ფინანსური ვალდებულებები	25	5,918	6,302	2,151	2,557
მოგ.გადას.მიმდ.ვალდებულება	35	3,068	3,075	1,848	1,855
გადავადებული მოგ.გად.ვალდ.	40	586	586	1,010	1,010
ვალდ.და ხარჯ. რეზერვები	26	1,978	2,696	2,638	3,097
სხვა ვალდებულებები	27	16,368	16,368	14,410	14,410
მთლიანი ვალდებულებები		**1,754,282**	**1,759,848**	**1,408,754**	**1,417,274**
კაპიტალი					
სააქციო კაპიტალი	28	16,057	16,057	16,057	16,057
საემისიო შემოსავალი	28	74,923	74,923	74,923	74,923
წილ. ინსტრ. გადახ. რეზერვი		1,842	1,842	1,822	1,822
შენ-ნაგ. გადაფას. რეზერვი		9,165	10,003	9,165	9,165
სავალო ვალდ. გადაფას. რეზ. FVOCI-ით	30	173	173	-	-
გაუნაწილებელი მოგება		201,380	205,892	178,499	181,671
მთლიანი კაპიტალი		**303,540**	**308,890**	**280,466**	**283,638**
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		**2,057,822**	**2,068,738**	**1,689,220**	**1,700,912**

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2021 წლის 31 მარტს.

_____	_____
დავით ცაავა	ლია ასლანიკაშვილი
გენერალური დირექტორი	გენ დირ მოადგილე ფინანსები

11-154 გვერდებზე მოცემული განმარტებები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიში
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		2020		2019	
ათასი ლარი	განმ	ბანკის ინდ	კონსოლიდ	ბანკის ინდ	კონსოლიდ
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი	31	121,705	123,081	114,884	115,468
საპროცენტო ხარჯი	31	(66,830)	(66,773)	(56,394)	(56,031)
ამორტიზებული ღირებულებით გაანგარიშებული ფინანსური აქტივების მოდიფიკაციის დანაკარგები, რაც არ დასრულდა აღიარების შეწყვეტით	12	(1,914)	(1,914)	-	-
საპროცენტო და მსგავსი შემოსავლის წმინდა მარჟა		**52,961**	**54,394**	**58,490**	**59,437**
საკრედიტო ზარალის რეზერვი		(9,935)	(10,034)	(1,064)	(1,075)
საპროცენტო და მსგავსი შემოსავლის წმინდა მარჟა საკრედიტო ზარალის რეზერვის შემდეგ		**43,026**	**44,360**	**57,426**	**58,362**
საკომისიო შემოსავალი	32	7,227	7,185	8,473	8,399
საკომისიო ხარჯი	32	(3,165)	(3,165)	(3,368)	(3,368)
წმინდა სადაზღვევო შემოსავალი		-	2,652	-	3,132
წმ დამდგარი სადაზღ ზარალები		-	(583)	-	(284)
ფინანსური შემოსავალი ლიზინგიდან		-	1,629	-	474
მოგებას გამოკლ. ფინ. დერივატ. გამოწვ. დანაკარგები		(1,243)	(1,243)	-	-
მოგებას გამოკლ. უცხ. ვალუტ. ვაჭრ.გამოწვ. დანაკარგები		4,732	4,732	4,644	4,644
უცხ. ვალუტ. გადაანგარიშ. მოგებას გამოკლ. დანაკარგები		(1,052)	(1,065)	(372)	(372)
კრედიტთან დაკავშ. ვალდებულ. რეზერვი		415	415	(552)	(552)
სხვა საოპერაციო შემოსავალი, წმინდა	33	2,001	1,967	1,924	1,938
ადმინისტრ. და სხვა საოპ.ხარჯები	34	(28,656)	(31,197)	(30,358)	(32,442)
მოგება დაბეგვრამდე		**23,285**	**25,687**	**37,817**	**39,931**
მოგების გადასახადის ხარჯი	35	(1,240)	(1,466)	(2,288)	(2,604)
წლის მოგება		**22,045**	**24,221**	**35,529**	**37,327**
სხვა სრული შემოსავალი					
მუხლები, რომლებიც არ გადაკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში::					
მოგებას გამოკლ ზარალი წლის განმავლობაში, რომლებიც გამოწვეულია FVOCI-ით აღიარებული სავალო ვალდებულებებით წლის განმავლობაში	30	173	173	-	-
მუხლები, რომლებიც არ გადაკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში::					
შენობა-ნაგებობების გადაფასება	30	838	838	-	-
წლის სხვა სრული შემოსავალი		**1,011**	**1,011**	**-**	**-**
წლის სხვა სრული შემოსავალი სულ		**23,056**	**25,232**	**35,529**	**37,327**

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2021 წლის 31 მარტს.

დავით ცაავა	ლია ასლანიკაშვილი
გენერალური დირექტორი	გენ დირ მოადგილე, ფინანსები

11-154 გვერდებზე მოცემული განმარტებები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ათასი ლარი	განმ	საქციო კაპიტალი	საემისიო შემოსავალი	წილ ინსტრ გადახ რეზ	FVOCI-ით აღიარებული ფას ქაღ გადაფას რეზ	შენ-ნაგებ გადაფას რეზ	გაუნაწ მოგება	მთლიანი კაპიტალი
ბალანსი 2019 წლის 1 იანვარს		**16,057**	**74,923**	**1,339**	-	**9,284**	**147,931**	**249,536**
წლის მოგება		-	-	-	-	-	37,327	37,327
სხვა სრული შემოსავალი	30	-	-	-	-	-	-	-
2019 წლის სრული შემოსავალი სულ		-	-	-	-	-	37,327	37,327
წილ.ინსტრ.გადახდ.დარიცხვებ	29	-	-	483	-	-	-	483
შენობა-ნაგ. გადაფ. ნამეტის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში		-	-	-	-	(119)	140	21
დეკლარირებული დივიდენდები	36	-	-	-	-	-	(3,729)	(3,729)
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერს		**16,057**	**74,923**	**1,822**	-	**9,165**	**181,671**	**283,638**
წლის მოგება		-	-	-	-	-	24,221	24,221
სხვა სრული შემოსავალი	30	-	-	-	173	838	-	1,011
2020 წლის სრული შემოსავალი სულ		-	-	-	173	838	24,221	25,232
წილ. ინსტრ. გადახ. დარიცხვები	29	-	-	20	-	-	-	20
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერს		**16,057**	**74,923**	**1,842**	**173**	**10,003**	**205,892**	**308,890**

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2021 წლის 31 მარტს.

დავით ცაავა	ლია ასლანიკაშვილი
გენერალური დირექტორი	გენ დირ მოადგილე, ფინანსები

11-154 გვერდებზე მოცემული განმარტებები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ბაზისბანკის ჯგუფი

კაპიტალში ცვლილების ინდივიდუალური ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათასი ლარი	განმ	საკუთრების კაპიტალი	საემისიო შემოსავალი	წილ ინსტრ გადახ რეზ	FVOCI-ით აღიარებული ფას ქაღ გადაფას რეზ	შენ-ნაგებ გადაფას რეზ	გაუნაწ მოგება	მთლიანი კაპიტალი
ბალანსი 2019 წლის 1 იანვარს		**16,057**	**74,923**	**1,339**	**-**	**9,284**	**146,557**	**248,162**
წლის მოგება (ზარალი)		-	-	-	-	-	35,529	35,529
სხვა სრული შემოსავალი	30	-	-	-	-	-	-	-
2019 წლის სხვა სრული შემოსავალი სულ		-	-	-	-	-	35,529	35,529
წილ ინსტრ გადახ დარიცხვები	28	-	-	483	-	-	-	483
შენობა-ნაგ. გადაფ. ნამეტის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში		-	-	-	-	(119)	140	21
დეკლარირ დივიდენდები	36	-	-	-	-	-	(3,729)	(3,729)
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერს		**16,057**	**74,923**	**1,822**	-	**9,165**	**178,499**	**280,466**
წლის მოგება		-	-	-	-	-	22,045	22,045
სხვა სრული შემოსავალი	30	-	-	-	173	838	-	1,011
2020 წლის სრული შემოსავალი სულ		-	-	-	173	838	22,045	23,056
შენობა-ნაგ. გადაფ. ნამეტის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში		-	-	-	-	(838)	838	-
წილ ინსტრ გადახ დარიცხვები	28	-	-	20	-	-	-	20
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერს		**16,057**	**74,923**	**1,842**	**173**	**9,165**	**201,380**	**303,540**

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2021 წლის 31 მარტს.

_____	_____
დავით ცაავა	ლია ასლანიკაშვილი
გენერალური დირექტორი	გენ დირ მოადგილე, ფინანსები

11-154 გვერდებზე მოცემული განმარტებები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ბაზისბანკის ჯგუფი

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათასი ლარი	განმ	2020 ბანკის ინდივ	2020 კონსოლიდ	2019 ბანკის ინდივ	2019 კონსოლიდ
ფულადი ნაკ. მოძრ.საოპერაც.საქმ.					
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგ. საპროც. შემოს.		111,816	113,192	114,256	115,872
გადახდ. პროც. გაანგარიშ. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით		(70,286)	(70,229)	(55,536)	(55,173)
მიღებული საკომისიოები		7,298	7,256	8,473	8,399
გადახდილი საკომისიოები		(3,165)	(3,165)	(3,368)	(3,368)
უცხ.ვალ.ვაჭრობიდან მიღ. შემოს.		(1,243)	(1,243)	-	-
სხვა მიღ.საოპერაც.შემოსავალი		4,732	4,719	4,644	4,644
ლიზინგიდან მიღ. ფინ. შემოს.		1,506	1,472	1,924	905
დასაკუთრ.ქონებ.რეალიზაც.მიღ.შემოს.		-	3,907	-	3,818
გადახდილი თანამშრომ.ხარჯ.		-	(1,486)	-	(801)
გადახდ.ადმინისტრ. და სხვა საოპერაც. ხარჯები		-	1,629	-	474
გადახდილი მოგების გადასახადი		3,615	3,615	5,425	5,425
ფულადი ნაკ. მოძრ.საოპერაც.საქმ.		(17,592)	(19,348)	(17,275)	(18,912)
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგ. საპროც. შემოს.		(8,294)	(8,911)	(10,414)	(10,774)
გადახდ. პროც. გაანგარიშ. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით		(800)	(1,027)	(3,625)	(4,215)
ფულადი ნაკად. მოძრ. საოპერაც. საქმ. საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულ. ცვლილებებამდე		**27,587**	**30,381**	**44,504**	**46,294**
წმინდა (ზრდა)/შემცირება:-					
- მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ		10,809	4,571	7,594	408
- კლიენტებზე გაც. სესხები და ავანსები		961	961	(41,859)	(44,996)
- დაზღვევიდან მისაღ. შემოს.		-	1,697	-	(5,290)
- სხვა ფინანსური აქტივები		148	(1,926)	-	-
- სხვა აქტივები		(12,362)	(12,637)	(22,367)	(22,184)
წმინდა ზრდა/(შემცირება):					
- ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ		116,647	116,647	(9,081)	(9,081)
- კლიენტთა ანგარიშები		88,263	87,780	2,211	2,212
- სხვა ფინანსური ვალდებულებები		3,013	2,991	1,219	1,625
- სადაზღვევო ვალდებულებები		-	(1,806)	-	4,815
- სხვა ვალდებულებები		441	552	81,942	87,668
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული		**235,507**	**229,211**	**64,163**	**61,471**
ფულადი ნაკ. მოძრ. საინვესტიციო საქმიანობიდან					
		(6,262)	-	(3,000)	-
ფულის ინექცია შვილობილ კომპანიაში	10	114,937	114,937	14,542	14,542
სავალო ფას. ქაღ. გამოსყიდვიდან მიღებული შემოს.	10	(192,780)	(192,780)	(41,198)	(41,680)
შენობა-ნაგ.და მოწყობ.შესყიდვა	18	(952)	(989)	(2,524)	(2,524)
შენ-ნაგ და მოწყ გასხვისებიდან მიღ შემოს	18	9	9	-	-
საინვესტიციო ქონების გასხვისება	15	358	367	670	606
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	18	(2,223)	(2,251)	(999)	(999)
საინვესტ საქმ გამოყენებული წმინდა ფული		**(86,913)**	**(80,707)**	**(32,509)**	**(30,055)**
ფულადი ნაკადები დაფინანსების საქმიანობიდან					
სხვა ნასესხ სახს მიღ შემოს	23	253,971	253,971	290,934	290,934
სხვა ნასესხ.სახს.დაფარვები	23	(267,174)	(267,174)	(217,290)	(217,290)

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		2020		2019	
ათასი ლარი	განმ	ბანკის ინდივ	კონსოლიდ	ბანკის ინდივ	კონსოლიდ
სუბორდინირ. ვალ.მიღ. შემოს.		-	-	14,383	14,383
გადახდილი დივიდენდები		-	-	(3,729)	(3,729)
სალიზ ვალ ძირ თანხის დაფარვა		(1,461)	(1,461)	(1,168)	(1,168)
დაფინანსების საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული		**(14,664)**	**(14,664)**	**83,130**	**83,130**
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე		**22,549**	**22,549**	**1,655**	**1,655**
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა		**156,479**	**156,389**	**116,439**	**116,201**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		246,711	248,700	130,272	132,499
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	7	**403,190**	**405,089**	**246,711**	**248,700**

2020 წლის 31 დეკემბერს და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფმა განახორციელა შემდეგი უნაღდო ოპერაციები. ეს უნაღდო ტრანზაქციები გამოირიცხა ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან და ცალკე წარმოდგენილია ქვემოთ:

	2020	2019
სესხები კლიენტებზე რომლებიც განეტოვდა უზრუნველყოფის დასაკუთრებით	7,782	11,894
ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში PPE ფორმით	1,714	-

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2021 წლის 31 მარტს.

_____	_____
დავით ცაავა	ლია ასლანიკაშვილი
გენერალური დირექტორი	გენ დირ მოადგილე, ფინანსები

11-154 გვერდებზე მოცემული განმარტებები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

1 შესავალი

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშები მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის სს "ბაზისბანკისა" და მისი შვილობილი კომპანიებისთვის (შემდგომში ერთობლივად "ჯგუფი").

ბანკი დაფუძნდა და ფუნქციონირებს საქართველოში. სარეგისტრაციო ორგანო: მთაწმინდა-კრწანისის სასამართლო. სარეგისტრაციო ნომერი: 4/5-44, საიდენტიფიკაციო კოდი 203841833. ბანკი არის სააქციო საზოგადოება, შეზღუდული აქციებით და დაარსებულია საქართველოს რეგულაციების შესაბამისად. 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის უშუალო და საბოლოო მშობელი კომპანია იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია Xinjiang Hualing Industry & Trade (Group) Co Ltd. ბანკის საბოლოო მაკონტროლებელი პირი იყო ბ-ნი მი ენხვა.

	წილები პროცენტულად 31 დეკემბრის მდგომარეობით	
აქციონერები	2020	2019
შპს Xinjiang Hualing Industry & Trade (Group) Co	92.305%	92.305%
ბ-ნი მი ზაიქი	6.969%	6.969%
სხვა მცირე წილის მფლობელი აქციონერები	0.726%	0.726%

ძირითადი საქმიანობა: ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა კომერციული და საცალო საბანკო ოპერაციების განხორციელება საქართველოში. ბანკი საქართველოს ეროვნული ბანკის ("სებ") მიერ გაცემული სრული საბანკო ლიცენზიის საფუძველზე საქმიანობას ახორციელებს 1993 წლიდან. ბანკი დეპოზიტების დაზღვევის სახელმწიფო სქემის მონაწილეა. სქემა შემოღებულ იქნა 2017 წლის 17 მაისს მიღებული „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის" შესახებ საქართველოს კანონით. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, სადაზღვევო შემთხვევის, ანუ ლიკვიდაციის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების პროცესების დადგომისას, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო იძლევა გარანტიას ფიზიკური პირების დეპოზიტების 100%-იან ანაზღაურებაზე, თითო პიზიკურ პირზე 5 000 ლარამდე თანხით. ბანკს საქართველოში 24 (2019: 24) ფილიალი აქვს. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს 470 თანამშრომელი ჰყავდა (2019: 550). აქედან 433 ბანკის თანამშრომელია, 37 შვილობილი კომპანიების (2019: 510 ბანკის და 40 შვილობილების).

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი: ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი 0103, ქეთევან წამებულის გამზირი №1.

ანგარიშგების ვალუტა. წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშები წარმოდგენილია ათასი ქართული ლარით ("ლარი"), სხვაგვარად მითითებულის გარდა.

შვილობილი საწარმოები: წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები მოიცავს შემდეგ მთავარ შვილობილ საწარმოს:

სახელი	დაარსების ქვეყანა	მთავარი საქმიანობა	წილი პროცენტულად 31 დეკ მდგ	
			2020	2019
Basis Asset Management – Holding LLC	საქართველო	აქტივების მართვა	100%	100%
სს BB დაზღვევა	საქართველო	დაზღვევა	100%	100%
სს BB ლიზინგი	საქართველო	ლიზინგი	100%	100%

შპს ჰოლდინგი Basis Asset Management **"ბაზის ესეთ მენეჯმენტ".** კომპანია დაარსდა და ფუნქციონირებს საქართველოში. რეგისტრაციის ორგანო - საქართველოს შემოსავლების სამსახური, საიდენტიფიკაციო კოდი 404417984. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია და დაფუძნებულია საქართველოს რეგულაციების შესაბამისად. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქონების ფლობა ლიზინგით გასაცემად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 0103, ქეთევან წამებულის გამზირი #1. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჰოლდინგის კაპიტალი იყო 3.8 მილიონი ლარი (2019: 3.8 მილიონი ლარი)

სს BB დაზღვევა(ყოფილი Hualing Insurance **"ჰუალინგ დაზღვევა".**) დაარსდა 2017 წლის დეკემბერში და ფუნქციონირებს საქართველოში. კომპანია არის სააქციო საზოგადოება, შეზღუდული აქციებით, და შექმნილია საქართველოს რეგულაციების შესაბამისად. რეგისტრაციის ორგანო - საქართველოს შემოსავლების სამსახური, საიდენტიფიკაციო კოდი 406232214. კომპანიის ძირითადი ბიზნეს-საქმიანობა არის სადაზღვევო ბიზნეს-ოპერაციების წარმოება საქართველოს ტერიტორიაზე. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჰუალინგ დაზღვევის კაპიტალი 6 მილიონი ლარი იყო (2019: 4.3 მილიონი ლარი) საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურმა 2017 წლის 27 დეკემბრიდან კომპანიაზე გასცა სიცოცხლის და არა-სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიები.კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 0103, ქეთევან წამებულის გამზირი #1.

სს BB ლიზინგი (ყოფილი BHL Leasing **"ბი-ეიჩ-ელ ლიზინგი"**) დაარსდა და ფუნქციონირებს საქართველოში. რეგისტრაციის ორგანო - საქართველოს შემოსავლების სამსახური, საიდენტოფიკაციო კოდი 406233534. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია და დაფუძნებულია საქართველოს რეგულაციების შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 0103, ქეთევან წამებულის გამზირი #1. ბანკმა დააარსა ლიზინგის შვილობილი კომპანია 2018 წლის დეკემბერში. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის კაპიტალი 11 მილიონ ლარს შეადგენდა (2019: 5 მილიონი ლარი). კომპანია მომხმარებელს ფინანსური ლიზინგის შემდეგ პროდუქტებს სთავაზობს:

- სატრანსპორტო საშუალებების ლიზინგი
- ძირითადი საშუალებების ლიზინგი (მოწყობილობა, დანადგარები, ტექნიკა და ა.შ.)
- შეღავათიანი აგროლიზინგი (APMA)
- ლიზინგი „აწარმოე საქართველოში" პროგრამის ფარგლებში
- გაყიდვები და უკულიზინგი

აბრევიატურები. წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებული აბრევიატურების ლექსიკონი მოცემულია განმარტებაში 44.

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფი საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. შესაბამისად, ჯგუფს საქმიანობა უხდება საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებსაც განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი ნიშნები აქვს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა კვლავ ვითარდება, მაგრამ განსხვავებული ინტერპრეტაციების და ხშირი ცვლილების საგანია, რაც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ სირთულეებთან ერთად გამოწვევებს უქმნის საქართველოში მოქმედ კომპანიებს. კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია მენეჯმენტის შეფასებები ჯგუფის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე ქართული ბიზნესგარემოს გავლენის შესახებ. მომავალში ბიზნესგარემო შეიძლება განსხვავებული იყოს მენეჯმენტის შეფასებისგან.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასების მიზნებისთვის ჯგუფი იყენებს დამხმარე საპროგნოზო ინფორმაციას, მათ შორის მაკროეკონომიკური ცვლადების პროგნოზებს. ისევე, როგორც

ნებისმიერი ეკონომიკური პროგნოზის შემთხვევაში, პროგნოზი და მისი ასრულების ალბათობა განუსაზღვრელობის მაღალი ხარისხით ხასიათდება, ამიტომ, ფაქტობრივი შედეგები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს პროგნოზირებულისგან. განმარტება 0-ში მოცემულია დამატებითი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ იყენებს ჯგუფი საპროგნოზო ინფორმაციას ECL მოდელებში.

2020 წლის დასაწყისიდან ახალი კორონავირუსი (COVID-19) სწრაფად გავრცელდა მთელ მსოფლიოში, რის შედეგადაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის მარტში გამოცხადდა პანდემიის სტატუსი. ქვეყანაში ვირუსის შემოსვლის შემდეგ საქართველოს მთავრობამ (”GoG”)გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა, რის შედეგადაც მოხდა ბიზნეს საქმიანობის მოშლა, მომსახურების სექტორში გარკვეული ობიექტების შეწყვეტა, შეიქმნა საკარანტინო პერსონალი, შემცირდა მოთხოვნა.

იმის გამო, რომ ვირუსი საქართველოში კვლავ გავრცელდა, ჯგუფმა მიიღო ყველა საჭირო ზომა, რომ შეესრულებინა და დაეცვა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და საქართველოს მთავრობის ყველა რეკომენდაცია. ფინანსური სექტორი აგრძელებდა მომხმარებლების, მეანაბრეებისა და მსესხებლების შეუფერხებელ მომსახურებას. საბანკო სექტორი და საქართველოს ეროვნულ ბანკი შეთანხმდნენ ზოგიერთი საცალო კლიენტის და იმ ბიზნესისთვის, რომელიც კრიზისის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალებულ სექტორებში მოქმედებს, საშეღავათო პერიოდის მინიჭების და მიმდინარე დაგეგმილი გადასახადის კრიზისის დასრულებამდე გადავადების შესახებ.

სიტუაცია სხვადასხვა არხებით აისახება საქართველოს ეკონომიკაზე; მან ყველაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა ტურიზმის სექტორზე, ვაჭრობაზე, HORECA-ზე. მთავრობამ ბანკებთან, ეროვნულ ბანკთან და ბიზნეს პარტნიორებთან კონსულტაციებით შეიმუშავა გადაწყვეტილებები დაზარალებული ბიზნესების თავიანთი ვალდებულებების რესტრუქტურიზაციაში დასახმარებლად. ღონისძიებები ასევე მოიცავს საგადასახადო შეღავათებს, სესხების რესტრუქტურიზაციას, პროცენტების გადასახადის სუბსიდირებას, ახალი ფინანსური საშუალებების შემუშავებას სექტორების აღსადგენად.

ეროვნულმა ბანკმა სექტორს ლიკვიდური წყაროებით დახმარება გადაწყვიტა წყაროებით დასახმარებლად და შეამსუბუქა მარეგულირებელი ზეწოლა კაპიტალის მოთხოვნებზე, Tier 2 კაპიტალის ბუფერების ნაწილობრივი შემსუბუქებით, ბანკების მხრიდან მარეგულირებელი ნორმების დარღვევის თავიდან ასაცილებლად.

ლარის გაუფასურებამ აშშ- დოლარის მიმართ განაპირობა პორტფელის გაუარესება, რაც დამატებით ტვირთად აწვება ბანკების ფინანსური პოზიციების ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

COVID-19- მა დიდი გაურკვევლობა გამოიწვია მსოფლიოს ბაზრებზე და მნიშვნელოვნად იმოქმედა საქართველოს ეკონომიკაზე, რადგან ის ძლიერ არის დამოკიდებული საგარეო ბაზრებზე.

COVID-19-მა ჯგუფზე შეიძლება მზარდი უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს გლობალურ და ადგილობრივ ეკონომიკასა და ფინანსურ ბაზრებზე მუდმივი ეფექტის შედეგად. COVID-19- ის გავლენის მნიშვნელობა ჯგუფის ბიზნესზე დიდწილად დამოკიდებულია მსოფლიოში და საქართველოს ეკონომიკაზე პანდემიის ხანგრძლივობაზე და შემთხვევებზე.

COVID-19 პანდემიის შესაძლო გავლენის შესაფასებლად, ბანკმა ჩაატარა პორტფელის ანალიზი მარეგულირებლის (ეროვნული ბანკის) მიერ დადგენილი სტრეს-სცენარების მიხედვით, გათვალისწინებული იყო სცენარები როგორც საცალო, ასევე ბიზნესის პორტფელისთვის. სტრესის პირობებში განხილული პორტფელი მოიცავდა შემდეგ სექტორებს: უძრავი ქონების განვითარება და უძრავი ქონების მენეჯმენტი, სასტუმროები და რესტორნები (სასტუმროები, რესტორნები, კაფეები და ბარები და ტურიზმის მომსახურება), ყველა კლიენტი ტოპ 100 მსესხებლის ჯგუფებში, ასევე შემთხვევითობის პრინიციპით შერჩეული მსესხებლები ბიზნესის და საცალო პორტფელის სხვა სექტორებიდან. საცალო ვაჭრობის სეგმენტში შერჩეულ იქნა ის მსესხებლები, რომლებიც ლოქდაუნის

პერიოდში სესხების გადახდის გრაფიკის შეცვლას ითხოვდნენ. სტრეს-ტესტების შედეგების საფუძველზე გამოვლინდა კლიენტები, რომლებსაც აქვთ საკრედიტო რისკის პოტენციური ზრდა კრედიტის დასაწყისიდან ან პოტენციური მაპროვოცირებელი შემთხვევები, მათზე შეიქმნა რეზერვები დარეზერვების წესების 2 და 3 ეტაპების მიხედვით. 2 და 3 ეტაპების დარეზერვების წესების შესახებ დეტალებისთვის იხილეთ 0 განმარტება.

ECL შეფასებებში გამოყენებული საპროგნოზო ინფორმაცია განისაზღვრა სებ-ის მაკროეკონომიკური პროგნოზების მიხედვით.

2020 წელს მოხდა დამატებითი ლარის რეზერვების გამოყოფა როგორც ინდივიდუალური მსესხებლების დონეზე, ისე მაკროეკონომიკურ სცენარებში შეტანის დონეზე. ECL დაფარვა ბრუტო პორტფელზე 2019 წლის 31 დეკემბერს მოქმედი 1.54%-დან 2020 წლის 31 დეკემბერს 2.34%-მდე გაიზარდა (51% ზრდა).

საგადასახადო არდადეგები ბანკში ECL შეფასების პროცესზე არ მოქმედებს, რადგან სესხების ეტაპებად კლასიფიცირება და რეზერვების გაანგარიშება ხდება მიმდინარე და მაქსიმალური ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით ბოლო 12 თვის განმავლობაში.

საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტმა ("CAR") მოდერაცია განიცადა ეროვნული ბანკის სტანდარტების შესაბამისად დამატებითი რეზერვების 2.8% -ის შექმნის შემდეგ, ხოლო შემდგომ ამობრუნდა წლის განმავლობაში მიღებული საოპერაციო შემოსავლით. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკი აჩვენებს 5,2% კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტს მიმდინარე მოთხოვნებთან შედარებით. ბანკის ფინანსური მდგომარეობა კაპიტალისა და ლიკვიდურობის შესახებ მოცემულია 0 და 39 განმარტებებში.

3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშები (შემდგომში: „ფინანსური ანგარიშები“) მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("IFRS") შესაბამისად ისტორიული ღირებულების პრინციპით, რომელიც იცვლება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით და შენობა-ნაგებობების და მოწყობილობის, სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივებისა და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში (FVTPL) და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) აღებული ფინანსური ინსტრუმენტების გადაფასებით. ქვემოთ ახსნილია ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შედგენისას. გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებებისა, რომლებიც მოითხოვა 2019 წლის 1 იანვრიდან IFRS 16-ის ამოქმედებამ, ეს პოლიტიკა განუხრელად გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. იხ. განმარტება 5.

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშები მომზადდა იმ დაშვებით, რომ ჯგუფი ფუნქციონირებადი საწარმოა და პროგნოზირებად მომავალში მუშაობას გააგრძელებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები. შვილობილი საწარმოები ის საინვესტიციო ობიექტებია, რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს, რადგან ჯგუფს (ა) აქვს უფლებამოსილება, წარმართოს საინვესტიციო ობიექტების ის შესაბამისი საქმიანობა, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მათ მოგებაზე; (ბ) ამ ობიექტებში მისი მონაწილეობიდან გამომდინარე, აქვს პოზიცია ან უფლება მათ ცვლად მოგებაზე და (გ) აქვს უნარი, გამოიყენოს მისი, როგორც ინვესტორის უფლებამოსილება, ზეგავლენა მოახდინოს ამ ობიექტების მოგების მოცულობაზე. ძირითადი უფლებების, მათ შორის, პოტენციური ხმის უფლებების, არსებობა და ეფექტი მხედველობაში მიიღება იმის შეფასებისას, აქვს თუ არა ჯგუფს უფლებები სხვა სუბიექტზე. იმისათვის, რომ უფლება ძირითადი იყოს, მის მფლობელს

უნდა ჰქონდეს ამ უფლების გამოყენების პრაქტიკული უნარი ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობის წარმართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ჯგუფს ინვესტიციის ობიექტზე უფლება შეიძლება ჰქონდეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ობიექტის ხმის უფლებების უმრავლესობაზე ნაკლები ხმის უფლება აქვს. ასეთ შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს მისი ხმის უფლების სიდიდეს ხმის უფლებების მქონე სხვა პირების ავუარების სიდიდესა და დისპერსიასთან მიმართებაში, რითაც ადგენს, აქვს თუ არა ფაქტობრივი უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე.

სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, მაგ., უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტიციის ობიექტის საქმიანობაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელებასთან, ან რომლებიც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გამოიყენება, ჯგუფს ხელს არ უშლის ინვესტიციის ობიექტის კონტროლში. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულად ითვლება იმ დღიდან, როცა კონტროლი გადადის ჯგუფზე, და დეკონსოლიდირდება კონტროლის შეწყვეტის დღიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის თვითღირებულების მეთოდი გამოიყენება შვილობილი საწარმოების შეძენის აღრიცხვის მიზნით. საწარმოთა გაერთიანების დროს შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები იანგარიშება სამართლიანი ღირებულებით შეძენის დღის მდგომარეობით, მიუხედავად არასაკონტროლო წილის მოცულობისა.

ჯგუფი ანგარიშობს იმ არასაკონტროლო წილს, რომელიც წარმოადგენს მიმდინარე მფლობელის წილს და მის მფლობელს ანიჭებს წმინდა აქტივების პროპორციულ წილს ლიკვიდაციის შემთხვევაში ტრანზაქციის მიხედვით, ან: (ა) სამართლიანი ღირებულებით, ან (ბ) შეძენილი წმინდა აქტივების არასაკონტროლო წილის პროპორციული წილით.

შეძენილი საწარმოსთვის გადაცემული ანაზღაურება იანგარიშება გადაცემული აქტივების, გამოშვებული კაპიტალის ინსტრუმენტების და გაწეული ან მიღებული ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით, მათ შორის პირობითი ანაზღაურების შესახებ შეთანხმებებით გათვალისწინებული აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით, მაგრამ არ მოიცავს შეძენასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა საკონსულტაციო, იურიდიული, შეფასების და მსგავსი პროფესიული მომსახურების ხარჯები. წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვებისას გაწეული ტრანზაქციის ხარჯები გამოიქვითება კაპიტალიდან; სავალო ინსტრუმენტების გამოშვებისას გაწეული ტრანზაქციის ხარჯები გამოიქვითება მისი საბალანსო ღირებულებიდან; შესყიდვასთან დაკავშირებული ყველა სხვა ტრანზაქციის ხარჯი აღიარდება ხარჯებში.

კომპანიათაშორის ტრანზაქციები, ჯგუფის კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციების ნაშთები და არარეალიზებული მოგება გამოირიცხება; ასევე გამოირიცხება არარეალიზებული დანაკარგები, თუ ღირებულების ამოღება შეუძლებელია. ბანკი და ყველა მისი შვილობილი კომპანია იყენებს ჯგუფის პოლიტიკის შესაბამის, ერთიან სააღრიცხვო პროცედურებს.

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში აღირიცხება თვითღირებულების მეთოდით ბანკის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ შვილობილ კომპანიაში გაკეთებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურდა, გაუფასურების ზარალი იანგარიშება, როგორც სხვაობა ინვესტიციის საბალანსო ღირებულებასა და მის ანაზღაურებად ღირებულებას შორის. ანაზღაურებადი ღირებულება იანგარიშება, როგორც მისი სამართლიანი ღირებულების უმაღლეს სიდიდეს გამოკლებული გაყიდვის ხარჯები და გამოყენების ღირებულება. წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი შეიძლება აღდგენილიყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ცვლილება შეფასებებში, რომლებიც გამოყენებული იყო ინვესტიციის თანხის ასანაზღაურებლად, გაუფასურების ზარალის ბოლო აღიარების მომენტიდან.

სადაზღვევო კონტრაქტები. სადაზღვევო კონტრაქტებად განისაზღვრება კონტრაქტები, რომლებიც მოიცავენ მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს კონტრაქტის დასაწყისში ან კონტრაქტები, სადაც

კონტრაქტის ძალაში შესვლისას არსებობს კომერციული არსის სცენარი, სადაც სადაზღვევო რისკის დონე შეძლება მნიშვნელოვანი იყოს. სადაზღვევო რისკის მნიშვნელობა დამოკიდებულია როგორც სადაზღვევო შემთხვევის ალბათობაზე, ასევე მისი პოტენციური ზეგავლენის მასშტაბზე. იმის შემდეგ, რაც კონტრაქტი კლასიფიცირებულია, როგორც სადაზღვევო კონტრაქტი, ის დარჩება სადაზღვევო კონრტაქტად მისი მოქმედების ბოლომდე, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სადაზღვევო რისკი მნიშვნელოვნად მცირდება აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, და თუ ყველა უფლებები და მოვალეობები არ იქნება შეწყვეტილი ან ვადაგასული.

დაზღვევიდან მისაღები შემოსავლები. დაზღვევიდან მისაღები შემოსავლების აღიარება ხდება სადაზღვევო პოლისის საფუძველზე და შეფასება ხორციელდება პირველადი ღირებულებით. დაზღვევიდან მისაღები შემოსავლების საბალანსო ღირებულება მოწმდება გაუფასურების კუთხით, როდესაც გარემოებები ან მოვლენები მიუთითებენ იმაზე, რომ საბალანსო ღირებულება ვერ ანაზღაურდება, გაუფასურების ზარალი კი აისახება მოგება-ზარალის შემადგენლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები – გაანგარიშების ძირითადი პირობები. სამართლიანი ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც გადახდილია ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ორმხრივ ტრანზაქციაში გაანგარიშების დღეს. სამართლიანი ღირებულების ყველაზე უკეთესი მტკიცებულება აქტიურ ბაზარზე მისი ფასია. აქტიური ბაზარი ის ბაზარია, რომელზეც აქტივებისა და ვალდებულებების ტრანზაქციები ხორციელდება ისეთი სიხშირით და მოცულობით, რომელიც საკმარისია ფასწარმოქმნის შესახებ მუდმივად ინფორმაციის მიღებისთვის. აქტიურ ბაზარზე სავაჭროდ განთავსებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ითვლება, როგორც ცალკეული აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის და ბიზნესერთეულის მფლობელობაში მყოფი რაოდენობის პროდუქტი. ეს ასეა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბაზრის ჩვეულებრივი ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის ამ რაოდენობის ასათვისებლად და ერთი ტრანზაქციის ფარგლებში ამ პოზიციის გაყიდვის მიზნით შეკვეთების მიცემამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

იმ ფინანსური წარმოებულების ან სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების პორტფელი, რომლებიც ბაზარზე სავაჭროდ არ არის განთავსებული, იანგარიშება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის სამართლიანი ღირებულებით იმ ფასის საფუძველზე, რომელიც მიღებული იქნებოდა წმინდა გრძელვადიანი პოზიციის (ანუ აქტივის) გაყიდვიდან, კონკრეტული რისკის პოზიციის სანაცვლოდ, ან გადახდილი იქნებოდა წმინდა მოკლე პოზიციის (ანუ ვალდებულების) გადაცემისთვის (კონკრეტული რისკის პოზიციის სანაცვლოდ) გაანგარიშების დღეს ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ ორმხრივ კომერციულ ტრანზაქციაში.

ეს წესი გამოიყენება პერიოდულად სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული აქტივების მიმართ, თუ ჯგუფი: (ა) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ამ ჯგუფის მართვას ახორციელებს კონკრეტული საბაზრო რისკის (ან რისკების) მიმართ ან კონკრეტული კონტრაგენტის საკრედიტო რისკის მიმართ ბიზნესერთეულის წმინდა პოზიციის საფუძველზე, ამ ბიზნესერთეულის რისკების მართვის ან საინვესტიციო სტრატეგიის შესაბამისად; (ბ) ამ საფუძველზე, აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის შესახებ ინფორმაციას აწვდის ბიზნესერთეულის მთავარ მენეჯმენტს; და (გ) საბაზრო რისკები, მათ შორის, ფინანსური აქტივებით და ფინანსური ვალდებულებებით გამოწვეული კონკრეტული საბაზრო რისკის (ან რისკების) მიმართ ბიზნესერთეულის პოზიციის ხანგრძლივობა არსებითად იგივეა.

ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან ბოლოდროინდელი „გაშლილი ხელის მანძილის“ (ე.წ. arm's length) პრინციპით შესრულებული ტრანზაქციების მოდელები ან ინვესტიციის ობიექტების ფინანსური მონაცემების განხილვა, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებისთვის, რომლებზეც საერთაშორისო საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება. სამართლიანი ღირებულების გაანგარიშების ანალიზი ტარდება სამართლიანი ღირებულების

იერარქიის შემდეგი დონეების მიხედვით: (ა) პირველი დონე მოიცავს აქტიურ ბაზრებზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით განხორციელებულ გაანგარიშებებს; (ბ) მეორე დონის გაანგარიშებები შეფასების ისეთი მეთოდებია, რომლებიც ითვალისწინებს მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებით პირდაპირ (ანუ, ფასებით) ან არაპირდაპირ (ანუ ფასებიდან გამომდინარე) დაკვირვებად ყველა მნიშვნელოვან მონაცემს, და (გ) მესამე დონის გაანგარიშებები შეფასების ისეთი მეთოდებია, რომლებიც მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს არ ეფუძნება (ანუ, ამ შემთხვევაში შეფასება საჭიროებს მნიშვნელოვან არადაკვირვებად მონაცემებს). ითვლება, რომ სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადასვლა მოხდა ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. იხ. 42-ე განმარტება.

ტრანზაქციის ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გაყიდვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც გაყიდვების აგენტების ფუნქციას ასრულებენ), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გადაცემის გადასახადებს და მოსაკრებლებს. ტრანზაქციის ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკონტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება (AC) არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ძირითადი თანხის დაფარვები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალის რეზერვი. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული ტრანზაქციის ხარჯების ამორტიზაციას და დაფარვის თანხის პრემიის ან დისკონტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, წარმოშობისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულადი შემოსულობების თანხას (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის ბრუტო საბალანსო ღირებულებამდე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ადისკონტირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო გადაფასების დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. აქტივებისათვის, რომლებიც იყო შესყიდული ან წარმოშობილი საკრედიტო რისკით გაუფასურებით (“POCI”) თავდაპირველი აღიარებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირებას განიცდის საკრედიტო რისკის გათვალისწინებით, ანუ, ის იანგარიშება თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მოძრაობის მიხედვით და არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდების მიხედვით.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები FVTPL -ით თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტით სხვა დაკვირვებადი საბაზრო ტრანზაქციების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ მიმდინარე ბაზრების დაკვირვებად მაჩვენებლებს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ ECL რეზერვის აღიარება ხდება ფინანსური აქტივებისათვის, რომლების შეფასებაც ხდება AC-ს მიხედვით და სავალო ინსტრუმენტებზე, რომლებიც ფასდება FVOCI-ს მიხედვით, რაც იწვევს მომენტალურ სააღრიცხვო დანაკარგს.

ფინანსური აქტივების ყველა ის შესყიდვა და გაყიდვა, რომელთა მიწოდებაც მოითხოვება მარეგულირებელი ან საბაზრო შეთანხმებით დადგენილ ვადებში ("ჩვეულებრივი" შესყიდვა და გაყიდვა), აღირიცხება გარიგების დღეს, რომლის დროსაც ბანკი კისრულობს ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როცა ორგანიზაცია გახდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების ტექნიკის გამოყენებით ჯგუფი საზღვრავს უცხოური ვალუტის სამართლიან ღირებულებას, რომელიც არ ივაჭრება აქტიურ ბაზარზე. შეიძლება წარმოიშვას განსხვავება თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას შორის, რომელიც მიიჩნევა ტრანზაქციის ფასად და თავდაპირველი აღიარებისას მესამე დონის მონაცემების და შეფასების ტექნიკის გამოყენებით განსაზღვრულ თანხას შორის. თუ განსხვავებები დარჩება მოდელების მონაცემთა კალიბრაციის შემდეგ, ეს განსხვავებები თავდაპირველად აღიარდება სხვა აქტივებში ან სხვა ვალდებულებებში და საბოლოოდ ამორტიზდება წრფივი მეთოდით უცხოური ვალუტის ფორვარდების ვადის განმავლობაში. განსხვავებები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში თუ შეფასებისას მხოლოდ პირველი და მეორე დონის მონაცემები გამოიყენება.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები. ჯგუფი ახდენს ფინანსური აქტივების შეფასების კლასიფიკაციას შემდეგი კატეგორიების მიხედვით: FVTPL სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით,, FVOCI - სამართლიანი ღირებულება სხვა შემოსავლის საშულებით და AC - ამორტიზირებული ღირებულებით. სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (1) ჯგუფის შესაბამისი აქტივების პორტფელის მართვის ბიზნესმოდელზე და (11) აქტივების ფულადი ნაკადის მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ბიზნეს-მოდელი. ბიზნესი მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს ჯგუფი აქტივებს რათა ფულადი ნაკადი აწარმოოს, იმის მიუხედავად, მიზნად აქვს ჯგუფს აღებული: (1) აქტივებიდან მიიღოს მხოლოდ სახელშეკრულებო ფულის ნაკადები ("ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვების მიზნით"), ან (11) მიიღოს როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოშობილი ფულადი ნაკადები ("აქტივის ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით) ან, თუ არც (1) და არც (11) მოდელი არ არის გამოყენებული, მაშინ ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც "სხვა" ბიზნესმოდელი და ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის მეშვეობით (FVTPL).

ბიზნესმოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისათვის (პორტფელის დონეზე) და ეფუძნება ყველა არსებულ შესაბამის მტკიცებულებას იმ საქმიანობის შესახებ, რომელსაც ჯგუფი ახორციელებს შეფასების დღისთვის არსებული პორტფელისთვის განსაზღვრული ამოცანის შესასრულებლად. ბიზნესმოდელის განსაზღვრისას ჯგუფი ითვალისწინებს ისეთ ფაქტორების, როგორებიცაა პორტფელის მიზნობრიობა და კომპოზიცია, წარსულის გამოცდილება, თუ როგორ გროვდებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებისათვის, როგორ ფასდება და იმართება რისკები, როგორ ფასდება აქტივების ეფექტურობა და როგორ ხორციელდება მენეჯერების კომპენსაცია. ჯგუფის

მიერ მისი ფინანსური აქტივებისთვის ბიზნესმოდელების განსაზღვრისას გამოყენებული კრიტიკული მსჯელობა იხილეთ განმარტება 0 -ში.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როცა ბიზნესმოდელი ითვალისწინებს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ფლობას და გაყიდვას, ჯგუფი აფასებს, ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვებს (SPPI). როცა დგინდება მათი ფულადი ნაკადების მოძრაობა SPPI მახასიათებლის შესაბამისია თუ არა, ფინანსური აქტივები, რომლებიც შეიცავს წარმოებულებს, განიხილება მთლიანობაში. შეფასების დროს, ჯგუფი ითვალისწინებს, შეესაბამება თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოძრაობა ძირითადი დაკრედიტების პირობებს, ანუ პროცენტი შეიცავს მხოლოდ საკრედიტო რისკის ანაზღაურებას, ფულის დროით ღირებულებას, სხვა ძირითად დაკრედიტების რისკებს და მოგების მარჟას.

როდესაც სახელშეკრულებო პირობები ქმნის რისკის პოზიციას ან ცვალებადობას, რომელიც შეუთავსებელია ძირითადი დაკრედიტების პირობებთან, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება FVTPL-ის მიხედვით. SPPI შეფასება ხორციელდება აქტივის პირველადი აღიარებისას და შემდგომში არ ხდება მისი ხელახალი შეფასება. ფინანსური აქტივების SPPI ტესტირებისას ჯგუფის მიერ გამოყენებული კრიტიკული მსჯელობა იხ. განმარტება 0-ში.

ფინანსური აქტივები - რეკლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია ხდება მხოლოდ მაშინ, როცა იცვლება პორტფელის მთლიანობაში მართვის ბიზნესმოდელი. რეკლასიფიკაციას პერსპექტივის ეფექტი აქვს და ხდება ბიზნესმოდელის ცვლილების შემდეგ პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. კომპანიას ბიზნესმოდელი მიმდინარე და შედარებით პერიოდებში არ შეუცვლია და რეკლასიფიკაცია არ განუხორციელებია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - საკრედიტო ზარალის რეზერვი ECL-ისათვის (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები) ჯგუფი წინასწარ აფასებს ECL-ს, AC-ით და FVOCI-ით სავალო ინსტრუმენტებისთვის და ასევე სასესხო ვალდებულებებით და ფინანსური გარანტიებით გამოწვეული პოზიციებისთვის. ჯგუფი აფასებს ECL-ს და აღიარებს კრედიტების დანაკარგების რეზერვებს ყოველ საანაგარიშო თარიღისათვის. ECL-ის მაჩვენებელი ასახავს: (ა) მიუკერძოებლობას და შეწონილი თანხის ალბათობას, რომელიც დგინდება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასების გზით; (ბ) ფულის დროით ღირებულებას, (გ) ყველა გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ყოველგვარი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, გასული მოვლენების, არსებული პირობების და სამომავლო პირობების პროგნოზების თაობაზე საანგარიშო პერიოდის დასასრულს.

AC-ით აღრიცხული სავალო ინსტრუმენტები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშში, სადაც არაა გათვალისწინებული ECL-ის რეზერვები. სასესხო ვალდებულებების და ფინანსური გარანტიებისთვის, ECL-ის ცალკე რეზერვი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშში ცალკე აღიარდება, როგორც ვალდებულება. FVOCI-ით აღრიცხული სავალო ინსტრუმენტებისთვის, ცვლილებები ამორტიზებულ ღირებულებაში, სადაც არაა გათვალისწინებული ECL-ის რეზერვები, აღიარებულია მოგება-ზარალში. საბალანსო ღირებულების სხვა ცვლილებები კი აღიარებულია OCI-ში, როგორც მოგებას გამოკლებული დანაკარგები სავალო ინსტრუმენტებზე FVOCI-ით.

ჯგუფი გაუფასურებაზე იყენებს სამეტაპიან მოდელს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ კრედიტის ხარისხში მომხდარი ცვლილებების მიხედვით. ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც საკრედიტო რისკის მიხედვით არ გაუფასურებულა თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირდება 1 ეტაპზე. 1 ეტაპის ფინანსურ აქტივებზე ECL ითვლება თანხით, რომელიც უდრის არსებობის მთლიანი პერიოდის ECL-ის ნაწილს, რომელიც გამომდინარეობს მომდევნო 12 თვეში ან ვადის ბოლომდე მოსალოდნელი დეფოლტის მოვლენებიდან, თუ უფრო მოკლეა. („12-თვიანი ECL) თუ ჯგუფი თავდაპირველი

აღიარების შემდეგ გამოავლენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ("SICR"), აქტივი 2 ეტაპზე გადადის და მისი ECL ითვლება არსებობის მთლიანი პერიოდის ECL-ის მიხედვით, ანუ სახელშეკრულებო ვადის ბოლომდე, მაგრამ მოსალოდნელი ავანსების, თუ ასეთი არის, გათვალისწინებით („არსებობის მთელი პერიოდის ECL"). იმისთვის, თუ როგორ ადგენს ჯგუფი, ჰქონდა თუ არა ადგილი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდა, იხ. განმარტება 35. თუ ჯგუფი დაადგენს, რომ ფინანსური აქტივი საკრედიტო რისკის მიხედვითაა გაუფასურებული, აქტივი გადადის მე-3 ეტაპზე და მისი ECL ითვლება, როგორც არსებობის მთელი პერიოდის ECL. საკრედიტო რისკით გაუფასურებული აქტივების და დეფოლტის ჯგუფისეული დეფინიცია იხ. განმარტებაში 38. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც არის შესყიდული ან წარმოშობილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული, ("POCI აქტივები"), ECL ყოველთვის ითვლება, როგორც არსებობის მთლიანი პერიოდის ECL. განმარტება 38 გვთავაზობს ინფორმაციას მონაცემების, ვარაუდების და საპროგნოზო ტექნიკის შესახებ, რომლებიც ECL-ის გაანგარიშებისას გამოიყენება, მათ შორის ახსნას, თუ როგორ შეაქვს ჯგუფს საპროგნოზო ინფორმაცია ECL მოდელებში.

გამონაკლისის სახით, გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, როგორიცაა საკრედიტო ბარათები და ოვერდრაფტები, რომლებიც შეიძლება შეიცავდნენ სესხის და აუთვისებელი ვალდებულების კომპონენტს, ჯგუფი არსებობის მოსალოდნელი მთლიანი პერიოდის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების განსაზღვრისთვის გამართივებულ მეთოდს იყენებს. ფინანსური გარანტიების და საკრედიტო ვალდებულებებისთვის, ECL-ის რეზერვი „ვალდებულებების და ხარჯების რეზერვების" ნაწილში განცხადდება, როგორც ვალდებულება.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა (SICR). იმისათვის, რათა განისაზღვროს, ჰქონდა თუ არა ადგილი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის პერიოდში მომხდარ დეფოლტის რისკს საანგარიშო პერიოდის ბოლოს ადარებს თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის არსებულ დეფოლტის რისკს. შეფასება ითვალისწინებს საკრედიტო რისკის შედარებით ზრდას და არა საანგარიშო პერიოდის ბოლოს რისკის გარკვეული დონის მიღწევას. ჯგუფი ითვალისწინებს ყველა არასათანადო ხარჯის და ძალისხმევის გაწევის გარეშე არსებულ გონივრულ და დამხმარე საპროგნოზო ინფორმაციას, რაც მოიცავს მთელ რიგ ფაქტორებს, მათ შორის კონკრეტული კლიენტთა პორტფელების ქცევით ასპექტებს. ჯგუფი საკრედიტო რისკის ზრდის ქცევით მაჩვენებლებს ვადაგადაცილებამდე გამოავლენს და შესაბამის საპროგნოზო ინფორმაციას საკრედიტო რისკის შეფასებაში შეიტანს, ან ცალკეული ინსტრუმენტის, ან პორტფელის დონეზე. იხ. განმარტება 0..

ECL რომ კლიენტებზე გაცემულ ყველა სესხსა და ავანსზე იზომებოდეს არსებობის მთელი პერიოდის ECL-ით, (ანუ, ამჟამად 1 და 2 ეტაპებს მიკუთვნებულებიც, 12-თვიანი ECL-ით), მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,266 ათასი ლარით მეტი იქნებოდა (2019 წლის 31 დეკემბერს: 1,371 ათასი ლარით მეტი).

ბიზნესმოდელის შეფასება. ბიზნესმოდელი წარმართავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას. ბიზნედმოდელის შეფასებისას მენეჯმენტმა იმსჯელა ფინანსური ინსტრუმენტების აგრეგაციის დონისა და პორტფელის განსაზღვრის შესახებ. გაყიდვების გარიგების შეფასებისას ჯგუფი განიხილავს მათ ისტორიულ სიხშირეს, ვადებს და ღირებულებას, გაყიდვების მიზეზებს და მოლოდინებს სამომავლო საქმიანობის შესახებ. გაყიდვების გარიგებები, რომლებიც მიზნად ისახავს პოტენციური ზარალის შემცირებას კრედიტის გაუარესების გამო, „ამოღების მიზნით ფლობის" ბიზნესმოდელის შესაბამისად მიიჩნევა. ვადის დადგომამდე სხვა გაყიდვები, რომლებიც არაა დაკავშირებული საკრედიტო რისკების მართვის საქმიანობასთან, ასევე შეესაბამება ბიზნესმოდელს „ამოღების მიზნით ფლობა", იმ პირობით, რომ ისინი არაა ხშირი ან უმნიშვნელოა ღირებულებით, როგორც ცალკე, ისე აგრეგირებულად.

ჯგუფი გაყიდვების ტრანზაქციების მნიშვნელობას ამგვარად ადგენს: გაყიდვების ღირებულებას ადარებს პორტფელის ღირებულებას, ამ დროს გააჩნია, როგორია ბიზნესმოდელის შეფასება პორტფელის საშუალო პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ფინანსური აქტივის გაყიდვები, რომელიც მოსალოდნელია მხოლოდ სტრესის სცენარში, ან ცალკეული მოვლენის საპასუხოდ, რომელიც ჯგუფის კონტროლის მიღმაა, არაა განმეორებადი და არ შეიძლება ჯგუფს მისი მოლოდინი ჰქონოდა,

განიხილება, როგორც შემთხვევითი და ბიზნესმოდელის ამოცანას აცდენილი და არ იმოქმედებს შესაბამისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაზე.

ბიზნესმოდელი „ამოღების მიზნით ფლობა“ ნიშნავს, რომ აქტივების ფლობის მიზანია ფულადი ნაკადების ამოღება, მაგრამ გაყიდვაც ასევე ბიზნესისმოდელის მიზნის ნაწილია, მაგალითად, ლიკვიდობის საჭიროებების მართვა, კონკრეტული ამონაგების მიღწევა, ან ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის შეთანხმება იმ ვალდებულებების ხანგრძლივობასთან, რომლებიც აფინანსებს ამ აქტივებს.

ნარჩენ კატეგორიაში შედის ფინანსური აქტივების ის პორტფელები, რომელთა მართვა ხდება ფულადი ნაკადების რეალიზაციის მიზნით, ძირითადად, გაყიდვის გზით, მაგალითად, სადაც არსებობს ვაჭრობის მაგალითი. საკონტრაქტო ფულადი ნაკადის ამოღება ამ ბიზნესმოდელისთვის ხშირად შემთხვევითობის საფუძველზე ხდება.

იმის განსაზღვრა, ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვებს (SPPI). იმის დადგენა, ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადი არის თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვა, მსჯელობას მოითხოვს.

ფულის დროითი ღირებულების ელემენტი შეიძლება შეიცვალოს, მაგალითად, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთი პერიოდულად იცვლება, მაგრამ ეს ცვლილება არ ემთხვევა სავალო ინსტურმენტის საბაზო საპროცენტო განაკვეთში ჩადებულ შინაარსს, მაგალითად, სესხი იხდის სამთვიან ბანკთაშორის განაკვეთს, მაგრამ პროცენტი იცვლება ყოველ თვეში. ფულის შეცვლილი დროითი ღირებულების ეფექტი შეფასდა შესაბამისი ინსტრუმენტის ფულადი ნაკადების საორიენტაციო სავალო ინსტრუმენტთან შედარების საშუალებით, რომელსაც SPPI ფულადი ნაკადები აქვს, როგორც თითოეული პერიოდისთვის, ისე კუმულაციურად, ინსტრუმენტის ვადის განმავლობაში. შეფასება ჩატარდა ყველა გონივრულად შესაძლებელი სცენარისთვის, მათ შორის გონივრულად შესაძლებელი ფინანსური სტრესის სიტუაციისთვის, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფინანსურ ბაზრებზე. ჯგუფმა გამოიყენა 10%-იანი ბარიერი იმის დასადგენად, მნიშვნელოვნად განსხვავდება თუ არა საორიენტაციო ინსტრუმენტებს დაპირისპირებული განსხვავებები. ფულადი ნაკადების მქონე სცენარის შემთხვევაში, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება საორიენტაციო მაჩვენებლისაგან, შეფასებული ინსტრუმენტის ფულადი ნაკადები არ არის SPPI და ინსტრუმენტის აღრიცხვა ხდება FVTPL- ით.

ჯგუფმა დაადგინა და გაითვალისწინა სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან რაოდენობას. SPPI-ს კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია იმ შემთხვევაში, თუ სესხი ადრეული ანგარიშსწორების საშუალებას იძლევა, ხოლო წინასწარ გადახდილი თანხა არსებითად წარმოადგენს ძირითად თანხას და დარიცხულ პროცენტს, გარდა ამისა, გონივრულ დამატებით ანაზღაურებას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისათვის. აქტივის ძირითადი თანხა არის სამართლიან ღირებულებას თავდაპირველი აღიარებისას გამოკლებული შემდგომი ძირითადი დაფარვები, ანუ გადახდები პროცენტის გარდა, რომელიც განისაზღვრება ეფექტური პროცენტის მეთოდით. ამ პრინციპის გამონაკლისის სახით სტანდარტი ასევე ფარავს იმ ინსტრუმენტებს, რომლებსაც აქვთ წინასწარი გადახდის მახასიათებლები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI– ს შესასრულებლად შემდეგ პირობას: (i) აქტივი წარმოიქმნება პრემიით ან დისკონტით, (ii) წინასწარი გადახდის თანხა წარმოადგენს სახელშეკრულებო პარიტეტულ თანხასა და დარიცხულ პროცენტს, ასევე გონივრულ დამატებით ანაზღაურებას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისათვის, და (ii) წინასწარი გადახდის მახასიათებლის სამართლიანი ღირებულება არ არის არსებითი საწყის აღიარებაში.

ჯგუფის საკრედიტო და სალიზინგო ხელშეკრულებები მოიცავს ჯვარედინი გაყიდვების მუხლებს, რომლებიც წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის შემცირებას, როცა კლიენტი ჯგუფთან სხვა ხელშეკრულებებსაც აფორმებს ან აკმაყოფილებს გარკვეულ კრიტერიუმებს, როგორიცაა მინიმალური ბრუნვის შენარჩუნება ჯგუფში გახსნილ მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.ფულადი ნაკადების მოძრაობა SPPI არის იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი მუხლები უბრალოდ ამცირებს ჯგუფის მთლიანი

მოგების მარჟას ინსტრუმენტზე და არ არსებობს სხვა მახასიათებლები, რომლებიც არ შეესაბამება დაკრედიტების ძირითად პირობებს.

ჯგუფის საკრედიტო ხელშეკრულებებით შესაძლებელია საპროცენტო განაკვეთების კორექტირება გარკვეული მაკროეკონომიკური ან რეგულირების ცვლილებების საპასუხოდ. მენეჯმენტმა იმსჯელა და შეაფასა, რომ საბანკო სექტორში არსებული კონკურენცია და მსესხებლების მიერ სესხების რეფინანსირების პრაქტიკული შესაძლებლობა ხელს შეუშლის მას საპროცენტო განაკვეთების შეცვლაში და ბაზართან შედარებით უფრო მაღალი განაკვეთის დადგენაში; შესაბამისად, ფულადი ნაკადები შეფასდა, როგორც SPPI.

ინსტრუმენტები, რომლებმაც ვერ გაიარეს SPPI ტესტი, აღირიცხება FVTPL– ით.

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როცა ჯგუფი ამოწურავს ამოღების ყველა პრაქტიკულ ძალისხმევას და დაასკვნის, რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს. ჩამოწერა აღიარების შეწყვეტას ნიშნავს. იმის დასადგენად, რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს, შემდეგი მაჩვენებლები გამოიყენება: სესხების 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება და ჩამოწერის დღეს უზრუნველყოფის არარსებობა. ბანკი ასევე ჩამოწერს სესხებს, რომლებიც უზრუნველყოფილი იყო, მაგრამ ვადაგადაცილებული ვალდებულების აღსრულების პროცესი დასრულებულია და ყველა არსებული უზრუნველყოფა გაყიდულია აუქციონზე, ან დასაკუთრებულია. დარჩენილი არაუზრუნველყოფილი ვალდებულება ჩამოიწერება, მაშინაც კი, როცა ჩამოწერის მომენტისთვის ვალდებულების ვადაგადაცილებული ნაწილი არ არსებობს.

ექსპერტული რეკომენდაციის მიხედვით, ჯგუფმა შეიძლება ჩამოწეროს ის ფინანსური აქტივები, რომლებიც ჯერ კიდევ ექვემდებარება აღსრულების ღონისძიებას იმ დროისთვის, როცა ჯგუფი ხელშეკრულების მიხედვით ვადადამდგარი თანხების ამოღებას ცდილობს, მაგრამ არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი, ან მოსალოდნელი ამოღება უმნიშვნელოა დარჩენილ ვალდებულებასთან შედარებით.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როცა ა) აქტივები გამოსყიდულია ან ამ აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება სხვაგვარადაა ამოწურული, ან ბ) ჯგუფს გასხვისებული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან ვალდებულების გადაკისრების შესახებ ხელშეკრულება აქვს დადებული და თან 1) ასევე ასხვისებს აქტივის ფლობის ყველა რისკს და სარგებელს ან 2) ფლობის ყველა რისკს და სარგებელს არც ასხვისებს და არც ინარჩუნებს, მაგრამ არც მათზე კონტროლს იტოვებს. კონტროლი ნარჩუნდება, როცა კონტრაგენტს არ აქვს აქტივის დაუკავშირებელ მესამე მხარეზე სრულად გაყიდვის პრაქტიკული უნარი, გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფინანსური აქტივები - მოდიფიკაცია. ხანდახან ჯგუფი ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობებზე ხელახლა მოლაპარაკებას მართავს ან სხვაგვარად ცვლის მათ. ჯგუფი აფასებს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მოძრაობის მოდიფიკაცია მნიშვნელოვანია თუ არა, სხვა ფაქტორებს შორის შემდეგის გათვალისწინებით: ახალი სახელშეკრულებო პირობები, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს აქტივის რისკის პროფილზე (მაგალითად, მოგების წილი ან მოგება საკუთარ კაპიტალზე), საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი ცვლილება, ორი ან მეტი ფინანსური აქტივის აგრეგირება ერთ ფინანსურ აქტივად ან ფინანსური აქტივების სხვა ტიპის კონსოლიდაცია, ფინანსური აქტივები, რომელსაც არ აქვს წინასწარგანსაზღვრული ფულადი ნაკადები, ერთმანეთს ჩაანაცვლებს გრაფიკით ან პირიქით, როცა ფულად ნაკადებზე უფლებები თავდაპირველ კონტრაგენტებს შორის ამოიწურება იმის გამო, რომ თავდაპირველ დებიტორს ჩაანაცვლებს ახალი (თუ ორივე დებიტორი საერთო კონტროლის ქვეშ არაა), ცვლილება ვალუტის დენომინაციაში, ახალი უზრუნველყოფა ან კრედიტის გაზრდა, რაც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს აქტივთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკთან, ან მნიშვნელოვანი სესხის გაცემა, როცა მსესხებელი არ არის ფინანსური სიძნელეების წინაშე.

თუ მოდიფიცირებული პირობები ძირეულად განსხვავდება, თავდაპირველი აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ჯგუფი თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს, და აღიარებს ახალ აქტივს სამართლიანი ღირებულებით. აღიარების თარიღი მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების თარიღად საბოლოოდ გაუფასურების გაანგარიშების მიზნებისთვის, ასევე იმის დადგენისთვის, ჰქონდა თუ არა ადგილი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას.

სამართლიანი ღირებულებით აღიარებაშეწყვეტილი თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალ, ძირეულად მოდიფიცირებულ აქტივს შორის განსხვავება აღიარდება მოგებაში ან ზარალში, თუ განსხვავების არსი მფლობელებთან კაპიტალის ტრანზაქციას არ მიეწერება.

ისეთ სიტუაციაში, სადაც აღიარების შეწყვეტა გამოწვეული იყო კონტრაგენტის ფინანსური სირთულეებით და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების გაკეთების უუნარობით, ჯგუფი თავდაპირველ და გადასინჯულ მოსალოდნელ ფულადი ნაკადების მოძრაობებს ერთმანეთს ადარებს, რითაც აფასებს, აქტივის რისკები და სარგებელი ძირეულად განსხვავდება თუ არა ხელშეკრულების მოდიფიკაციის შედეგად. თუ რისკები და სარგებელი ძირეულად არ იცვლება, მოდიფიცირებული აქტივი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება თავდაპირველისგან და მოდიფიკაცია არ სრულდება აღიარების შეწყვეტით. ჯგუფი ხელახლა ანგარიშობს ბრუტო საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით (ან კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით POCI ფინანსური აქტივების შემთხვევაში) და მოდიფიკაციის მოგებას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები - გაანგარიშების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც საბოლოოდ AC-ით დათვლილი, გარდა, 1) FVTPL-ით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებებისა: ეს კლასიფიკაცია ვრცელდება დერივატივებზე, რეალიზაციისთვის განკუთვნილ ფინანსურ ვალდებულებებზე (მაგ. ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიციებზე), შემსყიდველის მიერ აღიარებულ ვალდებულებებზე ბიზნესკომბინაციაში და სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებიც ასეთად აღიარდება თავდაპირველი აღიარებისას და 2) ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებების და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება, როცა ისინი ამოიწურება (ანუ, როცა ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ვალდებულება მოიხსნება, გაუქმდება ან ვადა გაუვა).

ჯგუფსა და ჯგუფის სავალო ინსტრუმენტების თავდაპირველი კრედიტორებს შორის ძირეულად განსხვავებული პირობების ურთიერთგაცვლა, ასევე არსებული ფინანსური ვალდებულებების პირობების ძირეული მოდიფიკაციები აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების ამოწურვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები ძირეულად განსხვავდება, თუ ახალი პირობებით, ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, მათ შორის გადახდილი საკომისიოები, მიღებული და თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული საკომისიოების გამოკლებით, სულ მცირე 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისგან. ამასთან, გასათვალისწინებელია სხვა ხარისხობრივი ფაქტორები, როგორიცაა ინსტრუმენტის ვალუტა, საპროცენტო განაკვეთის ტიპების ცვლილება, ინსტრუმენტის ახალი კონვერსიის მახასიათებლები და სესხების კოვენანტების ცვლილება. თუ სავალო ინსტრუმენტების ურთიერთგაცვლა ან პირობების მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც ამოწურული, შესაბამისი ხარჯები და საკომისიოები აღიარდება, როგორც ამოწურვის მოგების ან ზარალის ნაწილი. თუ ურთიერთგაცვლა და მოდიფიკაცია არ აღიარდება ამოწურვად, ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება გაწეული ხარჯებით და საკომისიოებით და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების არსებობის დარჩენილ პერიოდზე.

ვალდებულებების მოდიფიკაცია, რომელიც არ სრულდება ამოწურვით, აღირიცხება, როგორც პროგნოზის ცვლილება, ამორტიზაციის უკანა თარიღით დარიცხვის კუმულაციური მეთოდის

გამოყენებით, შესაბამისი მოგება ან ზარალი მოგება-ზარალში აღიარდება, თუ საბალანსო ღირებულებების განსხვავებების ეკონომიკური არსი მფლობელებთან კაპიტალის ტრანზაქციებს არ მიეწერება.

დაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები. დაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები მოიცავს გამოუშვებელი პრემიების რეზერვებს, ზარალების რეზერვებს და ვადაგაუსვლელ რისკს, ასევე გადამზღვევი კომპანიებისთვის გადასახდელ თანხებს. გამოუშვებელი პრემიების რეზერვი აღიარდება, როცა ფორმდება ხელშეკრულებები და პრემიები აღირიცხება, და მოგება-ზარალში ცხადდება, როგორც სადაზღვევო შემოსავალი ხელშეკრულების პირობით. ზარალების რეზერვები მოიცავს განცხადებულ ზარალებზე გაკეთებულ რეზერვების, გაწეულ, მაგრამ არა განცხადებულ ზარალებზე გაკეთებულ რეზერვებს, ზარალების დამუშავების ხარჯების რეზერვებს. განცხადებულ ზარალებზე გაკეთებული რეზერვები განისაზღვრება ინდივიდუალური შეფასებით. ზარალების დამუშავების ხარჯების და გაწეული, მაგრამ განუსაზღვრელი ზარალების განსაზღვრისას გამოიყენება აქტუარული მეთოდები. თითოეულ საანგარიშგებო დღეს, გამოუშვებელი პრემიის საბალანსო ღირებულება ანგარიშდება აქტიურ პოლისებზე დაზღვევის პერიოდის და პოლიცის ვადის გასვლამდე დარჩენილი დროის მიხედვით. ჯგუფი ვადაგაუსვლელ რისკებს აფასებს ცალკეული ბიზნესმიმართულებების ისტორიული ეფექტიანობის მიხედვით, რითაც საზღვრავს მოსალოდნელი ზარალების საერთო ცვლილებას. გამოუშვებელი პრემიის რეზერვს, ზარალების რეზერვებს და მოსალოდნელ ზარალებს შორის განსხვავება აღიარდება მოგებაში ან ზარალში პრემიის დანაკლისის რეზერვის შექმნით.

გადამზღვევ კომპანიებზე გადასახდელი თანხები აღიარდება დარიცხვის მეთოდით და ანგარიშდება ამორტიზებული ღირებულებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები ის მუხლებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ცნობილ ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებებს და რეპო და უკურეპო ხელშეკრულებებს სხვა ბანკებთან, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამ თვეზე ნაკლებია. თანხები, რომლებიც დაბლოკილია სამ თვეზე მეტი ხნით, ამოღებულია კატეგორიიდან „ფული და ფულის ეკვივალენტები“ როგორც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, ისე ფულადი ნაკადების მოძრაობის განცხადების მიზნებისთვის. ფული და ფულის ეკვივალენტები AC-ით აღირიცხება, რადგან: 1) ისინი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ინკასაციისთვისაა განკუთვნილი და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს, და 2) ისინი არ არის FVTPL-ის დანიშნულების.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში ასახული ჩეკების გადახდები წარმოადგენს ჯგუფის მიერ ფულისა და ფულის ეკვივალენტების ტრანსფერებს, მათ შორის, ჯგუფის კონტრაგენტების მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხულ ან დაკრედიტებულ და ჯგუფის მიერ ფლობილ თანხებს, მაგ., სესხის საპროცენტო შემოსავლებს ან სესხის ძირითად თანხას, რომლის ამოღება ხდება კლიენტის მიმდინარე ანგარიშიდან, ან პროცენტის დაფარვას ან სესხის გაცემებს, რომლებიც დაკრედიტდება კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე, რაც წარმოადგენს ფულს და ფულის ეკვივალენტებს კლიენტის პერსპექტივიდან.

ფულადი სახსრები სებ-ში. სებ-ში განთავსებული სავალდებულო ფულადი სახსრების რეზერვი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით და წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის მქონე სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომელთა გამოყენებაც არ შეიძლება ჯგუფის ყოველდღიური საქმიანობის დაფინანსებისთვის და ამიტომ, ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგების მიზნებისთვის, არ მიიჩნევა ფულისა და ფულის ეკვივალენტების შემადგენელ ნაწილად.

მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ აღირიცხება, როცა ჯგუფი ფულს კონტრაგენტთა ბანკებში ავანსის სახით გადარიცხავს. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, როცა: 1) მათი დანიშნულება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მობილიზაციაა და ეს ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს, და 2) ისინი არ არის FVTPL-ის დანიშნულების.

ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში. ბიზნესმოდელიდან და ფულადი ნაკადების მახასიათებლებიდან გამომდინარე, ჯგუფი სავალო ფასიან ქაღალდებში გაკეთებულ ინვესტიციებს აკლასიფიცირებს, როგორც AC-ით, FVOCI-ით ან FVTPL-ით აღრიცხულს. სავალო ფასიანი ქაღალდები აღრიცხულია AC-ით, თუ მათი დანიშნულება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მობილიზაციაა და როცა ეს ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს, და თუ ისინი თვითნებურად არ არის FVTPL დანიშნულების, სააღრიცხვო შეუსაბამობის მნიშვნელოვნად შემცირების მიზნით.

სავალო ფასიანი ქაღალდები აღრიცხულია FVOCI-ით, თუ მათი დანიშნულება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მობილიზაცია და გაყიდვაა, როცა ასეთი ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს, და თუ არ არის FVTPL დანიშნულების. ამ აქტივებიდან საპროცენტო შემოსავალი იანგარიშება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მოსალოდნალი საკრედიტო ზარალის მეთოდით პროგნოზირებული გაუფასურების რეზერვი აღიარდება წლის მოგება-ზარალში. საბალანსო ღირებულების ყველა სხვა ცვლილება აღიარდება OCI-ში. როცა სავალო ფასიანი ქაღალდის აღიარება წყდება, ადრე OCI-ში აღიარებული კუმულაციური მოგება ან ზარალი OCI-დან გადაკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში აღირიცხება FVTPL-ით, თუ ისინი არ აკმაყოფილებს AC-ის ან FVOCI-ის კრიტერიუმებს. ჯგუფს ასევე შეუძლია ინვესტიციებს სავალო ფასიან ქაღალდებში FVTPL დანიშნულება მიანიჭოს თავდაპირველი აღიარებისას, თუ ამ ალტერნატივის არჩევა მნიშვნელოვნად შეამცირებს ბუღალტრულ შეუსაბამობას იმ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის, რომლებიც აღიარდება ან ანგარიშდება სხვადასხვა სააღრიცხვო საფუძვლებით.

ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში. ფინანსური აქტივები, რომლებიც შეესაბამება წილის განსაზღვრებას ემიტენტის პერსპექტივიდან, ანუ ინსტრუმენტები, რომლებიც არ შეიცავს ნაღდი ფულის გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულებას და ეს ემიტენტის წმინდა აქტივებში ნარჩენი ინტერესის დასტურია, ჯგუფის მიერ მიიჩნევა წილობრივ ფასიან ქაღალდებში ინვესტიციად. ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში ითვლება FVTPL-ით, გარდა შემთხვევებისა, როცა თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფი წილობრივ ინვესტიციებს FVOCI დანიშნულებას ანიჭებს. ჯგუფის პოლიტიკაა, წილობრივ ინვესტიციებს FVOCI დანიშნულება მიანიჭოს, როცა ამ ინვესტიციებს სტრატეგიული დანიშნულება აქვს და არა მხოლოდ საინვესტიციო მოგების მიღების მიზნითაა აღრიცხული. როცა არჩევანი FVOCI-ის სასარგებლოდ კეთდება, სამართლიანი ღირებულების მოგება და ზარალი აღიარდება OCI-ით და საბოლოოდ არ გადაკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში, მათ შორის არც გასხვისებისას. გაუფასურების ზარალი და მათი ამობრუნება, თუ ასეთი არის, არ ითვლება სამართლიან ღირებულებაში სხვა ცვლილებებისგან განცალკევებით. დივიდენდები კვლავ აღიარდება მოგება-ზარალში, როცა დგინდება ჯგუფის მიერ გადახდების მიღების უფლება, გარდა შემთხვევებისა, როცა ისინი ინვესტიციის ამოღებას წარმოადგენს და არა ამ ინვესტიციიდან მოგებას.

კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები ჩაიწერება, როცა ჯგუფი გასცემს ფულს კლიენტისგან მისაღები სესხის შესასყიდად ან წარმოშობისთვის. ბიზნესმოდელიდან და ფულადი ნაკადების მოძრაობის მახასიათებლებიდან გამომდინარე, ჯგუფი კლიენტებზე გაცემულ სესხებს და ავანსებს აკლასიფიცირებს ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიაში: 1) AC - სესხები, რომლებიც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მობილიზაციისთვისაა განკუთვნილი და ეს ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს და სესხები, რომლებსაც თვითნებურად არ მიენიჭება FVTPL დანიშნულება, და 2) FVTPL: სესხები, რომლებიც არ აკმაყოფილებს SPPI ტესტს ან სხვა AC ან FVOCI კრიტერიუმებს ითვლება FVTPL-ით.

გაუფასურების რეზერვები განისაზღვრება საპროგნოზო ECL მოდელების მიხედვით. განმარტება 0 შეიცავს ინფორმაციას ECL გაანგარიშებაში გამოყენებული მონაცემების, ვარაუდების და პროგნოზების ტექნიკის შესახებ, მათ შორის ახსნას, თუ როგორ შეაქვს ჯგუფს საპროგნოზო ინფორმაცია ECL მოდელებში.

დასაკუთრებული უზრუნველყოფა. დასაკუთრებული უზრუნველყოფა წარმოადგენს ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებს, რომლებსაც ჯგუფი მიიღებს ვადაგადაცილებული სესხების სანაცვლოდ.

თავდაპირველად აქტივები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შეიტანება კატეგორიაში „შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა“, „სხვა ფინანსური აქტივები,“ „საინვესტიციო ქონება“ ან „სასაქონლო-მატერიალური მარაგები“ სხვა აქტივებში, გააჩნია მათ ბუნებას და ჯგუფის მიზანს ამ აქტივების ამოღებასთან დაკავშირებით. საბოლოოდ, ისინი წინასწარ ითვლება და აღირიცხება ამ კატეგორიის აქტივებთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად. დასაკუთრებული აქტივების მარაგები აღირიცხება უმცირესი ღირებულებით, ანუ წმინდა რეალიზებადი ღირებულებით. სარეალიზაციო ან გრძელვადიან აქტივებთან და გასხვისების ჯგუფებთან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკას ჯგუფი იყენებს დასაკუთრებულ უზრუნველყოფაზე, როცა ამგვარი კლასიფიკაციისთვის შესაბამისი პირობები დაცულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

სასესხო ვალდებულებები. ჯგუფი გასცემს ვალდებულებებს სესხებზე. ეს ვალდებულებები გამოუთხოვადი ან გამოთხოვადია მხოლოდ მატერიალურ უარყოფით ცვლილებასთან მიმართებაში. ამგვარი ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რაც როგორც წესი დასტურდება მიღებული საკომისიოებით. ეს თანხა ამორტიზდება წრფივი მეთოდით ვალდებულების არსებობის პერიოდში, გარდა სესხების წარმოშობის ვალდებულებებისა, თუ არის იმის ალბათობა, რომ ჯგუფი კონკრეტულ დაკრედიტების ხელშეკრულებას დადებს და არ მოელის ამ სესხის გაყიდვას წარმოშობიდან მოკლე ვადაში; ამგვარი სასესხო ვალდებულების საკომისიოები გადავადდება და შეიტანება სესხის საბალანსო ღირებულებაში თავდაპირველი აღიარებისას. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებები ითვლება 1) თავდაპირველი აღიარების თანხის დარჩენილი არაამორტიზებული ბალანსით, პლუს 2) ზარალის რეზერვის თანხით, რომელიც განისაზღვრება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით, თუ ვალდებულება ითვალისწინებს სესხის გაცემას საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე ქვემოთ, რა შემთხვევაშიც დათვლა ხდება ამ ორი თანხიდან უმაღლესით. სასესხო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ვალდებულებას. იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც მოიცავს როგორც სესხს ისე აუთვისებელ ვალდებულებას და როცა ჯგუფს არ შეუძლია ცალკე განსხვავოს აუთვისებელი ვალდებულების და სესხის კომპონენტის ECL, აუთვისებელი ვალდებულების ECL აღიარდება სესხზე ზარალის რეზერვთან ერთად. რამდენადაც კომბინირებული ECL-ები აჭარბებს სესხის ბრუტო საბალანსო ღირებულებას, ისინი აღიარებულია ვალდებულებად.

ფინანსური გარანტიები. ფინანსური გარანტიები მოითხოვს, რომ ჯგუფმა სპეციალური გადახდები გააკეთოს, რათა გარანტიის მფლობელს აუნაზღაუროს მის მიერ გაწეული ზარალი, რომელიც გამოიწვია კონკრეტული დებიტორის მიერ ვადადამდგარი ვალდებულების გაუსტუმრებლობამ სავალო ინსტრუმენტის თავდაპირველი ან მოდიფიცირებული პირობების თანახმად. ფინანსური გარანტირები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რისი დასტურიცაა მიღებული საკომისიოები. ეს თანხა ამორტიზდება წრფივი მეთოდით გარანტიის არსებობის პერიოდში.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გარანტიები ითვლება, როგორც უმაღლესი მაჩვენებელი ამ სიდიდეებს შორის: 1) გარანტირებული პოზიციის ზარალის რეზერვის ოდენობა, რომელიც განისაზღვრება მოსალოდნელი ზარალის მეთოდით და 2) თანხის დარჩენილი არაამორტიზებული ნაწილი თავდაპირველი აღიარებისას. ამასთან, ECL ზარალის რეზერვი აღიარდება იმ მისაღები საკომისიოებისთვის, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში აღიარებულია, როგორც აქტივი.

ეფექტიანობის გარანტიები. ეფექტიანობის გარანტიები არის კონტრაქტები, რომლებიც ითვალისწინებს კომპენსაციას იმ შემთხვევებში, თუ მეორე მხარე ვერ შეასრულებს კონტრაქტით დაკისრებულ ვალდებულებას. ასეთი კონტრაქტებით არაფინანსური ეფექტიანობის რისკი გადაეცემა საკრედიტო რისკთან ერთად. ეფექტიანობის გარანტიები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ადასტურებს მიღებული საკომისიოები. ეს თანხა ამორტიზდება წრფივი მეთოდით გარანტიის არსებობის პერიოდში. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გარანტიები ითვლება, როგორც უმაღლესი მაჩვენებელი ამ სიდიდეებს შორის: 1) თანხის დარჩენილი არაამორტიზებული ნაწილი თავდაპირველი აღიარებისას და 2) თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კონტრაქტზე ანგარიშსწორებისთვის საჭირო დანახარჯის საუკეთესო წინასწარი შეფასება,

დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებით. როცა ჯგუფს კონტრაქტით მინიჭებული აქვს უფლება, ეფექტიანობის გარანტიის კონტრაქტების ანგარიშსწორებისთვის გადახდილი თანხების ამოსაღებად მიმართოს კლიენტს, ეს თანხები გარანტიის მიმღებისთვის ზარალის ანაზღაურების გადაცემისას აღიარდება, როგორც აქტივი. ეს საკომისიოები აღიარდება მოგება-ზარალის „საკომისიო შემოსავლების“ კატეგორიაში.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელსაც ჯგუფი ფლობს გაქირავებიდან შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის ღირებულების ზრდისთვის, ან ორივე მიზნით, და რომელიც ჯგუფის მიერ არ არის დაკავებული. საინვესტიციო ქონება მოიცავს აქტივებს მშენებლობის პროცესში, რომელიც მომავალში გამოიყენება საინვესტიციო ქონებად.

საინვესტიციო ქონება განცხადებულია თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების რეზერვი, სადაც საჭიროა. თუ არსებობს იმის მინიშნება, რომ საინვესტიციო ქონება შეიძლება გაუფასურდეს, ჯგუფი წინასწარ აფასებს იმ თანხას, რომელსაც რეალიზაციიდან ამოიღებს, როგორც უმაღლესს ამ სიდიდეებიდან: გამოყენების ღირებულებაზე უფრო მაღალი ღირებულებით და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯებით.

საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება იწერება ანაზღაურებადი ღირებულების სიდიდით, წლის მოგება-ზარალში გატარებით. წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ამობრუნდება, თუ აქტივის ამოღებადი თანხის დასადგენად გაკეთებული წინასწარი შეფასებები მნიშვნელოვნად შეიცვალა.

ქირიდან მიღებული შემოსავალი წლის მოგება-ზარალში იწერება სხვა საოპერაციო შემოსავლის კატეგორიაში.

ცვეთა. ცვეთა არ ვრცელდება მიწასა და მშენებლობაზე. შენობა-ნაგებობების და მოწყობილობის კატეგორიის სხვა მუხლებზე ცვეთა იანგარიშება წრფივი მეთოდით და მათი თვითღირებულება ან გადაფასებული თანხები მათი სასარგებლო მომსახურების ვადის 50 წლის მანძილზე ნაწილდება მათ ნარჩენ ღირებულებაზე.

შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა. შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა განცხადდება თვითღირებულებით ან გადაფასებული თანხებით, როგორც ქვემოთაა აღწერილი, გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების რეზერვი, სადაც საჭიროა.

საკმაო რეგულარულობით, შენობები გადაფასებას ექვემდებარება, რათა ზუსტად იყოს ცნობილი, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება იმ ღირებულებისგან, რომელიც დადგინდებოდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სამართლიანი ღირებულების გამოყენებისას. საბალანსო ღირებულების ზრდა, რომელსაც გადაფასებისას აქვს ადგილი, კრედიტდება სხვა სრულ შემოსავალში და ზრდის გადაფასების ნამეტს კაპიტალში. შემცირება, რომელიც აოფსეტებს იმავე აქტივის წინა ზრდებს, აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და ამცირებს ადრე აღიარებულ გადაფასების ნამეტს კაპიტალში; ყველა სხვა შემცირება აღირიცხება წლის მოგება-ზარალში. შენობა-ნაგებობების და მოწყობილობის გადაფასების რეზერვი, რომელიც კაპიტალშია შეტანილი, პირდაპირ გადადის გაუნაწილებელ მოგებაში, როცა გადაფასების ნამეტი რეალიზდება აქტივის აქტიური მოხმარებიდან გამოსვლის ან გასხვისებისას.

თუ არ არსებობს სამართლიანი ღირებულების ბაზრიდან გამომდინარე მტკიცებულება, მაშინ სამართლიანი ღირებულება წინასწარ ფასდება შემოსავლის მიდგომის გამოყენებით. მენეჯმენტმა განაახლა მიწის და შენობების საბალანსო ღირებულება, რომელიც დაითვალა საანგარიშო პერიოდის ბოლოდ გადაფასების მოდელის გამოყენებით, ბაზრიდან გამომდინარე მტკიცებულებით და კმაყოფილია, რომ განახლებული სამართლიანი ღირებულების დასაბუთებისთვის საკმარისი საბაზრო მტკიცებულება არსებობს.

მცირე შეკეთებების ხარჯები და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები მათი გაწევისას

ტარდება. შენობა-ნაგებობების და მოწყობილობის დიდი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზაციას გადის, გამოცვლილი ნაწილი კი აღირიცხება, როგორც აქტიური მოხმარებიდან გამოსული.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მენეჯმენტი აფასებს, არის თუ არა შენობა-ნაგებობების და მოწყობილობის გაუფასურების რამე ნიშნები. თუ არის, მენეჯმენტი წინასწარ აფასებს ამოსაღები თანხის ოდენობას, რომელიც განისაზღვრება, როგორ აქტივის სამართლიანი ღირებულების უმაღლეს მაჩვენებელს გამოკლებული გასაყიდი ხარჯები და ღირებულების გამოყენებული სიდიდე. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოსაღებ თანხამდე და წლის მოგება-ზარალში აღიარდება გაუფასურების ზარალი იმ ოდენობით, რომ აჭარბებდეს კაპიტალში აღიარებულ გადაფასების ნამეტს.

აქტივზე წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ამობრუნდება, თუ დაფიქსირდება ცვლილებები ღირებულების გამოყენებული სიდიდის ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გასაყიდი ხარჯების პროგნოზირებისთვის გამოყენებულ მაჩვენლებლებში.

გასხვისებისას მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც დადგინდება შემოსული თანხის საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარდება წლის მოგება-ზარალში (სხვა ოპერაციულ შემოსავალში ან ხარჯებში).

ცვეთა. ცვეთა არ ვრცელდება მიწასა და მშენებლობაზე. შენობა-ნაგებობების და მოწყობილობის კატეგორიის სხვა მუხლებზე ცვეთა იანგარიშება წრფივი მეთოდით და მათი თვითღირებულება ან გადაფასებული თანხები მათი სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე ნაწილდება მათ ნარჩენ ღირებულებაზე:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
შენობა-ნაგებობები	50
საოფისე და კომპიუტერული ტექნიკა	5
ბანკომატი	10
სალიზინგო ქონების გაუმჯობესება	1 to 5
ავტოტრანსპორტი	5
აქტივების გამოყენების უფლება	1 to 10

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საპროგნოზო თანხა, რომელსაც ჯგუფი აქტივის რეალიზაციიდან ამჟამად მიიღებდა, გამოკლებული გასხვისების შესაძლო ხარჯები, თუ აქტივი უკვე ასაკიანია და იმ მდგომარეობაშია, რომ მოსალოდნელია, სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლო პერიოდი ჰქონდეს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მოხმარების ვადა განიხილება და თუ საჭიროა კორექტირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები. ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და უმთავრესად მოიცავს კაპიტალიზირებულ კომპიუტერულ პროგრამებს და *ლიცენზიებს*. შეძენილი კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიები კაპიტალიზდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენისას და სასარგებლო მდგომარეობაში მოყვანისას. პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების ხარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ჯგუფის მიერ კონტროლირებად, იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამულ უზრუნველყოფასთან, აისახება როგორც არამატერიალური აქტივები, თუ კი არსებობს დამატებითი ეკონომიკური სარგებლის მოპოვების ალბათობა, რომელიც აღემატება გაწეულ ხარჯებს.

კაპიტალიზებული ხარჯები არის გარე კონტრაქტორების მიერ პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების მომსახურების მისაღებად გაწეული ხარჯები. კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებული სხვა ყველა ხარჯი, მაგალითად მათი ტექნიკური მომსახურება, აღირიცხება ამგვარი ხარჯების გაღებისას. კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამებს ამორტიზაცია ერიცხება წრფივი მეთოდით მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადაში, რომელიც 8 წელს შეადგენს.

იჯარის აღრიცხვა, როცა ჯგუფი მოიჯარეა 2019 წლის 1 იანვრიდან. ჯგუფს იჯარით აღებული აქვს ოფისი და შენობები. იჯარით აღებული ქონება აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლება და შესაბამისი ვალდებულება იმ დღეს, როცა იჯარით აღებული ქონება ჯგუფის მიერ გამოსაყენებლად მზადაა. თითოეული საიჯარო გადასახდელი განაწილებულია ვალდებულებასა და ფინანსურ ხარჯს შორის. ფინანსური ხარჯი ტარდება მოგება-ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში, რითაც დგინდება ვალდებულების დარჩენილი ნაწილის მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი თითოეული პერიოდისთვის.

აქტივის გამოყენების უფლება აღიარდება თვითღირებულებით და მისი ცვეთა განისაზღვრება აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადასა და იჯარის ვადას შორის უმცირესი ღირებულებით, წრფივი მეთოდით.

იჯარიდან გამომდინარე ვალდებულებები თავდაპირველად ანგარიშდება მიმდინარე ღირებულებით. საიჯარო ვალდებულებები მოიცავს შემდეგი სალიზინგო გადახდების წმინდა მიმდინარე ღირებულებას:

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის არსებითი ფიქსირებული გადახდები), გამოკლებული მისაღები საიჯარო შეღავათები, თუ ასეთი არის;
- ცვლადი საიჯარო გადახდები, რომელიც ინდექსს ან განაკვეთს ეფუძნება;
- ის თანხები, რომლებიც მოიჯარემ უნდა გადაიხადოს ნარჩენი ღირებულების გარანტიის ფარგლებში;
- შესყიდვის ოფციის ფასი, თუ მოიჯარე გონივრულად დარწმუნებულია რომ ამ ოფციას გამოიყენებს, და
- იჯარის შეწყვეტისთვის დაწესებული ჯარიმების გადახდები, თუ იჯარის პირობები ითვალისწინებს მოიჯარის მიერ ამ ოფციის გამოყენებას.

იჯარის გადახდა დისკონტირდება იჯარის საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ეს განაკვეთი ვერ დადგინდა, გამოიყენება მოიჯარის დამატებითი მსესხებლის განაკვეთი, ანუ ის განაკვეთი, რომელსაც მოიჯარე გადაიხდიდა მსგავსი ღირებულების აქტივის შესაძენად თანხის სესხების შემთხვევაში, მსგავს ეკონომიკურ გარემოში მსგავსი პირობებით.

აქტივების გამოყენების უფლება ანგარიშდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი გაანგარიშების თანხა;
- დაწყების დღემდე ან ამ დღეს გადახდილი იჯარის თანხა, გამოკლებული რაიმე საიჯარო შეღავათი;
- რაიმე თავდაპირველი პირდაპირი ხარჯი, და
- აღდგენის ხარჯები.

ზემოხსენებულიდან გამონაკლისის სახით, ჯგუფი მოკლევადიან იჯარებს და დაბალი ღირებულების - 15 ათასი ლარის და ნაკლები ღირებულების მქონე აქტივების იჯარებს აღრიცხავს საიჯარო გადახდის საოპერაციო ხარჯად აღიარებით, წრფივი მეთოდით.

საიჯარო პირობების განსაზღვრისას, ჯგუფის მენეჯმენტი ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტს და გარემოებას, რომელიც ქმნის ვადის გაგრძელების ოფციის ეკონომიკურ სტიმულს, ან არ იყენებს შეწყვეტის ოფციას. ვადის გაგრძელების ოფციები (ან შეწყვეტის ოფციის შემდგომი პერიოდები) საიჯარო პირობებში შედის თუ არსებობს გონივრული დარწმუნება, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება).

ამგვარი შეფასება გადაიხედება, თუ ადგილი ექნება მნიშვნელოვან მოვლენას ან გარემოებათა მნიშვნელოვან ცვლილებას, რომელიც გავლენას მოახდენს ამ შეფასებაზე და რომელიც მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება.

ჯგუფის მიერ საოპერაციო იჯარების აღრიცხვა, როცა ჯგუფი მოიჯარეა 2019 წლის 1 იანვრამდე. როცა ჯგუფი არის მოიჯარე ისეთ საიჯარო ხელშეკრულებაში, რომელიც არ ითვალისწინებს ფლობის რისკების და სარგებლის მოიჯარედან ჯგუფზე გადაცემას, იჯარის მთლიანი გადახდა ხარჯად ტარდება წლის მოგება-ზარალში (ქირის ხარჯი) წრფივი მეთოდით იჯარის პერიოდის განმავლობაში.

სხვა შეთანხმებებით გათვალისწინებული იჯარები დაცალკევდება, თუ ა) მოვალეობის შესრულება დამოკიდებულია კონკრეტული აქტივის ან აქტივების გამოყენებაზე და ბ) შეთანხმება ითვალისწინებს აქტივის გამოყენების უფლების გადაცემას.

საოპერაციო იჯარის აღრიცხვა, როცა ჯგუფი მეიჯარეა. როცა ხდება აქტივების იჯარით გაცემა საოპერაციო იჯარის ფარგლებში, მისაღები იჯარის თანხა აღიარდება როგორც შემოსავალი ქირიდან წრფივი მეთოდით იჯარის პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური ლიზინგის აღრიცხვა როცა ჯგუფი მოიჯარეა 2019 წლის 1 იანვრამდე. როცა ჯგუფი არის მოიჯარე ისეთ ხელშეკრულებაში, რომელიც ითვალისწინებს ფლობის რისკების და სარგებლის ჯგუფზე გადაცემას, იჯარით აღებული აქტივები იჯარის დასაწყისის დღეს კაპიტალიზდება შენობა-ნაგებობების და მოწყობილობის კატეგორიაში იჯარას დაქვემდებარებული აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახდელის მიმდინარე ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით. თითოეული სალიზინგო გადასახდელი ნაწილდება ვალდებულებასა და დაფინანსების ხარჯებს შორის, რითაც დგინდება დარჩენილი დაფინანსების ნაშთის მუდმივი განაკვეთი. პროცენტის ხარჯი აღიარდება წლის მოგება-ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ფინანსური ლიზინგით მიღებული აქტივების ცვეთა მიმდინარეობს სასარგებლო გამოყენების პერიოდის განმავლობაში ან უფრო ხანმოკლე საიჯარო ვადით თუ ჯგუფი გონივრულად არაა დარწმუნებული, რომ იჯარის ვადის ბოლოს ის ამ აქტივის მფლობელობას მიიღებს.

ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები. როდესაც ჯგუფი არის მეიჯარე იჯარის ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც გადაცემს მფლობელობასთან დაკავშირებულ ყველა რისკებს და სარგებელს მოიჯარეს, იჯარით გადაცემული აქტივები აისახება როგორც მისაღები ფინანსური იჯარა და აისახება სამომავლო იჯარის გადასახადების მიმდინარე ღირებულებით. ფინანსური იჯარის დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარდება დასაწყისში (იჯარის ვადის დაწყებისთანავე) თავდაპირველად დაწესებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით (იჯარის ხელშეკრულების ადრინდელი თარიღი და მხარეების მიერ კონტრაქტის ძირითადი დებულებების მიღების თარიღი).

მთლიანი მისაღები შემოსავლებისა და დღევანდელი ღირებულების სხვაობა წარმოადგენს გამოუმუშავებელ ფინანსურ შემოსავალს. აღნიშნული შემოსავალი ექვემდებარება აღიარებას იჯარის ვადის განმავლობაში წმინდა ინვესტიციების (დაბეგვრამდე) მეთოდის გამოყენებით, რომელიც ასახავს მოგების მუდმივ პერიოდულ ნორმას. იჯარის ორგანიზებასთან და მოლაპარაკების ჩატარებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები შედის ფინანსური იჯარის დებიტორული დავლიანების პირველად შეფასებაში და ამცირებს იჯარის პერიოდში აღიარებულ მოგების თანხას. იჯარის ფინანსური მოგება ცალკე მუხლად აისახება წლიურ მოგება-ზარალში და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშში.
საკრედიტო დანაკარგების რეზერვის აღიარება ხორციელდება საერთო ECL (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები) მოდელის შესაბამისად, გამარტივებულიმიდგომით, მთელი სასიცოცხლო პერიოდის ECL-ით. ECL-ი დგინდება იგივე მეთოდით, რაც სესხებისათვის და ავანსებისათვის, რომლების შეფასება ხდება AC (ამორტიზირებული ღირებულების)-ით და აღირიცხება სარეზერვო ანგარიშით დებიტორული დავალიანების სუფთა საბალანსო ღირებულების ჩამოწერისათვის მოყვანილი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ღირებულებაში, ფინანსური იჯარით გათვალისწინებული დისკონტირებული საპროცენტო განაკვეთით.

სამომავლო სავარაუდო ფულადი ნაკადები ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც შეიძლება გაჩნდეს იჯარას დაქვემდებარებული აქტივების შეძენა-გაყიდვების შედეგად.

სარეალიზაციოდ კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივები (ან გასხვისების ჯგუფები). გრძელვადიანი აქტივები და გასხვისების ჯგუფები, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს როგორც გრძელვადიან, ისე მოკლევადიან აქტივებს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება, როგორც „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები“, თუ მათი საბალანსი ღირებულების ამოღება შესაძლებელია გაყიდვის შედეგად, მათ შორის აქტივების მფლობელი შვილობილ კომპანიაზე კონტროლის დაკარგვის შემდეგ, საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში.

აქტივები ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, თუ ყველა შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: (ა) აქტივების დაუყოვნებლივ რეალიზაცია შესაძლებელია მიმდინარე მდგომარეობაში; (ბ) ჯგუფის მენეჯმენტმა დაამტკიცა და დაიწყო მყიდველის პოვნის აქტიური პროგრამა (გ) აქტივების გასაყიდად შეთავაზება აქტიურად მიმდინარეობს გონივრულ ფასად; (დ) გაყიდვა მოსალოდნელია ერთ წლის განმავლობაში: და ე) ნაკლებად მოსალოდნელია, რომ გაყიდვების გეგმაში შეტანილი იქნება მნიშვნელოვანი ცვლილებები ან, რომ გეგმა უკან იქნება გამოთხოვილი. გრძელვადიანი აქტივები და გასხვისების ჯგუფები, რომლებიც მიმდინარე პერიოდის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული, ხელახალ კლასიფიკაციას ან ფინანსური მდგომარეობის შედარებით ანგარიშში ხელახალ ასახვას არ ექვემდებარება რათა აისახოს მიმდინარე პერიოდის ბოლოს კლასიფიკაცია.

სარეალიზაციოდ განკუთვნილი გასხვისების ჯგუფები მთლიანობაში ანგარიშდება მათი უმცირესი საბალანსო ღირებულებით და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯებით.

ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ. სხვა ბანკების მიმართ ვალდებულებები იწერება, როცა ფული ან სხვა აქტივები გაიცემა ჯგუფზე კონტრაგენტი ბანკების მხრიდან. არაწარმოებული ვალდებულება აღირიცხება AC-ით. თუ ჯგუფი შეისყიდის მის საკუთარ ვალს, ვალდებულება მოიხსნება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებიდან და ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ თანხას შორის სხვაობა შეიტანება ვალის ადრეული გაუქმებით გამოწვეულ მოგებაში ან ზარალში.

კლიენტთა ანგარიშები. კლიენტთა ანგარიშები არის ფიზიკური პირების, სახელმწიფო ან კორპორაციული კლიენტების არაწარმოებული ვალდებულებები და აღირიცხება AC-ით.

სხვა ნასესხები სახსრები. სხვა ნასესხები სახსრები მოიცავს საერთაშორისო და ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებიდან მოზიდულ საკრედიტო რესურსებს, რომლებიც აღირიცხება AC-ით.

სუბორდინირებული ვალი. სუბორდინირებული ვალის გადახდა შეიძლება ლიკვიდაციის დროს, როცა სხვა უფრო მაღალი პრიორიტეტის კრედიტორების მიმართ არსებული ვალდებულებები შესრულებულია. სუბორდინირებული ვალი აღირიცხება AC-ით.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, სავალუტო ხელშეკრულებების, სავალუტო და საპროცენტო განაკვეთების სვოპების ჩათვლით, სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება.

ჯგუფი ახდენს კონტრაგენტ ბანკებთან არსებული სესხების ოფსეტირებას ვალუტების უერთიერთგაცვლის მიზნით. იურიდიული თვალსაზრისით განცალკევებული ასეთი სესხები აგრეგირდება და აღირიცხება, როგორც ერთი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი (სავალუტო სვოპი), სადაც 1) სესხები გაიცემა ერთდროულად, 2) ჰყავთ ერთი და იგივე კონტრაგენტი, 3) არის ერთი და იგივე რისკის ქვეშ და 4) არ არსებობს ასეთი ტრანზაქციების ცალკე სტრუქტურირების ბიზნეს-საფუძველი, რაც ასევე მიიღწეოდა ერთი ტრანზაქციით.

ყველა წარმოებული ინსტრუმენტი აღრიცხულია აქტივების სახით, როცა სამართლიანი ღირებულება

დადებითი რიცხვია, და ვალდებულების სახით, როცა სამართლიანი ღირებულება უარყოფითი რიცხვია. წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილებები შეიტანება წლის მოგება-ზარალში (მოგებას გამოკლებული დანაკარგები წარმოებულებზე). ჯგუფი არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში გათვალისწინებულია იმ კანონმდებლობის თანახმად, რომელიც ძალაშია, ან ძირითადად ძალაშია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აღიარდება წლის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის უკავშირდება ტრანზაქციებს, რომლებიც ასევე აღიარებულია იმავე ან სხვა პერიოდში სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომელიც გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის, ან ამოსაღებია მათგან, მიმდინარე და წინა პერიოდების დაბეგვრად მოგებასთან ან დანაკარგებთან დაკავშირებით.

დაბეგვრადი მოგება ან ზარალი ეყრდნობა წინასწარ შეფასებებს, თუ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ავტორიზებულია შესაბამის საგადასახადო ორგანოებში გაგზავნამდე. გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ჩაიწერება ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯების კატეგორიაში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღირიცხება საგადასახადო ზარალის გადასატანებისთვის საბალანსო უწყისის ვალდებულების მეთოდის გამოყენებით და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი განსხვავებების გამოყენებით. თავდაპირველი აღიარების გათავისუფლების მიხედვით, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების დროებითი განსხვავებებისთვის ისეთ ტრანზაქციებში, რომელიც არ არის ბიზნესის კომბინაცია, თუ ტრანზაქცია, როცა თავდაპირველად აღირიცხება, არ ახდენს გავლენას არც აღრიცხვაზე და არც დასაბეგრ მოგებაზე.

გადავადებული გადასახადის ნაშთები ითვლება იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც ძალაშია ან ძირითადად ძალაშია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, და რომლებიც მოსალოდნელია, რომ ძალაში იქნება იმ პერიოდში, როცა დროებითი განსხვავებები ამობრუნდება ან საგადასახადო ზარალის გადასატანების ათვისება მოხდება. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები განეტოვდება მხოლოდ ჯგუფის ცალკეული კომპანიების შიგნით.

იჯარის გადახდებისთვის გადასახადები გამოქვითვა ნაწილდება გამოყენების უფლების მქონე აქტივის ცვეთასა და საიჯარო ვალდებულების პროცენტის ხარჯს შორის. შედეგად, ახალი იჯარის თავდაპირველი აღიარებისას, სადაც ჯგუფი მოიჯარეა, დროებითი განსხვავებები არ წარმოიშობა.

გადავადებული საგადასახადო აქტივები გაქვითვადი დროებითი განსხვავებების და საგადასახადო ზარალის გადასატანებისთვის აღირიცხება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არის ალბათობა, რომ იქნება მომავალი დაბეგვრადი მოგება, რომლიდანაც მოხდება გაქვითვა.

გადავადებული მოგების გადასახადი არ აღიარდება შესყიდვისშემდგომ გაუნაწილებელ მოგებაზე და სხვა შესყიდვისშემდგომ ცვლილებებზე შვილობილი კომპანიების რეზერვებში, როცა ჯგუფი აკონტროლებს შვილობილი კომპანიის დივიდენდების პოლიტიკას და როცა არის ალბათობა, რომ პროგნოზირებად მომავალში განსხვავება არ ამობრუნდება დივიდენდების სახით ან სხვაგვარად.

ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები. ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები განუსაზღვრელი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. ისინი დაირიცხება, როცა ჯგუფს აქვს წარსულის მოვლენებით გამოწვეული მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული

ვალდებულება, როცა არის ალბათობა, რომ ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო გახდება ეკონომიკური სარგებლის სახით არსებული რესურსების გადინება და როცა შეიძლება ვალდებულების სანდო ოდენობის განსაზღვრა.

სააქციო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. უშუალოდ ახალი აქციების ან ოფციონების გამოშვებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები ნაჩვენებია კაპიტალში, როგორც გამოქვითვა მიღებული ანაზღაურებიდან, დაბეგვრის გარეშე. გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულების ზემოთ მიღებული სამართლიანი ღირებულების თანხა იწერება კაპიტალში, როგორც საემისიო შემოსავალი.

დივიდენდები. დივიდენდები იწერება კაპიტალში იმ პერიოდში, როცა ისინი დეკლარირდება. ბანკის კანონით მოთხოვნილი სააღრიცხვო დოკუმენტები წარმოადგენს მოგების განაწილების და სხვა ასიგნებების საფუძველს.

საპროცენტო მოგების და ხარჯის აღიარება. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი იწერება ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, გარდა FVTPL-ით აღრიცხული ინსტრუმენტებისა, დარიცხვის მეთოდით და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამ მეთოდით გადავადდება მხარეთა შორის კონტრაქტის საფუძველზე გადახდილი ან მიღებული ყველა საკომისიო, (როგორც საპროცენტო მოგების და ხარჯის ნაწილი) რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, ტრანზაქციის ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე მიბმული საკომისიოები მოიცავს წარმოშობის საკომისიოებს, რომლებიც კომპანიამ მიიღო ან გადაიხადა ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შესყიდვასთან ან ფინანსური ვალდებულების ემისიასთან დაკავშირებით, მაგალითად ასეთია გადახდისუნარიანობის შეფასების საკომისიო, გარანტიების ან უზრუნველყოფის შეფასების და ჩაწერის საკომისიო, ინსტრუმენტის პირობებზე მოლაპარაკების და ტრანზაქციის დოკუმენტების დამუშავების საკომისიო. ჯგუფის მიერ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით გაცემული სესხებისთვის მიღებული სახელშეკრულებო ვალდებულების საკომისიოები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ნაწილია, თუ არსებობს იმის ალბათობა, რომ ჯგუფი კონკრეტულ სასესხო ხელშეკრულებას გააფორმებს და არ მოელის ამ სესხის გაყიდვას მისი წარმოშობიდან მოკლე პერიოდში. ჯგუფი სასესხო ვალდებულებების FVTPL-ით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებების დანიშნულებას არ ანიჭებს.

იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც წარმოშობილი ან შესყიდული საკრედიტო რისკითაა გაუფასურებული, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც ადისკონტებს მოსალოდნელ ფულადი ნაკადების მოძრაობას (მათ შორის თავდაპირველად მოსალოდნელ საკრედიტო რისკების დანაკარგებს) სამართლიან ღირებულებაზე თავდაპირველი აღიარებისას (როგორც წესი, წარმოდგენილია შესასყიდი ფასით). შედეგად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირებულია საკრედიტო რისკის მიხედვით.

საპროცენტო შემოსავალი იანგარიშება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გავრცელებით ფინანსური აქტივების ბრუტო საბალანსო ღირებულებაზე 1) იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურდა (მე-3 ეტაპის), რომლებზეც საპროცენტო შემოსავალი იანგარიშება AC-ზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გავრცელებით, ECL რეზერვის გამოკლებით, და 2) იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შესყიდული ან წარმოშობილი საკრედიტო რისკითაა გაუფასურებული, რისთვისაც საწყისი საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ვრცელდება AC-ით.

საკომისიო შემოსავალი. საკომისიო შემოსავალი აღიარდება დროის განმავლობაში წრფივი მეთოდით მომსახურების გაწევის პარალელურად, როცა კლიენტი ერთდროულად მიიღებს და მოიხმარს ჯგუფის მუშაობის შედეგად მიღებულ სარგებელს. ამგვარი შემოსავალი მოიცავს ანგარიშის წარმოების პერიოდულ საკომისიოებს, ანგარიშის მომსახურების საკომისიოებს და ა.შ. ცვლადი საკომისიოები აღიარდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მენეჯმენტი გადაწყვეტს, რომ არსებობს დიდი ალბათობა,

რომ მნიშვნელოვანი ამობრუნება არ მოხდება.

სხვა საკომისო შემოსავალი აღიარდება ისეთ დროს, როცა ჯგუფი დააკმაყოფილებს ეფექტიანობის ვალდებულებას, როგორც წესი, მიმდინარე ტრანზაქციის შესრულების შემდეგ. მიღებული ან მისაღები საკომისიოს თანხა წარმოადგენს იმ მომსახურების ტრანზაქციის ფასს, რომელიც აშკარად ეფექტიანობის მოვალეობის შესრულებას წარმოადგენს. ამგვარი შემოსავალი მოიცავს კლიენტის სახელით უცხოური ვალუტის ყიდვის ან გაყიდვის ორგანიზების საკომისიოს, საგადახდო ტრანზაქციების დამუშავების საკომისიოს, ნაღდი ფულით ანგარიშსწორების საკომისიოს, ინკასაციის ან ნაღდი ფულის განაწილების საკომისიოს, ასევე მესამე მხარესთან მოლაპარაკებით ან ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობით გამოწვეულ საკომისიოს, მაგალითად სესხების, აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების შესყიდვის შესახებ, ან ბიზნესის ყიდვის ან გაყიდვის შესახებ. სესხების სინდიცირების საკომისიოები აღიარდება შემოსავლად, როცა სინდიკაცია დასრულდება და ჯგუფი თავისთვის არ იტოვებს სესხის არცერთ ნაწილს, ან იტოვებს ნაწილს იმავე ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რაც სხვა წევრებისთვისაა განსაზღვრული.

წმინდა სადაზღვევო შემოსავლები. წმინდა გამოშვებული სადაზღვევო პრემიები აღიარდება პოლისის გაცემისას და და მიიღება პროპორციულად შესაბამისი პოლისის ვადის პერიოდში. გამოშვებული პრემიები ასახავს პერიოდის განმავლობაში დაწყებულ საქმეს და გამორიცხავს გაყიდვებიდან წარმოშობილ გადასახადებს ან მოსაკრებლებს.

გამოუშვებელი პრემიების რეზერვები. მოზიდული პრემიების ის პროპორცია, რომელიც მომდევნო პერიოდებს მიეწერება, გადავადდება, როგორც გამოუშვებელი პრემია. გამოუშვებელი პრემიის რეზერვის ცვლილება მოგება-ზარალში გადაიტანება იმ თანმიმდევრობით, რომლითაც შემოსავალი აღიარდება რისკის პერიოდში, ან ანუიტეტებისთვის მოსალოდნელი სარგებლის გადახდის მიხედვით.

IBNR. სადაზღვევო აქტივებსა და ვალდებულებებზე გამოყენებული დაშვებების მიზანია ისეთი რეზერვების შექმნა, რომლებიც საკმარისი იქნება სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებების დასაფარად იმდენად, რამდენადაც ამის გონივრულად განჭვრეტა შეიძლება. რეზერვი კეთდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შედგენის დღეს, იმ დღისთვის შეტყობინებულ ყველა შემთხვევასთან დაკავშირებული ყველა ზარალის ანაზღაურების მოსალოდნელი საბოლოო ხარჯისთვის, სულერთია ანგარიშში ასახულია თუ არა, გამოკლებული უკვე გადახდილი თანხები. ჯგუფი წინასწარ აფასებს სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ზარალების საბოლოო ვალდებულებას, რომლებიც დადგა, მაგრამ საანგარიშგებო დღეს ჯერ არ იყო ანგარიშში ასახული. IBNR-ის საბოლოო ხარჯი ანგარიშდება სიცოცხლის დაზღვევის აქტუარული მეთოდით. ამ მეთოდის ამოსავალი პირველადი დაშვება არის საქართველოში არსებული მოკვდავობის მაჩვენებლები, ზარალების ანგარიშში ასახვის მაქსიმალური დაყოვნების პერიოდი და ზარალის აღიარების ყოველთვიური ალბათობა.

წმინდა სადაზღვევო ზარალები. დამდგარი სადაზღვევი ზარალები მოიცავს პერიოდში მომხდარ ზარალით გამოწვეულ დანაკარგებს, სულერთია, განცხადებულია თუ არა, მათ შორის, მათი მოგვარების ხარჯებს და სხვა ამოღებას და წინა პერიოდების აუნაზღაურებელი ზარალების კორექტირებას. ზარალების მოგვარების ხარჯებში შედის შიდა და გარე ხარჯები, რომლებიც გაიწევა ზარალებზე მოლაპარაკებების და მათ ანაზღაურებასთან დაკავშირებით, როგორიცაა ოჯახის ექიმების ხელფასები. შიდა ხარჯებში შედის ზარალების დეპარტამენტის ყველა პირდაპირი ხარჯი და ზარალების ფუნქციასთან უშუალოდ დაკავშირებული ზოგადადმინისტრაციული ხარჯების ნაწილი.

უცხოური ვალუტის გაყიდვა და ყიდვა და ვალუტის კონვერტაცია. ჯგუფი ყიდის და ყიდულობს ვალუტებს სალაროს და საბანკო ანგარიშების საშუალებით, ასევე ვალუტის კონვერტაციის საშუალებით. ტრანზაქციები სრულდება ჯგუფის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსებით, რომლებიც განსხვავდება კონკრეტული დღის ოფიციალური სპოტ კურსებისგან. ოფიციალურ განაკვეთებსა და ჯგუფის განაკვეთებს შორის განსხვავებები აღიარებულია, როგორც შემოსავლებს გამოკლებული უცხოური ვალუტის ვაჭრობით გამოწვეული დანაკარგები დროის იმ მონაკვეთში, როცა კონკრეტული ეფექტიანობის ვალდებულება კმაყოფილდება.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. ჯგუფის თითოეული კონსოლიდირებული ბიზნესერთეულის ფუნქციური ვალუტა არის იმ უშუალო ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც ეს ბიზნესერთეული მოღვაწეობს. ბანკის და მისი შვილობილი კომპანიების ფუნქციური ვალუტა, ასევე ჯგუფის საპრეზენტაციო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი. ("GEL").

ფულადი აქტივები და ვალდებულებები თითოეული ბიზნესერთეულის ფუნქციურ ვალუტაში გადაანგარიშდება სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსით შესაბამისი საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ტრანზაქციებზე ანგარიშსწორებით და ფულადი აქტივების და ვალდებულებების თითოეული ბიზნესერთეულის ფუნქციურ ვალუტაში სებ-ის წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით გადაანგარიშებით გამოწვეული სავალუტო მოგება და დანაკარგები აღიარდება წლის მოგება-ზარალში (როგორც უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების მოგებას გამოკლებული დანაკარგები).

წლის ბოლოს არსებული კურსებით გადაანგარიშება არ ეხება არაფულად მუხლებს, რომლებიც ანგარიშდება ისტორიული ღირებულებით.

არაფულადი მუხლები, რომლებიც უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით ითვლება, მათ შორის წილობრივი ინვესტიციები, გადაანგარიშდება იმ გაცვლითი კურსის გამოყენებით, რომელიც ძალაშია სამართლიანი ღირებულების დადგენის დღეს.

გაცვლითი კურსის ცვლილებების ეფექტები არაფულად მუხლებზე, რომელიც უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით ითვლება, იწერება, როგორც მათი სამართლიანი ღირებულების მოგება ან ზარალი.

ჯგუფის ბიზნესერთეულებს შორის სესხები და მასთან დაკავშირებული საკურსო მოგება ან დანაკარგები გამოირიცხება კონსოლიდაციის დროს.

2020 წლის 31 დეკემბერს უცხოური ვალუტის ნაშთების გადაანგარიშებისას გამოყენებული მთავარი გაცვლითი კურსი იყო USD 1 = GEL 3.2766 (2019: USD 1 = GEL 2.8677), EUR 1 = GEL 4.0233 (2019: USD 1 = GEL 3.2095).

ოფსეტირება. ფინანსური აქტივების და ვალდებულების ოფსეტირება და წმინდა თანხის განცხადება ხდება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ოფსეტირების კანონის ძალის მქონე უფლება და არის ან წმინდად ანაზღაურების, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების ანაზღაურების განზრახვა. ასეთი ოფსეტირების უფლება ა) არ უნდა იყოს პირობითი მომავლის მოვლენაზე და ბ) უნდა იყოს კანონის ძალის მქონე ყველა ჩამოთვლილ გარემოებაში: 1) ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას, 2) დეფოლტის შემთხვევაში და 3) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

თანამშრომელთა ხარჯები და დაკავშირებული დაგროვებითი სქემები. ხელფასები, ანაზღაურებული წლიური შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი ბენეფიტები დაირიცხება იმ წელს, როცა შესაბამისი მომსახურება გაიწევა ჯგუფის თანამშრომლების მიერ. ჯგუფს არ აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გააკეთოს საპენსიო ან მსგავსი ბენეფიტური გადახდები, გარდა კანონით დადგენილი დაგროვებითი სქემისა.

წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდა. წილობრივი ინსტრუმენტებით შედგენილი საკომპენსაციო გეგმის თანახმად, ჯგუფი იღებს მომსახურებებს მენეჯმენტისგან, როგორც ჯგუფის წილობრივი ინსტრუმენტების ანაზღაურებას. წილობრივი ინსტრუმენტების გაცემის სანაცვლოდ მიღებული თანამშრომელთა მომსახურებების სამართლიანი ღირებულება აღიარდება ხარჯად. ხარჯად გასაწერი მთლიანი თანხა განისაზღვრება გრანტად გაცემული წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების მიხედვით, რომელიც გამორიცხავს არასაბაზრო სერვისის და ეფექტიანობის მინიჭების (უფლების გადაცემის) პირობების გავლენას. არასაბაზრო მინიჭების პირობები შეტანილია მისანიჭებელი წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის შესახებ ვარაუდებში. ხარჯად გაწერილი მთლიანი თანხა აღიარდება მინიჭების პერიოდში; ეს ის პერიოდია, როცა აქციებზე უფლების გადაცემის ყველა კონკრეტული პირობა უნდა დაკმაყოფილდეს. საბალანსო უწყისის თითოეულ

თარიღზე ჯგუფი გადასინჯავს თავის წინასწარ შეფასებებს არასაბაზრო პირობებით მისანიჭებელი წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის შესახებ. ის აღიარებს თავდაპირველი პროგნოზების გადასინჯვის ზეგავლენას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მოგებაზე ან ზარალზე, რასაც კაპიტალში შესაბამისი კორექტირება მოჰყვება. კაპიტალის ზრდა დარიცხულ აქციებზე, წილობრივი ანგარიშსწორების სქემებიდან გამომდინარე, აღირიცხება აქციებით ანგარიშსწორების რეზერვის კატეგორიაში. აქციებზე უფლების გადაცემის პირობების დაკმაყოფილებისას, აქციებით ანგარიშსწორების რეზერვი, რომელიც გადაცემულ აქციებს მიეწერება, გადაიტანება სააქციო კაპიტალში და საემისიო შემოსავალში.

ფინანსური აქტივების მოდიფიკაცია. როცა ფინანსური აქტივები განიცდის მოდიფიკაციას ხელშეკრულების მიხედვით (მაგ. მათზე ხელახალი მოლაპარაკების შედეგად), ჯგუფი აფასებს, ეს მოდიფიკაცია არსებითია თუ არა და დასრულდება თუ არა თავდაპირველი აქტივის აღიარების შეწყვეტით და ახალი აქტივის სამართლიანი ღირებულებით აღიარებით. ეს შეფასება ძირითადად ემყარება ხარისხობრივ ფაქტორებს, რაც შესაბამის სააღრიცხვო პოლიტიკაშია აღწერილი და მოსაზრებების ჩამოყალიბებას მოითხოვს. კერძოდ, ჯგუფი მოსაზრებებს აყალიბებს იმის გადაწყვეტისას, უნდა შეწყდეს თუ არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული ხელახლა მოლაპარაკებული სესხების აღიარება და უნდა მოხდეს თუ არა ახალი აღიარებული სესხების მიჩნევა საკრედიტო რისკით გაუფასურებულად მათი თავდაპირველი აღიარებისას. აღიარების შეწყვეტის მსჯელობა დამოუკიდებელია იმაზე, იცვლება თუ არა რისკები და სარგებელი, ანუ მოსალოდნელი (და არა სახელშეკრულებო) ფულადი ნაკადების მოძრაობის ცვალებადობა, ამგვარი მოდიფიკაციების შედეგად. მენეჯმენტმა გადაწყვიტა, რომ რისკები და სარგებელი არ იცვლება ამგვარი სესხების მოდიფიცირების შედეგად და შესაბამისად, ძირითადად ყველა ამგვარი მოდიფიკაციისას, არც სესხების აღიარება წყდებოდა და არც მათი ამოღება ხდებოდა სარედიტო რისკით გაუფასურებულის ეტაპიდან.

როცა ხარისხობრივი ანალიზის შედეგად ბანკმა არ გამოავლინა კრიტერიუმები, რომლებიც აღიარების შეწყვეტით სრულდება, საჭიროა დამატებითი რაოდენობრივი ტესტის ჩატარება. ამ დროს მოდიფიკაცია ზოგადად არსებითად ითვლება, თუ მოდიფიცირებული პირობებით ფულადი ნაკადების წმინდა მიმდინარე ღირებულება, მიღებული ან გადახდილი მოსაკრებლების ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება მოდიფიცირებამდელი ფინანსური აქტივის დარჩენილი ფულადი ნაკადების წმინდა მიმდინარე ღირებულებისგან, და ამათგან ორივე დისკონტირდება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით მოდიფიკაციამდე.

როცა ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები ხელახალ მოლაპარაკებას ექვემდებარება ან სხვაგვარად მოდიფიცირდება და ეს ხელახალი მოლაპარაკება ან მოდიფიცირება არ სრულდება ამ ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტით, ჯგუფი ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის ბრუტო საბალანსო ღირებულებას და მოგება-ზარალში აღიარებს მოდიფიცირების მოგებას ან ზარალს. ინანსური აქტივის ბრუტო საბალანსო ღირებულება ხელახლა ანგარიშდება, როგორც ხელახლა მოლაპარაკებული ან მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების წმინდა მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ყველა გაწეული ხარჯი და საკომისიო აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი ვადის განმავლობაში.

ჩამოწერის პოლიტიკა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება იმ შემთხვევაში, როცა ჯგუფი ამოწურავს ამოღების ყველა პრაქტიკულ ძალისხმევას და დაასკვნის, რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს. მოსაზრებების ჩამოყალიბება ესაჭიროება იმ ფულადი ნაკადების მოძრაობის დადგენას, რისთვისაც ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს. იმის დასადგენად, რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს, მენეჯმენტმა შემდეგი მაჩვენებლები გაითვალისწინა: სესხების 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება, ლიკვიდაციის ან გაკოტრების პროცედურების არსებობა, ჩატარებული ამოღების ღონისძიებების არსებობა, რის შედეგადაც უზრუნველყოფა აღარ არსებობს.

წარმოებულების და გარკვეული სხვა ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება. იმ ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც იმ ვარაუდებზე დაყრდნობით შეფასდა, რომლებიც არ ემყარება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, იხილეთ განმარტება 42-ში.

ფინანსური ლიზინგი და ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. ფინანსური აქტივების გადატანების და არაფინანსური აქტივების მესამე მხარეზე იჯარით გაცემის კლასიფიკაციის შეფასებისას, მენეჯმენტი მსჯელობს, რათა დაადგინოს, ხდება თუ არა მხარეებზე ფინანსური აქტივების და იჯარით გაცემული აქტივების ფლობის მნიშვნელოვანი რისკების და სარგებლის გადაცემა, კერძოდ, რომელი რისკი და სარგებელია ყველაზე მნიშვნელოვანი და რას წარმოადგენს არსებითად ყველა რისკი და სარგებელი.

დაკავშირებულ მხარეთა შორის ოპერაციების თავდაპირველი აღიარება. ჯგუფი თავისი ჩვეულებრივი საქმიანობის დროს აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. IFRS 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. მსჯელობით დგინდება ამ ტრანზაქციების ფასი საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებითაა მინიჭებული, როცა ამგვარი ტრანზაქციებისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

განსჯის საფუძველი დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი ტიპის ტრანზაქციებზე ფასის დადგენა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზია. განმარტება 44 განიხილავს დაკავშირებულ მხარეთა ნაშთების პირობებს.

აქციონერისგან მიღებული სუბორდინირებული სესხების აღრიცხვა. აქციონერმა (“Xinjiang Hualing Industry & Trade (Group) Co Ltd’) ჯგუფს 4900 ათასი აშშ დოლარის სუბორდინირებული სესხები გამოუყო, 7% წლიური ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს წელიწადში ერთხელ ვადის დადგომამდე, - 2026 წლამდე.

სესხი თავდაპირველად აღიარდა და შემდგომში აისახა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ამორტიზებული სახელშეკრულებო ღირებულებით. დაკავშირებული მხარეების ნაშთების პირობები გამჟღავნებულია განმარტება 44-ში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების პრეზენტაცია ლიკვიდობის მიხედვით. ჯგუფს არ გააჩნია მკაფიოდ გამოვლენილი ოპერაციული ციკლი და შესაბამისად მიმდინარე და გრძელვადიან აქტივებს და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალკე არ წარადგენს. ნაცვლად ამისა, აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ლიკვიდობის რიგითობით. ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზი ვადიანობის მიხედვით იხ. განმარტება 0-ში. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია იმ თანხებზე, რომელთა ამოღებაც ან ანგარიშსწორებაც მოსალოდნელია საანგარიშო პერიოდის გასვლიდან თორმეტ თვემდე და მის შემდეგ, იმ მუხლებზე, რომელიც არ არის გაანალიზებული განმარტება 0-ში.

	31 დეკ 2020			31 დეკ 2019		
	ამოსაღები ან საანგარიშსწ. თანხები			ამოსაღები ან საანგარიშსწ. თანხები		
ათასი ლარი	12 თვის განმავლ. საანგ. პერიოდ. შემდ.	საანგ. პერიოდ. გასვლ. 12 თვის შემდ.	12 თვის განმავლ. საანგ. პერიოდ. შემდ.	საანგ. პერიოდ. გასვლ. 12 თვის შემდ.	12 თვის განმავლ. საანგ. პერიოდ. შემდ.	საანგ. პერიოდ. გასვლ. 12 თვის შემდ.
აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალ.	405,089	-	405,089	248,700	-	248,700
სავალდ. რეზ. სებ-ში	198,238	-	198,238	177,989	-	177,989
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	13,424	-	13,424	7,186	-	7,186
ინვესტიციები სავალო ფას ქაღ	127,361	158,272	285,633	85,901	116,668	202,569
ინვესტიციები წილობრივ ფას ქაღ	-	63	63	-	63	63
კლიენტებზე გაც სესხ და ავანსები	361,037	714,216	1,075,253	331,298	653,696	984,994
ფინანსური ლიზინგი კლიენტებზე	125	4,983	5,108	149	2,977	3,126
დაზღვევიდან მისაღები შემოსავლ	5,846	-	5,846	8,798	-	8,798
საინვესტიციო ქონება	-	583	583	-	959	959
მოგების გადასახადის მიმდ ავანსი	2,253	-	2,253	1,472	-	1,472
სხვა ფინანსური აქტივები	1,172	162	1,334	1,061	143	1,204
სხვა აქტივები	5,201	33,468	38,669	1,332	29,283	30,615
შენობა ნაგებობები და მოწყობილობა	-	27,510	27,510	-	27,016	27,016
არამატერიალური აქტივები	-	3,909	3,909	-	2,199	2,199
გამოყ უფლ მქონე აქტივები	-	4,153	4,153	-	3,536	3,536
სარეალიზაციო გრძელვად აქტივები	1,673	-	1,673	486	-	486
მთლიანი აქტივები	**1,121,419**	**947,319**	**2,068,738**	**864,372**	**836,540**	**1,700,912**
ვალდებულებები						
ვალდ სხვა ბანკ მიმართ	304,163	-	304,163	183,984	-	183,984
კლიენტთა ანგარიშები	848,563	90,152	938,715	717,211	51,659	768,870
სხვა ნასესხები სახსრები	281,493	195,519	477,012	235,880	193,046	428,926
სალიზინგო ვალდებულებები	949	3,863	4,812	3,737	-	3,737
სადაზღვევო ვალდებულებები	6,119	-	6,119	8,828	-	8,828
სხვა ფინანსური ვალდებულებები	6,092	210	6,302	2,557	-	2,557
მოგების გადასახ მიმდ ვალდებულ	-	3,075	3,075	-	1,855	1,855
გადავად მოგ გადასახ ვალდებ	586	-	586	1,010	-	1,010
ვალდებულ და ხარჯ რეზერვები	2,696	-	2,696	3,097	-	3,097
სხვა ვალდებულებები	-	16,368	16,368	-	14,410	14,410
მთლიანი ვალდებულებები	**1,450,661**	**309,187**	**1,759,848**	**1,156,304**	**260,970**	**1,417,274**

4 კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს

ჯგუფი აკეთებს პროგნოზებს და ვარაუდებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშებში აღიარებულ თანხებზე და მომდევნო ფინანსური წლის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. წინასწარი შეფასებები და მოსაზრებები მუდმივ განხილვას გადის და ითვალისწინებს მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის იმ მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც იმ გარემოებებში გონივრულად მიიჩნევა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში, მენეჯმენტი ასევე აყალიბებს მოსაზრებებს, გარდა საპროგნოზო შეფასებებისა. ქვემოთ იხილავთ იმ მოსაზრებებს, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კონსოლიდირებულ და ცალკეულ ფინანსურ ანგარიშებში აღიარებულ თანხებზე, ასევე იმ პროგნოზებს, რომელთაც მომავალ ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირების გამოწვევა შეუძლია:

ECL შეფასება. ECL-ების შეფასება მნიშვნელოვანი პროგნოზია, რომელიც მოიცავს მეთოდოლოგიის დადგენას, მოდელების და მონაცემების გამოყენებას. ECL მეთოდოლოგია დეტალურად მოცემულია განმარტება 0-ში. საკრედიტო ზარალის რეზერვზე დიდი ზეგავლენა შემდეგ კომპონენტებს აქვს: დეფოლტის განსაზღვრება, SICR, დეფოლტის ალბათობა, (PD) რისკი დეფოლტის შემთხვევაში (EAD) და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD), ასევე მაკროეკონომიკური სცენარის მოდელებს. ჯგუფი რეგულარულად გადასინჯავს და ამტკიცებს მოდელებს და მათში გამოყენებულ კომპონენტებს, რათა შეამციროს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროგნოზებსა და საკრედიტო ზარალის ფაქტობრივ გამოცდილებას შორის განსხვავება.

ECL-ის გაზომვისთვის ჯგუფმა დამხმარე საპროგნოზო ინფორმაცია გამოიყენა, კერძოდ, მაკროეკონომიკის პროგნოზირების მოდელი, რომელსაც საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ) აქვეყნებს. ამ სცენარის მოდელებია: საბაზისო სცენარი, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები. სებ-ის რეკომენდაციით, ჯგუფი 50% წონას ანიჭებს საბაზისო სცენარს, და 25-25%-ს ოპტიმისტურს და პესიმისტურს. ECL-ის დონესთან და მათთვის მინიჭებულ წონებთან კორელაციაში მყოფი ყველაზე მნიშვნელოვანი საპროგნოზო ინფორმაცია 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგია:

		მინიჭებული	ვარაუდი წლისთვის:		
ცვლადი	სცენარი	წონა	2021	2022	2023
სამომხმარებლო ფასების ინდექსის ინფლაცია %	საბაზისო	50%	3.00%	3.00%	3.00%
	ოპტიმისტური	25%	4.00%	3.00%	3.00%
	პესიმისტური	25%	6.00%	2.50%	2.50%
რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი %	საბაზისო	50%	5.00%	4.50%	4.50%
	ოპტიმისტური	25%	6.00%	5.00%	5.00%
	პესიმისტური	25%	1.00%	4.00%	4.00%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის განაკვეთი NEER (1995=100)	საბაზისო	50%	252.00	252.00	252.00
	ოპტიმისტური	25%	259.60	267.30	267.30
	პესიმისტური	25%	222.40	229.10	229.10
უძრავი ქონების ფასების ინდექსი ლარში (YoY)	საბაზისო	50%	100.00	103.00	103.00
	ოპტიმისტური	25%	103.00	103.00	103.00
	პესიმისტური	25%	100.00	105.00	105.00
GEL/USD ნომინალური გაცვლითი კურსი (YoY)	საბაზისო	50%	100.00	100.00	100.00
	ოპტიმისტური	25%	95.00	95.00	95.00
	პესიმისტური	25%	110.00	95.00	95.00
უმუშევრობა (%)	საბაზისო	50%	16.60%	16.30%	16.00%

ცვლადი	სცენარი	მინიჭებული წონა	ვარაუდი წლისთვის: 2021	2022	2023
	ოპტიმისტური	25%	16.10%	15.40%	15.10%
	პესიმისტური	25%	17.60%	18.60%	18.60%
ქვეყნის სუვერენული რისკის პრემია %	საბაზისო	50%	2.75%	2.75%	2.75%
	ოპტიმისტური	25%	2.70%	2.70%	2.70%
	პესიმისტური	25%	2.90%	2.90%	2.85%

2019 წლის 31 დეკემბერს პროგნოზები და მინიჭებული წონები იყო შემდეგი:

ცვლადი	სცენარი	მინიჭებული წონა	ვარაუდი წლისთვის 2020	2021	2022
სამომხმარებლო ფასების ინდექსის ინფლაცია %	საბაზისო	50%	4.00%	2.50%	3.00%
	ოპტიმისტური	25%	3.50%	3.00%	3.00%
	პესიმისტური	25%	5.00%	4.00%	3.00%
რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი %	საბაზისო	50%	4.50%	5.00%	5.00%
	ოპტიმისტური	25%	5.50%	5.50%	5.00%
	პესიმისტური	25%	2.50%	4.00%	4.50%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის განაკვეთი NEER (1995=100)	საბაზისო	50%	260.10	264.80	269.50
	ოპტიმისტური	25%	271.10	276.50	276.50
	პესიმისტური	25%	233.00	240.00	247.20
უძრავი ქონების ფასების ინდექსი ლარში (YoY)	საბაზისო	50%	104.00	102.50	103.00
	ოპტიმისტური	25%	103.50	103.00	103.00
	პესიმისტური	25%	97.00	103.00	103.00
GEL/USD ნომინალური გაცვლითი კურსი (YoY)	საბაზისო	50%	97.00	97.00	97.00
	ოპტიმისტური	25%	90.00	97.00	100.00
	პესიმისტური	25%	115.00	95.00	95.00
ქვეყნის სუვერენული რისკის პრემია %	საბაზისო	50%	2.50%	2.50%	2.50%
	ოპტიმისტური	25%	2.50%	2.50%	2.50%
	პესიმისტური	25%	4.00%	2.50%	2.50%

საბაზისო საპროგნოზო მაკროეკონომიკურ ვარაუდებში წონის ცვლილება 10%-ით პესიმისტურის მხარეს, ECL-ის 104 ათასი ლარით ზრდას გამოიწვევდა 2020 წლის 31 დეკემბერს (2019 წლის 31 დეკ: 138 ათასი ლარით) შესაბამისი ცვლილება პესიმისტურისკენ კი ECL-ს 61 ათასი ლარით შეამცირებდა 2019 წლის 31 დეკემბერს (2019 წლის 31 დეკემბერს: 6 ათასით)

დეფოლტის ალბათობის პროგნოზის 10% ზრდა 2020 წლის 31 დეკემბერს მთლიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის რეზერვს 80 ათასი ლარით გაზრდიდა (2019 წლის 31 დეკემბერს 311 ათასი). 2020 წლის 31 დეკემბერს დეფოლტის ალბათობის პროგნოზის 10%-იანი შემცირება მთლიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის რეზერვს 79 ათასი ლარით შეამცირებდა (2019 წლის 31 დეკემბერს: 307 ათასი ლარით)

LGD პროგნოზის 10% ზრდა 2020 წლის 31 დეკემბერს მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის 740 ათასი ლარით ზრდით დასრულდებოდა (2019 წლის 31 დეკ: 863 ათასი) LGD პროგნოზის 10% შემცირება 2020 წლის 31 დეკემბერს მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის 740 ათასი ლარით შემცირებით დასრულდებოდა (2019 წლის 31 დეკემბერი: 716 ათასი)

LGD ქვედა ზღვარს ბანკი იყენებს LGD ღირებულების წინასწარი შეფასებისთვის. LGD ქვედა ზღვარის

10%-იანი ზრდა ან კლება 2020 წლის 31 დეკემბერს მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის 137 ათასი ლარით ზრდით ან კლებით დასრულდებოდა (2019 წლის 31 დეკ: 258 ათასი ლარით ზრდა ან კლება).

შენობა-ნაგებობების შეფასება. შენობა-ნაგებობები არის განცხადებული გადაფასებული თანხები, რომლებიც ექვემდებარება გადაფასებას საკმაო სიხშირით, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება იმისგან, რაც საანგარიშო პერიოდის ბოლოს სამართლიანი ღირებულების გამოყენებით იქნებოდა მიღებული. 2018 წლის დეკემბერში შენობა-ნაგებობების გადაფასება განხორციელდა სამართლიანი ღირებულებით შემფასებელთა დამოუკიდებელი ფირმის მიერ. საანგარიშგებო დღეს ჯგუფმა განახორციელა შიდა გადაფასება და დაასკვნა, რომ შენობა-ნაგებობების საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი სამართლიანი ღირებულებისგან. მონაცემი, რომლის მიმართაც შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულების წინასწარი შეფასება ყველაზე მეტად მგრძნობიარეა, არის კვადრატული მეტრის ფასი: რაც უფრო მაღალია კვადრატული მეტრის ფასი, მით მეტია სამართლიანი ღირებულება.

დასაკუთრებული აქტივების შეფასება. ყველა დასაკუთრებული აქტივი იზომება ხარჯსა და სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი სიდიდით. ჯგუფი რეგულარულ შიდა შეფასებებს აკეთებს, რათა დარწმუნდეს, რომ საბალანსო ღირებულება არ აღემატება წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას. შეფასება ეყრდნობა საბაზრო ფასების შესახებ არსებულ ინფორმაციას დასაკუთრებული უძრავი ქონების შესახებ კვადრატული მეტრების მიხედვით.

სადაზღვევო ხელშეკრულებების ვალდებულებები. დაშვებები ეხება სადაზღვევო ხელშეკრულებების ვალდებულებებთან დაკავშირებულ გაურკვევლობას. სადაზღვევო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებით წინასწარი შეფასებები უნდა იყოს ძირითადად გამოუმუშავებელ პრემიებსა და ზარალებზე (“UPR”) და იმ ზარალების მოსალოდნელ საბოლოო ღირებულებაზე, რომლებიც დადგა, მაგრამ ანგარიშში საანგარიშგებო დღისთვის არ იყო ასახული (“IBNR”). ჯგუფი წინასწარ არადისკონტირებულად აფასებს UPR დაIBNR ტიპის ზარალების რეზერვებს. ზარალის საბოლოო ღირებულების ზუსტად დადგენას შეიძლება მნიშვნელოვანი დრო დასჭირდეს, ზოგი ტიპის პოლისისთვის კი UPR რეზერვი სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

5 ახალ ან გადამუშავებულ სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებზე გადასვლა

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფისთვის ძალაშია შემდეგი ცვლილებები და ინტერპრეტაციები:

ცვლილებაIFRS 9, IFRS 7	საპროცენტო განაკვეთის რეფორმა
ცვლილება IFRS 3	ბიზნესის განმარტება
ცვლილება IAS 1 and IAS 8	არსებითობის განმარტება
კონცეპტუალური ჩარჩო	IFRS სტანდარტებში კონცეპტუალური ჩარჩოს ცვლილება
ცვლილებები IFRS 16	Impact of the initial application of COVID-19-თან დაკავშირებული ქირის დათმობების გამოყენების გავლენა; ცვლილება IFRS 16

ზემოთ ნახსენებ სტანდარტებს და ინტერპრეტაციებს გაეცნო ჯგუფის მენეჯმენტი, მაგრამ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებზე მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია.

ჯგუფმა ადრე დანერგა ცვლილება სტანდარტში IFRS 16 რომელიც გულისხმობდა COVID-19 -თან დაკავშირებულ ქირის შეღავათებს. ეს ცვლილება ძალაშია 2020 წლის 1 ივნისით დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. IAS 8 სტანდარტის მიხედვით რეტროსპექტულად გამოიყენება, მაგრამ არ მოითხოვს წინა პერიოდების გადახედვას.

ცვლილებები IFRS 3-ში: ბიზნესის განმარტება: ჯგუფმა პირველად მიიღო **IFRS 3**-ში ცვლილებები მიმდინარე წელს. ცვლილებებით დაზუსტებულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესს, როგორც წესი, აქვს შედეგები, შედეგები არ არის აუცილებელი საიმისოდ, რომ საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირებულ კომპლექტს მაინც ბიზნესი ეწოდოს. ბიზნესად რომ განიხილებოდეს, შეძენილი საქმიანობისა და აქტივების ნაკრები უნდა შეიცავდეს მინიმუმ ამოსავალ მონაცემებს და არსებით პროცესს, რაც ერთად მნიშვნელოვნად უწყობს ხელს შედეგების შექმნის შესაძლებლობას.

ცვლილებით უქმდება იმის შეფასება, თუ რამდენად შეუძლიათ ბაზრის მონაწილეებს ახლით ჩაანაცვლონ დანაკლისი მონაცემები ან პროცესები და განაგრძონ შედეგების წარმოება. ცვლილებებით ასევე შემოდის დამატებითი სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც ეხმარება იმის დადგენაში, შეძენილია თუ არა არსებითი პროცესი.

ცვლილებებით შემოდის არასავალდებულო კონცენტრაციის ტესტი, რომელიც იძლევა იმის გამარტივებულად შეფასების საშუალებას, არის თუ არა შეძენილი საქმიანობისა და აქტივების კომპლექტი ბიზნესი. არასავალდებულო კონცენტრაციის ტესტის მიხედვით, შეძენილი საქმიანობა და აქტივები არ წარმოადგენს ბიზნესს, თუ არსებითად, შეძენილი ბრუტო აქტივების სამართლიანი ღირებულება კონცენტრირებულია ერთ იდენტიფიცირებად აქტივში ან მსგავსი აქტივების ჯგუფში.

ცვლილებები სავარაუდოდ ვრცელდება ბიზნესის კომბინაციებსა და აქტივების შეძენაზე, რომელთა შეძენის თარიღიც არის 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ.

არსებითობის განმარტება - ცვლილებები სტანდარტებში ***IAS 1*** და ***IAS 8*** ***(გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს და ძალაშია ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).*** შესწორებებში განმარტებულია არსებითობა და ის, თუ როგორ უნდა იქნას ის გამოყენებული. მითითებულია, რომ აქამდე წარმოდგენილი იყო სხვა ადგილას IFRS-ში. გარდა ამისა, გაუმჯობესებულია განმარტებების თანმხლები განმარტებები. ბოლოს, შესწორებები უზრუნველყოფს, რომ არსებითობის განმარტება თანმიმდევრულია IFRS-ის ყველა სტანდარტში. ინფორმაცია არსებითია, თუ მისმა გამოტოვებამ, შეცდომაში შეყვანამ ან გაბუნდოვანებამ შეიძლება გონივრულად იქონიოს გავლენა ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების პირველადი მომხმარებლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე იმ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, სადაც მოცემულია ფინანსური ინფორმაცია კონკრეტული ანგარიშგებას დაქვემდებარებული სუბიექტის შესახებ. ჯგუფი ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ ჩარჩოში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). გადამუშავებული კონცეპტუალური ჩარჩო მოიცავს ახალ თავს გაანგარიშების შესახებ; სახელმძღვანელო მითითებები ფინანსური საქმიანობის ანგარიშგებაში ასახვის შესახებ; გაუმჯობესებული განმარტებები და მითითებები - კერძოდ, ვალდებულების განმარტება; განმარტებები მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა ლიდერობის როლი, წინდახედულობა და გაანგარიშების გაურკვევლობა ფინანსურ ანგარიშგებაში.

COVID-19-თან დაკავშირებული ქირის დათმობებზე IFRS 16-ის ცვლილების თავდაპირველი გამოყენების გავლენა: 2020 წლის მაისში, IASB- მა გამოსცა COVID-19-სთან დაკავშირებული ქირის კონცესიები (ცვლილება IFRS 16-ში), რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკულ შემსუბუქებას მოიჯარისთვის ქირის დათმობის აღრიცხვაში, რაც COVID-19 პირდაპირი შედეგია, **IFRS 16**-ის პრაქტიკული ხერხის შემოღებით. პრაქტიკული ხერხი საშუალებას აძლევს მოიჯარეს აირჩიოს, არ შეაფასოს, არის თუ არა COVID-19 დაკავშირებული ქირის დათმობა იჯარის მოდიფიკაცია. მოიჯარე, რომელიც ამ არჩევანს აკეთებს, აღრიცხავს საიჯარო გადასახადების ნებისმიერ ცვლილებას, რომელიც გამოწვეულია COVID-19-თან დაკავშირებული ქირის დათმობით, იმგვარადვე, როგორც ის აღრიცხავდა ცვლილებას **IFRS 16**-ის გამოყენებით, ეს ცვლილება იჯარის მოდიფიკაცია რომ არ ყოფილიყო.

პრაქტიკული ხერხი ვრცელდება მხოლოდ იჯარის დათმობებზე, რომლებიც ხდება COVID-19-ის პირდაპირი გავლენით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა შემდეგი პირობაა შესრულებული:

1) საიჯარო გადასახადების ცვლილებას შედეგად მოჰყვა საიჯარო გადასახადის გადახედვა, რომელიც არსებითად იგივეა, ან ნაკლები, ვიდრე საიჯარო გადასახადი, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა ცვლილებას;

2) საიჯარო გადასახადების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ გადასახადებზე, რომლებსაც თავდაპირველად ვადა უდგებოდა 2021 წლის 30 ივნისს ან ადრე (ქირის კონცესია აკმაყოფილებს ამ პირობას, თუ ეს გამოიწვევს საიჯარო გადასახადების შემცირებას 2021 წლის 30 ივნისამდე ან მანამდე და გაზრდის საიჯარო გადასახადებს, რომლებიც 2021 წლის 30 ივნისს სცილდება); და

3) არ ხდება არსებითი ცვლილება იჯარის სხვა პირობებში.

მიმდინარე ფინანსურ წელს, ჯგუფმა გამოიყენა ცვლილება IFRS 16 -ში (IASB-ის 2020 წლის მაისის რედაქციით) მისი ძალაში შესვლის თარიღამდე.

გავლენა საიჯარო გადასახადების ცვლილებების აღრიცხვაზე, გათავისუფლების გამოყენებით

ჯგუფმა ხსენებული პრაქტიკული ხერხი რეტროსპექტულად მიუსადაგა ყველა იჯარის დათმობას, რომელიც აკმაყოფილებს IFRS 16-ის 46B პირობას და წინა პერიოდის მაჩვენებლებს ხელახლა არ განუცხადებია.

2020 წელს ჯგუფმა ისარგებლა დროებითი გადახდის ყოველთვიური შემცირებით, საერთო ჯამში, 61 ათასი ლარით.

6 ახალი ბუღალტრული განცხადებები

ახალი და გადამუშავებული IFRS სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ძალაში არ შესულა: წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის დროისთვის ჯგუფს დანერგილი არ ჰქონდა შემდეგი IFRS სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა:

IFRS 17	სადაზღვევო ხელშეკრულებები
ცვლილებები IAS 1 (IFRS 2010-2012 ციკლების წლიური გაუმჯობესების ფორმულირების პროექტის ფარგლებში)	ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიან ვალდებულებებად
ცვლილებები IFRS 9, IAS 39, IFRS 7, IFRS 4 and IFRS 16	საპროცენტო განაკვეთის ორიენტირის რეფორმა - ფაზა 2
ცვლილებები IFRS 3	ბიზნესის კომბინაციები - კონცეპტუალური ჩარჩო
ცვლილებები IAS 16	ქონება და მოწყობილობა - შემოსავალი რეზერვების მიზნობრივ გამოყენებამდე, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები - ზარალიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება
ცვლილებები IAS 37	რეზერვები, პირობით ვალდებულებები და პირობითი აქტივები, ზარალიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება
ცვლილებები IFRS 10 და IAS 28	აქტივების გაყიდვა ან შეტანა ინვესტორსა და მის პარტნიორს შორის ან ერთობლივ საწარმოში
ცვლილებები IFRS 1, IFRS 9, IAS 41; და IFRS 16-ის თანმხლები საილუსტრაციო მაგალითები.	IFRS 2018-2020 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება

მენეჯმენტი არ მოელის, რომ ზემოთ მოყვანილი ახალი სტანდარტების დანერგვას არსებითი ზეგავლენა ექნება ჯგუფის მომავალი პერიოდების ფინანსურ ანგარიშებზე.

IFRS 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები. IFRS 17 ადგენს სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარების, გაანგარიშების, წარდგენის და გამჟღავნების პრინციპებს, ის IFRS 4 სტანდარტის „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ ზემდგომი სტანდარტია.

IFRS 17 წარმოადგენს ზოგად მოდელს, რომელიც მოდიფიცირდება სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის და პირდაპირი მონაწილეობის კომპონენტის მოიცავს, რომელსაც ცვლადი მოსაკრებლის მიდგომა ეწოდება. ზოგადი მოდელი გამარტივდება, თუ გარკვეული კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია პრემიის განაწილების მიდგომის გამოყენებით დარჩენილი დაფარვისთვის პასუხისმგებლობის გაზომვით. ზოგადი მოდელი იყენებს მიმდინარე დაშვებებს ფულადი სახსრების მომავალი ნაკადების ოდენობის, დროის და გაურკვევლობის შესაფასებლად და იგი ნათლად ზომავს ამ გაურკვევლობის ღირებულებას. იგი ითვალისწინებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს და პოლისების მფლობელთა ოფციებისა და გარანტიების გავლენას.

სტანდარტი მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ, ადრეული გამოყენება კი ნებადართულია. იგი გამოიყენება რეტროსპექტულად, იმ შემთხვევების გარდა, როცა ეს პრაქტიკულად შეუძლებელია; ამ შემთხვევაში გამოიყენება შეცვლილი რეტროსპექტული მიდგომა ან სამართლიანი ღირებულების მიდგომა. IFRS 17-ში შესწორებების შეტანის პროექტი ეხება იმ პრობლემებსა და იმპლემენტაციის გამოწვევებს, რომლებიც გამოვლინდა IFRS 17-ის გამოქვეყნების შემდეგ. შემოთავაზებული ერთ-ერთი მთავარი ცვლილებაა IFRS 17-ის თავდაპირველი გამოყენების თარიღის გადადება ერთი წლით, 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე (ადრე - 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ).

გარდამავალი პერიოდის მოთხოვნების მიზნით, თავდაპირველი გამოყენების თარიღი არის დასაწყისი, თუ წლიური საანგარიშო პერიოდი, რომელშიც ბიზნესერთეული პირველად იყენებს სტანდარტს, ხოლო გადასვლის თარიღი არის იმ პერიოდის დასაწყისი, რომელიც პირველი გამოყენების თარიღს უშუალოდ უძღვის წინ.

ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

IAS 1 ცვლილებები ვალდებულებების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაციის შესახებ (IFRS 2010-2012 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესების ფორმულირების პროექტის ნაწილი). ცვლილებების მიზანია უკეთ გავიგოთ, რომ ვალდებულება გრძელვადიანად კლასიფიცირდება, თუ ორგანიზაცია მოელის და უფლებამოსილია ან ხელახლა დააფინანსოს ვალდებულება ან მისი ვადიანობა სულ მცირე 12 თვით გადაავადოს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, არსებული საკრედიტო ხაზის ფარგლებში, წინა კრედიტორთან, ან თანაბარი ან მსგავსი პირობებით.

ცვლილებების მიზანი იყო ვალდებულებების წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, თანხის მიუხედავად, ასევე აღიარების მომენტის ან ინფორმაციის გამჟღავნების მიუხედავად.

ცვლილება განმარტავს, რომ კლასიფიკაცია უნდა ეფუძნებოდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უფლების არსებობას, ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვით გადავადდეს. ამიტომ, ცვლილება ცალსახად მიუთითებს, რომ ვალდებულების კლასიფიკაციაზე უნდა იმოქმედოს მხოლოდ იმ უფლებებმა, რომლებიც „საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს“ არსებობს. უფრო მეტიც, კლასიფიკაცია არაა დამოკიდებული იმ მოლოდინზე, გამოიყენებს თუ არა ორგანიზაცია ვალდებულების დაფარვის გადავადების უფლებას, რაც ნიშნავს სახსრების, წილობრივი ინსტრუმენტების ამ სხვა აქტივების და მომსახურების გადაცემას კონტრაგენტზე.

ცვლილებები რეტროსპექტულად ვრცელდება პერიოდებზე, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს და მის შემდეგ. ადრეული გამოყენება მისაღებია.

ჯგუფის მენეჯმენტი არ მოელის, რომ ამ ცვლილებების დანერგვა გავლენას იქონიებს ჯგუფის მომავალი პერიოდების ფინანსურ ანგარიშებზე.

ცვლილებები სტანდარტებში: IFRS 9, IAS 39, IFRS 7, IFRS 4 და IFRS 16 საპროცენტო განაკვეთის ორიენტირის რეფორმა— ფაზა 2. საპროცენტო განაკვეთის ნიშნულის რეფორმის ცვლილებები - ფაზა 2 (ცვლილებები IFRS 9, IAS 39, IFRS 7, IFRS 4 და IFRS 16 სტანდარტებში) ეხება საპროცენტო განაკვეთის ნიშნულის რეფორმის გავლენას ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების და საიჯარო ვალდებულებების მოდიფიკაციაზე; ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნებსა და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს, რომლებზეც ვრცელდება IFRS 7 და რომელიც თან ახლავს ცვლილებებს და ჰეჯირების აღრიცხვას.

ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების და საიჯარო ვალდებულებების მოდიფიკაცია. IASB შემოიღებს საკონტრაქტო ფულადი ნაკადების ცვლილებების პრაქტიკულ ხერხს, რაც საპროცენტო განაკვეთის ორიენტირის რეფორმის პირდაპირი შედეგი იქნება, იმ პირობით, რომ ფულადი სახსრების მოძრაობის ახალი საფუძველი ეკონომიკურად თავდაპირველი საფუძვლის ექვივალენტურია. პრაქტიკული გამონაკლისის შესაბამისად, ამ ცვლილებების აღრიცხვა ხორციელდება პროსპექტულად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლების გზით. ყველა სხვა ცვლილება აღირიცხება IFRS -ის ამჟამად არსებული მოთხოვნების გამოყენებით. მსგავსი პრაქტიკული ხერხი შემოთავაზებულია მოიჯარის მიერ აღრიცხვისთვის IFRS 16-ის გამოყენებით.

გამჟღავნება. შესწორებების თანახმად, ბიზნესერთეული ამჟღავნებს დამატებით ინფორმაციას, რათა მომხმარებლებმა შეძლონ გააცნობიერონ IBOR- ისგან წარმოშობილი რისკების ხასიათი და ის, თუ რამდენად მართავს ორგანიზაცია ამ რისკებს, აგრეთვე ორგანიზაციის პროგრესი IBOR– დან ალტერნატიულ საორიენტაციო მაჩვენებლებზე გადასვლისას და როგორ მართავს ბიზნესერთეული ამ გადასვლას.

ცვლილებები ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ ყოველწლიურ პერიოდებზე და ისინი რეტროსპექტულად უნდა იქნას გამოყენებული. ადრეული გამოყენება ნებადართულია. წინა პერიოდების ხელახლა განცხადება არ არის საჭირო, ამასთან, სუბიექტს შეუძლია წინა პერიოდების ხელახლა განცხადება, თუ და მხოლოდ მაშინ, თუ ეს შესაძლებელია უკუსვლის გამოყენების გარეშე.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ამ ცვლილებების გამოყენებამ შეიძლება გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომდევნო პერიოდებში.

გამჟღავნება. შესწორებების თანახმად, ბიზნესერთეული დამატებით ინფორმაციას ამჟღავნებს, რათა მომხმარებლებმა შეძლონ გააცნობიერონ IBOR- ისგან წარმოშობილი რისკების ხასიათი და ის, თუ რამდენად მართავს ორგანიზაცია ამ რისკებს, აგრეთვე ორგანიზაციის პროგრესს IBOR–დან ალტერნატიულ საორიენტაციო მაჩვენებლებზე გადასვლისას და როგორ მართავს კომპანია ამ გადასვლას.

ათასი ლარი	სესხების საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის ღირებულება	სესხების საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის ღირებულება
კრედიტით გაუფასურებული აქტივები:				
AC-ით აღრიცხული სესხები იურ პირებზე	2,547	1,110	36,867	145,904
AC-ით აღრიცხული სესხები ფიზ პირებზე				
იპოთეკური სესხები	79	22	9,985	22,614
სამომხმარებლო სესხები	1,146	-	2,614	15,274
საკრედიტო ბარათები	325	-	7	11

ჯგუფი უზრუნველყოფის შეფასებას სესხის გაცემის დროს იღებს. ჯგუფი ყოველწლიურად ახდენს იმ სესხების უზრუნველყოფაში ჩადებული უძრავი ქონების გადაფასებას, რომლებიც 100 უმსხვილესი მსესხებლის სიაში შედის საანგარიშო პერიოდისთვის არსებული საბალანსო ღირებულებების მიხედვით. 100 უმსხვილესი მსესხებლის ჯგუფების გარდა, სესხებზე საბალანსო ღირებულებით 100 ათასი ლარზე ზემოთ ჯგუფი მოითხოვს ფლეჯირებული უძრავი ქონების უზრუნველყოფის ხელახალ შეფასებას, თუ ამავე უზრუნველყოფით გაიცემა ახალი სესხი ან გაცემული ვალდებულების რესტრუქტურიზაციის შემთხვევაში, თუ ბოლო შეფასება 1 წელზე დიდი ხნის წინ გაკეთდა.

ECL-ის შეფასებაზე ძველი შეფასებების შესაძლო გავლენის შეფასების მიზნით, ჯგუფმა 2020 წელს გადააფასა ძველ შეფასებებს დაქვემდებარებული უზრუნველყოფის წარმომადგენლობითი ნიმუში (ერთ წელზე დიდი ხნის). წარმომადგენლობითი ნიმუშების შედეგებმა აჩვენა, რომ ძველი შეფასებების შესაძლო გავლენა ECL-ის შეფასებაზე 2020 წლისთვის უმნიშვნელო იყო, რადგან საბაზრო ფასებმა დროის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილება არ აჩვენა. სადაც არის იმის ნიშნები, რომ სესხის საბალანსო ღირებულებამ შეიძლება გადააჭარბოს უზრუნველყოფის სამართლიან ღირებულებას, მენეჯმენტი თავის გადაწყვეტილებით იღებს შესაბამისი ქონების უზრუნველყოფად გამოყენების შეფასებას. ამ გამჟღავნებაში მოცემული უზრუნველყოფის ღირებულებები უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებებია.

კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების დაუფარავი სახელშეკრულებო თანხები, რომლებიც ჩამოწერილია, მაგრამ მათზე ამოღების ღონისძიებები მაინც ვრცელდება, 2020 წლის 31 დეკემბერს და 2019 წლის 31 დეკემბერს იყო:

ათასი ლარი	**დეკ 31, 2020**	**დეკ 31, 2019**
სესხები იურიდიულ პირებზე	46	59
სესხები ფიზიკურ პირებზე		
იპოთეკური სესხები	-	92
სამომხმარებლო სესხები	949	1,055
საკრედიტო ბარათები	564	218
სულ	**1,559**	**1,424**

ჯგუფის პოლიტიკაა, დაასრულოს დაწყებული აღსრულების პროცესები იმ შემთხვევებშიც კი როცა სესხები ჩამოიწერა და ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს.

კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების თითოეული კატეგორიის სავარაუდო სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაცია იხ. განმარტება 42-ში. კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების საპროცენტო განაკვეთების ანალიზი მოცემულია განმარტება 0-ში. დაკავშირებულ მხარეთა ბალანსები მოცემულია განმარტება 44-ში.

სტანდარტული დაკრედიტების ფარგლებში გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

სესხები იურიდიულ პირებზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მთლიანი სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	წმინდა სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი შეფარდებული მთლიან სესხებთან
კოლექტიურად შეფასებული				
არავადაგადაცილებული	**697,805**	**(2,847)**	**694,958**	**0.40%**
ვადაგადაცილებული:				
30 დღემდე	2,170	(29)	2,141	1.30%
31-დან 60 დღემდე	579	(18)	561	3.10%
61-დან 90 დღემდე	713	(33)	680	4.60%
91-დან 180 დღემდე	2,888	(820)	2,068	28.40%
180 დღეზე მეტხანს	6,801	(786)	6,015	11.60%
კოლექტიურად შეფასებული სესხები სულ	**710,956**	**(4,533)**	**706,423**	**0.60%**
ინდივიდუალურად შეფასებული				
არა	139,464	(3,454)	136,010	2.50%
ვადაგადაცილებული:				
30 დღემდე	-	-	-	-
31-დან 60 დღემდე	450	(237)	213	52.70%
61-დან 90 დღემდე	-	-	-	-
91-დან 180 დღემდე	19,628	(6,308)	13,320	32.10%
180 დღეზე მეტხანს	14,840	(6,893)	7,947	46.40%
ინდივიდუალურად შეფასებული სესხები სულ	**174,382**	**(16,892)**	**157,490**	9.70%
იურიდიული პირების დაკრედიტება სულ	**885,338**	**(21,425)**	**863,913**	**2.40%**

სტანდარტული დაკრედიტების ფარგლებში გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

სესხები იურიდიულ პირებზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მთლიანი სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	წმინდა სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი შეფარდებული მთლიან სესხებთან
კოლექტიურად შეფასებული				
არავადაგადაცილებული	760,037	(2,498)	757,539	0.3%
ვადაგადაცილებული:				
30 დღემდე	3,442	(82)	3,360	2.4%
31-დან 60 დღემდე	1,331	(56)	1,275	4.2%
61-დან 90 დღემდე	242	(13)	229	5.4%
91-დან 180 დღემდე	431	(30)	401	7.0%
180 დღეზე მეტხანს	5,997	(937)	5,060	15.6%
კოლექტიურად შეფასებული სესხები სულ	**771,480**	**(3,616)**	**767,864**	**0.5%**
ინდივიდუალურად შეფასებული				
არა	5,086	(1,822)	3,264	35.8%
ვადაგადაცილებული:				
30 დღემდე	1,474	(537)	937	36.4%
31-დან 60 დღემდე	8,496	(3,094)	5,402	36.4%
61-დან 90 დღემდე	2,173	(791)	1,382	36.4%
91-დან 180 დღემდე	1,320	(481)	839	36.4%
180 დღეზე მეტხანს	6,922	(2,125)	4,799	30.7%
ინდივიდუალურად შეფასებული სესხები სულ	25,471	(8,850)	16,623	34.7%
იურიდიული პირების დაკრედიტება სულ	**796,951**	**(12,465)**	**784,486**	**1.6%**

იპოთეკური სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

იპოთეკური სესხები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მთლიანი სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	წმინდა სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი შეფარდებული მთლიან სესხებთან
კოლექტიურად შეფასებული				
არავადაგადაცილებული	145,221	(1,165)	144,056	0.8%
ვადაგადაცილებული:				
30 დღემდე	2,286	(5)	2,281	0.2%
31-დან 60 დღემდე	664	(182)	482	27.4%
61-დან 90 დღემდე	573	(147)	426	25.7%
91-დან 180 დღემდე	806	(228)	578	28.2%
180 დღეზე მეტხანს	3,968	(1,228)	2,740	30.9%
კოლექტიურად შეფასებული სესხები სულ	**153,520**	**(2,957)**	**150,565**	**1.9%**
იპოეკური სესხები სულ	**153,520**	**(2,957)**	**150,565**	**1.9%**

იპოთეკური სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

იპოთეკური სესხები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მთლიანი სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	წმინდა სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი შეფარდებული მთლიან სესხებთან
კოლექტიურად შეფასებული				
არავადაგადაცილებული	131,068	(758)	130,310	0.6%
ვადაგადაცილებული:				
30 დღემდე	2,182	(148)	2,034	6.8%
31-დან 60 დღემდე	461	(17)	444	3.7%
61-დან 90 დღემდე	398	(32)	366	8.0%
91-დან 180 დღემდე	1,244	(116)	1,128	9.3%
180 დღეზე მეტხანს	2,220	(280)	1,940	12.6%
კოლექტიურად შეფასებული სესხები სულ	**137,573**	**(1,351)**	**136,222**	**1.0%**
იპოთეკური სესხები სულ	**137,573**	**(1,351)**	**136,222**	**1.0%**

სამომხმარებლო სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

სამომხმარებლო სესხები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მთლიანი სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	წმინდა სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი შეფარდებული მთლიან სესხებთან
კოლექტიურად შეფასებული				
არავადაგადაცილებული	55,669	(735)	54,934	1.3%
ვადაგადაცილებული:				
30 დღემდე	1,356	(57)	1,299	4.2%
31-დან 60 დღემდე	454	(152)	302	33.5%
61-დან 90 დღემდე	567	(140)	427	24.7%
91-დან 180 დღემდე	577	(306)	271	53.0%
180 დღეზე მეტხანს	826	(124)	702	15.0%
კოლექტიურად შეფასებული სესხები სულ	**59,449**	**(1,514)**	**57,935**	**2.5%**
სამომხმარებლო სესხები სულ	**59,449**	**(1,514)**	**57,935**	**2.5%**

სამომხმარებლო სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

სამომხმარებლო სესხები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მთლიანი სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	წმინდა სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი შეფარდებული მთლიან სესხებთან
კოლექტიურად შეფასებული				
არავადაგადაცილებული	57,038	(674)	56,364	1.2%
ვადაგადაცილებული:				
30 დღემდე	1,824	(91)	1,733	5.0%
31-დან 60 დღემდე	496	(43)	453	8.7%
61-დან 90 დღემდე	330	(48)	282	14.5%
91-დან 180 დღემდე	755	(235)	520	31.1%
180 დღეზე მეტხანს	1,097	(277)	820	25.3%
კოლექტიურად შეფასებული სესხები სულ	**61,540**	**(1,368)**	**60,172**	**2.2%**
სამომხმარებლო სესხები სულ	**61,540**	**(1,368)**	**60,172**	**2.2%**

საკრედიტო ბარათების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

საკრედიტო ბარათები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მთლიანი სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	წმინდა სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი შეფარდებული მთლიან სესხებთან
კოლექტიურად შეფასებული				
არავადაგადაცილებული	2,875	(115)	2,760	3.90%
ვადაგადაცილებული:				
30 დღემდე	15	(6)	9	40.00%
31-დან 60 დღემდე	64	(27)	37	42.20%
61-დან 90 დღემდე	12	(5)	7	41.70%
91-დან 180 დღემდე	44	(18)	26	40.90%
180 დღეზე მეტხანს	1	-	1	0.00%
კოლექტიურად შეფასებული სესხები სულ	**3,011**	**(171)**	**2,840**	**5.60%**
საკრედიტო ბარათები სულ	**3,011**	**(171)**	**2,840**	**5.70%**

საკრედიტო ბარათების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

საკრედიტო ბარათები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მთლიანი სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	წმინდა სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი შეფარდებული მთლიან სესხებთან
კოლექტიურად შეფასებული				
არავადაგადაცილებული	4,092	(78)	4,014	1.9%
ვადაგადაცილებული:				
30 დღემდე	92	(59)	33	64.1%
31-დან 60 დღემდე	-	-	-	0.0%
61-დან 90 დღემდე	42	(27)	15	64.3%
91-დან 180 დღემდე	77	(49)	28	63.6%
180 დღეზე მეტხანს	60	(38)	22	63.3%
კოლექტიურად შეფასებული სესხები სულ	**4,363**	**(251)**	**4,112**	**5.8%**
საკრედიტო ბარათები სულ	**4,363**	**(251)**	**4,112**	**5.8%**

მოდიფიცირებული ფინანსური აქტივები. ჯგუფის თავშეკავებული საქმიანობის შედეგად ფინანსური აქტივები შეიძლება მოდიფიცირდეს. შემდეგი ცხრილები ასახავს მოდიფიცირებულ ფინანსურ აქტივებს, სადაც მოდიფიკაცია არ სრულდება აღიარების შეწყვეტით. პერიოდის განმავლობაში მოდიფიცირებულ ფინანსური აქტივებია (დანაკარგის რეზერვი აგებულია არსებობის მთლიანი პერიოდის ECL-ზე):

	დეკ 31, 2020
ბრუტო საბალანსო ღირებულება მოდიფიკაციამდე:	**350,813**
წმინდა ამორტიზებული ღირებულება მოდიფიკაციამდე	340,924
წმინდა მოდიფიკაციის ზარალი	(1,914)
წმინდა ამორტიზებული ღირებულება მოდიფიკაციის შემდეგ	339,010

2020 წლის 31 დეკემბერს თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოდიფიცირებული სესხები, როდესაც ზარალის რეზერვები დაფუძნებული იყო არსებობის მთლიანი პერიოდის ECL-ზე 19,326 ლარს შეადგენდა, ხოლო მთლიანი საბალანსო ღირებულება, რომლის ზარალის რეზერვი პერიოდში შეიცვალა არსებობის მთლიანი პერიოდიდან 12-თვიანი ECL ღირებულებამდე, შესწორების შემდეგ 5 114 ლარს შეადგენდა. 2019 წლის 31 დეკემბერს თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოდიფიცირებული სესხები უმნიშვნელო იყო.

13 ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები

ათასი ლარი	დეკ 31, 2020	დეკ 31, 2019
სხვა ფინანსური აქტივები AC-ით		
ფინანსური ლიზინგი	5,219	3,138
გამოკლებული საკრედიტო ზარალის რეზერვი	(111)	(12)
სხვა ფინანსური აქტივები სულ	**5,108**	**3,126**

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს ფინანსური იჯარის საკრედიტო რისკის პოზიციებს AC-ით. AC-ით აღრიცხული სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს ასევე წარმოადგენს ჯგუფის მაქსიმალურ საკრედიტო რისკის პოზიციას ამ აქტივებზე.

ათასი ლარი	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (არს.მთლ.პერ. ECL SICR-სთვის)	ეტაპი 3 (არს.მთლ.პერ. ECL საკრ.რისკ.გაუფ)	სულ
ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები				
- ძალიან კარგი	-	-	-	-
- კარგი	2,382	-	-	2,382
- განსაკ. მონიტ. დაქვემდ.	-	2,515	-	2,515
- დეფოლტი	-	-	322	322
ბრუტო საბალანსო ღირებულება	2,382	2,515	322	5,219
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(4)	(19)	(88)	(111)
საბალანსო ღირებულება	**2,378**	**2,496**	**234**	**5,108**

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს ფინანსური იჯარის საკრედიტო რისკის პოზიციებს AC-ით. AC-ით აღრიცხული სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს ასევე წარმოადგენს ჯგუფის მაქსიმალურ საკრედიტო რისკის პოზიციას ამ აქტივებზე.

ათასი ლარი	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (არს.მთლ.პერ. ECL SICR-სთვის)	ეტაპი 3 (არს.მთლ.პერ. ECL საკრ.რისკ.გაუფ)	სულ
ფინანსური ლიზინგიდან მისაღ. შემოს.				
- ძალიან კარგი	2,837	-	-	2,837
- კარგი	28	-	-	28
- დამაკმაყოფილებელი	-	41	-	41
- განსაკუთრებულ მონიტორინგს დაქვემდებ	-	232	-	232
ბრუტო საბალანსო ღირებულება	**2,865**	**273**	**-**	**3,138**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(10)	(2)	-	(12)
საბალანსო ღირებულება	**2,855**	**271**	**-**	**3,126**

საკრედიტო ზარალის რეზერვის და ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლების ბრუტო ამორტიზებული ღირებულების თანხის ცვლილებები შემდეგია:

	საკრედიტო ზარალის რეზერვი				ბრუტო საბალანსო ღირებულება			
ათასი ლარი	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (არს.მთლ.პერ. ECL SICR-სთვის)	ეტაპი 3 (არს.მთლ.პერ. ECL საკრ.რისკ.გაუფ)	სულ	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (არს.მთლ.პერ. ECL SICR-სთვის)	ეტაპი 3 (არს.მთლ.პერ. ECL საკრ.რისკ.გაუფ)	სულ
ფინანსური ლიზინგი								
2019 წლის 31 დეკ	**(10)**	**(2)**	**-**	**(12)**	**2,865**	**273**	**-**	**3,138**
ცვლილებები, რომლებმაც იმოქმედა პერიოდის საკრედიტო ზარალის რეზერვის ხარჯზე:								
ტრანსფერები:								
- არს. მთ. პერ. (1 ეტაპიდან 2 ეტაპზე)	19	(19)	-	-	(2,434)	2,434	-	-
- კრედ. გაუფას. (1 ეტაპიდან 2 და 3 ეტაპებზე)	88	-	(88)	-	(322)	-	322	-
ახალი წარმოშ ან შესყ	(107)	-	-	(107)	3,551	-	-	3,551
გადახდები	6	2	-	8	(1,278)	(192)	-	(1,470)
მთ. ცვლილებები, რომლებმაც იმოქმედა პერიოდის საკრედიტო ზარალის რეზერვის ხარჯზე:	6	(17)	(88)	(99)	(483)	2,242	322	2,081
31 დეკ 2020	**(4)**	**(19)**	**(88)**	**(111)**	**2,382**	**2,515**	**322**	**5,219**

	საკრედიტო ზარალის რეზერვი				ბრუტო საბალანსო ღირებულება			
ათასი ლარი	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (არს.მთლ.პერ. ECL SICR-სთვის)	ეტაპი 3 (არს.მთლ.პერ. ECL საკრ.რისკ.გაუფ)	სულ	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (არს.მთლ.პერ. ECL SICR-სთვის)	ეტაპი 3 (არს.მთლ.პერ. ECL საკრ.რისკ.გაუფ)	სულ
ფინანსური ლიზინგი								
31 დეკ 2018	**-**	**-**	**-**	**-**	**89**	**-**	**-**	**89**
ცვლილებები, რომლებმაც იმოქმედა პერიოდის საკრედიტო ზარალის რეზერვის ხარჯზე:								
ტრანსფერები:								
- არს. მთ. პერ. (1 ეტაპიდან 2 ეტაპზე)	2	(2)	-	-	(273)	273	-	-
ახალი წარმოშობილი ან შესყიდული	(12)	-	-	(12)	3,138	-	-	3,138
გადახდა	-	-	-	-	(89)	-	-	(89)
მთ. ცვლილებები, რომლებმაც იმოქმედა პერიოდის საკრედიტო ზარალის რეზერვის ხარჯზე:	**(10)**	**(2)**	**-**	**(12)**	**2,776**	**273**	**-**	**3,049**
31 დეკ 2019	**(10)**	**(2)**	**-**	**(12)**	**2,865**	**273**	**-**	**3,138**

ECL გაანგარიშების მიდგომის შესახებ ინფორმაცია იხილეთ განმარტებაში 0.

ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები (ბრუტო ინვესტიცია ლიზინგში) და მათი მიმდინარე ღირებულება ასეთია:

	დეკ 31, 2020	დეკ 31, 2019
ლიზინგიდან მისაღები შემოსავლების მიმდინარე ღირებულება	5,219	3,138
გაუფასურების ზარალის რეზერვი	(111)	(12)
წმინდა ინვესტიცია ლიზინგში	**5,108**	**3,126**
არადისკონტირებული სალიზინგო გადახდები, როგორც:		
12 თვის შემდეგ ამოღებადი	3,254	2,811
12 თვის განმავლობაში ამოღებადი	1,965	327

ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები უკავშირდება ავტომობილების და მოწყობილობის იჯარას. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული უზრუნველყოფა 10,543 ათას ლარს შეადგენს (2019: 3,653 ათასი). უზრუნველყოფის სავარაუდო ღირებულება იჯარის დასაწყისში შეფასებული ქონების ღირებულებაზეა დამოკიდებული და როგორც წესი მისი განახლება არ ხდება. საიჯარო აქტივთან დაკავშირებული რისკები, მაგალითად სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული ზიანი და ქურდობა უმეტეს შემთხვევაში დაზღვეულია.

ჯგუფის ფინანსური ლიზინგის შეთანხმებები არ მოიცავს ცვლად გადახდებს. საშუალო ეფექტური სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი დაახლოებით წლიური 24.7%-ია (2019: 24.3%).

ჯგუფის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლების ზარალის რეზერვი საანგარიშო პერიოდის ბოლოს უტოლდება არსებობის მთლიანი პერიოდის ECL-ს. საანგარიშო პერიოდის ბოლოს არცერთი ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავალი არ არის ვადაგადაცილებული, მითუმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ ისტორიულ დეფოლტის გამოცდილებას და მრეწველობის იმ დარგების სამომავლო პერსპექტივებს, რომლებშიც მოიჯარე მუშაობს, ამ ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლების სანაცვლოდ მიღებული უზრუნველყოფის ღირებულებასთან ერთად. ჯგუფის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ფინანსური ლიზინგიდან მისაღები არცერთი შემოსავალი არ არის გაუფასურებული.

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლების ზარალის რეზერვის შეფასებისას წინასწარი შეფასების მეთოდების ან მნიშვნელოვანი დაშვებების ცვლილებების ადგილი არ ჰქონია.

14 სადაზღვევო აქტივები

ათასი ლარი	დეკ 31, 2020	დეკ 31, 2019
დაზღვევიდან მისაღები შემოსავლები	2,848	3,757
გადაზღვევის აქტივები	2,998	5,041
სადაზღვევო ხელშეკრულებები სულ	**5,846**	**8,798**

სადაზღვევო აქტივებია:

ათასი ლარი	დეკ 31, 2020	დეკ 31, 2019
გამოუმუშავებელი გადაზღვევის პრემია	2,523	3,351
გადამზღვევთა წილი რეზერვებში	281	518
შემოსავალი გადაზღვევიდან, წმინდა	194	1,172
მისაღები პრემიები, წმინდა	2,848	3,757
დაზღვევის აქტივები სულ	**5,846**	**8,798**

15 საინვესტიციო ქონება

ათასი ლარი	2020	2019
საინვესტიციო ქონება 1 იანვარს	**959**	**1,572**
ცვეთა	(9)	(7)
განკარგვა	(367)	(727)
გადმოტანა სხვა აქტივებიდან	-	121
საინვესტიციო ქონება 31 დეკემბერს	**583**	**959**

2020 წლის მდგომარეობით ბანკს ნული ათასი ლარის საინვესტიციო ქონება ჰქონდა (2019: 367 ათასი ლარის).

ცალკე ბანკის საინვესტიციო ქონებაა:

ათასი ლარი	2020	2019
საინვესტიციო ქონება 1 იანვარს	**367**	**1,037**
განკარგვები	(367)	(670)
საინვესტიციო ქონება 31 დეკემბერს	**-**	**367**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება იყო 1,157 ათასი ლარი (2019: 2,011 ათასი ლარი). 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უშუალოდ ბანკის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება ნული ათასი ლარი იყო (2019: 854 ათასი)

ჯგუფის საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ 1 მლნ ლარზე მეტი ღირებულების ქონების სავალდებულო აღიარების საფუძველზე და გადაანგარიშდება ყოველ 3 წელიწადში. ფასები მნიშვნელოვნად არ მოქმედებს ქონების სამართლიან ღირებულებაზე. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას, თითოეული ქონებისთვის გამოვლინდა სამი შედარებადი საბაზრო მონაცემი. რადგან შედარებადი მონაცემები რამდენადმე განსხვავდებოდა შეფასებული ქონებისგან, შედარებადი მონაცემების კოტირებული ფასები კიდევ დაკორექტირდა მათი განსხვავებული ადგილმდებარეობის, მდგომარეობის, ზომის, მისაწვდომობის, ასაკის და ვაჭრებთან მოლაპარაკებების შედეგად მოსალოდნელი ფასდაკლებების გათვალისწინებით. ამგვარად დადგენილი შედარებითი ფასები კვადრატულ მეტრზე შემდეგ გამრავლდა შეფასებული ქონების ფართზე, რის შედეგადაც მიღებულ იქნა საინვესტიციო ქონების შეფასებული ღირებულება. საინვესტიციო ქონებიდან გამომდინარე შემოსავლების და ხარჯების შესახებ ინფორმაცია იხ. განმარტებებში 33 და 0.

16 სხვა ფინანსური აქტივები

ათასი ლარი	დეკ 31, 2020	დეკ 31, 2019
სხვა ფინანსური აქტივები AC-ით		
საკრედიტო ბარათის მომსახურებიდან და ფულადი გადარიცხვებიდან მისაღები შემოსავლები	726	453
საგარანტიო საკომისიოებთან დაკავშირებით მისაღ შემოს	344	159
დაბლოკილი თანხა	164	143
სხვა მისაღები შემოსავლები	123	800
სულ	**1,357**	**1,555**
გამოკლებული საკრედიტო ზარალის რეზერვი	(23)	(351)
სხვა ფინანსური აქტივები სულ	**1,334**	**1,204**

დაბლოკილი თანხა წარმოადგენს საბარათე გადახდების სისტემის Union Pay (UPI) ანგარიშზე რიცხულ ნაშთს. ჯგუფს უფლება არ აქვს ეს სახსრები საკუთარი საქმიანობის დაფინანსების მიზნებისთვის გამოიყენოს.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს AC-ით რიცხული სხვა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკის პოზიციების ანალიზს. სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება AC-ით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე აჩვენებს ჯგუფის მაქსიმალურ საკრედიტო რისკის პოზიციას ამ აქტივებზე:

სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება AC-ით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე აჩვენებს ჯგუფის მაქსიმალურ საკრედიტო რისკის პოზიციას ამ აქტივებზე:

ათასი ლარი	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL))	ეტაპი 2 (არს.მთლ.პერ. ECL SICR-სთვის)	ეტაპი 3 (არს.მთლ.პერ. ECL საკრ.რისკ.გაუფ)	სულ
- ძალიან კარგი	211	-	-	211
- კარგი	957	161	-	1,118
- დეფოლტი	-	-	28	28
ბრუტო საბალანსო ღირებულება	**1,168**	**161**	**28**	**1,357**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(9)	(2)	(12)	(23)
საბალანსო ღირებულება	**1,159**	**159**	**16**	**1,334**

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს სხვა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკის პოზიციების ანალიზს AC-ით. სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება AC-ით 2019 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL))	ეტაპი 2 (არს.მთლ.პერ. ECL SICR-სთვის)	ეტაპი 3 (არს.მთლ.პერ. ECL საკრ.რისკ.გაუფ)	სულ
- ძალიან კარგი	245	-	-	245
- კარგი	583	34	-	617
- დეფოლტი	-	-	693	693
ბრუტო საბალანსო ღირებულება	**828**	**34**	**693**	**1,555**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(2)	(34)	(315)	(351)
საბალანსო ღირებულება	**826**	**-**	**378**	**1,204**

ცხრილებში ნაჩვენებია სხვა ფინანსური აქტივების ბრუტო საბალანსო ღირებულების და საკრედიტო ზარალის რეზერვის ცვლილებები გამარტივებული ECL მოდელით, შედარებითი წლიური პერიოდების დასაწყისიდან დასასრულამდე:

	2020			2019		
ათასი ლარი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	საკრედიტო ზარალის რეზერვი	სულ	ბრუტო საბალანსო ღირებულება	საკრედიტო ზარალის რეზერვი	სულ
ბალანსი 1 იანვარს	**1,555**	**(351)**	**1,204**	**913**	**(130)**	**783**
ახალი წარმოშობილი ან შესყ	613	(9)	604	887	(204)	683
პერიოდში აღიარებაშეწყვეტილი	(882)	338	(544)	(268)	2	(266)
ფინანსური აქტივები (დაფარული ან ჩამოწერილი)						
მთლიანი საკრედიტო ზარალის რეზერვის ხარჯი პერიოდის მოგება-ზარალში	1,286	(22)	1,264	1,532	(332)	(1200)
უცხ. ვალ. მოგება და ზარალი	70	(1)	69	23	(19)	3
ბალანსი 31 დეკემბერს	**1,357**	**(23)**	**1,334**	**1,555**	**(351)**	**1,204**

ECL გაანგარიშების მიზნით სხვა ფინანსური აქტივების ნაშთები შეტანილია 1, 2 და 3 ეტაპებზე რისკის პროფილის მიხედვით. ECL გაანგარიშების მიდგომის შესახებ იხ. განმარტება 0 .

განმარტებაში 42 იხილეთ სხვა ფინანსური აქტივების თითოეული კლასის სამართლიანი ღირებულება. დაკავშირებულ მხარეთა ნაშთების შესახებ ინფორმაცია იხილეთ განმარტებაში 44.

17 სხვა აქტივები

ათასი ლარი	დეკ 31, 2020	დეკ 31, 2019
დასაკუთრებული უზრუნველყოფა	34,482	27,794
გადახდ. და დაკავ. გადასახადები	1,166	526
მომსახურების წინასწარი გადახდები	1,029	457
წინასწარი გადახდები სასამართლო საქმისთვის	568	686
სხვა	1,424	1,152
სხვა აქტივები სულ	**38,669**	**30,615**

დასაკუთრებული უზრუნველყოფა წარმოადგენს უძრავი ქონების აქტივებს, რომელსაც ჯგუფი იღებს ვადაგადაცილებული სესხების სანაცვლოდ. პროგნოზირებად მომავალში ჯგუფი ამ აქტივების გასხვისებას აპირებს. ბანკი იწყებს სპეციალურ შეთავაზებებსა და მარკეტინგულ ქმედებებს უზრუნველყოფის გაყიდვის მიზნით, მათ შორის ბროკერების მომსახურებასა და ლოკაციებზე რეკლამირებას (როგორიცაა მიწა, ოფისები და ა.შ.)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უშუალოდ ბანკის დასაკუთრებული აქტივების ღირებულება 32,719 ათასი ლარი იყო (2019: 25,895 ათასი) დაკავშირებულ მხარეთა ნაშთების შესახებ ინფორმაცია იხ. განმარტება 44-ში.

18 შენობა-ნაგებობები, მოწყობილობა და არამატერიალური აქტივები

ათასი ლარი	განმარტება	შენობები	საოფისე და კომპიუტერული ტექნიკა	შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა სულ	ლიცენზიები კომპიუტერული პროგრამებისთვის	სულ
შეფასების ღირებულება 2018 წლის 31 დეკ		21,350	13,480	34,830	2,314	37,144
აკუმულირებული ცვეთა		(4)	(8,369)	(8,373)	(932)	(9,305)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკ		**21,346**	**5,111**	**26,457**	**1,382**	**27,839**
დამატებები		330	2,194	2,524	1,229	3,753
გასხვისებები		-	-	-	(92)	(92)
ცვეთა						
ცვეთის ხარჯი	0	(429)	(1,536)	(1,965)	(412)	(2,377)
გასხვისებები		-	-	-	92	92
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკ		**21,247**	**5,769**	**27,016**	**2,199**	**29,215**
შეფასების ღირებულება 2019 წლის 31 დეკ		21,680	15,673	37,353	3,451	40,805
აკუმულირებული ცვეთა		(433)	(9,904)	(10,337)	(1,253)	(11,590)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკ		**21,247**	**5,769**	**27,016**	**2,199**	**29,215**
დამატებები		-	989	989	2,251	3,240
ტრანსფერები		820	-	820	-	820
გასხვისებები		-	(915)	(915)	(228)	(1,143)
გადაფასება		838	-	838	-	838
ცვეთა						
ცვეთის ხარჯი	0	(456)	(1,651)	(2,107)	(478)	(2,585)
გასხვისებები		-	869	869	165	1,034
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკ		**22,449**	**5,061**	**27,510**	**3,909**	**31,419**
შეფასების ღირებულება 2020 წლის 31 დეკ		23,338	15,747	39,085	5,475	44,560
აკუმულირებული ცვეთა		-889	-10,686	-11,575	-1,566	-13,141
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკ		**22,449**	**5,061**	**27,510**	**3,909**	**31,419**

შენობა-ნაგებობები 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით სამართლიანი ღირებულებით იქნა შეფასებული შემფასებელთა დამოუკიდებელი ფირმის მიერ. საანგარიშგებო თარიღისთვის, ჯგუფმა შეაფასა თავისი შენობა-ნაგებობები და საბაზრო ფასების ცვლილების გავლენა ქონების შეფასებაზე. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ფასების ცვლილებებს მნიშვნელოვანი გავლენა არ აქვს

შეფასებაზე, ამიტომ ჯგუფმა არ შეასრულა თავისი შენობის გადაფასება 2020 წლის 31 დეკემბერს.

ის მონაცემი, რომლის მიმართაც შენობა-ნაგებობების საპროგნოზო სამართლიანი ღირებულება ყველაზე მგრძნობიარეა, კვადრატული მეტრის ფასია: რაც უფრო მაღალია ფასი კვადრატულ მეტრზე, მით მეტია სამართლიანი ღირებულება.

ეს აქტივები რომ თვითღირებულებას გამოკლებული ამორტიზაციით აღრიცხულიყო, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შენობა-ნაგებობების საბალანსო ღირებულება იქნებოდა 12,620 ათასი ლარი (2019: 12, 925 ათასი ლარი).

ეს თანხა შენობა-ნაგებობების საბალანსო ღირებულებასთან შემდეგნაირად თანხმდება:

ათასი ლარი	**დეკ 31, 2020**	**დეკ 31, 2019**
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში გადაფასების თანხით განცხადებული შენობა-ნაგებობები	22,448	21,247
კაპიტალში განცხადებული გადაფასების რეზერვი, გადასახადის გამოკლებით	10,003	9,165
ღირებულების მიხედვით და გადაფასების თანხით აღრიცხულ აკუმულირებულ ამორტიზაციებს შორის განსხვავება, რომელიც ჯერ არ გადატანილა გაუნაწილებელ მოგებაში	(1,821)	(843)
შენობა-ნაგებობები ღირებულებით, გამოკლებული აკუმულირებული ამორტიზაცია	**14,266**	**12, 925**

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კატეგორიაში „ქონება და მოწყობილობა“ შეტანილი იყო სრულად ამორტიზებული აქტივები, შესაბამისად, 7 441 ათასი და 8 490 ათასი ლარი.

19 აქტივების და საიჯარო ვალდებულებების გამოყენების უფლება

ჯგუფს იჯარით აქვს აღებული რამდენიმე შენობა. ხელშეკრულებები ქირავნობის შესახებ როგორც წესი 1-დან 10 წლამდე ფიქსირებული პერიოდით იდება, თუმცა შესაძლებელია ამ ვადის გაგრძელებაც, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი.

2018 წლის 31 დეკემბრამდე შენობა-ნაგებობების და მოწყობილობის იჯარა კლასიფიცირდებოდა როგორც ან ფინანსური იჯარა ან საოპერაციო იჯარა. 2019 წლის 1 იანვრიდან იჯარა აღიარდება როგორც აქტივი გამოყენების უფლებით და შესაბამისი ვალდებულება იმ დღიდან, როცა საიჯარო აქტივი ჯგუფის მიერ გამოსაყენებლად მზადაა.

აქტივები გამოყენების უფლებით თავისი მუხლების კლასებით გაანალიზებულია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	შ ე ნ ო ბ ე ბ ი
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იან	**2,541**
დამატებები	2,072
გასხვისებები	(79)
ცვეთის ხარჯი	(998)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 3 დეკ	**3,536**
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იან	
დამატებები	1,707
გასხვისებები	(25)
ცვეთის ხარჯი	(1,065)
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკ	**4,153**

საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი 248 ათასი ლარი იყო. (2019: 218 ათასი ლარი).

დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის ხარჯები, რომლებიც არაა ნაჩვენები, როგორც მოკლევადიანი იჯარა, შეტანილია ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

ათასი ლარი	**2020**	**2019**
დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის ხარჯები, რომლებიც არაა ნაჩვენები ზემოთ, როგორც მოკლევადიანი იჯარა	155	296

19 აქტივების და საიჯარო ვალდებულებების გამოყენების უფლება

2020 წელს იჯარაზე მთლიანი ფულის გადინება იყო 1,461 ათასი.(2019:1,168 ათასი).

ვადის გაგრძელების და შეწყვეტის ოფციები ჯგუფის მიერ დადებულ არაერთი ქონების და მოწყობილობის იჯარის ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. ამ მუხლების მიზანია ჯგუფის ოპერაციებისთვის გამოყენებული აქტივების მართვის ოპერაციული მოქნილობის მაქსიმიზაცია. ვადის გაგრძელების და შეწყვეტის ოფციების გამოყენების უფლება მხოლოდ ჯგუფს აქვს და არა შესაბამის მეიჯარეს.

იჯარის ვადა გადაფასდება, როცა ოფცია გამოყენებულია (ან არაა გამოყენებული) ან თუ ჯგუფი ვალდებული გახდება გამოიყენოს (ან არ გამოიყენოს). გონივრული სიზუსტის შეფასება გადაიხედება მხოლოდ მაშინ, როცა ადგილი აქვს მნიშვნელოვან მოვლენას ან გარემოებების მნიშვნელოვან ცვლილებას, რაც ამ შეფასებაზე ახდენს ზეგავლენას და ეს მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება.

20 გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები (ან გასხვისების ჯგუფები)

სარეალიზაციოდ კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივების (ანუ გასხვისების ჯგუფების) მთავარი კლასებია:

ათასი ლარი	დეკ 31, 2020	დეკ 31, 2019
გასაყ. გამიზ. გრძელვად. აქტივები 1 იანვარს:	**486**	**4,360**
გასხვისებები	(135)	(1,688)
ტრანსფერები სხვა აქტივებზე	(292)	(2,462)
ტრანსფერები სხვა აქტივებიდან	1,614	276
ს ულ გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები (გასხვისების ჯგუფები)	**1,673**	**486**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაყიდვის შესახებ შეთანხმებები სარეალიზაციოდ განკუთვნილ გრძელვადიან აქტივებზე ხელმოწერილია. ამ აქტივებზე დაფარვები გრაფიკის მიხედვით ხორციელდება. საბოლოო გადახდამდე, რისკი და სარგებელი ჯგუფზე რჩება, ხოლო შესაბამის აქტივთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები მყიდველს გადაეცემა მას შემდეგ, რაც ხელშეკრულების ყველა პირობა იქნება დაკმაყოფილებული. 1,672 ათასი ლარის საბოლოო გადახდა 2021 წლის ბოლოსთვისაა გაწერილი. აქტივები კლასიფიცირდება, როგორც სარეალიზაციოდ განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები, როცა ხელი მოეწერება გაყიდვის ხელშეკრულებებს.

უშუალოდ ბანკის სარეალიზაციოდ განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,614 ათას ლარს შეადგენს (2019: 291 ათასი ლარი).

21 ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ

ათასი ლარი	დეკ 31, 2020	დეკ 31, 2019
სხვა ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშები და ერთდღიანი განთავსებები	1	1
სხვა ბანკების მოკლევადიანი განთავსებები	40,233	40,838
მოკლევადიანი განთავსებები სებ-ისგან	263,929	143,145
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ სულ	**304,163**	**183,984**

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფმა სავალო ვალდებულებების უზრუნველყოფის სახით ფლეჯირება გააკეთა 215,203 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებით, იპოთეკური სესხები კი საბალანსო ღირებულებით 64,390 ათასი ლარი, ხოლო SME სესხები საბალანსო ღირებულებით 19,017 ათასი ლარი სებ-ის მოკლევადიანი სესხის უზრუნველყოფად გამოიყენა. (2019: სავალო ფასიანი ქაღალდები 99,855 ათასი ლარი და იპოთეკური სესხები 60,492 ათასი ლარი, SME სესხები სებ-ის მოკლევადიანი სესხების ფლეჯირებისთვის ნული) იხილეთ განმარტება 40.

განმარტებაში 42 იხილეთ სხვა ბანკებისადმი ვალდებულებების თითოეული კლასის სამართლიანი ღირებულებების გამჟღავნება. ამავე კატეგორიის საპროცენტო განაკვეთების ანალიზი გამჟღავნებულია განმარტებაში 0. დაკავშირებულ მხარეთა ნაშღები იხილეთ განმარტებაში 44.

22 კლიენტთა ანგარიშები

ათასი ლარი	დეკ 31, 2020	დეკ 31, 2019
სახელმწიფო და საჯარო ორგანიზაციები		
- მიმდინარე/საანგარიშსწორებო ანგარიშები	135,576	82,519
- ვადიანი დეპოზიტები	96,406	44,381
სხვა იურიდიული პირები		
- მიმდინარე/საანგარიშსწორებო ანგარიშები	213,718	154,936
- ვადიანი დეპოზიტები	137,249	155,118
ფიზიკური პირები		
- მიმდინარე/მოთხოვნამდე ანგარიშები	139,447	130,079
- ვადიანი დეპოზიტები	216,319	201,837
კლიენტთა ანგარიშები სულ	**938,715**	**768,870**

კატეგორია „სახელმწიფო და საჯარო ორგანიზაციები“ არ გულისხმობს მოგებაზე ორიენტირებულ სახელმწიფო ბიზნესებს. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ცალკე ანგარიშში ნაჩვენები კლიენტების ანგარიშების ნაშთები 940,377 ათას ლარს შეადგენს (2019: 770,050 ათასი ლარი).

ეკონომიკური სექტორის კონცენტრაცია კლიენტების ანგარიშებში ასეთია:

	2020		2019	
ათასი ლარი	**თანხა**	**%**	**თანხა**	**%**
ფიზ პირები	355,765	38%	331,916	43%
ფინანსური ინსტიტუტები	184,037	20%	97,004	13%
სახელმწიფო საწარმოები	90,018	10%	46,973	6%
მომსახურება	57,909	6%	46,939	6%
ტრანსპორტი ან კომუნიკაცია	49,723	5%	54,944	7%
ვაჭრობა	40,737	4%	41,627	5%
წარმოება	40,698	4%	39,583	5%
განათლება	36,561	4%	27,181	4%
მშენებლობა და სამშენებლო მასალების წარმოება	35,590	4%	50,284	7%
უძრავი ქონების განვითარება	26,842	3%	17,705	2%
ენერგეტიკა	2,129	0%	2,319	0%
სხვა	18,706	2%	12,395	2%
კლიენტთა ანგარიშები სულ	**938,715**	**100%**	**768,870**	**100%**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს სამი კლიენტი ჰყავდა (2019: ორი კლიენტი), რომელთა ნაშთებიც მთლიანი კაპიტალის 10%-ს აღემატებოდა. ამ კლიენტების ნაშთები სულ 178,834 ათას ლარს (2019: 82,415 ათასი ლარი), ან მთლიანი კლიენტთა ანგარიშების 19.1% (2019: 10.7%) შეადგენდა.

კლიენტთა ანგარიშების თითოეული კლასის სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება იხ. განმარტება 42-ში. კლიენტთა ანგარიშების საპროცენტო განაკვეთების ანალიზი მოცემულია განმარტება 0-ში. დაკავშირებული მხარეების ნაშთების შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია განმარტება 44-ში.

23 სხვა ნასესხები სახსრები

ათასი ლარი	დეკ 31, 2020	დეკ 31, 2019
სხვა ნასესხები სახსრები		
სესხები ევროპის რეკონსტრ და განვით ბანკისგან (“EBRD”)	95,382	82,575
სესხები შავი ზღვის ვაჭრ და განვით ბანკისგან (“BSTDB”)	81,362	56,429
სესხები გლობალური კლიმატის პარტნიორ. ფონდისგან	50,179	41,017
სესხები ოპეკის საერთ განვით ბანკისგან (OFID)	49,648	43,770
სესხები სამხრეთ-აღმ. ევროპის ევროპული ფონდისგან	49,327	32,409
სესხები „ბლუ ორჩარდისგან“ Blue Orchard	33,848	60,257
სესხები საერთაშ საფინანსო კორპორაციისგან (“IFC”)	32,817	28,717
სესხები GREEN FOR GROWTH ფონდისგან	24,190	26,588
სესხები ბანკისგან BANCA POPOLARE DI SONDRIO SCPA	18,715	-
სესხები ჩინეთის განვითარების ბანკისგან (“CDB”)	16,405	42,972
სესხები კომერცბანკისგან	16,122	7,047
სესხები აზიის განვითარების ბანკისგან ("ADB")	9,017	-
სესხები ფინანსური ინსტიტუტების ფონდისგან (“EFA”)	-	7,145
სხვა ნასესხები სახსრები სულ	**477,012**	**428,926**

ნასესხებ სახსრებთან მიმართებაში ჯგუფი ვალდებულია დაემორჩილოს ფინანსურ კოვენანტებს. კოვენანტების შესრულების შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია განმარტებაში 40.

სხვა ნასესხები სახსრების თითოეული კლასის სამართლიანი ღირებულების გამჟღავნების შესახებ იხ. განმარტება 42. სხვა ნასესხები სახსრების საპროცენტო განაკვეთების ანალიზი იხ. განმარტება 0-ში. დაკავშირებული მხარეების ნაშთების შესახებ ინფორმაცია იხ. განმარტება 44-ში.

24 სადაზღვევო ვალდებულებები

ათასი ლარი	დეკ 31, 2020	დეკ 31, 2019
გამოუმუშავებელი პრემია და ზარალის რეზერვები	3,646	4,425
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	2,473	4,403
სადაზღვევო ვალდებულებები სულ	**6,119**	**8,828**

სხვა სადაზღვევო ვალდებულებები გულისხმობს რეზერვებს ზარალებზე, რომლებიც მოხდა, მაგრამ არ განცხადებულა, თანხით 6 ათასი ლარი. (2019: 4 ათასი ლარი)

სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების ცვლილება წლის განმავლობაში ასეთია:

ათასი ლარი	დეკ 31, 2020	დეკ 31, 2019
გამოუმუშავებელი პრემია და ზარალის რეზერვები 1 იანვარს	4,425	2,351
ბრუტო პრემია წლის განმავლობაში	7,428	10,278
წლის განმავლობაში გამომუშავებული პრემიები	(8,207)	(8,204)
გამოუმუშავებელი პრემია და ზარალის რეზერვები 31 დეკ მდგ	**3,646**	**4,425**

სადაზღვევო რისკი: სადაზღვევო და საინვესტიციო საქმიანობის შედეგად კომპანიას აქვს საბაზრო რისკის პოზიცია. კომპანია მართავს თავის სადაზღვევო რისკს რისკის კონცენტრაციის გადაზღვევის, ანდერრაიტინგის ლიმიტების, ოპერაციების დამტკიცების პროცედურების და მიმდინარე საკითხების მონიტორინგის საშუალებით.

ზარალების მართვის რისკი: ზოგადად, საავტომობილო ზარალების განცხადების დაყოვნებები მცირეა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და ზარალის სირთულე შედარებით დაბალია. მთლიანობაში, ამ მიმართულებით ზარალის ვალდებულებები ქმნის საშუალო შეფასების რისკს. კომპანია აკონტროლებს და რეაგირებს რემონტის ხარჯების ტენდენციებზე, დაზიანების ანაზღაურებაზე და ქურდობის შემთხვევაზე და უბედური შემთხვევის ზარალებზე.

ზარალების სიხშირეზე გავლენას ახდენს არასასურველი ამინდის პირობები და ზარალების მოცულობა უფრო მაღალია ზამთრის თვეებში. დაზღვევის საავტომობილო კატეგორიების ანდერრაიტინგი ხდება კომპანიის ამჟამინდელი გამოცდილების საფუძველზე.

გადაზღვევის რისკი: კომპანია გასცემს სადაზღვევო რისკს, რათა შეამციროს ანდერრაიტინგის ზარალის პოზიცია სხვადასხვა ხელშეკრულებების ფარგლებში, რომლებიც მოიცავს ინდივიდუალურ და პორტფელის რისკებს. გადაზღვევის ხელშეკრულებები ანაწილებს რისკს და ამცირებს ზარალის ეფექტს. თითოეული შენარჩუნებული რისკის ოდენობა დამოკიდებულია კომპანიის მიერ კონკრეტული რისკის შეფასებაზე. გადაზღვევის ხელშეკრულებების თანახმად, გადამზღვევი თანახმაა აანაზღაუროს გადაცემული თანხა ზარალის ანაზღაურების შემთხვევაში. ამასთან, კომპანია რჩება პასუხისმგებელი პოლისის მფლობელთა წინაშე გადაცემულ დაზღვევასთან მიმართებაში, თუ რომელიმე გადამზღვევი არ შეასრულებს მის მიერ აღებულ ვალდებულებებს. გადაზღვევის არჩევისას, კომპანია ითვალისწინებს მათ შედარებით კრედიტუნარიანობას. გადაზღვევის კრედიტუნარიანობა ფასდება ძირითადად საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე.

რეზერვირების რისკი: არსებობს რისკი, რომ რეზერვები არასწორად შეფასდეს და არ არის საკმარისი თანხები ვადადამდგარი ზარალების ასანაზღაურებლად. სადაზღვევო და გადაზღვევის ვალდებულებების შესაფასებლად, კომპანია იყენებს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილ აქტუარულ მეთოდებს და დაშვებებს.

საკრედიტო რისკი დაზღვევასთან დაკავშირებით: კომპანია არ ექვემდებარება მნიშვნელოვან საკრედიტო რისკს მისაღებ შემოსავლებთან მიმართებაში, რომელიც წარმოიშობა პირდაპირი სადაზღვევო ოპერაციების შედეგად, როცა პოლისები უქმდება და პოლისთან დაკავშირებული გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვიც ანალოგიურად უქმდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ პოლისის მფლობელს არ სურს ან შეუძლია გააგრძელოს პოლისის პრემიების

გადახდა. მენეჯმენტი ჩვეულებრივ სრულად ფარავს გაუფასურებულ სადაზღვევო მისაღებ შემოსავლებს მას შემდეგ რაც ისინი 365 დღის ვადაგადაცილებულია.

ზარალების რეზერვების ცვლილებები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის ასეთი იყო:

ათასი ლარი	**დეკ 31, 2020**	**დეკ 31, 2019**
ზარალების რეზერვები, წლის დასაწყისი	242	83
ზარალების რეზერვები, გადაზღვევის წილი, წლის დასაწყისი	(163)	(10)
წმინდა ზარალების რეზერვები, წლის დასაწყისი	79	73
პლუს დამდგარი ზარალები	699	497
გამოკლებული ანაზღაურებული ზარალები	(605)	(491)
წმინდა ზარალების რეზერვები, წლის ბოლო	173	78
ზარალების რეზერვები, გადაზღვევის წილი, წლის ბოლო	281	163
ზარალების რეზერვები, წლის ბოლო	**454**	**241**

გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემიის რეზერვის ცვლილება 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის ასეთია:

ათასი ლარი	**დეკ 31, 2020**	**დეკ 31, 2019**
ბრუტო გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემიის რეზერვი, წლის დასაწყისი	4,183	2,351
გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემიის რეზერვი, გადაზღვევის წილი, წლის დასაწყისი	(3,352)	(1,904)
წმინდა გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემიის რეზერვი, წლის დასაწყისი	831	447
ცვლილება გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემიის რეზერვში	(991)	1,833
ცვლილება გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემიის რეზერვში, გადაზღვევის წილი	829	(1,448)
წმინდა ცვლილება გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემიის რეზერვში	(162)	385
წმინდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი, წლის ბოლო	669	831
გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემიის რეზერვი, გადაზღვევის წილი	2,523	3,352
ბრუტო გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემიის რეზერვი, წლის ბოლო	**3,192**	**4,183**

სადაზღვევო პოლისებით გათვალისწინებული რისკები, როგორც წესი, 12 თვეზე ვრცელდება. სადაზღვევო კონტრაქტებში ზარალების რეზერვები (რომლებიც შედგება პოლისების მფლობელების მიერ განცხადებული ზარალების რეზერვებისგან და დამდგარი, მაგრამ ანგარიშგებაში ჯერ არ ასახული ზარალებისგან) კეთდება იმ ზარალების ხარჯის დასაფარად, რომლებიც დადგა და წინასწარ ფასდება ცნობილი ფაქტების მიხედვით საანგარიშგებო თარიღისთვის.

რეზერვები ყოველთვიურად იხვეწება, რაც რეგულარული, მიმდინარე პროცესის ნაწილია, რადგან ზარალების გამოცდილება ვითარდება. გარკვეული ზარალები ანაზღაურდება, სხვები განცხადდება. დაუფარავი ზარალების რეზერვები არ დისკონტირდება ფულის დროითი ღირებულებით.

კომპანია მის ვადაგაუსვლელ რისკებს იხილავს ცალკეული ბიზნესმიმართულებების ისტორიული ეფექტიანობის მიხედვით, რითაც განსაზღვრავს მოსალოდნელი ზარალების საერთო ცვლილებას.

სხვა ფინანსური ვალდებულებების თითოეული კლასის სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება იხ. განმარტება 42-ში.

25 სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები შედგება შემდეგისგან:

ათასი ლარი	დეკ 31, 2020	დეკ 31, 2019
სხვა ფინანსური ვალდებულებები AC-ით		
სერვისებისთვის გადასახდელი თანხა	2,384	934
ანგარიშსწორების ოპერაციები	1,985	917
სადებეტო და საკრედიტო ბარათების გადასახდელები	1,277	152
სხვა დარიცხული ვალდებულებები	656	554
სხვა ფინანსური ვალდებულებები სულ	**6,302**	**2,557**

ანგარიშსწორების ოპერაციების ფინანსური ვალდებულება წარმოადგენს იმ თანხებს, რომლებზეც ბანკის კლიენტებმა თავიანთი კლიენტთა ანგარიშებიდან თანხა გადაიტანეს სხვა კომერციული ბანკების ანგარიშებზე და რომლებზე ანგარიშსწორებაც მოხდა პერიოდის ბოლოს. ეს თანხები აკლდება კლიენტთა ანგარიშების მუხლს და შეიტანება სხვა ფინანსური ვალდებულებების მუხლში.

სხვა ფინანსური ვალდებულებების თითოეული კლასის სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება იხ. განმარტება 42-ში.

26 სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებებს შეადგენს შემდეგი:

ათასი ლარი	დეკემბერი 31, 2020	დეკემბერი 31, 2019
თანამშრომელთა ბენეფიტების დარიცხული ხარჯები	625	2,083
მიღებული წინასწარი გადახდები	966	472
მოგების გადასახადის გარდა გადასახდელი სხვა გადასახადები	279	74
სხვა	826	468
სხვა ვალდებულებები სულ	**2,696**	**3,097**

თანამშრომლების დარიცხული ბენეფიტები მოიცავს თანამშრომელთა და მენეჯმენტის ბენეფიტებისთვის შექმნილ რეზერვებს, მათ შორის წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის ("SBP") სქემის ფარგლებში შექმნილ რეზერვებს. 2020 წელს ამ სქემის ყველა გადახდა და დარიცხვა დროებით შეჩერდა მარეგულირებლის მიერ დაწესებული შეზღუდვების გამო. იხ. განმარტება 29.

27 სუბორდინირებული ვალი

16,368 ათასი ლარის სუბორდინირებულ ვალს (2019: 14 410 ათასი) ერიცხება ფიქსირებული წლიური საპროცენტო განაკვეთი 7% ვადის ბოლომდე 2026 წლამდე. ლიკვიდაციის შემთხვევაში ვალის გასტუმრება მოხდება ყველა სხვა კრედიტორის შემდეგ.

სუბორდინირებული ვალის სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება იხ. განმარტება 42-ში. სუბორდინირებული ვალის საპროცენტო განაკვეთების ანალიზი გამჟღავნებულია განმარტება 0-ში. დაკავშირებულ მხარეთა ნაშთები გამჟღავნებულია განმარტება 44-ში.

28 სააქციო კაპიტალი

ათასი ლარი გარდა აქციების რაოდენობისა	გამოშვებული აქციების რაოდენობა ათასებში	ჩვეულებრივი აქციები	საემისიო შემოსავალი	სულ
1 იანვარი 2019	**16,057**	**16,057**	**74,923**	**90,980**
31 დეკ 2019	**16,057**	**16,057**	**74,923**	**90,980**
31 დეკ 2020	**16,057**	**16,057**	**74,923**	**90,980**

ჩვეულებრივი აქციების მთლიანი ავტორიზებული რაოდენობა16,181 ათასია (2019: 16,181 ათასი აქცია), ნომინალური ღირებულებით 1 აქცია 1 ლარი (2019: 1 აქცია 1 ლარი). გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობაა 16,181 ათასი აქცია (2019: 16,181, ათასი აქცია). ყველა გამოშვებული აქცია სრულადაა გადახდილი. თითოეულ ჩვეულებრივ აქციას ერთი ხმის უფლება აქვს.

ზემოთ მოცემულ ცხრილში არ შედის მენეჯმენტზე გრანტით გაცემული 124 ათასი (2019: 124 ათასი) აქცია, რომელიც ჯერ არ არის მინიჭებული. თითოეულ ჩვეულებრივ აქციას ერთი ხმის უფლება აქვს. საემისიო შემოსავალი წარმოადგენს გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე ზემოთ მიღებულ ნამეტ შემოსავალს.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ბანკი მოგებას ანაწილებს დივიდენდების სახით ან რიცხავს რეზერვებში საქართველოს სააღრიცხვო წესების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშების თანახმად.

ბანკის გაუნაწილებელი რეზერვები საქართველოს სააღრიცხვო წესებით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 138,460 ათას ლარს შეადგენს (2019: 113,627 ათასი ლარი).

29 წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდა

2015 წლის აპრილში ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა უმაღლესი მენეჯმენტის 2015-2016 წლების ახალი საბონუსე სქემა და უმაღლესი მენეჯმენტის წევრებზე გრანტით გასცა 71,000 ახალი აქცია, შესაბამისი მომსახურების პირობებით. აქციებს აქვს დივიდენდის მიღების უფლება, მაგრამ არ

გააჩნია ხმის უფლება და არც გაყიდვის ან მესამე პირისთვის გადაცემის უფლება მომსახურების პირობების შესრულებამდე.

სქემის თანახმად, ყოველწლიურად, ეფექტიანობის წინასწარგანსაზღვრული პირობების თანახმად, სქემის მონაწილეებს გადაეცემა აქციების გარკვეული რაოდენობა. გადასაცემი აქციების მთლიანი რაოდენობა დამოკიდებულია გუნდის მიზნების შესრულებაზე და თითოეული აქციის საბალანსო ღირებულებაზე, ჯგუფის აქციების გადაცემის წინა წლისთვის მომზადებული, IFRS-ით აუდირებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების მიხედვით. გუნდის მიზნები ძირითადად უკავშირდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი ზრდის და მომგებიანობის მაჩვენებლების შესრულებას და გარკვეული საზედამხედველო კოეფიციენტების და კოვენანტების დაცვას. გადაცემულ აქციებს მოჰყვება მომსახურების პირობები. ამ პირობების შესრულებამდე, აქციებს აქვს დივიდენდების უფლება, მაგრამ არა ხმის უფლება და ისინი ვერ გაიყიდება და ვერ გადაეცემა მესამე მხარეს.

მომსახურების პირობები გულისხმობს სქემის მონაწილის დასაქმების უწყვეტობას, სანამ მათი სრული უფლებების თანდათანობით გადაცემა არ დასრულდება.

2015 წლის აქციებზე მფლობელებს უფლება გადაეცათ 2016 წლის ივლისში. ამ აქციებს სწორედ მაშინ მოეხსნა უფლებების გადაცემისშემდგომი ყველა შეზღუდვა. 2016 წლის ტრანში გაიცა 2017 წლის 27 ივლისს. ამ აქციებს გადაცემისშემდგომ შეზღუდვები მოჰყვება. უფლებაგადაცემული აქციების 50%-ს ეს შეზღუდვა მოეხსნება 2019 წლის ივლისში (შეზღუდვის პირველი პერიოდის დასასრული), 2022 წლის 1 ივლისს (შეზღუდვის მეორე პერიოდის დასასრული) კი გადაცემისშემდგომი შეზღუდვები მთლიანად მოიხსნება (ვადა გაუვა).

2017 წლის მარტში ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა უმაღლესი მენეჯმენტის ახალი საბონუსე სქემა 2017-2021 წლებისთვის და ბანკის უმაღლესი მენეჯმენტის წევრებს 169,000 ახალი აქცია გადასცა, შესაბამისი მომსახურების პირობებით. გადაცემის თარიღად ჯგუფი 2017 წლის 27 მარტს თვლის. თითოეული აქციის სამართლიანი ღირებულება გადაცემის დღეს 12.55 ლარით განისაზღვრა. აქციების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა ბანკის მფლობელებს შორის აქციების შეძენის ტრანზაქციებისთვის დადგენილი ერთი აქციის ფასის მიხედვით.

ახალი სქემის მიხედვით, მენეჯმენტის აქციებზე იგივე შეზღუდვები გავრცელდება. მათი მიღებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში (შეზღუდვის პერიოდი) დირექტორებს არ შეეძლებათ ამ აქციების გაყიდვა. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ, დირექტორებს შეეძლებათ მენეჯმენტის აქციების ნახევრის გაყიდვა. დირექტორების მფლობელობაში მყოფი ყველა მენეჯმენტის აქციის გასხვისება შესაძლებელი იქნება მხოლოდ დირექტორების თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ.

სქემის მთლიანი ხარჯი 2020 წლისთვის 20 ათასი ლარით განისაზღვრა (2019: 483 ათასი ლარი) რაშიც აისახა წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის სქემის 2017-2019 წლების ვალდებულებები. 2020 წელს მარეგულირებლის მიერ დარიცხვებზე შემოღებული შეზღუდვების გამო რეზერვები დროებით შეჩერდა და არ იქნა გათვალისწინებული 2020 წლის ხარჯებისთვის. იხ. განმარტება 39.

სქემის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

ათასი ლარი აქციების რაოდენობის გარდა	**2020**	**2019**
მიუნიჭებელი აქციების რაოდენობა წლის დასაწყისში	**220,000**	**218,000**
გადაცემული აქციები	-	-
ეფექტიანობის პირობების მიხედვით მისანიჭებელი აქციების საპროგნოზო რაოდენობის ცვლილება	(42,000)	2,000
მიუნიჭებელი აქციების რაოდენობა წლის ბოლოს	**178,000**	**220,000**
თითო აქციის ღირებულება გადაცემის დღის მდგომარეობით (ლარში)	12.55	12.55
წილობრივ ინსტრუმენტებზე გაწეული ხარჯი	20	483
წლის განმავლობაში თანამშრომლების ხარჯად აღიარებული ხარჯი	**20**	**483**

წილობრივი გადახდის სქემებში წილობრივი ანგარიშსწორების ნაწილში თანამშრომელთა ხარჯები აღიარებულია შემოსავლის ანგარიშში წრფივი მეთოდით მინიჭების პერიოდის განმავლობაში და შესაბამისი გატარება კეთდება წილობრივი გადახდის რეზერვზე კაპიტალში. კაპიტალში შეტანილი წილობრივი გადახდის რეზერვი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,842 ლარს შეადგენდა (1,822 ლარი 2019 წლის 31 დეკემბერს).

30 კაპიტალის თითოეულ კომპონენტში აღიარებული სხვა სრული შემოსავალი

სხვა სრული შემოსავლის მუხლობრივი ანალიზი კაპიტალის თითოეული კომპონენტისთვის შემდეგია:

ათასი ლარი	განმარტება	შენობა-ნაგებობების გადაფასების რეზერვი	სულ
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი			
სავალო ფასიანი ქაღალდების გადაფასება FVOCI-ით	10	173	173
შენობა-ნაგებობების გადაფასება		838	838
სხვა სრული შემოსავალი სულ		**1,011**	**1,011**

31 საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

ათასი ლარი	2020	2019
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი		
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები AC-ით	102,177	97,080
სავალო ფასიანი ქაღალდები AC-ით	16,953	14,410
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ AC-ით	3,087	3,978
სავალო ფასიანი ქაღალდები FVOCI-ით	864	-
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული მთლიანი საპროცენტო შემოსავალი	**123,081**	**115,468**
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული ფინანსური ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი AC-ით		
სხვა ნასესხები სახსრები	26,712	25,006
ფიზიკურები პირების ვადიანი დეპოზიტები	12,492	10,527
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	9,363	3,274
იურიდიული პირების ვადიანი დეპოზიტები	9,275	9,290
მიმდინარე/საანგარიშსწორებო ანგარიშები	6,979	6,192
სუბორდინირებული სესხები	1,086	368
სხვა ბანკების ვადიანი განთავსებები	866	1,374
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული მთლიანი საპროცენტო ხარჯი	**66,773**	**56,031**
დანაკარგები ფინანსური აქტივების მოდიფიკაციიდან	**1,914**	**-**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**54,394**	**59,437**

32 საკომისიო შემოსავალი და ხარჯი

ათასი ლარი	2020	2019
საკომისიო შემოსავალი		
საკომისიო შემოსავალი რომელიც არ უკავშირდება FVTPL-თი აღრ ფინ ინსტრუმენტებს:		
- გაცემული ფინანსური გარანტიები (განმ 40)	2,532	2,320
- პლასტიკური ბარათების საკომისიოები	1,915	2,556
- ანგარიშსწორების ტრანზაქციები	1,476	1,629
- ტრანზაქციები ნაღდი ფულით	365	535
- გაცემული ეფექტიანობის გარანტიები (Note 40)	247	833
- დისტანციური საბანკო საკომისიოები	123	294
- სხვა	527	232
საკომისიო შემოსავალი სულ	**7,185**	**8,399**
საკომისიო ხარჯი		
საკომისიო ხარჯი რომელიც არ უკავშირდება FVTPL-თი აღრ ფინ ინსტრუმენტებს:		
- პლასტიკური ბარათების საკომისიოები	2,205	2,415
- ანგარიშსწორების ტრანზაქციები	589	612
- ინკასაციის და ტრანზაქციის საკომისიოები	128	135
- გარანტიებთან დაკავშირებული ხარჯები	97	79
- ფაქტორინგული სერვისები	6	92
- სხვა	140	35
საკომისიო ხარჯი სულ	**3,165**	**3,368**
წმინდა საკომისიო შემოსავალი	**4,020**	**5,031**

33 სხვა საოპერაციო შემოსავალი

ათასი ლარი	2020	2019
მოგება დასაკუთრებული ქონების გასხვისებიდან და სარეალიზაციო აქტივებიდან	289	789
შემოსავლები ჯარიმებიდან	836	117
შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან	777	534
შემოსავალი ფასიანი ქაღალდების გასხვისებიდან	-	314
დასაკუთრებული ქონების გაუფასურების ამობრუნება	315	95
სხვა	(250)	89
სხვა საოპერაციო შემოსავალი სულ	**1,967**	**1,938**

34 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ათასი ლარი	Note	2020	2019
თანამშრომელთა კომპენსაცია		17,991	19,703
შენობა-ნაგებობების და მოწყობილობის ცვეთა	18	2,585	2,377
პროფესიული სერვისები		1,869	2,123
კომუნიკაციის და ინფორმაციის სერვისები		1,489	1,121
რეკლამირება და მარკეტინგი		1,346	1,374
გამოყ უფლ მქონე აქტივების ცვეთა	19	1,065	998
რემონტი და შეკეთება		961	639
უსაფრთხოების სერვისები		808	684
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		696	412
დაზღვევა		423	608
დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარის ხარჯი		248	224
საოფისე ინვენტარი		175	339
საოპერაციო იჯარის ხარჯი		155	296
სასამართლო ავანსების და სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურება		66	193
მივლინება და ტრენინგი		48	170
სხვა		1,272	1,181
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები სულ		**31,197**	**32,442**

თანამშრომელთა ხარჯებში შეტანილია 268 ათასი ლარი (2019: 266 ათასი) საპენსიო ანარიცხი.

ჯგუფის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2020 წლის განმავლობაში არის 470 (2019: 484) ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს ინფორმაციას მენეჯმენტის საბჭოს წევრების შესახებ, მათ შორის სამეთვალყურეო საბჭოს და თანამშრომლების შესახებ შესაბამისი პერიოდებისთვის.

	2020		2019	
	ბანკის ცალკე	კონსოლიდ	ბანკოს ცალკე	კონსოლიდ
სამეთვალყურეო საბჭოს წევრები	5	5	5	5
მენეჯმენტის საბჭოს წევრები	7	11	7	12
საშუალო მენეჯმენტის თანამშრომლები	30	36	25	31
სხვა თანამშრომლები	391	418	472	493
დროებითი თანამშრომლები	-	-	1	1
თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა	**433**	**470**	**510**	**542**

თანამშრომელთა ხარჯებში შეტანილია 20 ათასი ლარი (2019: 483 ათასი ლარი), რომელიც წარმოადგენს ჯგუფის პერსონალისთვის უშუალოდ აქციონერების მხრიდან გადახდილ წილობრივ ანაზღაურებას.

საინვესტიციო ქონების (რომელიც გაქირავებიდან შემოსავალს გამოიმუშავებს) პირდაპირი საოპერაციო ხარჯები 2020 წელს 55 ათას ლარს შეადგენდა (2019: 31 ათასი ლარი) და კომუნალური და თანამშრომელთა ხარჯებისგან, ასევე ქონების გადასახადთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ხარჯებისგან შედგებოდა.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პროფესიული სერვისების საკომისიო მოიცავს 400 ათას ლარს აუდიტისთვის და აუდიტორული ფირმის მიერ გაწეული სხვა პროფესიული სერვისებისთვის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (2019: 399 ათასი ლარი). 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკთან დაკავშირებული საკომისიოები შეადგენს 259 ათას ლარს (2019: 345 ათასი ლარი).

35 მოგების გადასახადი

(ა) მოგების გადასახადის ხარჯის კომპონენტები

წლის მოგება-ზარალში აღიარებული მოგების გადასახადი შედგება შემდეგისგან:

ათასი ლარი	2020	2019
მიმდინარე გადასახადი	(245)	(2,400)
გადავადებული გადასახადი	(1,221)	(204)
წლის მიმდინარე გადასახადის ხარჯი	**(1,466)**	**(2,604)**

(ბ) საგადასახადო ხარჯსა და მოგება-ზარალს შორის რეკონსილაცია, გამრავლებული შესაბამის საგადასახადო განაკვეთზე

ჯგუფის 2020 წლის მოგების უმეტეს წილზე ვრცელდება მოგების გადასახადი განაკვეთით 15% (2019: 15%) შვილობილი კომპანიების მოგების უმეტეს წილზე ვრცელდება 15%-იანი საგადასახადო განაკვეთი (2019: 15%). ქვემოთ მოცემულია დაბეგვრის მოსალოდნელ და ფაქტობრივ ხარჯს შორის რეკონსილაცია.

ათასი ლარი	2020	2019
მოგება დაბეგვრამდე	**25,687**	**39,931**
თეორიული საგადასახადო ხარჯი კანონის მიხედვით (2020: 15% 2019: 15%;)	(3,853)	(5,990)
იმ მუხლების საგადასახადო ეფექტი, რომლებიც არაა გაქვითვადი ან შეფასებადი საგადასახადო მიზნებისთვის:		
- შემოსავალი მთავრობის/სებ-ის ფასიანი ქაღალდებისგან და დეპოზიტებისგან	2,612	2,401
- სხვა შემოსავალი რომელიც გათავისუფლებულია გადასახადისგან	148	118
- მოგების მუხლები, რომლებიც მოგება-ზარალში არ არის აღიარებული, მაგრამ საგადასახადო თვალსაზრისით ექვემდებარება დაბეგვრას	(71)	(2)
- სხვა არაგამოქვითვადი ხარჯები	(25)	(1)
საგადასახადო ზარალი რომელიც არ იქნა გადატანილი	(1,106)	-
საგადასახადო კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილების შედეგი	829	870
წლის მოგების გადასახადის ხარჯი	**(1,466)**	**(2,604)**

2020 წლის 31 დეკემბერს ჯგუფმა ჩაწერა შვილობილ კომპანიებში ინვესტიციებთან დაკავშირებული დროებითი განსხვავებების - 7 ათასი ლარის გადავადებული გადასახადის ვალდებულება (2019: 7 ათასი), რადგან ჯგუფს შეუძლია აკონტროლოს ამ დროებითი განსხვავებების ამობრუნების დრო და არ აპირებს პროგნოზირებად მომავალში ამ ამობრუნების გაკეთებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილება შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც 2019 წლის 1 იანვრიდან კომერციული ბანკების და სადაზღვევო ორგანიზაციებისთვის უქმდება პერიოდის მოგების გადასახადი (დივიდენდის ან სხვა ფორმით განაწილებამდე).

2018 წლის 30 მაისს საქართველოს მთავრობამ გამოაცხადა ამ ცვლილებების გადავადება 2023 წლის 1

იანვრამდე. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადავადებული საგადასახადო აქტივები/ვალდებულებები ხელახლა ითვლება იმ რაოდენობებისთვის, რომელთა ათვისებაც მოსალოდნელია 2019 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის დეკემბრამდე პერიოდში.

გ) გადავადებული გადასახადები დროებითი განსხვავების ტიპების მიხედვით

IFRS-სა და საკანონმდებლო საგადასახადო რეგულირებას შორის განსხვავებები იწვევს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას (ფინანსური ანგარიშგების მიზნისთვის) და მათ საგადასახადო ბაზას შორის დროებითი განსხვავებების გაჩენას. ქვემოთ მოცემულია ამ დროებითი განსხვავებების ცვლილების საგადასახადო ეფექტი.

ათასი ლარი	1 იან 2020	მოგებაში ან ზარალში დაკრედიტებული/დარიცხული	დაკრედიტებული/დარიცხული პირდაპირ კაპიტალში	31 დეკ 2020
გამოქვითვადი /(დაბეგვრადი) დროებითი განსხვავებების საგადასახადო ეფექტი				
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა	(1,138)	531	-	(607)
საკრედიტო ზარალის რეზერვი სესხებზე	(1,303)	(1,758)	-	(3,061)
გამოყ უფლ მქონე აქტივები	131	9	-	140
გარანტიების გაუფასურების რეზერვი	(227)	109	-	(118)
ბანკთაშორისი რეზერვი	47	40	-	87
ფას ქაღ დარეზ ამობრუნება	42	(18)	-	24
ნასესხები სახსრები	(407)	99	-	(308)
დარიცხვები	330	(188)	-	142
სხვა	581	(47)	-	534
წილობრივი ინსტრ გადახდა	89	3	-	92
წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	**(1,855)**	**(1,220)**	**-**	**(3,075)**

ჯგუფის მიმდინარე სტრუქტურის და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის კონტექსტში, სხვადასხვა ჯგუფის კომპანიების საგადასახადო დანაკარგები და მიმდინარე საგადასახადო აქტივები შეიძლება არ დაოფსეტდეს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებით და სხვა ჯგუფის კომპანიების დაბეგვრადი მოგებით და, შესაბამისად, გადასახადები შეიძლება დაირიცხოს კონსოლიდირებული საგადასახადო ზარალის შემთხვევაშიც კი. ამიტომ, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ოფსეტდება მხოლოდ მაშინ, როცა ერთსა და იმავე დაბეგვრად ერთეულს და საგადასახადო ორგანოს უკავშირდება.

ათასი ლარი	1 იან 2019	მოგებაში ან ზარალში დაკრედიტებული/დარიცხული	დაკრედიტებული/დარიცხული პირდაპირ კაპიტალში	31 დეკ 2019
გამოქვითვადი /(დაბეგვრადი) დროებითი განსხვავებების საგადასახადო ეფექტი				
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა	(387)	(770)	20	(1,137)
საკრედიტო ზარალის რეზერვი სესხებზე	(1,856)	554	-	(1,302)
აქტ გამოყ უფლ	-	131	-	131
		(102)	-	
გარანტიების რეზერვი	(125)			(227)
ბანკთაშრისი რეზერვი	16	30	-	46
ფას. ქაღ. რეზერვის ამობრუნება	49	(7)	-	42
ნასესხები სახსრები	(284)	(122)	-	(406)
დარიცხვები	250	79	-	329
სხვა	595	(14)	-	581
წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდა	71	18	-	89
წმინდა გადავადებული სადაგასახადო ვალდებულება	**(1,671)**	**(203)**	**20**	**(1,855)**

36 დივიდენდები

ათასი ლარი	2020 ჩვეულებრივი	2019 ჩვეულებრივი
1 იანვარს გადასახდელი დივიდენდები	-	-
წლის განმავლობაში განცადებული დივიდენდები	-	3,729
წლის განმავლობაში გადახდილი დივიდენდები	-	(3,729)
31 დეკემბერს გადასახდელი დივიდენდები	**-**	**-**
წლის განმავლობაში განცხადებული დივიდენდები თითო აქციაზე (ლარი)	**-**	**0.23**

ყველა დივიდენდი დეკლარირებული და გადახდილია ქართული ვალუტით.

37 დაფინანსების საქმიანობისგან წარმოშობილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების ცვლილება წარმოდგენილი პერიოდების მიხედვით. ამ ვალდებულებების მუხლები ის მუხლებია, რომლებიც ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშში „დაფინანსების საქმიანობის“ მუხლშია ასახული.

	ვალდებულებები დაფინანსების საქმიანობიდან			
ათასი ლარი	სხვა ნასესხები სახსრები	სუბორდ ვალი	საოჯახო ვალდებ	სულ
ვალდებულებები დაფინანსების საქმიანობიდან 2019 წლის 1 იანვარს	**345,782**	**-**	**2,541**	**348,323**
ფულადი ნაკადების მოძრაობა	35,012	14,383	(1,250)	48,145
უცხ. ვალუტის კორექტირება	25,170	(332)	115	24,141
სხვა არაფულადი ცვლილებები	22,962	358	2,331	26,463
ვალდებულებები დაფინანსების საქმიანობიდან 2019 წლის 31 დეკემბერს	**428,926**	**14,409**	**3,737**	**447,072**
ფულადი ნაკადების მოძრაობა	(40,299)	(1,221)	(1,394)	(42,914)
უცხ. ვალუტის კორექტირება	61,992	2,094	508	65,251
სხვა არაფულადი ცვლილებები	26,393	1,086	1,961	28,783
ვალდებულებები დაფინანსების საქმიანობიდან 2020 წლის 31 დეკემბერს	**477,012**	**16,368**	**4,812**	**498,192**

38 ფინანსური რისკების მართვა

ჯგუფში ფინანსური რისკების მართვის ფუნქცია ვრცელდება ფინანსურ რისკებზე, ოპერაციულ რისკებსა და იურიდიულ რისკებზე. ჯგუფი, ფინანსურ შედეგებზე, მის გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებსა და რეპუტაციაზე რისკების ზეგავლენის შემცირების მიზნით მართავს რისკების გამოვლენას, შეფასებას და შემსუბუქებას (მიტიგაციას), შიდა მმართველობის პროცესების, რისკების მართვის მექანიზმების და პროცესების საშუალებით.

რისკების მართვის პასუხისმგებლობა ჯგუფის შიგნით ყველა დონეზე ვრცელდება, სამეთვალყურეო საბჭოდან და დირექტორთა საბჭოდან დაწყებული (აღმასრულებელი მენეჯმენტი) თითოეული ფუნქციური ერთეულის მენეჯერით და რისკების ოფიცრით დამთავრებული. რისკების მართვის ფუნქცია რისკების მართვის შემდეგ ფუნქციურ ერთეულებზეა განაწილებული:

- სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე - საბჭოს კომიტეტები: რისკების კომიტეტი და აუდიტის კომიტეტი;
- დირექტორთა საბჭოს დონეზე - დირექტორთა საბჭოს დონის კომიტეტები და ერთეულები: აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO), რისკების მართვის დეპარტამენტი, ხაზინის დეპარტამენტი და საკრედიტო კომიტეტები.

სამეთვალყურეო საბჭოს აკისრია რისკების მართვის მთლიანი ჩარჩოს ზედამხედველობის ზოგადი პასუხისმგებლობა. სამეთვალყურეო საბჭო, როგორც ბანკის მმართველობის უმაღლესი ორგანო, აფასებს ბანკის რისკის პროფილს და ბანკის რისკების მართვის მთლიანი ჩარჩოს ადეკვატურობასა და ეფექტიანობას, რითაც აწესებს რისკების მართვის ზოგად მიდგომას და პრინციპებს. საბჭო ასევე ამტკიცებს ცალკეულ რისკების სტრატეგიებს, ადგენს ბანკის რისკის აპეტიტს და რისკების კონტროლის სისტემას.

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული რისკების მართვის პოლიტიკის დოკუმენტები მოიცავს რისკის ძირითად ტიპების განსაზღვრებას, მენეჯმენტს აკისრებს კონკრეტულ რისკებზე პასუხისმგებლობას და აწესებს მოთხოვნებს შიდა კონტროლის სისტემებზე. რისკების მართვის პოლიტიკის დოკუმენტების მიზანია ჯგუფის წინაშე მდგარი რისკების გამოვლენა, ანალიზი და მართვა, რისკების შესაბამისი ლიმიტების და კონტროლის დაწესება და რისკის დონეების და ლიმიტების დაცვის მუდმივი მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები რეგულარულ გადამუშავებას გადის ბაზრის პირობის ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების ცვლილებების და ახალი საუკეთესო პრაქტიკის ასახვის მიზნით.

დირექტორთა საბჭო თითოეული ბიზნესმიმართულებისთვის განსაზღვრავს ყველა დამახასიათებელი რისკის მართვის შესაბამის პროცედურებს. ამ დროს მისი ამოცანაა ბიზნესის იმგვარი სტრუქტურირება, რომ ასახოს რისკები, უზრუნველყოს მოვალეობათა ადეკვატური გამიჯვნა და ადეკვატური პროცედურების არსებობა, განსაზღვროს დაქვემდებარებულ თანამშრომელთა ოპერაციული მოვალეობები. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია რისკების შემსუბუქების ღონისძიებათა მონიტორინგსა და განხორციელებაზე, ასევე ჯგუფის მუშაობის რისკების დადგენილი პარამეტრების ფარგლებში მიმდინარეობის უზრუნველყოფაზე.

ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის უპირველესი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის პოზიცია ამ ლიმიტების ფარგლებშია. ოპერაციული და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციების მთავარი ამოცანაა შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ოპერაციული და იურიდიული რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.

საკრედიტო რისკი იმართება საკრედიტო კომიტეტების სისტემის საშუალებით როგორც პორტფელის, ისე ტრანზაქციების დონეზე. გადაწყვეტილების მიღების ეფექტიანობის ხელშეწყობის მიზნით, ჯგუფი საკრედიტო კომიტეტების იერარქიას აწესებს, პოზიციის ტიპიდან და სიდიდიდან გამომდინარე.

საბაზრო და ლიკვიდობის რისკებს მართავს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი, ხაზინის დეპარტამენტთან და რისკების მართვის დეპარტამენტთან კოორდინაციით. ხაზინის დეპარტამენტი ფინანსური და არაფინანსური რისკების მონიტორინგს ახორციელებს ოპერაციულ ერთეულებთან რეგულარული შეხვედრების გზით. ამ შეხვედრების დროს ხაზინა თანამშრომლებისგან იღებს ექსპერტულ რეკომენდაციას თავიანთი სფეროების შესახებ, ახორციელებს ლიკვიდობის გეპების, სტრუქტურული საპროცენტო განაკვეთების პოზიციების ყოველდღიურ კონტროლს, და მართავს და აკონტროლებს უცხოური ვალუტის რისკის პოზიციას.

ბანკი ადგენს რისკების აღების და მართვის პრინციპებს, რომლებიც შიდა წესებსა და პოლიტიკის დოკუმენტებშია ასახული და მთელ ორგანიზაციაში თანმიმდევრულად გამოიყენება. ეს ზოგადი პრინციპებია:

- პრუდენციული რისკების აღება რისკების ყოვლისმომცველი შეფასებით და კონტროლის გარემოში;
- მონიტორინგის და ანგარიშგების ადეკვატური და ეფექტიანი სისტემა;
- რისკების სათანადო რაოდენობრივი გამოსახვა სათანადო მეთოდოლოგიის გამოყენებით ბანკის ზომის და კომპლექსურობის შესაბამისად;
- მარეგულირებლის ყველა მოქმედი მოთხოვნის და ინსტრუქციის მიღება და შესრულება და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით;
- რისკების ეფექტიანი მმართველობის განხორციელება რისკების კონტროლის სათანადო იერარქიის შენარჩუნებით, რომელიც, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების მიზნით, დამოუკიდებელია ბიზნეს-საქმიანობისგან;
- რისკების მართვის მოსაზრებათა დაცვა ახალი საქმიანობის, ბიზნესმიმართულების ან პროდუქტების ექსპლუატაციაში გაშვებისას.

როგორც გარე, ისე შიდა რისკის ფაქტორების გამოვლენა და მართვა მთელი ჯგუფის ორგანიზაციული სტრუქტურის შიგნით ხდება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რისკების რუკის შემუშავებას. ასეთი რუკები რისკის ფაქტორების ფართო სპექტრის გამოვლენის საშუალებას იძლევა და კომფორტის იმ დონის განსაზღვრის საფუძველია, რომელსაც რისკების შემსუბუქების არსებული პროცედურები იძლევა.

საკრედიტო რისკი. ჯგუფის წინაშე დგას საკრედიტო რისკი. ეს ის რისკია, როცა ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვერ შეასრულებს მის მოვალეობას, რითაც კონტრაგენტის ფინანსურ ზარალს გამოიწვევს.

საკრედიტო რისკის პოზიცია წარმოიშობა ჯგუფის საკრედიტო საქმიანობის და პარტნიორებთან განხორციელებული სხვა ტრანზაქციების გამო, რაც იწვევს ფინანსურ აქტივების და კრედიტთან დაკავშირებული გარებალანსური ვალდებულებების გაჩენას.

ჯგუფის საკრედიტო რისკის მაქსიმალური პოზიცია აისახება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში, ფინანსური პოზიციის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშებში. საკრედიტო რისკის მაქსიმალური პოზიცია გაცემულ ფინანსურ გარანტიებზე, კრედიტის გაცემის ვალდებულებებზე, აუთვისებელ საკრედიტო ხაზებზე და იმპორტ-ექსპორტის აკრედიტივებზე თავად ვალდებულების ტოლია.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი ჯგუფის საქმიანობასთან ასოცირებული ცალკეული ყველაზე დიდი რისკია. ამიტომ, მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება მის საკრედიტო რისკის პოზიციას.

რისკების მართვის მიზნით საკრედიტო რისკის შეფასება კომპლექსურია და მოითხოვს მოდელების გამოყენებას, რადგან რისკი იცვლება ბაზრის პირობის, მოსალოდნელი ფულადი ნაკადის და დროის გასვლის მიხედვით. აქტივების პორტფელისთვის საკრედიტო რისკის შეფასება მოითხოვს დეფოლტის ალბათობის, მასთან დაკავშირებული ზარალის კოეფიციენტების და მხარეებს შორის დეფოლტის კორელაციების შემდგომ შეფასებას.

ლიმიტები. ჯგუფი მისი საკრედიტო რისკის დონეს ასტრუქტურირებს ერთ მსესხებელთან, ან მსესხებელთა ჯგუფთან და გეოგრაფიულ და დარგობრივ სეგმენტებთან მიმართებაში მიღებული რისკის სიდიდეზე ლიმიტების დაწესებით. ლიმიტებს საკრედიტო რისკის დონეზე პროდუქტებისა და დარგის მიხედვით რეგულარულად ამტკიცებს მენეჯმენტი. ამგვარი რისკები მუდმივად განახლებად მონიტორინგს ექვემდებარება და მათი გადახედვა წელიწადში ერთხელ, ან უფრო ხშირად ხდება.

ჯგუფმა რამდენიმე საკრედიტო კომიტეტი შექმნა, რომლებიც მსესხებელ ფიზიკურ პირებზე საკრედიტო ლიმიტების დამტკიცებაზე არიან პასუხისმგებელი. ზემდგომი საკრედიტო კომიტეტი გადაწყვეტილების მიმღები უმაღლესი ორგანოა, რომელიც პასუხს აგებს მაღალი ღირებულების მქონე ტრანზაქციებზე. კომიტეტი ასევე პასუხისმგებელია უფრო ქვემოთ მდგომი საკრედიტო კომიტეტებისთვის ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების უზრუნველყოფაზე.
ზემდგომი საკრედიტო კომიტეტი იხილავს და ამტკიცებს ლიმიტებს 300 ათას აშშ დოლარზე ზემოთ. დამტკიცება ელექტრონული ფოსტის საშუალებით ხდება, ან საჭიროებისას ტარდება კომისიის სხდომა. კომისია ასევე პასუხისმგებელია შედარებით დაბალი დონის საკრედიტო კომიტეტებისთვის მითითებების მიცემაზე. კომიტეტებს შორის კრედიტების დამტკიცების ლიმიტები ამგვარადაა განაწილებული:

საცალო სეგმენტის დაკრედიტება:

- ზემდგომი საკრედიტო კომიტეტი იხილავს და ამტკიცებს ლიმიტებს 600 ათას ლარზე ზემოთ;
- უმცროსი საკრედიტო კომიტეტები იხილავენ და ამტკიცებენ საკრედიტო ლიმიტებს 300-600 ათას ლარს შორის;
- 300 ათას ლარამდე განაცხადებს ამტკიცებს რისკების მართვის დეპარტამენტი. გამონაკლისებს წარმოადგენს საცალო სესხები 100 ათას ლარამდე, რომლებსაც ამტკიცებს საცალო დაკრედიტების ჯგუფი.

ბიზნეს-სეგმენტის დაკრედიტება:

- ზემდგომი საკრედიტო კომიტეტი იხილავს და ამტკიცებს ლიმიტებს 600 ათას დოლარზე ზემოთ;
- უმცროსი საკრედიტო კომიტეტები იხილავენ და ამტკიცებენ საკრედიტო ლიმიტებს 300-600 ათას დოლარს შორის და ყოველკვირეულ შეხვედრებს მართავენ;
- 300 ათას დოლარამდე განაცხადებს ამტკიცებს რისკების მართვის დეპარტამენტი.

საკრედიტო განაცხადები, რომლებიც შესაბამისი კლიენტთან ურთიერთობის მენეჯერებისგან შემოდის, საკრედიტო ლიმიტის დასამტკიცებლად გადაეცემა შესაბამის საკრედიტო კომიტეტს. საკრედიტო რისკის პოზიცია, ასევე ნაწილობრივ იმართება უზრუნველყოფის და კორპორაციული და პირადი გარანტიების მიღებით. საკრედიტო რისკის პოზიციის მონიტორინგის მიზნით, ფინანსური ანგარიშგების და რისკების დეპარტამენტების შესაბამისი თანამშრომლები ამზადებენ რეგულარულ ანგარიშებს. ეს ანგარიშები კლიენტის ბიზნესის და ფინანსური მდგომარეობის სტრუქტურირებულ ანალიზს ეფუძნება. იმ კლიენტთან რაიმე სახის ურთიერთქმედების ფაქტი, რომლის

გადახდისუნარიანობაც უარესდება, მოეხსენება რისკების კომიტეტს და დირექტორთა საბჭოს და განიხილება მათ მიერ.

საკრედიტო რისკების კლასიფიკაციის სისტემა. საკრედიტო რისკის გაზომვის და საკრედიტო რისკის სიდიდის მიხედვით ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციის მიზნით, ჯგუფი იურიდიული პირებისთვის იყენებს შიდა სარეიტინგო სისტემას, ან საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების (Standard & Poor's - "S&P", Fitch, Moody's) მიერ დადგენილ რისკების კლასიფიკაციას, ბანკთაშორისი პოზიციებისთვის, ფასიანი ქაღალდებისთვის და სხვა ფინანსური აქტივებისთვის.

შიდა და გარე საკრედიტო რეიტინგები ერთმანეთთან შესაბამისობაშია მოყვანილი ბანკის შიგნით დადგენილი მთავარი შკალის მიხედვით, სადაც საკრედიტო რისკის კონკრეტული კატეგორიას შეესაბამება დეფოლტის ალბათობის კონკრეტული დიაპაზონი, როგორც ამ ცხრილითაა ნაჩვენები:

მთავარი შკალა საკრედიტო რისკის კატეგორია	კორპორაციული შიდა რეიტინგი	საერთაშორისო სააგენტოების შესაბამისი საერთ. რეიტინგები (Fitch)	დეფოლტის ალბათობის ინტერვალის შესაბამისი საერთაშორისო რეიტინგი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით (Fitch)
ძალიან კარგი	1 – 2	AAA to BB+	0,01% - 0,3%
კარგი	3 – 4	BB to B+	0,31% -2,06%
დამაკმაყოფილებელი	5 – 6	B, B-	2,07% - 2,95%
სპეც. მონიტორინგს დაქვ.	7 – 8	CCC+ to CC-	2.96% - 99,9%
დეფოლტი	9	C, D-I, D-II	100%

თითოეული სესხისთვის ხდება საკრედიტო რისკის კატეგორიის განსაზღვრა გადახდისუნარიანობის შესაბამისად, საკრედიტო რისკის კატეგორიის განმსაზღვრელ მთავარ შკალაზე.

ძალიან კარგი - კრედიტის მაღალი ხარისხი დაბალი მოსალოდნელი საკრედიტო რისკით;

კარგი - კრედიტის ადეკვატური ხარისხი ზომიერი საკრედიტო რისკით;

დამაკმაყოფილებელი - კრედიტის ზომიერი ხარისხი დამაკმაყოფილებელი საკრედიტო რისკით;

სპეციალურ მონიტორინგს დაქვემდებარებული - კრედიტი, რომელიც უფრო ყურადღებით მონიტორინგს და გამოსასწორებელ ქმედებას მოითხოვს

დეფოლტი - კრედიტი, რომელზეც მოხდა დეფოლტი.

მიდგომა, რომელსაც ჯგუფი იურიდიულ პირებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის გასაზომად იყენებს, ექსპერტულ რეკომენდაციაზე დაყრდნობით შემუშავებული შიდა მოდელია, რომელიც მსესხებელს საკრედიტო რეიტინგს ანიჭებს სხვადასხვა ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების მიხედვით. რეიტინგების მინიჭება ხდება საკრედიტო რისკის ოფიცრების მიერ, რომელსაც შემდეგ საკრედიტო რისკის კომიტეტის წევრები იხილავენ სესხის დამტკიცების პროცესში.

ის პოზიციები, რომელთაც შიდა რეიტინგი არ აქვს მინიჭებული, საკრედიტო რისკის მიხედვით კლასიფიცირდება, სხვადასხვა რაოდენობრივი და ხარისხობრივი კრიტერიუმის გამოყენებით, ესენია: ვადაგადაცილების დღეები, რესტრუქტურიზაცია, უზრუნველყოფის არსებობა.

საკრედიტო რისკის კატეგორია	კრედიტის ხარისხის კრიტერიუმები
ძალიან კარგი	ვადაგადაცილება არ არის; მთლიანად დაფარულია დეპოზიტის, ძვირფასი ლითონის ან მთავრობის გარანტიით.
კარგი	ვადაგადაცილება არ აღემატება 31 დღეს ბოლო 12 თვის განმავლობაში და სესხს სრულად ფარავს უზრუნველყოფა (დეპოზიტი ან უძრავი ქონება);
დამაკმაყოფილებელი	ბოლო 12 თვის განმავლობაში ვადაგადაცილება არ აღემატება 31-60 დღეს. ან თუ სესხი რესტრუქტურიზებული იქნა, ეს ერთ წელზე დიდი ხნის წინ მოხდა და მიმდინარე ვადაგადაცილება 31 დღეზე ნაკლებია.
განსაკ. მონიტ.	ბოლო 12 თვის განმავლობაში ვადაგადაცილება არ აღემატებოდა 61-90 დღეს. ან თუ სესხი რესტრუქტურიზებული იქნა, ეს ერთ წელზე დიდი ხნის წინ მოხდა და მიმდინარე ვადაგადაცილება 31-90 დღეა.
დეფოლტი	სესხმა ბოლო 12 თვის განმავლობაში განიცადა რესტრუქტურიზაცია ან ბოლო 12 თვის განმავლობაში მინიმალური ვადაგადაცილება 90 დღეა.

საერთაშორისო რეიტინგები მხარეებს ისეთი დამოუკიდებელი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მიენიჭება, როგორიცაა S&P, Moody's და Fitch. რეიტინგების შესახებ ინფორმაცია საჯაროა. ეს რეიტინგები და დეფოლტის ალბათობის შესაბამისი დიაპაზონი შემდეგ ფინანსურ ინსტრუმენტებზე ვრცელდება: ბანკთაშორისი განთავსებები, სახელმწიფო დაწესებულებებზე და მათ დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციებზე გაცემული სესხები და ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდები (სახელმწიფოს, კორპორაციების ფასიანი ქაღალდები, მუნიციპალური ობლიგაციები, ევრობონდები და შესყიდული სავალო ვალდებულებები).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. ECL ფულადი ნაკადების სამომავლო დანაკლისის დისკონტირებული ღირებულების ალბათობის მიხედვით შეწონილი შეფასებაა. (ანუ, საკრედიტო დანაკარგების საშუალო შეწონილი, იმ რომელიც დროის მოცემულ პერიოდში შეიძლება მოხდეს და შეწონილია ამ დანაკარგების მოხდენის ალბათობით). ECL მიდგომა მიუკერძოებელია და განისაზღვრება ყველა შესაძლო შედეგის დიაპაზონის შეფასებით. ECL შეფასების მიდგომისთვის ჯგუფი იყენებს ოთხ კომპონენტს, ესენია: დეფოლტის ალბათობა (PD), პოზიცია დეფოლტის შემთხვევაში (EAD), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) და დისკონტის განაკვეთი.

EAD მეთოდი პოზიციას აფასებს მომავალში მოსახდენი დეფოლტის თარიღით და ითვალისწინებს პოზიციაში მოსალოდნელ ცვლილებებს საანგარიშო პერიოდის შემდგომ, მათ შორის ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვას და დამტკიცებული ლიმიტებიდან მოსალოდნელ გატანებს. EAD სესხებთან დაკავშირებულ ვალდებულებებში ფასდება კრედიტის კონვერსიის ფაქტორის (CCF) გამოყენებით. CCF არის კოეფიციენტი, რომელიც აჩვენებს დამტკიცებული ლიმიტების საბალანსო პოზიციად გარდაქმნის ალბათობას განსაზღვრულ პერიოდში. მონაცემთა შეზღუდულობის გამო, ჯგუფი თვლის, რომ CCF არის 100%. დეფოლტის ალბათობა PD დეფოლტის შესაძლებლობის წინასწარი შეფასებაა, რომელიც დროის მოცემულ პერიოდში შეიძლება მოხდეს. LGD იმ ზარალის წინასწარი შეფასებაა, რომელსაც დეფოლტის დროს ექნება ადგილი. ის ეფუძნება სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, მათ შორის უზრუნველყოფის რეალიზიციიდან მისაღებ, შორის განსხვავებას. როგორც წესი, ის გამოისახება EAD-ის პროცენტის სახით. საანგარიშო პერიოდის ბოლოს გამოითვლება მოსალოდნელი დანაკარგების მიმდინარე ღირებულება, რომლის დროსაც დისკონტის განაკვეთის როლში გამოიყენება ფინანსური ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) ან მისი მიახლოებითი შეფასება.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მოდელირება ხდება ინსტრუმენტის არსებობის მთელ პერიოდზე. *ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მთელი პერიოდი* უდრის სავალო ინსტრუმენტების ვადიანობამდე დარჩენილ სახელშეკრულებო პერიოდს. ამჟამად ბანკი არ ახდენს ECL-ის კორექტირებას მოსალოდნელი წინასწარი დაფარვების მიხედვით, მაგრამ მის ზეგავლენას არაარსებითად არის შეფასებული. სასესხო ვალდებულებების და ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებისთვის

არსებობის რული პერიოდი ის სახელშეკრულებო პერიოდია, რომლის განმავლობაშიც დაწესებულებას აქვს მიმდინარე სახელშეკრულებო ვალდებულება კრედიტის გაცემაზე. არსებობის მთელი პერიოდის პოზიციის განსაზღვრისთვის, ჯგუფი გამონაკლისის სახით, იყენებს გამარტივებულ მიდგომას ფიზიკურ პირებზე გაცემულ ბარათებთან მიმართებაში. ამ ინსტრუმენტებისთვის მაქსიმალურ არსებობის მთელ პერიოდად აღებულია 5 წელი (მაქსიმალური ნებადართული ვადიანობა არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო კრედიტებისთვის), ECL კი ყოველთვის იზომება არსებობის მთელ პერიოდში მოსალოდნელი დანაკარგების მიხედვით.

მენეჯმენტი ახდენს *არსებობის მთელი პერიოდის ECL-ის* მოდელირებას, ანუ იმ დანაკარგების, რომლებიც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის დარჩენილ პერიოდში შესაძლო დეფოლტის შედეგად წარმოიშობა. *12 თვის ECL* არის არსებობის მთელი პერიოდის ECL-ის ნაწილი, რომელიც ფინანსურ ინსტრუმენტს წარმოეშობა დეფოლტის მოვლენებისგან, რომლებიც შესაძლებელია საანგარიშო პერიოდის გასვლიდან 12 თვის განმავლობაში მოხდეს, ან ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის დარჩენილი პერიოდი, თუ ის ერთ წელზე ნაკლებია.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებისთვის შეფასებული ECL-ი, დროის პერიოდის შეფასებებია და არა მთელი ციკლის, რაც, როგორც წესი, საზედამხედველო მიზნებისთვის გამოიყენება. ეს შეფასებები ითვალისწინებს *საპროგნოზო ინფორმაციას,* ანუ ECL-ი ასახავს საკრედიტო რისკზე ზეგავლენის მქონე მთავარი მაკროეკონომიკური ცვლადების ალბათობის მიხედვით შეწონილ განვითარებას.

დეფოლტის ალბათობის განსაზღვის მიზნებისთვის, ჯგუფი დეფოლტს განსაზღვრავს, როგორც სიტუაციას, როცა პოზიცია აკმაყოფილებს ერთ ან მეტ ქვემოთ მოყვანილ კრიტერიუმს:

- 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება
- პრობლემური რესტრუქტურიზაცია (პოზიცია არის გადახდისუუნარო)
- გადახდისუუნარობა, რაც კონტრაგენტის შიდა რეიტინგით გამოიხატება.

თუ კონტრაგენტის დონეზე დამატებითი ინფომაცია არაა ხელმისაწვდომი, როგორც წესი, მხოლოდ 90 დღის ვადაგადაცილება და პრობლემური რესტრუქტურიზაცია მიიჩნევა საცალო მსესხებლების დეფოლტის ინდიკატორებად.

ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერუმების გარდა, ჯგუფი დეფოლტად ჩათვლის, ანუ მესამე ეტაპს მიაკუთვნებს, სადაც შესაძლებელია, შემდეგ შემთხვევებში:

- გარანტიის გამოთხოვა
- ნაწილობრივი ჩამოწერა
- კონკრეტული პორტფელებს ან სეგმენტებს, გლობალური მაკროენომიკური ცვლილებების შემთხვევაში, რომლებსაც ნეგატიური ზეგავლენა ექნება აღნიშნულ სეგმენტებზე;

ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გარდა, მნიშვნელოვნების ზღვარს ზემოთ მყოფ კონტრაგენტთა ინდივიდუალური შეფასების შემთხვევაში, კონტრატენტის გადახდისუუნაროდ აღიარებისთვის, ბანკი აანალიზებს მთელ რიგ ხარისხობრივ ფაქტორებს. ქვემოთ ჩამოთვლილი სია არ არის ამომწურავი:

- მსესხების მუდმივი შემოსავლის წყაროები აღარ იარსებებს ბაზრის გაქრობის გამო, რაც მსესხებლის გაყიდვების შემცირებას გამოიწვევს.
- სხვა კრედიტორებისთვის გადახდების შეფერხებები;
- მსესხებლის მნიშვნელოვანი აქტივების გაყიდვა ზარალით;
- მნიშვნელოვანი ხელშეკრულების (კლიენტის ან მიმწოდებლის) შეწყვეტა, რომელიც

შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილის წყაროა ან წარსულში გაკეთებული შესყიდვები;

- ხელშეკრულების ან საკრედიტო ხელშეკრულების პირობების (კოვენანტების) დარღვევა;
- სასამართლო საქმის დაწყება, რომელმაც ფულადი სახსრების მნიშვნელოვანი გადინება შეიძლება გამოიწვიოს;
- ჩნდება იმის ალბათობა, რომ მსესხებელი გადავა გაკოტრების რეჟიმში ან სხვა ფინანსურ რეორგანიზაციას განიცდის;
- სექტორის კრიზისი, როცა კონტრაგენტი სექტორში სუსტი პოზიციის მქონე კონტრაგენტთან კომბინაციაში ოპერირებს.

ინსტრუმენტი დეფოლტის აღარმქონედ (ანუ გაჯანსაღებულად) ითვლება, როცა ზედიზედ თორმეტი თვის განმავლობაში აღარ აკმაყოფილებს დეფოლტის არცერთ კრიტერიუმს. ეს თორმეტ თვიანი პერიოდი ექსპერტული დასკვნით განისაზღვრა, იმ ანალიზის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მდგომარეობაში დაბრუნების ალბათობას გაჯანსაღების შემდეგ, გაჯანსაღების სხვადასხვა შესაძლო დეფინიციების გამოყენებით.

იმის შეფასება, მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ ხდება თითოეული პოზიციისთვის პორტფელის მიხედვით. კორპორაციებზე გაცემული სესხებისთვის, ბანკთაშორისი სესხებისთვის და სავალო ფასიანი ქაღალდებისთვის AC (ამორტიზებული ღირებულება)-ით, ან FVOCI (სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავლის საშუალებით)-ით, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა (SICR) ფასდება ინდივიდუალურად ქვემოთ მოყვანილი მიზეზების მონიტორინგის საშუალებით. ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებისთვის და სხვა ფინანსური აქტივებისთვის SICR ფასდება პორტფელის მიხედვით, მაგრამ საბოლოოდ SICR ცალკეულ სესხს ენიჭება და არა მსესხებლის ყველა სესხს. ბანკის რისკების მართვის დეპარტამენტი პერიოდულად მონიტორინგს უწევს SICR-ის გამოვლენის კრიტერიუმებს და განიხილავს მათ შესაბამისობას და სათანადოობას. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ უპირობოდ აქვს ადგილი, როცა ფინანსური აქტივები 30 დღეზე მეტადაა ვადაგადაცილებული.

ჯგუფი იყენებს დაბალი საკრედიტო რისკის ფინანსური აქტივების დეფინიციას. ბანკი ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ აქტივებს გარე რეიტინგით, რომელიც შეესაბამება „საინვესტიციო“კატეგორიის (მაგალითად AAA-დან BBB-ის ჩათვლით Standard & Poor's-ის სარეიტინგო სისტემის მიხედვით ან Moody's-ის შესაბამისად) საანგარიშო თარიღის მდგომარეობით დაბალი საკრედიტო რისკი აქვს. ჯგუფი საანგარიშო თარიღის მდგომარეობით არ იყენებს დაბალი რისკის შეფასების გამონაკლისს.

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტს SICR-ის მქონედ მიიჩნევს, როცა ის აკმაყოფილებს შემდეგ ერთ ან მეტ რაოდენობრივ და ხარისხობრივ ან საყრდენ კრიტერუმებს.

ბანკთაშორისი ოპერაციებისა და ბონდებისთვის:

- ვადაგადაცილებულია 30- ზე მეტი დღით;
- ზემოთ მოცემული სარეიტინგო შკალით მინიჭებული აქვს „სპეციალურ მონიტორინგს დაქვემდებარებულის“ შესაბამისი რისკის საერთაშორისო რეიტინგი.

იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების და კორპორაციული კლიენტების მიერ გამოშვებული ობლიგაციებისთვის:

- ვადაგადაცილებულია 30-ზე მეტი დღით;
- რესტრუქტურიზაცია (თუ პოზიცია არაა გადახდისუუნარო)

- შიდა რეიტინგის ცვლილება, რომელიც „ძალიან კარგის“ ან „კარგის“ კატეგორიიდან „დამაკმაყოფილებლის“ ან „სპეციალურ მონიტორინგს დაქვემდებარებულისკენ“ ჩამოსვლის შესაბამისია;

ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებისთვის:

- ვადაგადაცილებულია 30-ზე მეტი დღით;
- რესტრუქტურიზაცია (თუ პოზიცია არ არის გადახდისუუნარო)
- არსებობის მთელი პერიოდის დეფოლტის ალბათობის მნიშვნელოვანი ზრდა, რომელიც აღემატება საცალო პორტფელის წინასწარ დადგენილ აბსოლუტურ და შედარებით ზღვარს.

ECL-ის ის დონე, რომელიც ამ ფინანსურ ანგარიშგებაშია აღიარებული, იმაზეა დამოკიდებული, მსესხებლის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ეს მოდელი გულისხმობს ბანკის აქტივების კლასიფიკაციას სამ ეტაპად.. ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული და რომლის საკრედიტო რისკიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვი, რომელიც 12 თვის ECL-ებზეა აგებული (ეტაპი 1). თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ დადგინდა SICR, ფინანსური ინსტრუმენტი გადაინაცვლებს მეორე ეტაპზე, მაგრამ ის ჯერ არ არის აღიარებული საკრედიტო რისკით გაუფასურებულად და მისი ზარალის რეზერვი არსებობის მთელი პერიოდის ECL-ებზეა აგებული. თუ ფინანსური ინსტრუმენტი საკრედიტო რისკითაა გაუფასურებული, ის მესამე ეტაპზე გადადის და მისი ზარალის რეზერვი არსებობის მთელი პერიოდის ECL-ებზეა აგებული. აქტივის მესამე ეტაპზე კლასიფიკაციის შედეგი ისაა, რომ ბანკი წყვეტს საპროცენტო შემოსავლის აღიარებას ბრუტო საბალანსო ღირებულების საფუძველზე და საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისას აქტივის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს საბალანსო ღირებულებას არიცხავს, ECL-ის გამოკლებით.

თუ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ SICR კრიტერიუმები აღარ კმაყოფილდება, ინსტრუმენტი ისევ პირველ ეტაპზე გადადის. თუ პოზიცია მეორე ეტაპზე გადავიდა ხარისხობრივი ინდიკატორის საფუძველზე, ჯგუფი აკვირდება, კიდევ არსებობს ეს ინდიკატორი თუ შეიცვალა. ეს განსაკუთრებით ეხება იმ პორტფელებს, რომლებიც მეორე ეტაპს მიეკუთვნება საყურადღებო სიის სტატუსის გამო. ამ პორტფელებს რეგულარული, სულ მცირე ყოველწლიური მონიტორინგი უტარდება, რომლის დროსაც გათვალისწინებული ECL შეფასებების ბოლო მოვლენები.

POCI ტიპის ფინანსური აქტივებისთვის ECL ყოველთვის იზომება არსებობის მთელი პერიოდისთვის. ამიტომ, ჯგუფი აღიარებს მხოლოდ არსებობის მთელი პერიოდისთვის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების კუმულატიურ ცვლილებებს.

ჯგუფი ინდივიდუალურად აფასებს შემდეგი ტიპის სესხებს: უნიკალური საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე სესხებს, ცალკეულ მნიშვნელოვან სესხებს, ანუ 2 მილიონ ლარზე ზემოთ ცალკეულ პოზიციებს. ეს ზღვარი დაწესდა ექსპერტული გადაწყვეტილებით და გათვალისწინებული იქნა ბანკის პორტფელის მიმდინარე სტრუქტურა. მისი გადახედვა მხოლოდ პორტფელის მოცულობის და სტრუქტურის მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაშია შესაძლებელი.

ჯგუფი პორტფელის მიხედვით აფასებს შემდეგი ტიპის სესხებს: საცალო სესხებს და კორპორაციულ მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემულ სესხებს, როცა პოზიცია მნიშვნელოვნების ზღვარს ქვემოთაა. ამ მიდგომის თანახმად, სესხების ჯგუფები კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით ჰომოგენურ ქვესეგმენტებადაა დაჯგუფებული, მაგალითად პროდუქტების ტიპების, დანაკარგების ისტორიული მონაცემების, ადგილმდებარეობის, საქმიანობის სექტორების, სესხის ვალუტის და ა.შ.

ბანკთაშორისი სესხების, ბანკების მიერ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების და სახელმწიფო დაწესებულებებზე გაცემული სესხების შეფასებებს ჯგუფი ახდენს საერთაშორისო რეიტინგების

საფუძველზე.

ECL ინდივიდუალური შეფასება ხდება საკრედიტო დანაკარგების პროგნოზების სხვადასხვა შესაძლო შედეგის შეწონით თითოეული შედეგის ალბათობებით.. ჯგუფი თითოეული შეფასებული სესხისთვის სულ მცირე ორ შესაძლო შედეგს განსაზღვრავს, რომელთაგან ერთი სრულ საკრედიტო ზარალს იწვევს, თუმცა ასეთი ზარალის ალბათობა მეტად მცირე შეიძლება იყოს. ინდივიდუალური შეფასება ძირითადად საკრედიტო რისკების და პრობლემური აქტივების მართვის დეპარტამენტების გამოცდილი თანამშრომლების ექსპერტულ დასკვნას ეფუძნება, საკრედიტო ექსპერტების მხარდაჭერით, რომლებიც მსესხებლის შესახებ ინფორმაციის პირველადი წყარო არიან. ექსპერტული დასკვნა რეგულარულ ტესტირებას გადის წინასწარ შეფასებასა და ფაქტობრივ დანაკარგებს შორის განსხვავების შესამცირებლად.

როცა შეფასება პორტფელის მიხედვით ტარდება, ჯგუფი განსაზღვრავს პოზიციების ეტაპებს და კოლექტიურად ადგენს დანაკარგების რეზერვს. ჯგუფი პოზიციებს აანალიზებს სეგმენტების მიხედვით, რომლებიც საერთო საკრედიტო რისკების მახასიათებლების მიხედვით დგინდება, ისე რომ ჯგუფის შიგნით პოზიციებს ჰომოგენური ან მსგავსი რისკები აქვს. ის ძირითადი საერთო საკრედიტო მახასიათებლები, რომლებიც მხედველობაში მიიღება, შემდეგია: კლიენტის ტიპი (საბითუმო თუ საცალო), პროდუქტის ტიპი, თავდაპირველი აღიარების თარიღი, ვადიანობამდე დარჩენილი დრო და ა.შ. სხვადასხვა სეგმენტი ასევე ასახავს განსხვავებებს საკრედიტო რისკების ისეთ პარამეტრებში, როგორებიცაა დეფოლტის ალბათობა და LGD (ზარალი დეფოლტის შემთხვევაში). აქტივების ჰომოგენურ ჯგუფებად დაჯგუფების სათანადოობას პერიოდულად აკვირდება და განიხილავს რისკების მართვის დეპარტამენტი.

ზოგადად ECL მიიღება საკრედიტო რისკების შემდეგი პარამეტრების გამრავლებით: EAD, PD და LGD, რომელთა განმარტებებიც ზემოთაა მოცემული. აღნიშნული პარამეტრების კალკულაციასას, დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირებისთვის გამოიყენება ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. ECL განისაზღვრება საკრედიტო რისკების პარამეტრების (EAD, PD და LGD) პროგნოზირებით თითოეული მომავალი კვარტლისთვის თითოეული ინდივიდუალური პოზიციის ან კოლექტიური სეგმენტის არსებობის მთელი პერიოდისთვის. ეს სამი კომპონენტი მრავლდებაერთმანეთზე.. ამგვარად ხდება ECL-ის გამოთვლა თითოეული სამომავლო პერიოდისთვის. შემდეგ ის დისკონტირდება საანგარიშო თარიღის მდგომარეობით და ჯამდება. ECL-ის გაანგარიშებაში გამოყენებული დისკონტური განაკვეთი თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ან მისი მიახლოებითი შეფასებაა.

საკრედიტო რისკების პარამეტრების გაანგარიშების ძირითადი პრინციპები. EAD განისაზღვრება მსესხებლის მიერ 12 თვიანი ან არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში სახელშეკრულებო დაფარვების საფუძველზე შედგენილი მოსალოდნელი გადახდის პროფილის მიხედვით. ყოველთვიური გრაფიკის არმქონე ინსტრუმენტებზე გადახდის პერიოდულობის შესახებ არსებული არასაკმარისი მონაცემების გამო, მთელი კორპორატიული/მცირე და საშუალო ბიზნესის პორტფელისთვის პირობითი 30-დღიანი გრაფიკი იქნა გამოყენებული. ამ გამარტივების გავლენა არაარსებითად ჩაითვალა. ამჟამად ჯგუფი ECL შეფასებაში არ ითვალისწინებს ადრეული დაფარვის ან რეფინანსირების ფაქტორებს (გავლენა უმნიშვნელოდ იქნა მიჩნეული). მუდმივად განახლებად პროდუქტებზე, როგორიცაა ოვერდრაფტები და საკრედიტო ბარათები, EAD პროგნოზი იღებს მიმდინარე ათვისებულ ნაშთს და რომელსაც მიუყენებს „კრედიტის კონვერსიის ფაქტორს“, რომელიც დეფოლტის დროისათვის დარჩენილი ლიმიტის სიდიდის მოსალოდნელ ათვისებას შეესაბამება.. CCF 100%-ად ითვლება საცალო და კორპორაციული საკრედიტო ბარათების და ოვერდრაფტებისთვის. CCF-ისგან განსხვავებით, რომელიც საკრედიტო ბარათების და ოვერდრაფტებისთვის გამოიყენება, „სარგებლიანობის კოეფიციენტი“ იანგარიშება და განახლდება თითო საანგარიშო პერიოდისთვის დამტკიცებული მაგრამ აუთვისებელი ლიმიტებისთვის კორპორაციულ და მცირე და საშუალო საწარმოების პოზიციებისთვის. სარგებლიანობის კოეფიციენტი არის დარჩენილი ლიმიტის სიდიდის მოსალოდნელი შემცირება იმ დროისთვის, როცა კონტრაგენტი დეფოლტშია და იანგარიშება წარსული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, ანუ ისტორიული მონაცემების საფუძველზე კორპორაციულ და

მცირე და საშუალო საწარმოების პოზიციებზე დეფოლტის დროს არსებული დარჩენილი აუთვისებელი ლიმიტით.

ECL-ების გაანგარიშებისას ორი ტიპის დეფოლტის ალბათობა გამოიყენება: 12-თვიანი და არსებობის მთელი პერიოდის დეფოლტის ალბათობა. 12-თვიანი დეფოლტის ალბათობის შეფასება ეფუძნება ყველაზე ახალი ისტორიული დეფოლტის მონაცემებს და კორექტირდება საპროგნოზო ინფორმაციით, სადაც შესაძლებელია. არსებობის მთელი პერიოდის დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს დეფოლტის იმ სავარაუდო ალბათობას, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის დარჩენილ პერიოდში ხდება და ინსტრუმენტის არსებობის პერიოდის 12-თვიანი დეფოლტის ალბათობების ჯამია. ჯგუფი არსებობის მთელი პერიოდის დეფოლტის ალბათობის გაანგარიშებისთვის სხვადასხვა სტატისტიკურ მეთოდს იყენებს სეგმენტიდან და პროდუქტის ტიპიდან გამომდინარე, მაგალითად 12-თვიანი დეფოლტის ალბათობების ექსტრაპოლაციის მეთოდს, რომელიც კორპორაციული და მცირე და საშუალო ბიზნესსესხების მიგრაციის მატრიცაზეა აგებული. ჯგუფი დეფოლტის ალბათობის მრუდს ქმნის საცალო სესხების დეფოლტზე ისტორიული მონაცემების მიხედვით.

LGD წარმოადგენს გადეფოლტებულ პოზიციაზე მიღებული ზარალის მოსალოდნელ სიდიდეს. ჯგუფი ამჟამად LGD-ის გასაზომად იყენებს მიდგომას, რომელიც სამ ეტაპად შეიძლება დავყოთ:

- LGD-ის გაანგარიშება პორტფელის მიხედვით, ამოღების სტატისტიკაზე დაყრდნობით; LGD1 - ამოღება მხოლოდ კლიენტის მიერ ფულის გადახდის შედეგად
- LGD-ის გაანგარიშება უზრუნველყოფის სპეციფიკური მახასიათებლების მიხედვით. LGD2 - მოსალოდნელი ამოღება სპეციფიკური უძრავი ქონების უზრუნველყოფის მიხედვით, სადაც გაითვალისწინება: უზრუნველყოფის საპროგნოზო ღირებულება, ურზრუნველყოფის გაყიდვისას რეალუზებული ისტორიული დისკონტები და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე მოქმედი სხვა ფაქტორები, ფულიდა სხვა ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფა;
- საბოლოო LGD =LGD1*LGD2

ჯგუფის ასეთი მიდგომის ლოგიკა იმ დაკვირვებას ემყარება, რომ დეფოლტის შემდეგაც კი, გადეფოლტებული პოზიციის გარკვეული ნაწილი მსესხებლის მიერ განხორციელებული ფულადი გადახდის შედეგად იფარება, უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე. შესაბამისად, უზრუნველყოფის რეალიზაციით იფარება დარჩენილი გადეფოლტებული ვალდებულება, მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მსესხებელი გადახდის ყველა საშუალებას ამოწურავს. LGD კოლექტიურად იანგარიშება კორპორაციული/მცირე და საშუალო ბიზნეს სესხების პორტფელის და საცალო ჰომოგენური პორტფელების დარჩენილი ნაწილის ამოღების ბოლო სტატისტიკაზე დაყრდნობით.

ჯგუფი საბოლოო შეფასებულ LGD-ს მიუყენებს LGD-ს მინიმალურ ზღვარს. ამ ექსპერტული კორექტირების ლოგიკური დასაბუთება არის დაკვირვება, რომ არსებობს გარკვეული გარემოებები, რომლების მოდელირება ვერ ხერხდება ყველაზე პესიმისტურ სცენარშიც კი, რომლებიც საბოლოო ჯამში შეიძლება დასრულდეს საკრედიტო ზარალით უზრუნველყოფის კარგი კოეფიციენტის მქონე სესხებისთვისაც კი. შესაბამისად ჯგუფი იყენებს LGD მინიმალურ ზღვარს, როგორც მენეჯმენტის ექსპერტულ კორექტირებას LGD მოდელზე. ეს ზღვარი ექვემდებარება მუდმივ ბექ-ტესტს და მონიტორინგს. ECL სენსიტიურობა LGD მინიმალური ზღვრის მიმართ მოცემულია მე-0 განმარტებაში.

ECL-ის გაანგარიშება ფინანსური გარანტიების და სასესხო ვალდებულებებისთვის. ამ ინსტრუმენტებისთვის ECL გაანგარიშება მოიცავს იმავე ეტაპებს, რაზეც ზემოთ საბალანსო პოციზიებზე ვისაუბრეთ, განსხვავდება მხოლოდ EAD გაანგარიშება. EAD კრედიტის კონვერსიის ფაქტორის (CCF) და ვალდებულების სიდიდის პროდუქტია (ExOff). CCF კორპორაციული კლიენტების აუთვისებელ საკრედიტო ხაზებზე, ფიზიკურ პირებზე გაცემულ საკრედიტო ბარათებზე და ფინანსურ გარანტიებზე განისაზღვრება დეფოლტის დროს არსებული წარსული პოზიციების სტატისტიკური ანალიზის შედეგად. CCF ოვერდრაფტებისთვის განისაზღვრება 100%-ით, რადგან კლიენტს ნებისმიერ დროს შეუძლია ლიმიტების გამოყენება.

საერთაშორისო რეიტინგების მიხედვით გაანგარიშების პრინციპები. გარკვეულ პოზიციებს აქვს საერთაშორისო საკრედიტო რისკის რეიტინგები. ისინი საკრედიტო რისკების პარამეტრების, დეფოლტის ალბათობის (PD) და LGD-ის გაანგარიშებისას გამოიყენება, შესაბამისი სარეიტინგო სააგენტოების მიერ გამოქვეყნებული დეფოლტის და ამოღების სტატისტიკის მიხედვით. ეს მიდგომა გამოიყენება სამთავრობო, აღიარებული კორპორაციების და ბანკთაშორისი პოზიციებისთვის.

ECL მოდელებში გამოყენებული საპროგნოზო ინფორმაცია. SICR-ის და ECL-ის გაანგარიშებისას,, ორივე შემთხვევაში გამოიყენება დამატებით საპროგნოზო ინფორმაცია. ეკონომიკური ცვლადების („საბაზისო ეკონომიკური სცენარი“, „ოპტიმისტური ეკონომიკური სცენარი“ და „პესიმისტური ეკონომიკური სცენარი“) პროგნოზები ქვეყნდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და მოსალოდნელი მაკროეკონომიკური მოვლენების საუკეთესო წინასწარ შეფასებას მოიცავს. ჯგუფმა განსაზღვრა ის ძირითადი ეკონომიკური ცვლადები, რომლებიც საკრედიტო რისკთან და შესაბამისად ECL-თანაა ურთიერთკავშირში. დეფოლტის ალბათობაზე შესაბამისი ეკონომიკური ცვლადების გავლენა დადგინდა სტატისტიკური რეგრესიის ანალიზის შედეგად, რომლის მიზანია დადგინდეს, ისტორიულად რა გავლენა ჰქონდა ამ ცვლადების ცვლილებებს დეფოლტის სიდიდეზე. საბოლოო დეფოლტის ალბათობის (PD) მოდელები კორექტირდება შესაბამისი მაკროეკონომიკური ცვლადებით, რომელთაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდა დეფოლტის სიდიდეზე (ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსები საცალო დეფოლტის ალბათობის მოდელებისთვის და სახელმწიფო რისკის პრემია კორპორაციული დეფოლტის ალბათობის მოდელებისთვის). ჯგუფმა მაკროეკონომიკური ცვლადები LGD-ის ფორმულაში შეიტანა, განსაკუთრებით LGD2 ფორმულებში: უძრავი ქონების ფასების ინდექსის მიხედვით კორექტირება გაუკეთდა უზრუნველყოფის ღირებულებას. ამჟამად EAD-ს მაკროეკონომიკური კორექტირება არ უკეთდება, ზეგავლენა კი უმნიშვნელოდაა მიჩნეული.

ამჟამად ჯგუფი მაკროეკონომიკური კორექტირებისთვის გაუფასურების მოდელში მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ სცენარებს იყენებს. საბოლოო მოდელში სცენარის წონები განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის პუბლიკაციით გათვალისწინებული წონების მიხედვით: 50% საბაზისო სცენარისთვის, 25-25 ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარებისთვის.

ისევე, როგორც ნებისმიერი ეკონომიკური პროგნოზის დროს, ამ სცენარების დადგომის ალბათობა მაღალი ხარისხითის განუსაზღვრელობითით ხასიათდება, ამიტომ ფაქტობრივი შედეგები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს პროგნოზირებულისგან.

ჯგუფი რეგულარულად აკეთებს თავისი მეთოდოლოგიის და დაშვებების გადახედვას და კორექტირებას, რათა პროგნოზებსა და კრედიტის ფაქტობრივ ზარალს შორის განსხვავება შემცირდეს. IFRS 9 სტანდარტის თანახმად, ყველა გამოყენებული პარამეტრის და მნიშვნელოვანი დაშვებების ვალიდაცია და უკუტესტირება ECL შეფასების პროცესის განუყოფელი ნაწილია. უკუტესტირების შედეგები და ECL გაზომვის მეთოდოლოგია ეცნობება ჯგუფის მენეჯმენტს. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირებთან დისკუსიის შემდეგ ხდება მოდელების და დაშვებების შემდგომი დახვეწა.

2020 წლის განმავლობაში ჯგუფმა განახორციელა IFRS 9 გაუფასურების მოდელში გამოყენებული დაშვებების, ზღვრების და რისკის პარამეტრების უკუტესტირება, რითაც შეაფასა წინა წლის IFRS 9 გაუფასურების მოდელით გაკეთებული 2020 საფინანსო წლის პროგნოზების ადეკვატურობა. უკუტესტირების შედეგებზე დაყრდნობით მოდელში გაკეთდა რამდენიმე მოდიფიკაცია, კერძოდ:

- LGD შეფასების მოდელების ამოღების დრო - გაანალიზებული მონაცემების მიხედვით დადგინდა, რომ საშუალოდ ერთ წელზე მეტი გადის კლიენტის დეფოლტის შემდეგ, სანამ აუქციონი გაიმართება და მოხდება შესაბამისი უზრუნველყოფის დასაკუთრება. ამიტომ, ამოღების დრო შეიცვალა, რათა ასახულიყო ის დამატებითი, დრო რომელიც საჭიროა ვალდებულების დეფოლტის დროის მონაკვეთიდან ამოღებისთვის. ამ ცვლილების ეფექტი არის 1, 839 ათასი ლარის რეზერვების ზრდა.

საბაზრო რისკი. ჯგუფი ითვალისწინებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიშობა ღია პოზიციებისგან ა) ვალუტაზე, ბ) საპროცენტო განაკვეთებზე და გ) კაპიტალის პროდუქტებზე. ყველა მათგანი დგას ბაზრის ზოგადი და კონკრეტული ცვლილებების წინაშე. მენეჯმენტი ადგენს ლიმიტებს რისკის იმ ღირებულებაზე, რომელიც შეიძლება მიღებული იქნას, რაც ყოველდღიურ მონიტორინგს ექვემდებარება. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ ახდენს ამ ლიმიტების გარეთ დანაკარგების პრევენციას, ბაზრის სიტუაციის უფრო მკვეთრი ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკის შემთხვევაში, მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს პოზიციის დონეზე ვალუტების მიხედვით მთლიანად როგორც ერთდღიან, ისე დღის შიგა პოზიციებზე, რაც ყოველდღიურ მონიტორინგს გადის.

ჯგუფის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკის პოზიცია წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

	ლარი	USD USD 1 =3.2766 GEL	EUR EUR 1 =4.0233 GEL	სხვა ვალუტა	დეკ 31, 2020 სულ
არაწარმოებული ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	214,171	103,505	85,742	1,671	405,089
სავალდებულო ფულადი რეზერვები სებ-ში	-	140,591	57,647	-	198,238
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	13,424	-	-	-	13,424
ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში	261,350	24,283	-	-	285,633
ინვესტიციები საემისიო ფასიან ქაღალდებში	63	-	-	-	63
სესხები და ავანსები კლიენტებზე	486,741	394,663	193,849	-	1,075,253
ფინანსური იჯარა კლიენტებზე	5,108	-	-	-	5,108
სადაზღვევო აქტივები	1,962	3,581	303	-	5,846
სხვა ფინანსური აქტივები	805	507	22	-	1,334
არაწარმოებული ფინანსური აქტივები სულ	**983,624**	**667,130**	**337,563**	**1,671**	**1,989,988**
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	263,930	-	40,233	-	304,163
კლიენტთა ანგარიშები	393,954	426,785	116,440	1,536	938,715
სხვა ნასესხები სახსრები	88,244	211,615	177,153	-	477,012
საიჯარო ვალდებულებები	306	4,506	-	-	4,812
სადაზღვევო ვალდებულებები	1,810	4,009	300	-	6,119
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,700	1,689	913	-	6,302
სუბორდინირებული ვალი	-	16,368	-	-	16,368
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები სულ	**751,944**	**664,972**	**335,039**	**1,536**	**1,753,491**
ღია საბალანსო პოზიცია	**231,680**	**2,158**	**2,524**	**135**	**236,497**
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები					
ბრუტო გადახდილი:					
- უცხ. ვალ. ფორვარდული კონტრაქტები	1,187	-	(1,187)	-	-
ღია პოზიცია წარმოებულ ფინანსურ ინსტურმენტებზე	1,187	**-**	(1,187)	**-**	-
ღია პოზიცია	**232,867**	**2,158**	**1,337**	**135**	**236,497**

ჯგუფის პოზიცია უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკზე 2019 წლის 31 დეკემბერს მოცემულია ქვემოთ:

	ლარი	USD USD 1= 2.8677 GEL	EUR EUR 1= 3.2095 GEL	სხვა ვალუტა	დეკ 31, 2019 Total
არაწარმოებული ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	59,167	150,876	34,835	3,822	248,700
სავალდებულო ფულადი რეზერვები სებ-ში	-	155,929	22,060	-	177,989
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	7,186	-	-	-	7,186
ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში	196,802	5,767	-	-	202,569
ინვესტიციები საემისიო ფასიან ქაღალდებში	63	-	-	-	63
სესხები და ავანსები კლიენტებზე	438,195	380,334	166,465	-	984,994
ფინანსური იჯარა კლიენტებზე	3,126	-	-	-	3,126
სადაზღვევო აქტივები	3,140	5,644	14	-	8,798
სხვა ფინანსური აქტივები	481	709	14	-	1,204
არაწარმოებული ფინანსური აქტივები სულ	**708,160**	**699,259**	**223,388**	**3,822**	**1,634,629**
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	171,146	-	12,838	-	183,984
კლიენტთა ანგარიშები	237,064	449,573	78,479	3,754	768,870
სხვა ნასესხები სახსრები	77,496	229,464	121,966	-	428,926
საიჯარო ვალდებულებები	385	3,352	-	-	3,737
სადაზღვევო ვალდებულებები	2,708	6,108	12	-	8,828
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,878	274	404	1	2,557
სუბორდინირებული ვალი	-	14,410	-	-	14,410
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები სულ	**490,677**	**703,181**	**213,699**	**3,755**	**1,411,312**
ღია საბალანსო პოზიცია	**217,483**	**(3,922)**	**9,689**	**67**	**223,317**
ღია პოზიცია	**217,483**	**(3,922)**	**9,689**	**67**	**223,317**

ღია სავალუტო პოზიციამ შეიძლება მნიშვნელოვანი დანაკარგები გამოიწვიოს, გააჩნია ვალუტის კურსებს შორის განსხვავების სიდიდეს და კურსის ცვლილებას. სავალუტო რისკთან მიმართებაში, მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს პოზიციის დონეზე ვალუტების მიხედვით მთლიანად ერთდღიან და დღის შიგა პოზიციებზე, რაც ყოველდღიურ მონიტორინგს გადის. ზოგადი ღია პოზიციის ლიმიტები დგინდება რისკის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, რადგან ცვლილებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ბანკის შემოსავლებზე, კაპიტალზე, ლიკვიდობაზე და გადახდისუნარიანობაზე.

ღია სავალუტო პოზიციას ყოველდღიურად ანგარიშობენ და ინარჩუნებენ. დარღვევის შემთხვევაში ბანკმა უნდა გადადგას ნაბიჯები დაბალანსებისკენ და პარამეტრი დამტკიცებული ლიმიტის ქვეშ უნდა მოაქციოს. ზოგადი ღია სავალუტო პოზიციები არის კონსოლიდირებული საბალანსო და გარებალანსური პოზიცია, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ლიმიტში უნდა ჯდებოდეს, რაც საზედამხედველო კაპიტალის 20%-ს შეადგენს. ALCO (აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი) ადგენს დღის შიგა და ერთდღიანი ღია სავალუტო პოზიციების ლიმიტებს აგრეგირებული და ინდივიდუალური ვალუტებისთვის, რომლის შიგნითაც ბანკს შეუძლია იმუშაოს. პერიოდულად ALCO განაახლებს ხოლმე ამ ლიმიტებს, ბაზრის პირობებზე რეაგირების მიზნით. ბანკის შიდა ლიმიტები გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი. მიმდინარე ლიმიტი საზედამხედველო კაპიტალის 5%-ს უდრის. ბანკი სავალუტო რისკებს ICAAP სისტემის მიხედვით აკვირდება, 99% სანდოობის დონის შესაბამისი VaR-

ით, (VaR შეფასება რისკის გათვალისწინებით) 10 დღიანი დაყოვნების პერიოდით. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რისკის გათვალისწინებით შეფასების (VaR) სიდიდემ 4,287 ათასი ლარი (2019: 614 ათასი ლარი) შეადგინა.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია მოგების ან ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობა გაცვლითი კურსების გონივრულად დასაშვები ცვლილებებისადმი, რომელიც საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოხდა, ჯგუფის შესაბამისი შემადგენელი დაწესებულებების ფუნქციურ ვალუტასთან მიმართებაში, სხვა ყველა ცვლადის მუდმივობისას:

	31 დეკ 2020	31 დეკ 2019
ათასი ლარი	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე
აშშ დოლარის 20%-ით გამყარება (2019: 20%-ით გამყარება)	431	(784)
აშშ დოლარის 20%-ით ვარდნა (2019: 20%-ით ვარდნა)	(431)	784
ევროს 20%-ით გამყარება (2019: 20%-ით გამყარება)	267	1,937
ევროს 20%-ით ვარდნა (2019: 20%-ით ვარდნა)	(267)	(1,937)

პოზიცია გაანგარიშებული იქნა მხოლოდ იმ ფულად ნაშთებზე, რომლებიც ჯგუფის შემადგენელი დაწესებულებების ფუნქციური ვალუტის გარდა სხვა ვალუტებშია დენომინირებული.

ჯგუფის სავალუტო რისკის პოზიცია საანგარიშო პერიოდის ბოლოს არ ასახავს წლის განმავლობაში არსებულ ტიპურ პოზიციას. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია მოგება-ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობა ვალუტის კურსების გონივრულად დასაშვები ცვლილებებისადმი წლის განმავლობაში არსებული სავალუტო რისკის საშუალო პოზიციით, სხვა ყველა ცვლადის მუდმივობისას:

	საშუალო პოზიცია 2020წ განმავლობაში	საშუალო პოზიცია 2019წ განმავლობაში
ათასი ლარი	გავლენა მოგება-ზარალზე	გავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით(2019: 20%-ით გამყარება)	210	169
აშშ დოლარის ვარდნა 20%-ით (2019: 20%-ით ვარდნა)	(210)	(169)
ევროს გამყარება 20%-ით (2019: 20%-ით გამყარება)	244	(2)
ევროს ვარდნა 20%-ით (2019: 20%-ით ვარდნა)	(244)	2

საპროცენტო განაკვეთების რისკი. ჯგუფი მხედველობაში იღებს ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთების რყევების ზეგავლენას მის ფინანსურ პოზიციასა და ფულად ნაკადებზე. ამგვარი ცვლილებების შედეგად, საპროცენტო განაკვეთების მარჟები შეიძლება გაიზარდოს, ასევე შეიძლება შემცირდეს ან მოულოდნელი ცვლილებების შემთხვევაში დანაკარგები გამოიწვიოს. მენეჯმენტი ყოველდღიურად აკვირდება და ლიმიტებს აწესებს საპროცენტო განაკვეთის გადაფასების შეუსაბამობის დონეზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის საპროცენტო განაკვეთების რისკის პოზიცია. ცხრილი აჩვენებს ჯგუფის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აგრეგირებულ ოდენობებს საბალანსო ღირებულებით, რომლებიც დაჯგუფებულია სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთებისა და საკონტრაქტო ვადიანობების მიხედვით:

ათასი ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	არაფულადი	სულ
31 დეკ 2020						
მთლ ფინანსური აქტივები	651,657	744,819	144,189	380,104	69,219	1,989,988
მთლ. ფინ. ვალდებ.	829,865	369,122	147,508	155,998	250,998	1,753,491
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის გეპი 2020 წლის 31 დეკ. მდგომ.	**(178,208)**	**375,697**	**(3,319)**	**224,106**	**(181,779)**	**236,497**
31 დეკ 2019						
მთლ ფინანსური აქტივები	252,264	121,069	221,361	777,066	262,869	1,634,629
მთლ. ფინ. ვალდებ.	604,624	151,641	136,003	243,033	276,011	1,411,312
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის გეპი 2019 წლის 31 დეკ. მდგომ.	**(352,360)**	**(30,572)**	**85,358**	**534,033**	**(13,142)**	**223,317**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საპროცენტო აქტივების და ვალდებულებების უმეტესობა აშშ დოლარითაა წარმოდგენილი, კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების ნაწილი და ნასესხები სახსრები მცურავი საპროცენტო განაკვეთების პრინციპით აღირიცხება. ქვემოთ ნაჩვენებია ჯგუფის მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთების რისკისადმი საშუალო პოზიციებზე, რადგან საპროცენტო განაკვეთის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ წარმოადგენს ჯგუფის ტიპურ პოზიციას წლის განმავლობაში.

2020 წლის განმავლობაში საშუალო პოზიციისთვის, იმ პირობით, თუ საპროცენტო განაკვეთები 200 საბაზისო პუნქტით დაბალი იქნებოდა (2019: 200 საბაზისო პუნქტით დაბლა) ლარით დენომინირებულ საპროცენტო შემოსავლიან აქტივებსა და ვალდებულებებზე, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობისას, წლის მოგება იქნებოდა 3,244 ათასი ლარით ნაკლები (2019: 2,809 ათასი ლარით ნაკლები), რისი მიზეზიც 5,828 ათასი ლარის ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე აქტივებზე ნაკლები საპროცენტო შემოსავალი იქნებოდა, რაც აჭარბებს საპროცენტო ხარჯების კლებას მცურავი კურსის მქონე ნასესხები სახსრებიდან 2,584 ათასი ლარით (2019: ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე აქტივებზე 4,629 ათასი ლარით ნაკლები საპროცენტო შემოსავლის შედეგად, რაც აჭარბებს საპროცენტო ხარჯების კლებას მცურავი კურსის მქონე ნასესხებ სახსრებზე 1,820 ათასი ლარით);თუ საპროცენტო განაკვეთები 100 საბაზისო პუნქტით მაღალი იქნებოდა, (2019: 100 საბაზისო პუნქტით მაღლა) უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივებსა და ვალდებულებებზე, სხვა ყველა ცვლადის მუდმივობისას, წლის მოგება იქნებოდა 3,030 ათასი ლარით ნაკლები (2019: 1,072 ათასი ლარით ნაკლები), 3,514 ათასი ლარის ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე აქტივებზე შემცირებული საპროცენტო შემოსავლის გამო, რაც აღემატება მცურავი განაკვეთის მქონე 484 ათასი ლარის ნასესხები სახსრების ზრდას. (2019: ცვლადი საპროცენტო განაკვეთების მქონე 2,070 ათასი ლარის აქტივებიდან საპროცენტო შემოსავლის შემცირების გამო, რაც აჭარბებს მცურავი კურსის მქონე ნასესხები სახსრებიდან გაზრდილ შემოსავალს 998 ათას ლარს)

2020 წლის განმავლობაში საშუალო პოზიციისთვის, იმ პირობით, თუ საპროცენტო განაკვეთები 200 საბაზისო პუნქტით მაღალი იქნებოდა (2019: 200 საბაზისო პუნქტით მაღალი) ლარით დენომინირებულ საპროცენტო შემოსავლიან აქტივებსა და ვალდებულებებზე, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობისას, წლის მოგება იქნებოდა 3,244 ათასი ლარით მაღალი (2019: 2,809 ათასი ლარით მეტი), რისი მიზეზიც 5,828 ათასი ლარის ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე აქტივებზე მეტი საპროცენტო შემოსავალი იქნებოდა, რაც აჭარბებს საპროცენტო ხარჯების მატებას მცურავი კურსის

მქონე ნასესხები სახსრებიდან 2,584 ათასი ლარით (2019: ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე აქტივებზე 4,629 ათასი ლარით მეტი საპროცენტო შემოსავლის შედეგად, რაც აჭარბებს საპროცენტო ხარჯების მატებას მცურავი კურსის მქონე ნასესხებ სახსრებზე 1,820 ათასი ლარით);

თუ საპროცენტო განაკვეთები 100 საბაზისო პუნქტით მაღალი იქნებოდა, (2019: 100 საბაზისო პუნქტით მაღლა) უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივებსა და ვალდებულებებზე, სხვა ყველა ცვლადის მუდმივობისას, წლის მოგება იქნებოდა 3,030 ათასი ლარით მეტი (2019: 1,072 ათასი ლარით მეტი), 3,514 ათასი ლარის ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე აქტივებზე მოიმატებდა საპროცენტო შემოსავალი და მცურავი განაკვეთის მქონე 484 ათასი ლარის ნასესხები სახსრებიდან შემოსავლის მოიკლებდა. (2019: ცვლადი საპროცენტო განაკვეთების მქონე 2,070 ათასი ლარის აქტივებიდან საპროცენტო შემოსავლის ზრდის და მცურავი კურსის მქონე ნასესხები სახსრებიდან შემოსავლის 998 ათას ლარის შემცირების გამო).

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გავლენა ფიქსირებული განაკვეთის მქონე FVOCI-ით აღრიცხულ სავალო ფასიან ქაღალდებზე:

	2020
საპროცენტო განაკვეთის ზრდა 200 საბაზო ერთეულით	(156)
საპროცენტო განაკვეთის კლება 200 საბაზო ერთეულით	158
საპროცენტო განაკვეთის ზრდა 100 საბაზო ერთეულით	(78)
საპროცენტო განაკვეთის კლება 100 საბაზო ერთეულით	79

ჯგუფი აკვირდება მისი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთებს. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს საპროცენტო განაკვეთებს შესაბამისი საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც მთავარი მენეჯმენტის მიერ განხილული ანგარიშების მიხედვითაა შედგენილი. ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთები წარმოადგენს შემოსავალს ვადიანობიდან, საანგარიშო თარიღისთვის არსებული ბაზრის კვოტების მიხედვით:

	2020			2019		
% p.a.	**GEL**	**USD**	**Euro**	**GEL**	**USD**	**Euro**
აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალ	0.1%	0.1%	-0.7%	2.0%	1.7%	-
სავალდებულო ფულ რეზ სებ-ში	-	-0.3%	-0.7%	-	1.3%	-0.7%
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	11.5%	-	-	11.5%	-	-
ინვესტიციები სავალო ფას ქაღ	8%	8.1%	-	7.7%	11.0%	-
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	11.8%	7.8%	6.2%	11.6%	8.4%	5.9%
ვალდებულებები						
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	8.5%	-	1.6%	9.3%	-	1.0%
კლიენტთა ანგარიშები	8.6%	2.8%	1.1%	7.6%	3.4%	1.5%
- მიმდინარე და საანგარიშსწ ანგარიშები	8.2%	2.0%	0.7%	7.0%	1.9%	1.4%
- ვადიანი დეპოზიტები	8.9%	2.8%	1.2%	8.2%	3.6%	1.5%
სხვა ნასესხები სახსრები	11.9%	3.9%	2.4%	12.2%	5.5%	3.0%
საიჯარო ვალდებულებები	10.0%	6.0%	-	10.0%	6.0%	-
სუბორდ ვალი	-	7.0%	-	-	7.0%	-

ზემოთ მოყვანილ ცხრილში „-“ ნიშანი ნიშნავს, რომ ჯგუფს შესაბამის ვალუტაში არ აქვს აქტივები და ვალდებულებები.

ჯგუფის წინაშე დგას წინასწარ დაფარვის რისკი, რადგან ის ფიქსირებული ან ცვლადი განაკვეთების მქონე სესხებს გასცემს, მათ შორის იპოთეკურ სესხებს, რაც მსესხებელს უფლებას აძლევს, ადრე დაფაროს სესხი. ჯგუფის მიმდინარე წლის მოგებაზე და მიმდინარე საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ კაპიტალზე წინასწარ დაფარვის სიდიდის ცვლილებები არსებით ზეგავლენას ვერ მოახდენს, რადგან ეს სესხები ბალანსზე ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება, წინასწარ დაფარვის

უფლება კი უდრის ან უახლოვდება კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების ამორტიზებულ ღირებულებას (2019: არსებითი ზეგავლენა არ ყოფილა).

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა რეგულირდება ბანკის აქტივების და ვალდებულებების მართვის (ALM) პოლიტიკით. რისკების მართვის დეპარტამენტი რეგულარულად ამზადებს საპროცენტო მგრძნობელობის გეპის ანგარიშს გადაფასების პერიოდების მიხედვით. ამ ანგარიშის გამოყენებით ბანკი აფასებს საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენას ბანკის მოგებაზე. ანგარიშში ნაჩვენებია საპროცენტო განაკვეთების სტრესის სიდიდე (რომელიც საბაზისო პუნქტებით გამოიხატება), რომელსაც რისკების მართვის დეპარტამენტი განსაზღვრავს შესაბამის ვალუტებზე დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთების რყევების მიხედვით. ბანკის მოგებაზე დასაშვები შესაძლო გავლენის ლიმიტი განისაზღვრება საზედამხედველო კაპიტალის 1%-მდე ოდენობით.

გეოგრაფიული რისკების კონცენტრაცია. ჯგუფის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

(OECD ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია)

ათასი ლარი	საქართველო	ჩინეთი	OECD	არა-OECD	სულ
არაწარმოებული ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	246,522	5	158,419	143	405,089
ფულადი სახსრები სებ-ში	198,238	-	-	-	198,238
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	13,424	-	-	-	13,424
ინვესტიციები სავალო ფას ქაღ	285,633	-	-	-	285,633
ინვესტიციები წილობრ ფას ქაღ	63	-	-	-	63
კლიენტებზე გაც სესხები და ავანს	1,055,163	330	1,683	18,077	1,075,253
კლიენტებზე გაც ფინანსური იჯარა	5,108	-	-	-	5,108
დაზღვევიდან მისაღები შემოსავლები	5,846	-	-	-	5,846
სხვა ფინანსური აქტივები	982	162	101	89	1,334
არაწარმოებული ფინანსური აქტივები სულ	**1,810,979**	**497**	**160,203**	**18,309**	**1,989,988**
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულებები სხვა ბანკ მიმართ	304,163	-	-	-	304,163
კლიენტთა ანგარიშები	898,648	22,627	6,885	10,555	938,715
სხვა ნასესხები სახსრები	-	16,405	451,590	9,017	477,012
საიჯარო ვალდებულებები	4,812				4,812
სადაზღვევო ვალდებულებები	6,119	-	-	-	6,119
სხვა ფინანსური ვალდებულებები	6,275	20	7	-	6,302
სუბორდინირებული ვალი	-	16,368	-	-	16,368
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები სულ	**1,220,017**	**55,420**	**458,482**	**19,572**	**1,753,491**
საბალანსო არაწარმოებული ფინანსური ინტრუმენტების წმინდა პოზიცია	**590,962**	**(54,923)**	**(298,279)**	**(1,263)**	**236,497**
კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულ და ეფექტიანობის გარანტიები	**134,883**	**232**	**16**	**-**	**135,131**
ბრუტო გადახდილი:					
- უცხ. ვალ. ფორვარდული კონტრაქტები	1,187	-	-	-	1,187
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების წმინდა პოზიცია	**1,187**	**-**	**-**	**-**	**1,187**

აქტივები, ვალდებულებები და კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები ზოგადად იმ ქვეყანას ეხება, რომელშიც კონტრაგენტი მდებარეობს. ნაშთები კონტრაგენტებთან, რომელიც იმ კომპანიებისთვისაა გადასახდელი, ან მათგან მისაღები, რომლებსაც საბოლოო ჯამში ჩინეთში განლაგებული ბიზნესერთეულები აკონტროლებს, გაერთიანებულია სათაურში „ჩინეთი“. ფული და ფულის ეკვივალენტები მოცემულია იმ ქვეყნის მიხედვით, სადაც ისინი ფიზიკურად იმყოფება.

ჯგუფის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

ათასი ლარი	საქართველო	ჩინეთი	OECD	არა-OECD	სულ
არაწარმოებული ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	86,630	-	161,941	129	248,700
ფულადი სახსრები სებ-ში	177,989	-	-	-	177,989
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	7,186	-	-	-	7,186
ინვესტიციები სავალო ფას ქაღ	202,569	-	-	-	202,569
ინვესტიციები წილობრ ფას ქაღ	63	-	-	-	63
კლიენტებზე გაც სესხები და ავანს	962,387	376	18	22,213	984,994
კლიენტებზე გაც ფინანსური იჯარა	3,126				3,126
დაზღვევიდან მისაღები შემოსავლები	8,798	-	-	-	8,798
სხვა ფინანსური აქტივები	795	150	226	33	1,204
არაწარმოებული ფინანსური აქტივები სულ	**1,449,543**	**526**	**162,185**	**22,375**	**1,634,629**
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულებები სხვა ბანკ მიმართ	183,984	-	-	-	183,984
კლიენტთა ანგარიშები	728,016	21,770	2,094	16,990	768,870
სხვა ნასესხები სახსრები	-	42,972	335,040	50,914	428,926
საიჯარო ვალდებულებები	3,737				3,737
სადაზღვევო ვალდებულებები	8,828	-	-	-	8,828
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,537	19	1	-	2,557
სუბორდინირებული ვალი	-	14,410	-	-	14,410
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები სულ	**927,102**	**79,171**	**337,135**	**67,904**	**1,411,312**
საბალანსო არაწარმოებული ფინანსური ინტრუმენტების წმინდა პოზიცია	**522,441**	**(78,645)**	**(174,950)**	**(45,529)**	**223,317**
კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები და ეფექტიანობის გარანტიები	**144,745**	**2,929**	**23**	**317**	**148,014**

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის რისკი, როდესაც დაწესებულება წააწყდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების სირთულეს. ჯგუფი ყოველდღიურად აწყდება მოთხოვნას ფულად რესურსებზე: ერთდღიან დეპოზიტებზე, მიმდინარე ანგარიშებზე, დაფარვის ვადას მიახლოებულ დეპოზიტებზე, სესხების ათვისებაზე, გარანტიებზე, მარჟაზე, ასევე სხვა მოთხოვნებს ფულით გაქვითვად წარმოებულ ინსტრუმენტებზე. ჯგუფს არ აქვს ფულადი რესურსები ყველა ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად, რადგან გამოცდილება აჩვენებს, რომ დაფარვის ვადას მიახლოებულ სახსრებზე ახალი ინვესტიციის მინიმალური დონე შეიძლება წინასწარ განისაზღვროს მაღალი სიზუსტით. ლიკვიდობის რისკს ჯგუფის აქტივების და ვალდებულებების კომიტეტი მართავს.

ჯგუფი ლიკვიდობის რისკს მართავს „აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პოლიტიკის“ და „ლიკვიდობის მართვის რეგულაციის“ შესაბამისად, რომლებშიც ლიკვიდობის მართვის დეტალური პროცესები და ლიმიტების სისტემაა აღწერილი. აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი

პასუხისმგებელია აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პოლიტიკის განხორციელებაზე, ხოლო ლიკვიდობის ყოველდღიური მართვა ევალება ხაზინის დეპარტამენტს.

ჯგუფი ცდილობს, შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, რომელიც ძირითადად შედგება სხვა ბანკების წინაშე არსებული ვალდებულებებისგან, კორპორაციული და საცალო კლიენტების დეპოზიტებისგან. ჯგუფი სახსრების ინვესტირებას ახდენს ლიკვიდური აქტივების დივერსიფიცირებულ პორტფელებში, რათა სწრაფი და შეუფერხებელი რეაგირება ჰქონდეს გაუთვალისწინებელ ლიკვიდობის მოთხოვნებზე.

ჯგუფის მიერ ლიკვიდობის მართვა მოითხოვს ლიკვიდური აქტივების იმ დონის გათვალისწინებას, რომელიც აუცილებელია ვადადამდგარი ვალდებულებების შესასრულებლად, დაფინანსების სხვადასხვა წყაროს შესანარჩუნებლად, გაუთვალისწინებელი გეგმებისთვის სახსრების შესანარჩუნებლად და საზედამხედველო მოთხოვნების შესასრულებლად აუცილებელი ლიკვიდობის კოეფიციენტების მონიტორინგისთვის.

ლიკვიდობა ცალკე ანგარიშდება და ფასდება. ბანკი ლიკვიდობის კოეფიციენტებს ანგარიშობს ყოველდღიურად, სებ-ის მოთხოვნის შესაბამისად. ეს კოეფიციენტებია:

- საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტი, რომელიც გამოითვლება როგორც ლიკვიდური აქტივების შეფარდება ვალდებულებებთან და ექვს თვეზე ნაკლები ვადიანობის მქონე ნასესხებ სახსრებთან და გარებალანსურ ვალდებულებებთან. კოეფიციენტში დასაშვები მინიმუმი დაწესებულია ყოველთვიურ 30% ზე.
- ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტი (LCR), რომელიც იანგარიშება შემდეგნაირად: მაღალხარისხიანი ლიკვიდური აქტივები იყოფა წმინდა ფულადი ნაკადების გადინებებზე 30-დღიანი სტრესის პერიოდში. მაღალხარისხიან ლიკვიდურ აქტივებში შეტანილია მხოლოდ მაღალი პოტენციალის მქონე აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირდება ფულად.

	2020 ფაქტ	2020 სებ-ის მოთხ	2019 ფაქტ	2019 სებ-ის მოთხ
საშ ლიკვ კოეფ	55%	>=30%	58%	>=30%
მთლ ლიკვ დაფარვ კოეფ	167%	>=100%	164%	>=100%
ლიკვ დაფარვ კოეფ (ლარი)	167%	>=75%	172%	>=75%
ლიკვ დაფარვ კოეფ (უცხ ვალ)	166%	>=100%	153%	>=100%

ხაზინის დეპარტამენტი იღებს ინფორმაციას ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდობის პროფილის შესახებ. შემდეგ დეპარტამენტი უზრუნველყოფს მოკლევადიანი ლიკვიდური აქტივების ადეკვატურ პორტფელს, რომელიც ძირითადად მოკლევადიანი ლიკვიდური სავაჭრო ფასიანი ქაღალდებისგან, ბანკებში განთავსებული დეპოზიტებისგან და სხვა ბანკთაშორისი სესხებისგან შედგება. ის უზრუნველყოფს, რომ მთელ ჯგუფს საკმარისი ლიკვიდობა უნარჩუნდება.

ხაზინის დეპარტამენტი ასრულებს ყოველდღიური ლიკვიდობის პოზიციის მონიტორინგს და აკეთებს რეგულარულ ლიკვიდობის სტრეს-ტესტირებას სხვადასხვა სცენარით როგორც ბაზრის ჩვეულებრივ, ისე მკაცრ პირობებში.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს ვალდებულებებს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადიანობით. ვადიანობის ცხრილში ნაჩვენები ვალდებულებების ოდენობა სახელშეკრულებო არადისკონტირებული ფულადი ნაკადებია, მათ შორის მთლიანი ფინანსური ლიზინგის ვალდებულებები (მომავლის დაფინანსების ხარჯების გამოკლებამდე), მთლიანი სასესხო ვალდებულებები და ფინანსური გარანტიები. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური პოზიციის ანგარიშში მითითებული თანხისგან, რადგან ფინანსური პოზიციის ანგარიშში მითითებული თანხა დისკონტირებულ ფულად ნაკადებზეა

აგებული. ფინანსური დერივატივები შეტანილია მისაღები ან გადასახდელი სახელშეკრულებო თანხებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ჯგუფი მოელის, რომ დერივატივის პოზიციას მისი ვადიანობის თარიღამდე დახურავს. ასეთ შემთხვევაში დერივატივი შეტანილია მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიხედვით.

ათასი ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე ზემოთ	სულ
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
ვალდ სხვა ბანკების მიმართ	304,163	-	-	-	-	304,163
კლიენტთა ანგარიშები - ფიზ პირები	164,478	66,091	88,431	36,743	5,755	361,498
კლიენტთა ანგარიშები - სხვა	399,169	107,688	28,381	40,101	18,349	593,688
სხვა ნასესხები სახსრები	16,506	158,733	72,027	259,408	-	506,674
საიჯარო ვალდებულებები	117	506	547	3,080	845	5,095
სადაზღვევო ვალდებულებები	3,213	510	2,396	-	-	6,119
სხვა ფინანსური ვალდებულებები	5,297	212	583	210	-	6,302
სუბორდინირებული ვალი	-	562	562	4,495	16,617	22,236
სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	**892,943**	**334,302**	**192,927**	**344,037**	**41,566**	**1,805,775**
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები						
ბრუტო გადახდილი:						
- უცხ ვალ ფორვარდული კონტრაქტები	-	1,187	-	-	-	1,187
სულ წარმოებული ფინ ინსტრუმენტები	**-**	**1,187**	**-**	**-**	**-**	**1,187**
ფინანსური გარანტიები	36,779					36,779
კრედიტთან დაკავშირებული აუთვისებელი ვალდებულებები	70,872	-	-	-	-	70,872
ფინანსური ვალდებულებების პოტენციური სამომავლო დაფარვა სულ	**1,000,594**	**335,489**	**192,927**	**344,037**	**41,566**	**1,914,613**

ფინანსური ინსტრუმენტების ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბერს ასეთია:

ათასი ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე ზემთ	სულ
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
ვალდ სხვა ბანკების მიმართ	183,984	-	-	-	-	183,984
კლიენტთა ანგარიშები - ფიზ პირები	149,335	54,233	85,976	45,679	5,093	340,316
კლიენტთა ანგარიშები - სხვა	246,700	71,205	102,264	19,217	576	439,962
სხვა ნასესხები სახსრები	6,505	161,947	68,457	226,788	5,020	468,717
საიჯარო ვალდებულებები	101	433	434	1,795	974	3,737
სადაზღვევო ვალდებულებები	4,189	630	4,009	-	-	8,828
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,219	338	-	-	-	2,557
სუბორდინირებული ვალი	-	492	492	3,934	15,527	20,445
სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	**593,033**	**289,278**	**261,632**	**297,413**	**27,190**	**1,468,546**
ფინანსური გარანტიები	57,858					57,858
კრედიტთან დაკავშირებული აუთვისებელი ვალდ	65,965	-	-	-	-	65,965
აკრედიტივი	600	518	-	-	-	1,118
ფინანსური ვალდებულებების პოტენციური სამომავლო დაფარვა სულ	**717,456**	**289,796**	**261,632**	**297,413**	**27,190**	**1,593,487**

გარანტიებზე მოთხოვნის და standby აკრედიტივების მხარდამჭერი ლიკვიდობის მოთხოვნები ბევრად ნაკლებია, ვიდრე ზემოთ მოყვანილ ვადიანობის ანალიზში მოცემული ვალდებულების ოდენობა, რადგან ჯგუფი ზოგადად არ მოელის, რომ მესამე მხარე შეთანხმების ფარგლებში მოახდენს სახსრების გატანას. კრედიტის გაცემის ვალდებულების მთლიანი დაუფარავი სახელშეკრულებო თანხა, რომელიც ზემო ცხრილშია მოცემული, არ წარმოადგენს მომავლის მოთხოვნას ფულზე, რადგან ამ ვალდებულებებიდან ბევრს ვადა გაუვა ან შეწყდება დაფინანსების გარეშე.

ბრუტო ფორვარდებთან დაკავშირებული გადახდებს თან ახლავს შესაბამისი ფულადი ნაკადები. კლიენტთა ანგარიშები ზემოთ მოყვანილ ანალიზში მოცემულია სახელშეკრულებო ვადიანობით. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ფიზიკურ პირებს უფლება აქვთ, მათი დეპოზიტები გამოიტანონ ვადის დადგომამდე, თუ უარს იტყვიან მათ უფლებაზე, ისარგებლონ დაგროვილი პროცენტით.

ჯგუფი ლიკვიდობის სამართავად არ იყენებს ზემოთ მოყვანილ ვადიანობის ანალიზს ვალდებულებების არადისკონტირებული სახელშეკრულებო ვადიანობის მიხედვით. ამის ნაცვლად, ჯგუფი აკვირდება მოსალოდნელ ვადიანობებს და საბოლოო მოსალოდნელ ლიკვიდობის გეპს.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია არაწარმოებული ფინანსური აქტივების ვადიანობის ანალიზი საბალანსო ღირებულებით მათი სახელშეკრულებო ვადიანობის მიხედვით, გარდა აქტივებისა, რომლებიც მზა სახით იყიდება, თუ საჭიროა ფინანსურ ვალდებულებებზე ფულის გადინების დაფარვა.

ასეთი ფინანსური აქტივები შეტანილია ვადიანობის ანალიზში, რომელიც ემყარება მათი გასხვისების მოსალოდნელ თარიღს. გაუფასურებული სესხები შეტანილია საბალანსო ღირებულებით გარდა გაუფასურების რეზერვებისა, და ემყარება ფულის შემოდინების მოსალოდნელ დროით პერიოდს. როცა გადასახდელი თანხა არ არის ფიქსირებული, გამჭვანებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო

პერიოდის ბოლოს არსებული პირობების მიხედვით. უცხოური ვალუტის გადახდები გადაანგარიშდება სპოტ კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ინსტრუმენტების ვადიანობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბერს ასეთია:

ათასი ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე ზემოთ	სულ
2020 წლის 31 დეკემბერს						
არაწარმოებული ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები	405,089	-	-	-	-	405,089
სავალდებულო ნაშთები სებ-ში	198,239	-	-	-	-	198,239
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	1,812	3,449	8,163	-	-	13,424
ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღ	86,703	35,883	28,643	107,201	27,203	285,633
ინვესტიციები საემისიო ფას ქაღ	-	-	-	-	63	63
კლიენტ გაც სესხები და ავანსები	59,381	177,449	124,207	404,255	309,961	1,075,253
კლიენტებზე გაც ფინ იჯარა	8	43	74	4,983	-	5,108
სადაზღვევო აქტივები	657	3,648	1,541	-	-	5,846
სხვა ფინანსური აქტივები	1,171	-	-	-	162	1,333
არაწარმოებული ფინანსური აქტივები სულ	**753,060**	**220,472**	**162,628**	**516,439**	**337,389**	**1,989,988**
არაწარმოებული ფინანსური ვალდ						
ვალდ სხვა ბანკების მიმართ	304,163	-	-	-	-	304,163
კლიენტთა ანგ - ფიზ პირები	36,176	69,864	92,676	62,441	94,609	355,766
კლიენტთა ანგ - სხვა	103,149	123,891	33,742	130,581	191,586	582,949
სხვა ნასესხები სახსრები	57,218	150,283	73,992	195,519	-	477,012
საიჯარო ვალდებულებები	114	397	438	2,958	905	4,812
სადაზღვევო ვალდებულებები	3,213	510	2,396	-	-	6,119
სხვა ფინანსური ვალდებულებები	5,297	212	583	210	-	6,302
სუბორდინირებული ვალი	-	-	-	-	16,368	16,368
არაწარმოებული ფინ ვალდ სულ	**509,330**	**345,157**	**203,827**	**391,709**	**303,468**	**1,753,491**
ფინანსური და ეფექტიანობის გარანტიები	313	-	-	-	-	313
კრედიტთან დაკ აუთვის ვალდ	7,087	-	-	-	-	7,087
წმინდა ლიკვიდობის გეპი მოსალოდნელი ვადიანობების მიხედვით	**236,330**	**(124,685)**	**(41,199)**	**124,730**	**33,921**	**229,097**
კუმულატიური ლიკვიდობის გეპი მოსალოდნელი ვადიანობების მიხედვით	**-**	**111,645**	**70,446**	**195,176**	**229,097**	

ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დკემბერს ასეთია:

ათასი ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე ზემოთ	სულ
2019 წლის 31 დეკემბერს						
არაწარმოებული ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები	248,700	-	-	-	-	248,700
სავალდებულო ნაშთები სებ-ში	177,989	-	-	-	-	177,989
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	-	287	6,899	-	-	7,186
ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღ	28,836	6,256	50,809	105,660	11,008	202,569
ინვესტიციები საემისიო ფას ქაღ	-	-	-	-	63	63
კლიენტ გაც სესხები და ავანსები	44,731	118,559	168,008	397,040	256,656	984,994
კლიენტებზე გაც ფინ იჯარა	-	20	129	2,977	-	3,126
სადაზღვევო აქტივები	8,798	-	-	-	-	8,798
სხვა ფინანსური აქტივები	575	20	466	-	143	1,204
არაწარმებული ფინანსური აქტივები სულ	**509,629**	**125,142**	**226,311**	**505,677**	**267,870**	**1,634,629**
არაწარმოებული ფინანსური ვალდ						
ვალდ სხვა ბანკების მიმართ	183,984	-	-	-	-	183,984
კლიენტთა ანგ - ფიზ პირები	35,710	59,323	87,702	74,442	83,140	340,317
კლიენტთა ანგ - სხვა	49,253	83,580	106,461	89,154	111,515	439,963
სხვა ნასესხები სახსრები	-	35,309	27,446	340,650	25,521	428,926
საიჯარო ვალდებულებები	101	433	434	1,795	974	3,737
სადაზღვევო ვალდებულებები	4,189	630	4,009	-	-	8,828
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,219	338	-	-	-	2,557
სუბორდინირებული ვალი	-	-	-	-	14,410	14,410
არაწარმოებული ფინ ვალდ სულ	**275,456**	**179,613**	**226,052**	**506,041**	**235,560**	**1,422,722**
ფინანსური და ეფექტიანობის გარანტიები	640	-	-	-	-	640
კრედიტთან დაკ აუთვის ვალდ	600	516	-	-	-	1,116
არაწარმოებული ფინ ვალდ სულ	6,596	-	-	-	-	6,596
წმინდა ლიკვიდობის გეპი მოსალოდნელი ვადიანობების მიხედვით	**226,336**	**(54,987)**	**259**	**(364)**	**32,310**	**203,554**
კუმულატიური ლიკვიდობის გეპი მოსალოდნელი ვადიანობების მიხედვით	**-**	**171,349**	**171,608**	**171,244**	**203,554**	

სავალდებულო რეზერვი სებ-ში მოთხოვნამდე კატეგორიად კლასიფიცირდება მათი შექმნისას, რათა ბანკმა შეძლოს ვალდებულებების შესრულება ფულადი ნაკადების გაუთვალისწინებელი წყვეტის შემთხვევაში. 90 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული აქტივები აისახება „5 წელზე მეტის“კატეგორიაში.

„ფინანსური და ეფექტიანობის გარანტიების“ თანხები და აუთვისებელი საკრედიტო ხაზები აისახება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიხედვით. მოსალოდნელია საკრედიტო ხაზების მთლიანი ვალდებულებების 10%-ის ათვისება და მათი გამჟღავნება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადინების კატეგორიაში.

კლიენტთა ანგარიშების მოსალოდნელი ვადიანობა ანგარიშდება VaR მეთოდოლოგიით; გადინების სიდიდეები ანგარიშდება 95% დარწმუნების ინტერვალით თითეული დროით პერიოდისთვის.

ჯგუფის მენეჯმენტისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობების და საპროცენტო განაკვეთების თანხვედრას და/ან კონტროლირებულ შეუსაბამობას. ბანკებისთვის უჩვეულოა ბოლომდე თანხვედრა, რადგან ბიზნეს-ტრანზაქციები ხშირად განუსაზღვრელივადის და სხვადასხვა ტიპისაა. შეუსაბამო პოზიციამ შეიძლება გაზარდოს მომგებიანობა, მაგრამ შეიძლება ასევე გაზარდოს დანაკარგების რისკი. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა და ვადადამდგარი საპროცენტო განაკვეთის მქონე ვალდებულებების მისაღები ღირებულებით ჩანაცვლების შესაძლებლობა ჯგუფის ლიკვიდობის და საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსების ცვლილებებისადმი მისი პოზიციის შეფასების მნიშვნელოვანი ფაქტორებია.

მენეჯმენტს სჯერა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კლიენტთა ანგარიშების დიდი ნაწილი მოთხოვნამდე ხასიათისაა, ამ დეპოზიტების დივერსიფიკაცია მეანაბრეების რაოდენობის და ტიპების მიხედვით და ჯგუფის წარსული გამოცდილება იმას ადასტურებს, რომ ამ კლიენტთა ანგარიშები ჯგუფის დაფინანსების გრძელვადიანი და სტაბილური წყაროა.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მენეჯმენტს სჯერა, რომ შეძლებს ლიკვიდობის გეპის დახურვას სებ-ისგან ან სხვა ბანკებისგან ნასესხები სახსრების მოზიდვით, დამტკიცებული ლიმიტების ფარგლებში, როცა ამის საჭიროება იქნება.

39 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფის ამოცანებია: 1) სებ-ის მიერ დადგენილი კაპიტალის მოთხოვნების შესრულება, 2) დაიცვას ჯგუფის უნარი, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და 3) შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა, რათა მიაღწიოს კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტს ბაზელის შეთანხმების თანახმად, სულ მცირე ნასესხები სახსრების შეთანხმებებში მითითებული მინიმალური დონის ზემოთ.

სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის დაცვა ყოველდღიურად კონტროლდება. შესაბამის ანგარიშებს, რომელშიც ამ კოეფიციენტების გაანგარიშებაა ახსნილი, იხილავს და ხელს აწერს გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების სფეროში. კაპიტალის მართვის სხვა ამოცანები ყოველკვარტალურად ფასდება.

ბაზელი 3-ის სისტემაზე გადასვლის პროცესში, გამჭვირვალობის და შედარებითობის გაზრდის მიზნით და არსებული კაპიტალის ინსტრუმენტების სეგრეგაციისთვის, ასევე შესაძლო რისკების დასაფარად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) 2017 წლის დეკემბერში ცვლილებები შეიტანა კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებში და პილარი 1-ით გათვალისწინებულ მინიმალური კაპიტალის მოთხოვნასთან ერთად შემოიღო ახალი პილარი 1 და პილარი 2-ის ბუფერები:

პილარი 1-ის ბუფერები:

- კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი - რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 2.5%; მისი მიზანია სტრესის შემთხვევაში დანაკარგების გადაფარვა; მანამდე მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებში იყო შეტანილი;

- კონტრციკლური კაპიტალის ბუფერი - შემოღებულ იქნა ბაზელი 3-ის სისტემით და მაკროპრუდენციული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია; ამჟამად მისი განაკვეთი 0%-ია.

- სისტემური ბუფერები - ცალცალკე წესდება თითო კომერციული ბანკისთვის, რომელიც სისტემისთვის მნიშვნლოვან ბანკად მიიჩნევა (არ ეხება ბაზისბანკს).

პილარი 2-ის ბუფერები:

- არაჰეჯირებული სავალუტო რისკის ბუფერი (CICR)
- საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის ბუფერი, რომელსაც თან ახლავს სახელის და სექტორული კონცენტრაციის ბუფერები;
- წმინდა სტრესტესტის ბუფერი, რომელიც შემოღებული იქნება სებ-ის მიერ ადმინისტრირებული სტრესტესტის შედეგების მიხედვით;
- წმინდა GRAPE ბუფერი, რომელიც სებ-ის რისკების შეფასების გენერალური პროგრამის და ბანკის შიდა კაპიტალის მოთხოვნის შეფასების მიხედვით დაწესდა;

სებ-ის მიერ დაწესებული კაპიტალის ამჟამად არსებული მოთხოვნების თანახმად, ბანკები ვალდებული არიან შეინარჩუნონ საზედამხედველო კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან შეფარდების კოეფიციენტი (კაპიტალის კოეფიციენტი) გაწერილი მინიმალური დონის ზემოთ.

COVID-19-ის პანდემიის საპასუხოდ სებ-მა დამხმარე ღონისძიებები გაატარა, მათ შორის კაპიტალის ბუფერების გამოყენება ფინანსური სტრესის დროს: კაპიტალის მოთხოვნების შემცირება რაც ბანკებს საშუალებას მისცემს აითვისონ პანდემიით დაზარალებულ აქტივებთან დაკავშირებული პოტენციური ხარჯები, განაგრძონ ჩვეულებრივი საქმიანობა და დაფინანსება ისე, რომ მოიხსნას ზეწოლა კაპიტალის კოეფიციენტებზე.

კომერციული ბანკების მიმართ კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებში სებ-მა შემოიღო შემდეგი წამახალისებელი ღონისძიებები:

- კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის მოხსნა (რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 2.5%);
- პილარი 2-ის ბუფერის ნაწილის მოხსნა (ვალუტით გამოწვეული საკრედიტო რისკის ბუფერის 2/3);
- დამატებითი კაპიტალის ბუფერის ფაზირების გადადება CAR-დან CET1-ის მოთხოვნებზე 2020 წლის მარტში.

2020 და 2019 წლებში ბანკმა ეროვნული ბანკის ყველა კაპიტალის მოთხოვნა დააკმაყოფილა.

ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის შემდეგი ანგარიში მზადდება ცალკე, ეროვნული ბანკის სტანდარტების შესაბამისად:

ათასი ლარი	2020 პილარი I/II	2019 პილარი I/II
პირველადი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	16,181	16,181
საემისიო შემოსავალი	76,413	76,413
გაუნაწილებელი მოგება სებ-ის რეგულაციების თანახმად	138,460	113,630
გადაფასების რეზერვი	9,513	9,513
მიმდინარე წლის მოგება სებ-ის რეგულაც მიხ	5,972	24,830
პირველადი კაპიტალი კორექტირებამდე	**246,539**	**240,567**
პირველადი კაპიტალის კორექტირებები	(14,424)	(11,546)
პირველადი კაპიტალი კორექტირების შემდეგ სულ	**232,115**	**229,021**
მეორადი კაპიტალი		
სუბორდინირებული ვალი	16,055	14,052
საერთო რეზერვი	17,313	15,560
მეორადი კაპიტალი სულ	**33,368**	**29,612**
მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი	**265,483**	**258,633**
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები, რომლებშიც თავმოყრილია საკრედიტო, საბაზრო და ოპერაციული რისკები	**1,519,304**	**1,359,786**
სებ-ის მინ მოთხ პირველად კოეფ	***7.2%***	***10.7%***
პირველადი კოეფიციენტი	**15.3%**	**16.8%**
სებ-ის მინ მოთხ საზედამხ კაპიტალის კოეფიციენტზე	***12.3%***	***16.2%***
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	**17.5%**	**19.0%**

40 პირობითი ვალდებულებები

სასამართლო საქმეები. პერიოდულად, ბიზნესის ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობისას, შეიძლება წარმოიშვას მოთხოვნები ჯგუფის მიმართ. საკუთარი შეფასებით და შიდა პერსონალის პროფესიონალური კონსულტაციით, მენეჯმენტი იმ აზრისაა, რომ ამ მოთხოვნებთან დაკავშირებით ბანკს არ მიადგება რაიმე სახის მნიშვნელოვანი ზარალი, შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტი არ ითვალისწინებს შესაბამის რეზერვს მასთან მიმართებაში.

გაუთვალისწინებელი საგადასახადო სიტუაციები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა, რომელიც შემუშავდა, ან ძირითადად შემუშავდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს, სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, როცა ჯგუფის ტრანზაქციებსა და საქმიანობას მიესადაგება. შესაბამისად, მენეჯმენტის მხრიდან გადასახადებთან და თანმხლებ ოფიციალურ დოკუმენტებთან დაკავშირებით დაკავებულ პოზიციას საგადასახადო ორგანოები შეიძლება არ დაეთანხმონ. საგადასახადო წელიწადი მიყოლებით სამი კალენდარული წლის განმავლობაში ექვემდებარება განხილვას საგადასახადო ორგანოების მიერ. თუმცა, გარკვეულ სიტუაციებში, საგადასახადო წელიწადი შეიძლება უფრო დიდხანს დარჩეს ღიად.

საგადასახო ორგანოები ბანკს ამოწმებს 2015 წლის 1 აპრილიდან 2018 წლის 31 აგვისტომდე საგადასახადო პერიოდით. საგადასახადომ დასვა კითხვები გარკვეულ საკითხებზე, ბანკი არ დაეთანხმა მათ შეფასებებს, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მათ შორის კამათი მოგვარებული არ იყო. საგადასახადო ინსპექტირება დასრულდა. შემოწმების შემდეგ გაკეთებული დარიცხვები ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. ბანკმა შექმნა 59 ათასი ლარის ოდენობის რეზერვი პოზიციებისთვის, სადაც მოსალოდნელია, რომ ბანკს დამატებითი გადახდები მოუწევს. სადავო თანხის დარჩენილი ნაწილისთვის, ჯგუფის მენეჯმენტს სჯერა, რომ ბანკს მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგება, ამიტომ რეზერვები არ შექმნილა.

ათასი ლარი	**31 დეკ, 2020**
სადავო თანხა სულ, დამატებითი გადასახადის და ჯარიმების ჩათვლით	415
შექმნილი რეზერვი	(59)
საგადასახადო პირობითი ვალდებულება	**356**

საქართველოს კანონი ტრანსფერ ფრაისინგის შესახებ ძირითადად „ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) მიერ შემუშავებული საერთაშორისო ტრანსფერ ფრაისინგის პრინციპების შესაბამისია, თუმცა სპეციფიკური მახასიათებლებიც აქვს. ეს კანონმდებლობა ითვალისწინებს კონტროლირებად ტრანზაქციებზე დამატებითი საგადასახადო შეფასების შესაძლებლობას (დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები და გარკვეული ტრანზაქციები ურთიერთდაუკავშირებულ მხარეებს შორის), თუ ასეთი ტრანზაქციები არ არის მხარეთა დამოუკიდებლობის და თანაბრობის, ანუ „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპის შესაბამისი. ტრანსფერ ფრაისინგის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მენეჯმენტმა განახორციელა შიდა კონტროლი.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მან ადეკვატურად უზრუნველყო საგადასახადო ვალდებულებების შესრულება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ფინანსურ პოზიციაზე, თუ ეს ორგანოები წარმატებით შეასრულებდნენ ამ ინტერპრეტაციებს. ჯგუფი რეგულარულად მართავს კონსულტაციებს კვალიფიციურ გარე საგადასახადო მრჩევლებთან.

საოპერაციო ლიზინგის ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბერს. თუ ჯგუფი არის მოიჯარე, მომავალი მინიმალური ლიზინგის დაფარვები არაგაუქმებადი საოპერაციო ლიზინგის ხელშეკრულებებით 2020 წლის 31 დეკემბერს არის შემდეგი:

ათასი ლარი	**2020**	**2019**
არაუგვიანეს 1 წლისა	19	17
საოპერაციო ლიზინგის ვალდებულებები სულ	**19**	**17**

ჯგუფს საოპერაციო ლიზინგის ხელშეკრულებებით აღებული აქვს რამდენიმე შენობის ნაწილი აღჭურვილობის (ბანკომატების) განთავსების მიზნით, რაც არაა შეტანილი გამოყენების უფლების მქონე აქტივების მუხლში. ლიზინგის თავდაპირველი ვადა, როგორც წესი, 1-დან 5 წლამდე პერიოდია, განახლების შესაძლებლობით. ბაზარზე არსებული ფასების გათვალისწინებით, იჯარის გადახდები წლიდან წლამდე როგორც წესი იზრდება.

საერთაშორისო ხელშეკრულებების პირობების (კოვენანტების) შესრულება. ჯგუფს დადებული აქვს რამდენიმე საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლებიც ძირითადად მის ნასესხებ სახსრებთანაა დაკავშირებული. ასეთი ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობამ შესაძლოა ჯგუფისთვის უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს, მათ შორის ნასესხები სახსრების ხარჯების ზრდა და დეფოლტის განცხადება.

2020 წლის განმავლობაში ბანკმა დაარღვია ღია საკრედიტო პოზიციის კოვენანტები ფინანსურ ინსტიტუტებთან: BSTDB, IFC, GGF, EFSE, OFID დადებული სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში, რაც COVID-19 პანდემიის მოდიფიკაციების გამო სესხების რესტრუქტურიზაციაზე გაზრდილი პოზიციის შედეგია. ბანკმა ამ კოვენანტების დარღვევის ვალდებულებისგან გათავისუფლება - waiver მიიღო და შესაბამისად, არ არღვევს ხელშეკრულების პირობებს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ბანკი ასევე ასრულებს სასესხო შეთანხმებების კოვენანტებით გათვალისწინებულ მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებს, მათ შორისო კაპიტალის ადეკვატურობის დონეს, რომელიც გაანგარიშებულია ბაზელის შეთანხმების მოთხოვნების თანახმად, როგორც ეს განსაზღვრულია კაპიტალის გაანგარიშების და კაპიტალის სტანდარტების საერთაშორისო კონვერგენციით (განახლდა 1998 წლის აპრილში) და „ბაზელის შეთანხმების“ გადამუშავებულ ვერსიაში, რომელშიც შეტანილ იქნა საბაზრო რისკები (განახლდა 2005 წლის ნოემბერში), და ბაზელი I-ის სახელითაა ცნობილი.

2020 წლის განმავლობაში ბანკმა დაარღვია კაპიტალის კოვენანტი ფინანსურ ინსტიტუტებთან: GGF, EFSE დადებული ხელშეკრულებების ფარგლებში. ბანკმა ამ კოვენანტის შესრულების ვალდებულებისგან გათავისუფლება waiver მიიღო და შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელშეკრულებო პირობებს არ არღვევს.

ბაზელის კაპიტალის შეთანხმების მიხედვით გაანგარიშებული ბანკის კაპიტალის შემადგენლობა ასეთია:

ათასი ლარი	**2020**	**2019**
პირველადი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი და საემისიო შემოსავალი	90,980	90,980
გაუნაწილებელი მოგება	201,381	178,499
მთლიანი პირველადი კაპიტალი	**292,361**	**269,479**
მეორადი კაპიტალი		
გადაფასების რეზერვები	9,165	9,165
სუბორდინირებული ვალი	16,368	14,410
მთლ მეორადი კაპიტალი	**25,533**	**23,575**
მთლიანი კაპიტალი	**317,894**	**293,054**

კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები. ამ ინსტრუმენტების ძირითადი მიზანი იმის უზრუნველყოფაა, რომ როცა დასჭირდება, კლიენტზე გასაცემი სახსრები არსებობს. გარანტიები და standby აკრედიტივები წარმოადგენს იმის მყარ გარანტიას, რომ კლიენტის მიერ მესამე მხარისთვის წინაშე არსებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ჯგუფი განახორციელებს გადახდებს. გარანტიებს და standby აკრედიტივებს იგივე საკრედიტო რისკი აქვს, რაც სესხებს. დოკუმენტური და კომერციული აკრედიტივები არის ჯგუფის მიერ კლიენტის სახელზე დაწერილი პირობები, რომელიც მესამე მხარეს უფლებას აძლევს, გაიტანოს ჯგუფიდან თანხები გარკვეულ ლიმიტამდე და გარკვეული პირობებით. დოკუმენტური და კომერციული აკრედიტივების უზრუნველყოფად ითვლება საქონლის ის პარტია, რომლებსაც ისინი ეხება ან ფულადი დეპოზიტები და ამიტომ ნაკლები რისკი აქვს, ვიდრე პირდაპირ სესხებას.

კრედიტის გაცემის ვალდებულება წარმოადგენს კრედიტის გაცემის ავტორიზაციის მიცემის გამოუყენებელ ნაწილს სესხების, გარანტიების ან აკრედიტივების ფორმით. რაც შეეხება კრედიტის გაცემის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკს, ჯგუფის წინაშე შესაძლოა იდგას ზარალის რისკი იმ ოდენობით, რომელიც უდრის მთლიან გამოუყენებელ ვალდებულებას, თუ აუთვისებელი თანხები ათვისებული უნდა ყოფილიყო. თუმცა, ზარალის შესაძლო ოდენობა ნაკლებია მთლიან გამოუყენებელ ვალდებულებაზე, რადგან კრედიტის გაცემის ვალდებულებების უმეტესობა დამოკიდებულია კლიენტების მიერ კრედიტის კონკრეტული სტანდარტების დაცვაზე.

ჯგუფი აკვირდება კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებების ვადის დადგომამდე დარჩენილ პერიოდს, რადგან შედარებით გრძელვადიან ვალდებულებებს ზოგადად მეტი საკრედიტო რისკი აქვს, ვიდრე შედარებით მოკლევადიანებს.

კრედიტთან დაკავშირებული დაუფარავი ვალდებულებები შემდეგია:

ათასი ლარი	განმარტება	2020	2019
გაცემული ფინანსური გარანტიები		36,860	57,858
აუთვისებელი საკრედიტო ხაზების ვალდებულებები		71,088	65,965
იმპორტის აკრედიტივი		-	1,118
მთლ სასესხო ვალდებულებები		**107,948**	**124,941**
გამოკლ: ფინანსური გარანტიების რეზერვი	25	(81)	(349)
გამოკლ: სასესხო ვალდებულებების რეზერვი		(216)	(292)
გამოკლ: იმპორტის აკრედიტივების რეზერვი		-	(11)
გამოკლ: ფულადი დეპოზიტებით უზრუნველყოფილი ვალდებულება		(14,954)	(17,811)
კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები სულ, რეზერვების და ფულით დაფარული პოზიციების გარდა		**92,697**	**106,478**

ფინანსური გარანტიების რეზერვების ცვლილებები ასეთია:

ათასი ლარი	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (არს.მთლ..პერ. ECL SICR-ისთვის)	მთლ რეზერვი	ბრუტო გარანტირებული თანხა
ფინანსური გარანტიების რეზერვი 2019 წლის 31 დეკ მდგ	**81**	**268**	**349**	**57,858**
პერიოდის განმავლობაში კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულების ცვლილება რომელსაც ეფექტი ჰქონდა რეზერვზე				
ტრანსფერები				
- არს. მთ. პერ. (ეტაპი 1 ეტაპი 2-მდე)	-	-	-	-
- 12 თვიანი ECL (ეტაპი 2 და ეტაპი 3 -დან ეტაპი 1-ზე)	-	-	-	-
გაცემული გარანტიები	58	-	58	24,811
პერიოდში აღიარებაშეწყვეტილი	(62)	(268)	(330)	(47,490)
წლის განმავლობაში კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულების ცვლილება რომელსაც ეფექტი ჰქონდა რეზერვზე სულ	**(4)**	**(268)**	**(272)**	**(22,679)**
პერიოდის განმავლობაში კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულების ცვლილება რომელსაც ეფექტი არ ჰქონდა რეზერვზე				
უცხ ვალ ცვლილებები	4	-	4	1,682
ფინ გარანტიების რეზერვი 2020 წლის 31 დეკემბერს	**81**	**-**	**81**	**36,861**

ათასი ლარი	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (არს.მთლ..პერ. ECL SICR-ისთვის)	მთლ რეზერვი	ბრუტო გარანტირებული თანხა
ფინანსური გარანტიების რეზერვი 2018 წლის 1 იან მდგ	**51**	**44**	**95**	**55,573**
პერიოდის განმავლობაში კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულების ცვლილება რომელსაც ეფექტი ჰქონდა რეზერვზე				
ტრანსფერები				
- არს. მთ. პერ. (ეტაპი 1 ეტაპი 2-მდე)	(268)	268	-	-
გაცემული გარანტიები	5	(5)	-	-
პერიოდში აღიარებაშეწყვეტილი	336	-	336	40,559
ტრანსფერები	(46)	(40)	(86)	(37,973)
მთლ ხარჯი წლის მოგებაში ან ზარალში	**27**	**223**	**250**	**2,586**
ცვლილებები, რომლებსაც გავლენა არ მოუხდენია პერიოდის კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებების რეზერვზე				
უცხ ვალ ცვლილებები	4	-	4	(301)
ფინანსური გარანტიების რეზერვი 2019 წლის 31 დეკ	**82**	**267**	**349**	**57,858**

სასესხო ვალდებულებების რეზერვების ცვლილებები შემდეგია:

ათასი ლარი	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (არს.მთლ..პერ. ECL for SICR-ისთვის)	ეტაპი 3 (არს.მთლ.პერ. ECL საკრ რისკ გაუფას)	მთლიანი რეზერვი	ბრუტო ვალდ თანხა
საკრედ ვალდ რეზერვი 31 დეკ 2019	**98**	**90**	**104**	**292**	**65,965**
პერიოდის განმავლობაში კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულების ცვლილება რომელსაც ეფექტი ჰქონდა რეზერვზე					
ტრანსფერები					
- - არს. მთ. პერ. (ეტაპი 1 ეტაპი 2-მდე)	(14)	14	-	-	-
- საკრ. რისკ. გაუფას. (ეტაპი 1 და ეტაპი 2-**დან** ეტაპი 3-ზე)	(5)	(53)	58	-	-
- 12-თვიანი ECL-ზე (ეტაპი 2 და ეტაპი 3-დან ეტაპი 1-ზე)	37	(37)	-	-	-
გაცემული სასესხო ვალდ	94	54	-	148	42,675
პერიოდში აღიარებაშეწყვეტილი*	(72)	(57)	(104)	(233)	(41,461)
მთლ ხარჯი წლის მოგებაში ან ზარალში	**40**	**(79)**	**(46)**	**(85)**	**1,214**
ცვლილებები, რომლებსაც გავლენა არ მოუხდენია პერიოდის კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებების რეზერვზე					
უცხ ვალ ცვლილებები	4	5	-	9	3,909
ფინანსური გარანტიების რეზერვი 2020 წლის 31 დეკ	**142**	**16**	**58**	**216**	**71,088**

ათასი ლარი	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (არს.მთლ..პერ. ECL for SICR-ისთვის)	ეტაპი 3 (არს.მთლ.პერ. ECL საკრ რისკ გაუფას)	მთლიანი რეზერვი	ბრუტო ვალდ თანხა
საკრედ ვალდ რეზერვი 31 დეკ 2018	124	139	-	263	77,771
პერიოდის განმავლობაში კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულების ცვლილება რომელსაც ეფექტი ჰქონდა რეზერვზე					
ტრანსფერები					
- - არს. მთ. პერ. (ეტაპი 1 ეტაპი 2-მდე)	(13)	13	-	-	-
- საკრ. რისკ. გაუფას. (ეტაპი 1 და ეტაპი 2-დან ეტაპი 3-ზე)	(101)	(3)	104	-	-
- 12-თვიანი ECL-ზე (ეტაპი 2 და ეტაპი 3-დან ეტაპი 1-ზე)	1	(1)	-	-	-
გაცემული სასესხო ვალდ	189	35	-	224	55,228
პერიოდში აღიარებაშეწყვეტილი*	(112)	(93)	-	(205)	(67,234)
მთლ ხარჯი წლის მოგებაში ან ზარალში	**(36)**	**(49)**	**104**	**19**	**(12,006)**
